

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ც. ღუდუშავარი

## ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები

დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ  
სტუ-ს სარედაქციო-საგამომცემლო  
საბჭოს მიერ

თბილისი  
2008

სახელმძღვანელო დაწერილია ანალიზური ქიმიის პროგრამის შესაბამისად. განხილულია ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების თეორიული საფუძვლები, გამოყენებული ძირითადი დანადგარების და ხელსაწყოების პრინციპიალური სქემები, პრაქტიკული გამოყენების საკითხები. აღწერილია 50 ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების ლაბორატორიული სამუშაოები (ფოტომეტრია, სპექტრული ანალიზი, ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრია, ელექტრო-ქიმიური მეთოდები, კინეტიკური მეთოდები, ქრომატოგრაფია და სხვ.).

სახელმძღვანელო განკუთვნილია ქიმიური, ქიმიურ-გექნოლოგიური, ბიოგექნოლოგიური, ფარმაცევტული, მეტალურგიული, სამთო-გეოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიური უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის.

**რევენტენტი:** საქართველოს მეცნიერებათა  
ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,  
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფ. თ. ანდონიკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2008.  
ISBN 978-9941-14-291-8

## შინაარსი

შინაარსი .....	3
შესაგალი .....	13
<b>თავი I. ანალიზის ფოტომეტრული მეთოდები</b>	<b>15</b>
ვიზუალური კოლორიმეტრია .....	15
ხსნარის ფერი .....	17
შეფერილი ნაერთის წარმოქმნის პირობები .....	19
შეფერვის ინტენსიურობის გაზომვის მეთოდები.....	23
ლაბორატორიული სამუშაოები	26
სამუშაო №1. რკინის განსაზღვრა ვიზუალური კოლორიმეტრული მეთოდით .....	26
სამუშაო №2. ვანადიუმის განსაზღვრა სტანდარტული სერიის ან ფერადი სკალის მეთოდით .....	28
სამუშაო №3. ვოლფრამის განსაზღვრა კოლორიმეტრული ტიტვრის მეთოდით .....	29
<b>თავი II. ანალიზის ფოტოკოლორიმეტრიული მეთოდი</b>	<b>31</b>
ფოტოკოლორიმეტრზე მუშაობის მეთოდიკა .....	36
ნივთიერების კონცენტრაციის განსაზღვრა ხსნარში .....	38
ფოტომეტრული ტიტვრა .....	39
ანალიზის სპექტროფოტომეტრული მეთოდი .....	41
ანალიზის დიფერენციალურ- სპექტროფოტომეტრიული მეთოდი .....	43
ექსტრაქციულ-ფოტომეტრული მეთოდი .....	44
ლაბორატორიული სამუშაოები	45

სამუშაო №1. კალციუმის და მაგნიუმის განსაზღვრა ფოტომეტრული ტიტვრის მეთოდით .	<b>45</b>
სამუშაო №2. თუთიის განსაზღვრა ფოტომეტრული ტიტვრის მეთოდით .....	<b>47</b>
სამუშაო №3. ნიკელის ფოტოკოლორიმეტრული განსაზღვრა .....	<b>48</b>
სამუშაო №4. რენიუმის განსაზღვრა დიფერენციალურ-სპექტროფოტომეტრული მეთოდით .....	<b>50</b>
სამუშაო №5. სპილენბის განსაზღვრა დიფერენციალურ-სპექტროფოტომეტრული მეთოდით .....	<b>53</b>
<b>თავი III. ტურბიდიმეტრია. ნეფელომეტრია</b>	<b>55</b>
პირობები, რომელიც უნდა იქნეს დაცული ტურბიდიმეტრიული და ნეფელომეტრიული განსაზღვრების დროს .....	<b>57</b>
გამოყენებული აპარატურა .....	<b>59</b>
<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	
სამუშაო №1. ხსნარში ქლორიდების განსაზღვრა ტურბიდიმეტრული მეთოდით .....	<b>61</b>
სამუშაო №2. სულფატ-იონების ნეფელომეტრული განსაზღვრა .....	<b>62</b>
<b>თავი IV. ლუმინესცენტრი ანალიზი</b>	<b>64</b>
ლუმინესცენციის ენერგეტიკული, ქვანტური მახასიათებლები და კავშირი მათ შორის .....	<b>48</b>
კონცენტრაციული ჩაქრობა .....	<b>66</b>
ტემპერატურული ჩაქრობა .....	<b>67</b>
ლუმინესცენციის ჩაქრობა გარეშე მინარევებით ....	<b>68</b>

თვისებითი და რაოდენობითი ანალიზი .....	68
გამოყენებული აპარატურა .....	72
ქემილუმინესცენტური ანალიზი .....	72
ლაბორატორიული სამუშაოები .....	75
სამუშაო №1. ბორის შემცველობის განსაზღვრა ლუმინესცენტური მეთოდით .....	75
სამუშაო №2. ალუმინის განსაზღვრა 2-ოქსი-3-ნაფტიონის მჟავასთან კომპლექსის ნათების მიხედვით .....	76
<b>თავი V. ანალიზის სპექტრული მეთოდი</b>	78
რაოდენობრივი განსაზღვრის შიგა და გარე სტანდარტის მეთოდი .....	82
ფოტოელექტრული მეთოდები .....	85
<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	87
სამუშაო №1. ფოლადში ქრომის რაოდენობის განსაზღვრა სტილოსკოპ CL-10-ის საშუალებით ..	87
სამუშაო №2. ფოლადში სილიციუმის განსაზღვრა სტილოსკოპ „სპექტრის“ საშუალებით .....	89
სამუშაო №3. ფოლადში ნახშირბადის განსაზღვრა სტილოსკოპ „სპექტრის“ საშუალებით .....	90
სამუშაო №4. ფოლადში გოგირდის განსაზღვრა სტილოსკოპ „სპექტრის“ საშუალებით .....	91
<b>თავი VI. ალის ფოტომეტრია</b>	93
ალის შედგენილობის სქემა .....	94
ალის ფოტომეტრიის პრინციპული სქემა .....	96
ხსნარის შედგენილობის გავლენა გამოსხივების ინტენსივობაზე .....	97

<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	
სამუშაო №1. კალიუმის განსაზღვრა ალის ფოტომეტრული მეთოდით .....	99
სამუშაო №2. ნატრიუმის განსაზღვრა ალის ფოტომეტრული მეთოდით .....	101
<b>თავი VII. ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრია</b>	103
უალო ატომიზაცია .....	108
რაოდენობრივი განსაზღვრა .....	110
<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	112
სამუშაო №1. სპილენბის კონცენტრაციის განსაზღვრა ატომურ-აბსორბციული მეთოდით .....	112
სამუშაო №2. ტყვიის იონების განსაზღვრა ატომურ-აბსორბციული მეთოდით .....	114
<b>თავი VIII. რადიოსინაზირის სპექტრული მეთოდები</b>	116
<b>თავი IX. ანალიზის რადიომეტრული მეთოდები</b>	122
მასს-სპექტრომეტრია .....	126
თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი .....	129
<b>თავი X. ანალიზის რეფრაქტორმეტრული მეთოდი</b>	131
გარდატეხის მაჩვენებელის დამოკიდებულება	
სხვადასხვა ფაქტორებზე .....	133
კონცენტრაციის გამოსახვის მეთოდები .....	135
რეფრაქტორმეტრები РЛ და РПЛ .....	137
რეფრაქტორმეტრ РЛ –ის ოპტიკური სქემა .....	138
<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	140

სამუშაო №1. ხსნარში ეთილის სპირტის კონცენტრაციის განსაზღვრა რეფრაქტომეტრული მეთოდით	140
სამუშაო №2. შაქრის კონცენტრაციის განსაზღვრა რეფრაქტომეტრული მეთოდით	141
<b>თავი XI. ელექტროქიმიური მეთოდები</b>	<b>143</b>
ელექტროგრაფიმეტრული მეთოდი	143
მეტალების დალექვის ფიზიკური პირობები	145
დენის ძალის და სიმკვრივის გავლენა	145
მეტალების დალექვის ქიმიური პირობები	
კონცენტრაციის გავლენა	146
მჟავიანობის გავლენა. დალექვა გოგირდმჟავა	
ხსნარებიდან	148
დალექვა აზოტმჟავა ხსნარებიდან	148
დალექვა მარილმჟავა ხსნარებიდან	149
დალექვა კომპლექსური ხსნარებიდან	149
შიგადენის ელექტროლიზის მეთოდი	152
შიგადენის ელექტროლიზი უდიაფრაგმოდ (ლურიეს მეთოდი)	153
შიგადენის ელექტროლიზი დიაფრაგმის გამოყენებით (ჩერნიხოვის მეთოდი)	154
ლითონების ელექტროლიზური დაცილება	
ვერცხლისწყლის კათოდის გამოყენებით	155
<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	<b>157</b>
სამუშაო №1. ნიკელის ელექტროგრაფიმეტრული განსაზღვრა	157
სამუშაო №2. სპილენბის განსაზღვრა შიგადენის ელექტროლიზის ეთოდით	160

**თავი XII. ანალიზის პოტენციომეტრული მეთოდი 163**

ნორმალური პოტენციალები .....	164
რეალური პოტენციალი .....	165
ელექტროდები .....	166
იონურებულები მემბრანული ელექტროდები .....	168
პოტენციომეტრული ტიტვრა .....	172
ე.მ.ძ-ის გაზომვის კომპენსაციური მეთოდი .....	175
არაკომპენსაციური მეთოდი .....	178
<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	<b>179</b>
სამუშაო №1. ხსნარში მჟავას კონცენტრაციის განსაზღვრა პოტენციომეტრული მეთოდით .....	179
სამუშაო №2. ალუმინის განსაზღვრა არაკომპენსაციური პოტენციომეტრული ტიტვრით	180
სამუშაო №3. ხსნარში ქლორ-იონების განსაზღვრა კომპენსაციური პოტენციომეტრული მეთოდით .....	182

**თავი XIII. ვოლტამპერომეტრია. პოლაროგრაფია.  
ამპერომეტრია 185**

პოლაროგრაფიული ტალდა .....	187
პოლაროგრაფიული ფონი .....	189
ვოლტამპერომეტრიის მეთოდები. დიფერენციული პოლაროგრაფია .....	191
ოსცილოგრაფიული პოლაროგრაფია .....	193
ამალგამური პოლაროგრაფია დაგროვებით .....	194
ინვერსიული პოლაროგრაფია .....	195
ცვლადი დენის პოლაროგრაფია .....	196
რაოდენობრივი განსაზღვრა .....	198
ამპერომეტრული ტიტვრა .....	200
<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	<b>201</b>

სამუშაო №1. სპილენბის განსაზღვრა კლასიკური პოლაროგრაფიული მეთოდით	201
სამუშაო №2. ნიკელის განსაზღვრა კობალტის თანაობისას დიფერენციული პოლაროგრაფიული მეთოდით	203
სამუშაო №3. კადმიუმის და თუთიის განსაზღვრა ამალგამური პოლაროგრაფიული მეთოდით	204
სამუშაო №4. ვერცხლის იონების განსაზღვრა ინვერსიული პოლაროგრაფიული მეთოდით	205
სამუშაო №5. ტყვიის იონების განსაზღვრა ამპერომეტრული მეთოდით	207
სამუშაო №6. სპილენბის იონების განსაზღვრა ამპერომეტრული ტიტვრით	209
<b>თავი XIV. კონდუქტომეტრია. კონდუქტომეტრული ტიტვრა</b>	<b>211</b>
სსნარის ელექტროგამტარობის გაზომვა	212
კონდუქტომეტრული ტიტვრა	215
მაღალი სიხშირის კონდუქტომეტრია	218
<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	<b>219</b>
სამუშაო №1. ნარჯეში ქლორიდების და იოდიდების განსაზღვრა კონდუქტომეტრული მეთოდით	219
სამუშაო №2. რკინის იონების განსაზღვრა მაღალი სიხშირის კონდუქტომეტრული ტიტვრით	221
<b>თავი XV. კულონომეტრია. კულონომეტრიული ტიტვრა</b>	<b>223</b>
კულონომეტრია მუდმივი დენის დროს	225
კულონომეტრია მუდმივი პოტენციალის დროს	225

<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	<b>230</b>
სამუშაო №1. სპილენბის ონების	
კულონომეტრიული განსაზღვრა .....	230
სამუშაო №2. ალუმინის განსაზღვრა	
კულონომეტრიული მეთოდით .....	231
<b>თავი XVI. ანალიზის კინეტიკური მეთოდები.</b>	
<b>მეთოდის თეორიული საფუძვლები</b>	<b>233</b>
კონცენტრაციის განსაზღვრის მეთოდები .....	238
კატალიზური ტიტვრის მეთოდი .....	240
გამოყენებული აპარატურა .....	241
<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	
სამუშაო №1. სპილენბის განსაზღვრა კინეტიკური	
მეთოდით .....	242
სამუშაო №2. ვოლფრამის განსაზღვრა	
კინეტიკური მეთოდით .....	244
<b>თავი XVII. ნივთიერების დაცილების და</b>	
<b>კონცენტრირების მეთოდები</b>	<b>246</b>
ექსტრაქცია .....	248
თანადალექვა .....	250
შენიდბვა .....	252
ელექტროქიმიური მეთოდები .....	253
ცემენტაცია .....	253
სორბცია .....	254
<b>ლაბორატორიული სამუშაოები</b>	<b>256</b>
სამუშაო №1. მიკრო რაოდენობის სპილენბის	
განსაზღვრა ექსტრაქციის მეთოდით .....	256
სამუშაო №2. მიკრო რაოდენობის რკინის (III)	
ონების დალექვა კადმიუმის ფოსფატით .....	258

სამუშაო №3. მიკრო რაოდენობის ნიკელის კონცენტრირება ცემენტაციის მეთოდით	259
<b>თავი XVIII. ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდი</b>	<b>261</b>
ქრომატოგრაფიის თეორიული საფუძვლები	261
ქრომატოგრაფიის მეთოდების კლასიფიკაცია	262
ქრომატოგრაფიის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები	263
გაყოფის კრიტერიუმი	265
ქრომატოგრაფიული პროცესების თეორია	266
კინეტიკური თეორია	267
ნივთიერების თვისებითი ანალიზი	269
რაოდენობითი ქრომატოგრაფიული ანალიზი	270
იონგაცვლითი ქრომატოგრაფია	272
კათიონიტის დამუშავება	284
ანიონიტის დამუშავება	284
თხევადი ქრომატოგრაფია	285
თვისებითი და რაოდენობითი ანალიზი	286
თხელფენოვანი ქრომატოგრაფია	287
თვისებითი და რაოდენობითი ანალიზი	289
ქადალდის ქრომატოგრაფია	291
თვისებითი და რაოდენობითი ანალიზი	293
აირის ქრომატოგრაფია	294
ადსორბციულ-კომპლექსურმომქმნელი	
ქრომატოგრაფია	299
დალექციორი ქრომატოგრაფია	302
ლაბორატორიული სამუშაოები	305
სამუშაო №1. ნიობიუმის ქრომატოგრაფიული დაცილება რკინისაგან	
იონგაცვლით-ქრომატოგრაფიული მეთოდით	
ანიონიტ AB-16-ის გამოყენებით	305

სამუშაო №2. სპილენბის და ნიკელის ქრომატოგრაფიული დაცილება ცეოლითების გამოყენებით	310
სამუშაო №3. ჩამდინარე წყლებში დიმეთილფორმამიდის და ეთილაცეტატის განსაზღვრა გაზის ქრომატიული მეთოდით	314
სამუშაო №4. რკინის, კობალტის და ნიკელის დაცილება ქაღალდის ქრომატოგრაფიული მეთოდით და რკინის რაოდენობრივი განსაზღვრა	316
სამუშაო №5. სკანდიუმის და იტრიუმის კათოონების დაცილება დალექციით ქრომატოგრაფიული მეთოდით	319
სამუშაო №6. ბერილიუმის და ქრომის (III) დაცილება ფტორ-ფტორმა ანიონიტ AB-16 აბსორბციულ კომპლექსწარმომქმნელი	
ქრომატოგრაფიული მეთოდით	323
სამუშაო №7. ნიკელის და კობალტის ქრომატოგრაფიული დაცილება	327
სამუშაო №8. სსნარში მარილის რაოდენობის განსაზღვრა იონგაცვლითი მეთოდით	329
სამუშაო 9. სპილენბის და ზოგიერთი გარდამავალი ლითონების შემცველი ნარევის ქრომატოგრაფიული გაყოფა კლინოპტილოლიტზე	330
<b>ლიტერატურა</b>	<b>336</b>

## შესავალი

ანალიზური ქიმია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის და შეიმუშავებს ქიმიური ანალიზის მეთოდებს. მისი ძირითადი ამოცანაა ქიმიური ანალიზის თეორიის ზოგადი პრობლემების გადაჭრა და გამოსაკვლევ ნივთიერებაში შემავალი ცალკეული კომპონენტების დაცილების, იდენტიფიკაციის და რაოდენობრივი განსაზღვრის ახალი ეფექტური მეთოდების შემუშავება და არსებული მეთოდების სრულყოფა.

ქიმიური ანალიზის კლასიკური მეთოდები (გრავიმეტრული და ტიტრიმეტრული) საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ნივთიერების ქიმიური შემაღვენლობა. ამავე დროს, უკანასკნელ ხანებში მეცნიერული ტექნიკური პროგრესის მზარდი პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ეს მეთოდები საკმარისი აღარ არის.

ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების მნიშვნელოვანი უპირატესობა არის მათი ექსპრესულობა და სიმარტივე. ნედლეულის შედგენილობის შესახებ დროული ინფორმაცია საშუალებას აძლევს ტექნოლოგს აქტიურად ჩაერთოს ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობაში და შეიტანოს სათანადო კორექტივები.

ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების საერთო რიცხვი საკმაოდ დიდია. მათ შორის მნიშვნელოვანი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს

1. სპექტრული და ოპტიკური მეთოდები.
2. ელექტროქიმიური მეთოდები.
3. ქრომატოგრაფიული მეთოდები.

აღნიშნული მეთოდებს შორის ყველაზე მრვალრიცხოვანი და პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სპექტრული და სხვა ოპტიკური მეთოდები. კერძოდ ემისურ ატომური სპექტროსკოპია, ინფრაწითელი სპექტროსკოპია

და სხვ, რომლებიც დამყარებულია ნივთიერების ელექტრო-  
მაგნიტურ გამოსხივებასთან ურთიერთქმედებისას წარმო-  
ქმნილი სხვადასხვა ეფექტების განსაზღვრაზე.

ანალიზის ელექტროქიმიური მეთოდები ემყარება საკვ-  
ლევი ნივთიერების ელექტროგამტარობის, პოტენციალის და  
სხვა თვისებების განსაზღვრაზე.


ანალიზის ქრომატროგრაფიული მეთოდები დამყარე-  
ბულია ადსორბენტის მიერ ნარევში შემავალი ცალკეული  
კომპონენტების შერჩევითი ადსორბციის უნარზე. ფიზიკურ-  
ქიმიური მეთოდების ნაკლი არის ის, რომ პრაქტიკული  
გამოყენებისას საჭიროა ეტალონებით სტანდარტული  
სსნარები და დამგრადიურებელი გრაფიკები.

## თავი I

### ანალიზის ფოტომეტრული მეთოდები გიზუალური კოლორიმეტრია

ანალიზის ფოტომეტრული მეთოდები დამყარებულია საანალიზო ნივთიერების მიერ ელექტრომაგნიტური გამოსხივების შთანთქმაზე სპექტრის ულტრაიისფერ, ხილულ და ინფრაწითელ უბნებში.

ანალიზის ფოტომეტრული მეთოდის გამოყენებისას საჭიროა საკვლევი ნივთიერება ქიმიური რეაქციის გამოყენებით გადაყვანილ იქნეს შეფერილ კომპლექსნაერთში და შემდგომ გაიზომოს მიღებული ნაერთის შეფერვის ინტენსივობა.



ნახ. 1. სინათლის გავლა  
შეფერილ სინარჩი

შეფერილი სინარჩის მნიშვნელოვანი მახასიათებელია შეფერვის ინტენსიურობა და სინარჩის ფერი. შეფერვის ინტენსიურობა გამოიხატება ოპტიკური სიმკვრივის სიდიდით, რომელიც შემდეგნაირად მიიღება:

შეფერილ სინარჩ ათავსებენ გამჭვირვალე კვარცის ჭურჭელში (კიუვეტში) და მასში ატარებენ სინათლის სივს  $I_0$  ინტენსივობით (ნახ. 1). გამოსული სივსის ინტენსივობას აღნიშნავენ  $I_a$ . გამოსული სივსის ინტენსივობა ნაკლებია დაცემული სივსის ინტენსივობაზე. ინტენსივობის შემცირება ხდება შთანთქმის ( $I_a$ ), არეკვლის და განბნევის ( $I_r$ ) ხარჯზე. ვინაიდან საქმე გვაქვს იდეალურ სინარებთან  $I_r$  მცირე სიდიდეა და შეიძლება უგულვებელვყოთ. დაცემული და სინარიდან გამოსული სივსების ინტენსივობის დამოკიდებულება

კონცენტრაციასთან გამოიხატება ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონით რომელსაც კოლორიმეტრის ძირითადი კანონი ეწოდება, შემდეგია:

$$I_o = I_t \cdot 10^{\varepsilon h c} \quad \text{აქედან} \quad \frac{I_o}{I_t} = \varepsilon h c$$

თუ გავალობარითმებთ, მივიღებთ

$$D = \lg \frac{I_o}{I_t} = \varepsilon h c$$

D-ს ოპტიკური სიმკვრივე ეწოდება.  $I_o$  – არის დაცემული სხივის ინტენსივობა,  $I_t$  – გასული სხივის ინტენსივობა;  $h$  – ფენის სისქე,  $\varepsilon$  – შთანთქმის კოეფიციენტი, რომელიც მოცემულია შეფერილი სხნარისათვის, რომელშიც გადის გარკვეული ტალღის სიგრძის სხივი, მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს. თუ სხნარის კონცენტრაცია უდრის 1 მოლ/ლ და ფენის სისქეა 1 სმ, მაშინ მას მოლური შთანთქმის კოეფიციენტი ეწოდება. იგი გამოსახავს 1 მოლ/ლ სხნარის ოპტიკურ სიმკვრივეს, რომელიც ჩასხმულია 1 სმ სისქის კუვეტაში.

მოლური შთანთქმის კოეფიციენტი დამოკიდებულია სინათლის მშთანთქმელი სხეულის ბუნებაზე და დაცემული სხივის ტალღის სიგრძეზე. სხვადასხვა ნივთიერებისათვის იგი მერყეობს ფართო ზღვრებში, ერთიდან რამდენიმე ათასამდე. რაც მეტია  $\varepsilon$ -ის მნიშვნელობა, მით მეტია კოლორიმეტრიული რეაქციების მგრძნობიარობა. ამიტომ მას კოლორიმეტრიული განსაზღვრის მგრძნობიარობის საზომს უწოდებენ.

ოპტიკური სიმკვრივის შებრუნებულ სიდიდეს შუქამბრარობა ეწოდება და აღინიშნება T-თი. 1 სმ სისქის ფენის შემთხვევაში T-ს შუქამბრარობის კოეფიციენტი ეწოდება:

$$D = \frac{1}{T}$$


$$D = \ell g \frac{I_o}{I_t} = \ell g \frac{1}{T} = \varepsilon h c$$

ამრიგად, ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონი შეიძლება ასე გამოითქვას: ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე სინათლის შთანთქმელი შეფერილი ნივთიერების კონცენტრაციის და ხსნარის ფენის სისქის ნამრავლის პროპორციულია.

### ხსნარის ფერი

ხსნარის შეფერვა განპირობებულია სპექტრის ხილული ნაწილის ცალკეული უბნის არათანაბარი შთანთქმით.

სხვადასხვა შენაერთების შეფერილი ხსნარების დახასიათებისათვის სარგებლობენ სინათლის შთანთქმის მრუდებით, ანუ ე.წ. შთანთქმის სპექტრებით (ნახ. 2).



ნახ. 2. შთანთქმის ელექტრონული სპექტრი

ბად აწარამოებენ ხსნარის ოპტიკური სიმკვრივის გაზომვათა სერიას სხვადასხვა სიგრძის ტალღის დროს, ე.ი. ხსნარის გაშუქებისას ყოველთვის სარგებლობენ სპექტრის ახალი უბნით. აბსცისაზე გადაზომავენ ტალღის სიგრძეს, ორდინატზე – ოპტიკურ სიმკვრივეს. ვდებულობთ მრუდს გარკვეული მაქსიმუმით. უმეტესი ნივთიერების შთანთქმის მაქსიმუმი მდებარეობს სპექტრის ხილულ უბანში.

სინათლის შთანთქმის მაქსიმუმი სპექტრის გარკვეულ ნაწილში წარმოადგენს ნივთიერების მნიშვნელოვან ოპტიკურ მახასიათებელს. როდესაც ლაპარაკობენ რომელიმე შეფერილი ნივთიერების მოდური შთანთქმის კოეფიციენტის შესახებ, ჩვეულებრივ, მხედველობაში აქვთ ოპტიკური სიმკვრივე სპექტრის იმ ნაწილში, სადაც შთანთქმა მაქსიმალურია.


ფოტომეტრიული თვალსაზრისით, რომ შევადარო ნივთიერებები, საჭიროა შევადაროთ მათი სპექტრები.

I. კრიტერიუმი, როთაც ხასიათდება სპექტრი, ეს არის მისი სიმაღლე, რაც უფრო მეტია სიმაღლე, მით უფრო მეტია შთანთქმა.

II კრიტერიუმია სიგანე. რაც უფრო ვიწროა სპექტრი, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ სხვა ნივთიერებებმა შეუშალოს ხელი, ე.ი. რომ არ მოხდეს გადაფარვა. რაც უფრო ფართოა სპექტრი, მით უფრო მეტია შთანთქმის შესაძლებლობა. რომ დავახასიათოთ სიგანე, სიმაღლის ნახევარი უნდა გავყოთ შეაზე და ავიღოთ ნახევარი უბანი. ეს არის მაჩვენებელი ab (ნახ. 3).

III მახასიათებელია რეაქციის კონტრასტულობა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად განსხვავდება ფოტომეტრიული რეაქციის პროდუქტის შეფერვა რეაგენტისაგან. სხვანაირად, რეაქციის კონტრასტულობა იზომება რეაქციის პროდუქტის და რეაგენტის  $\lambda_{\max}$ -ის სხვაობით.

Δλ არის კონტრასტულობა საზომი. ამ სიდიდეზეა დამოკიდებული რეაქციის პროდუქტიულობაც. რაც უფრო მეტია Δλ, მით უფრო სხვადასხვაა ფერები (ნახ. 4).



ნახ. 3


ნახ. 4

IV მახასიათებელია რეაგენტისა და რეაქციის პროდუქტის ოპტიკური სიმკვრივეების თანაფარდობა.

ფოტომეტრიული განსაზღვრის სიზუსტისა და მგრძნობიარობის გადიდებისათვის მიზანშეწონილია არა შერეული (თეთრი) სინათლის, არამედ სპექტრის რომელიმე ნაწილის გამოყენება, კერძოდ უნდა აირჩიონ სპექტრის ის ნაწილი, რომელიც უფრო ძლიერად შთაინთქმება მოცემული შეფერილი ნაერთით, რომელთანაც მოცემული ნივთიერება ოპტიკურად რეაგირებს. ამ მიზნით გამოყენებულია შუქფილტრები.

### შეფერილი ნაერთების წარმოქმნის პირობები

ფოტომეტრიული განსაზღვრისას, რომელშიც შეფერილი კომპლექსის წარმოქმნა მიმდინარეობს შემდეგი რეაქციით:



დიდი ყურადღება ექცევა წარმოქმნილი კომპლექსის მდგრადობას, რომელიც შეიძლება გამოისახოს დისოციაციის და კომპლექსის მდგრადობის მუდმივებით. რაც უფრო დიდია ეს სიდიდე, მით უფრო მეტად არის დაკავშირებული

საკვლევი M იონი L- რეაქტივთან და მით უფრო ადვილია იონის გადაყვანა შეფერილ მდგომარეობაში.


ამავე დროს, რაც უფრო მდგრადია კომპლექსი, მით უფრო ნაკლებია ხსნარში მყოფი გარეშე იონების გავლენა. მაგალითად, რკინის ორდანიდული კომპლექსის წარმოქმნას საგრძნობლად ამცირებს ქლორიონების არსებობა ხსნარში, ფოსფატიონების არსებობა კი სრულიად აუფერულებს ხსნარს, მაშინ, როდესაც რკინის სალიცილმჟავასთან კომპლექსის წარმოქმნას ქლორ-იონები ხელს არ უშლიან, ე.ი. რკინის სალიცილმჟავასთან კომპლექსი უფრო მდგრადია, ვიდრე როდანიდთან.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს გამხსნელის შერჩევას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს რეაქციის მიმართულება და წონასწორობის გადახრა. მაგალითად, კობალტის ორდანიდული კომპლექსი წყალში ძლიერ დისოცირდება და შეუძლებელია რაოდენობრივად მისი გადაყვანა შეფერილ კომპლექსში. ამისათვის აუცილებელია ორგანული გამხსნელის (აცეტონი, სპირტი და სხვ) გამოყენება. რეაქტივის სიჭარბე იწვევს კომპლექსის დისოციაციის მუდმივას შემცირებას. მდგრადი კომპლექსის შემთხვევაში რეაქტივის სიჭარბე არ არის საჭირო. ამრიგად, უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომლის დროსაც კომპლექსის დისოციაციის მუდმივა არ შეიცვლება. ამისათვის ხსნარი უნდა განვაზავოთ არა უბრალო გამხსნელით, არამედ იმავე კონცენტრაციის რეაქტივის ხსნარით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელზეც დამყარებულია მისაღები კომპლექსის წარმოქმნის წონასწორობა და რეაქციის კინეტიკა, არის წყალბადიონების კონცენტრაცია (pH). ძლიერი მჟავების შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ისინი ხსნარში მთლიანად დისოცირებულია, არ შეიცავენ მოლექულებს. ამიტომ მჟავიანობის გაზრდა ხელს არ უშლის კომპლექსის

წარმოქმნას. ამავე დროს ამცირებს მეტალის იონების ჰიდროლიზს. მაგრამ მუავიანობის ძლიერ გაზრდა არ არის სასურველი, რადგან იგი ზრდის ელექტროლიტის კონცენტრაციას, რაც იწვევს იონური ძალის გაზრდას, რის შედეგადაც მცირდება ყველა იონის აქტიურობა. ეს კი იწვევს კომპლექსის დისოციაციის ხარისხის გაზრდას.

pH-ის გაზრდა იწვევს ნაკლებად მდგრადი კომპლექსების დაშლას, რის შედეგადაც საფეხურებად წარმოიქმნება ჰიდროქსომარილები და ჰიდროქსიდები:




pH-ის უფრო ზუსტად დაყენებისათვის სარგებლობები ბუფერული ხსნარებით.

როგორც ცნობილია, ტემპერატურის შეცვლა იწვევს ოპტიკური სიმკვრივის ორმხრივ შეცვლას, აგრეთვე წონაწორობის მდგომარეობის შეცვლას, რადგან მოელი

რიგი კომპლექსების დისოციაციის მუდმივა დიდად არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. მაგალითად, გაცხელებით ჰეტეროპოლიმჟავების კომლექსის ყვითელი შეფერილობის ინტენსივობა საგრძნობლად იზრდება, ხოლო სახამებლის იოდთან შეფერილობა გაცხელებით მცირდება და სრულად ისპობა  $40^{\circ}\text{C}$  დროს.

დიდი მნიშვნელობა აქვს მიღებული ნაერთის მუდმივ შედგენი-



ნახ. 5. შეფერვის ინტენსივობის დამოკიდებულება კონცენტრაციასა და ფენის სისქესთან

ლობას. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს კომპლექსის დაშლას დროის განმავლობაში, რაც იწვევს ოპტიკური სიმკვრივის შეცვლას. მაგალითად, რკინის როდანიდულ კომპლექსში ოვითონ სამვალენტიანი რკინა წარმოადგენს მჟანგავს, მოქმედებს როდანიდ-იონებზე და უანგავს მას სხვადასხვა ნაერთებამდე (დიროდანიდი და სულფატიც), რის გამოც გარკვეული დროის შემდეგ ხდება შეფერილობის შესუსტება. არის შემთხვევა, როდესაც ხდება კომპლექსის ფოტოქიმიური დაშლა ჰაერის უანგბადის მოქმედებით. ეს მოვლენები მჟღავნდება ნაკლებად მდგრადი კომპლექსების შემთხვევაში, რასაც მივუკროთ შეცდომამდე ანალიზის დროს.

კოლორიმეტრის ძირითადი კანონიდან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი: ბრტყელძირიან ვიწრო ცილინდრში ჩავასხათ შეფერილი ხსნარი და დავაკვირდეთ შეფერვის ინტენსივობას ზევიდან იმ პირობით, რომ სინათლის ნაკადი  $I_0$  ინტენსივობით ეცემა ხსნარს ცილინდრის ძირიდან (ნახ. 5). ხსნარის ფენის სისქეა  $h_1$ , კონცენტრაცია –  $C_1$ , გამოსული სხივების ინტენსივობა  $I_t$ , მაშინ ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონის თანახმად

$$D_1 = \lg \frac{I_0}{I_t} = \epsilon h_1 c_1$$

დავამატოთ გამხსნელი, რომ მოცულობა გაიზარდოს ორჯერ  $h_2$  ფენის სისქემდე და დავაკვირდეთ ზევიდან შეფერვის ინტენსივობას. ამ განზავებული ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე

$$D_2 = \lg \frac{I_o}{I_t} = \epsilon h_2 c_2$$

განზავებისას კონცენტრაცია მცირდება ორჯერ  $\left( C_2 = \frac{C_1}{2} \right)$ , მაგრამ შეფერილი ნაწილაკების რიცხვი მთელ მოცულობაში რჩება იგივე (თუ განზავებისას ადგილი არ ექნება შეფერილი ნაერთის დაშლას). ამიტომ ორივე

შემთხვევაში შთანთქმული სხივების რაოდენობა იქნება ერთი და იგივე. მაშასადამე, სათანადოდ ტოლი იქნება მათი ოპტიკური სიმკვრივეებიც.

$$D_1 = D_2, \quad \varepsilon h_1 C_1 = \varepsilon h_2 C_2 \quad \text{აქედან} \quad \frac{C_1}{C_2} = \frac{h_2}{h_1}$$

ამ განტოლებიდან გამომდინარეობს, რომ ორი სხინარის ერთნაირი შეფერილობისას მათი კონცენტრაციები შთამთქმელი ფენის სისქის პროპორციულია.

ფოტომეტრულ მეთოდში გამოყენებული რეაქციები უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ მოთხოვნებს:

1. მიღებული ნაერთის შეფერვის ინტენსიურობა უნდა იყოს მაღალი, შესაბამისად მაღალი იქნება მეთოდის მგრძნობიარობა.

2. განსასაზღვრავი კომპონენტი რაც შეიძლება სრულად (რაოდენობრივად) იქნეს გადაყვანილი შეფერილ მდგრძნელებაში.

3. შეფერილ ნაერთს ჰქონდეს განსაზღვრული შედგენილობა.

4. მიღებული ნაერთი იყოს დროში მდგრადი.

5. რეაქცია უნდა იყოს სპეციფიკური, ე.ი. რეაქციის მსვლელობას ხელს არ უშლიდეს გარეშე იონები.

შეფერილი კომპლექსნაერთების წარმოქმნის რეაქციების გარდა ზოგჯერ იყენებენ ჟანგვის რეაქციებს, მაგალითად, მანგანუმის განსაზღვრა, რაც ემყარება მის პერმანენტურიად დაჟანგვის რეაქციას. ანალოგიურად საზღვრავენ ქრომს და სხვ.

### შეფერვის ინტენსიურობის გაზომვის მეთოდები

გამოყენებული მეთოდების მიხედვით არჩევენ: კოლორიმეტრიას (ვიზუალური კოლორიმეტრია), ფოტომეტრიას და სპექტროფოტომეტრიას.

კოლორიმეტრიული განსაზღვრის არსი მდებარეობს შემდეგში: განსასაზღვრავი კომპონენტი ქიმიური რეაქციის შედეგად გადაჰყავთ შეფერილ მდგომარეობაში, ზომავენ მიღებული ხსნარის შეფერვის ინტენსიურობას, რის შემდეგ სარგებლობენ ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონის მათემატიკური გამოსახულებით და ანგარიშობენ საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციას.


ვიზუალური კოლორიმეტრიული განსაზღვრის დროს შეფერვის ინტენსიურობის შედარება ხდება დამკვირვებლის თვალის საშუალებით.

არსებობს ვიზუალური კოლორიმეტრის შემდეგი მეთოდები:

1. სტანდარტული სერიის ან ფერადი სკალის მეთოდი. შეფერვის ინტენსიურობის შეფასებისათვის ამზადებენ სტანდარტულ სერიას. ამისათვის იღებენ ერთნაირი ფორმისა და ზომის ცილინდრებს, მასში შეჰყავთ სტანდარტული ხსნარი მზარდი კონტენტრაციით. ანალოგიურ ცილინდრში ათავსებენ საკვლევ ხსნარს, უმატებენ რეაგენტს შეფერილ მდგომარეობაში გადასაყვანად და აზავებენ წყლით თანაბარ მოცულობამდე, რის შემდეგაც საკვლევი ხსნარის შეფერვის ინტენსიურობას ადარებენ სტანდარტულ სერიას და პოულობენ განსასაზღვრავი კომპონენტის კონცენტრაციას.

2. კოლორიმეტრიული ტიტვრის მეთოდი. იღებენ ორ ერთნაირ ცილინდრს. ერთში ათავსებენ საკვლევ ხსნარს, მეორეში – ყველა რეაგენტს, გარდა სტანდარტული ხსნარისა, უმატებენ ორივე ცილინდრს რეაგენტს შეფერილ მდგომარეობაში გადასაყვანად, რის შედეგადაც საკვლევი ხსნარი გადავა შეფერილ მდგომარეობაში. მეორე ცილინდრის მოცულობას აზავებენ წყლით დაახლოებით პირველი ცილინდრის მოცულობამდე და მიკრობიურეტიდან წვეთწვეთობით უმატებენ სტანდარტულ ხსნარს, სანამ

შეფერვის ინტენსიურობა არ გაუთანაბრდება საკვლევი სსნარის ინტენსიურობას. ბიურეტზე აითვლიან გატიტვრაზე დახარჯული სტანდარტული სსნარის მოცულობას, ცნობილია მისი ტიტრი და ანგარიშობენ საკვლევ სსნარში ნივთიერების რაოდენობას ფორმულით:



**ნახ. 6. КОЛ-1М კოლორიმეტრის თპტიგური სქემა**

მოძრაობს ზემოთ ან ქვემოთ და ფენის სისქე იცვლება. სინათლის ნაკადი გაივლის საკვლევი და სტანდარტული სსნარების შემცველ კოუგეტებს 1, 2, ჩამყურსავებს 3, 4, პრიზმას 5, იკრიბება ოკულარში 6 და წარმოქმნის შეფერილობის სხვადასხვა ინტენსიურობის მქონე ნახევარწრეებს, რომელთა გათანაბრება ხდება ჩამყურსავების მოძრაობის დონის შეცვლით.

ორივე სსნარისათვის მიღებული სიმაღლე ( $h_{b\beta}$ . და  $h_{b\alpha\beta}$ ) შეიძლება გაზომილ იქნეს სკალის 7, 8 საშუალებით, რომელიც გრადიურებულია მმ-ში. გამოთვლა წარმოებს ფორმულით

$$C_{b\alpha\beta} = C_{b\beta} \cdot h_{b\beta} / h_{b\alpha\beta}$$

$$C_x = V_{b\beta} \cdot T_{b\beta}$$

3. გათანაბრების მეთოდი. საკვლევი და სტანდარტული სსნარების შეფერვის ინტენსიურობის გათანაბრება შეიძლება მიღწეულ იქნეს სსნარის ფენის სისქეს შეცვლით, რომელშიც გადის სხივი, თუ მასში ჩაყურსავენ ოპტიკური მინისაგან დამზადებულ ცილინდრებს (ნახ. 6). ცილინდრი

განსაზღვრის დროს უმჯობესია სტანდარტული ხსნარი დაყენებულ იქნეს გარკვეულ სიმაღლეზე და ამის მიხედვით მოხდეს გათანაბრება. ამ პრინციპზეა დამყარებული სხვადასხვა ჩამყურსავი კოლორიმეტრების მუშაობა.


ვიზუალური კოლორიმეტრიული მეთოდი მარტივია, არ მოითხოვს რთულ აპარატურას. მას ხშირად სუბიექტურს უწოდებენ, რადგან ამ მეთოდის სიზუსტე დამოკიდებულია დამკვირვებლის მხედვებლობის ინდიკირულურ თვისებებზე. ხანგრძლივი მუშაობისას თვალი იდლება და მისი სიზუსტე კლებულობს. აქედან გამომდინარეობს კოლორიმეტრიული მეთოდის ცდომილებები.

ამიტომ უკანსაკენელ ხანებში ფართო გამოყენებას პოულობს ფოტოკოლორიმეტრიული მეთოდი, რომელშიც სინათლის ინტენსივობის გასაზომად გამოყენებულია ფოტოელემენტები.

### **ლაბორატორიული სამუშაოები**

#### **სამუშაო 1. რკინის განსაზღვრა ვიზუალური კოლორიმეტრიული მეთოდით**

მეთოდი დამყარებულია რკინის Fe (III) იონების როდანიდან ურთიერთქმედების რეაქციაზე, რის შედეგადაც მიიღება წითლად შეფერილი კომპლექსი:



**გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა:**

1. რკინის სტანდარტული ხსნარი.

0,858გ რკინა-ამონიუმის შაბს  $Fe_2(SO_4)_3$   $(NH_4)_2 SO_4$  · 24H<sub>2</sub>O ხსნიან 25მლ კონცენტრირებული აზოტმჟავათი

შემუავებულ ხსნარში, გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში და მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით.

მიღებული ხსნარი შეიცავს 0,1მგ რკინას 1მლ-ში (ძირითადი ხსნარი). სამუშაო სტანდარტული ხსნარის დასამზადებლად რკინის ძირითად სტანდარტულ ხსნარს აზავებენ 10-ჯერ.

2.  $\text{NHO}_3$  (კუთრი წონა 1,4).

3. კალიუმის ან ამონიუმის როდანიდის 10%-იანი ხსნარი.

4. КОЛ – 1М კოლორიმეტრი.

### ანალიზის მსგლელობა

იღებენ ორ 50 მლ-იან საზომ კოლბას. ერთში პიპეტის საშუალებით ათვესებენ საკვლევ ხსნარს, ხოლო მეორეში – რკინის სტანდარტულ ხსნარს. ორივე კოლბას უმატებენ 5-5მლ კალიუმის როდანიდის ხსნარს და შეავსებენ გამოხდილი წყლით 50მლ-მდე.

მიღებული ხსნარების შეფერვის ინტენსივობის შედარებას აწარმოებენ КОЛ – 1М კოლორიმეტრზე, რისთვისაც მარცხენა კიუვეტში ასხამენ სტანდარტულ ხსნარს ჭდემდე, რომელიც აღნიშნულია კიუვეტზე. ზუსტად ასევე ავსებენ საანალიზო ხსნარით მარჯვენა კიუვეტს. მარცხენა კიუვეტს აყენებენ გარკვეულ სიმაღლეზე –  $h_x$ , მაგალითად, 2სმ. ოკულარში ხილული ნახევარწრევების სხვადასხვა ინტენსიურობის გათანაბრება ხდება მარჯვენა ჩამყურსავის მოძრაობისას დონის შეცვლით. გათანაბრებისას აითვლიან მარჯვენა სკალაზე სიმაღლეს ( $h_x$ ). განსაზღვრას იმეორებენ 2-3-ჯერ და ანაგრიშობენ  $h_x$ -ის საშუალო არითმეტიკულს -  $h_{x\text{აშ}}$ .

განსაზღვრის მეორე და მესამე სერიის ჩასატარებლად მარცხენა ჩამყურსავს აყენებენ 4-6 სმ სიმაღლეზე,

იმეორებენ ყველა ოპერაციას და ანგარიშობენ მიღებული ხ-ის საშუალო არითმეტიკულს. განსაზღვრის ყოველი სერიისათვის საკვლევი ხსნარის კონცენტრაცია გამოითვლება ფორმულით

$$C_x = C_{b\beta} h_{b\beta} / h_{x(b\beta)}.$$

საბოლოოდ საკვლევი ხსნარის კონცენტრაცია გამოითვლება ფორმულით

$$C_{x(b\beta)} = (C_{x(1)} + C_{x(2)} + C_{x(3)}) / 3.$$

მიღებული შედეგები ფორმდება ცხრილის სახით  
(ცხრ.1)

### ცხრილი 1.

ცდის №	h <sub>bβ</sub> , სმ	h <sub>x1</sub> , სმ			h <sub>x(b\beta)</sub>	C <sub>b\beta</sub> , θ <sub>გ</sub> /50θ <sub>ლ</sub>	C <sub>x</sub>	C <sub>x(b\beta)</sub>
		1	2	3				
1								
2								
3								

### სამუშაო 2. ვანადიუმის განსაზღვრა სტანდარტული სერიის ან ფერადი სკალის მეთოდით

მეთოდი დამყარებულია ვანადიუმის იონების გოგირდმუავა გარემოში წყალბადის ზეჟანგთან ურთიერთქმედების რეაქციაზე, რის შედეგადაც მიღება მოწითალო-ყავისფერი კომპლექსი.

### გამოყენებული რეაქტივები

1. ვანადიუმის სტანდარტული ხსნარი.

3,9g VOSO<sub>4</sub> · 2H<sub>2</sub>O ხსნიან გამოხდილ წყალში, გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში და მიჰყავთ მოცულობა ჭრებულების გამოხდილი წყლით.

1. მდლ მიღებული ხსნარი შეიცავს 1მგ ვანადიუმს.
2.  $H_2SO_4$ -ის 2N ხსნარი.
3.  $H_2O_2$ -ის 3%-იანი ხსნარი.

### **ანალიზის მსგლელობა**

სტანდარტული სერიის მოსამზადებლად იღებენ 5 ერთნაირი ფორმის და ზომის ცილინდრებს, შეჰყავთ სტანდარტული ხსნარი 0,1-1,0მდლ რაოდენობით. უმატებენ 2მდლ  $H_2O_2$ -ს და აზავებენ 50მდლ-მდე 2N  $H_2SO_4$ -ის ხსნარით. მიღებული ხსნარის შეფერვის ინტენსიურობას ადარებენ სტანდარტულ სერიას, რომლის მიხედვითაც საზღვრავენ საკვლევ ხსნარში ვანადიუმის შემცველობას.

### **სამუშაო 3. ვოლფრამის განსაზღვრა კოლორიმეტრიული ტიტვრის მეთოდით**

მეთოდი დამყარებულია ვოლფრამის როდანიდის იონებთან ურთიერთქმედების რეაქციაზე, რის შედეგადაც მიიღება ყვითელი ფერის კომპლექსი. ალმდგენელად გამოყენებულია სამქლორიანი ტიტანი.

#### **გამოყენებული რეაქტივები:**

1. ვოლფრამის სტანდარტული ხსნარი.
- 0,1793გ ნატრიუმის ვოლფრამატს ხსნიან წყალში, გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში და მიჰყავთ მოცულობა ჭდებდე გამოხდილი წყლით. 1მლ მიღებული ხსნარი შეიცავს 0,1მგ ვოლფრამს.
2. კალიუმის როდანიდის 25%-იანი ხსნარი.
3. სამქლორიანი ტიტანის 1%-იანი ხსნარი.

0,5გ ლითონურ ტიტანს ხსნიან გაცხელებისას HCl (1:1) ხსნარში, აზავებენ იმავე მჟავას ხსნარით 50მლ-მდე.

### ანალიზის მსგლელობა

იღებენ ორ ერთნაირ ცილინდრს. ერთში ათავსებენ საკვლევ ხსნარს, მეორეში – ყველა რეაქტივს, გარდა სტანდარტული ხსნარისა; უმატებენ ორივე ცილინდრს 2,5მლ კალიუმის როდანიდის ხსნარს, 25მლ მარილმჟავას, 0,5 მლ სამქლორიანი ტიტანის ხსნარს. თითოეული რაქტივის დამატების შემდეგ კარგად აურევენ. საკვლევი ხსნარი გადავა შეფერილ მდგომარეობაში და მას აზავებენ გამოხდილი წყლით 50 მლ-მდე. მეორე ცილინდრის მოცულობას აზავებენ დაახლოებით პირველი ცილინდრის მოცულობამდე და მიკრობიურეტიდან წვეთწვეობით უმატებენ ვოლფრამის სტანდარტულ ხსნარს მანამ, სანამ ამ ცილინდრში ხსნარის შეფერილობა არ გაუტოლდება პირველ ცილინდრში ხსნარის შეფერილობას. ორივე ცილინდრში მოცულობას ათანაბრებენ გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ.

ბიურეტზე აითვლიან ტიტვრაზე დახარჯული სტანდარტული ხსნარის მოცულობას, ცნობილია მისი ტიტრი და ანგარიშობენ საკვლევ ხსნარში ვოლფრამის შემცველობას ფორმულით

$$X = T_{b\delta} \cdot V_{b\delta},$$

სადაც  $T_{b\delta}$  არის ვოლფრამის სტანდარტული ხსნარის ტიტრი;

$V_{b\delta}$  - ტიტვრაზე დახარჯული სტანდარტული ხსნარის მოცულობა.

## თავი II

### ანალიზის ფოტოგრაფიული მეთოდი

კოლორიმეტრიული მეთოდის მსგავსად, აღნიშნული მეთოდი დამყარებულია ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონის გამოყენებაზე. ამ მეთოდში აცილებელია ის ნაკლი, რომელიც ახასიათებს ვიზუალურ კოლორიმეტრიას, კერძოდ სუბიექტივიზმი. შთანთქმული სხივების ინტენსიურობის გასაზომად გამოყენებულია ფოტოგლემენტები.

ფოტოელექტრი არის ხელსაწყო, რომელშიც ხდება სინათლის ენერგიის გარდაქმნა ელექტრულ ენერგიად. იგი საშუალებას გვაძლევს განსაზღვრება ვაწარმოოთ როგორც სპექტრის ხილულ, ისე ულტრაიისფერ და ინფრაწითელ უბნებში.

ფოტოელექტრი სინათლის ენერგიის გარდაქმნა ელექტრულ ენერგიად დაკავშირებულია ფოტოეფექტის მოვლენასთან.


ფოტოეფექტი არის ელექტრონების ამოგლეჭა ლითონის ზედაპირიდან სინათლის ენერგიის გავლენით.

ფოტოეფექტის ღროს გამოტყორცნილი ელექტრონების სიჩქარე დამოკიდებულია დაცემული სხივის ტალღის სიგრძეზე და არა მის სიკაშაშეზე, ხოლო ელექტრონების რიცხვი დამოკიდებულია დაცემული სხივის სიკაშაშეზე და მისი პროპორციული სიდიდეა. ამაზეა დამყარებული ფოტოელექტრი გამოყენება სინათლის ინტენსიურობის გასაზომად.

ყოველი ლითონი ხასიათდება ელექტრონის ამოსალეჭად საჭირო კვანტის ენერგიის მინიმალური რაოდენობით, რომელსაც შეესაბამება გარკვეული ტალღის სიგრძე. ეს სინათლის უდიდესი ტალღის სიგრძეა, რომლის ზევით მას აღარ შეუძლია ელექტრონის ამოგლეჭა. ამ ზღვარს ფოტო-

ეფექტის წითელი საზღვარი ეწოდება. მისი მნიშვნელობა სხვადასხვა ლითონისათვის სხვადასხვაა. მაგალითად, ცეზიუმიდან ელექტრონების ამოსაგლეჯად უფრო ნაკლები ენერგიაა საჭირო, ვიდრე ნატრიუმიდან და კალიუმიდან. ამიტომ ნატრიუმის და კალიუმის ფოტოეფექტის წითელი საზღვარი მდებარეობს სპექტრის ხილულ უბანში. ტანტალი, ნიკელი, პლატინა, ვერცხლი არ იძლევიან ფოტოეფექტს სპექტრის ხილულ უბანში, რადგან ამ უბნის ენერგია არ არის საკმარისი ლითონებიდან ელექტრონების ამოსაგლეჯად. ელემენტთა ფოტოეფექტის წითელი საზღვარი სპექტრის ულტრაიისფერ უბანში მდებარეობს. ამიტომ არის რომ ფოტოელემენტების დასამზადებლად უმეტეს შემთხვევაში ტუტე ლითონებია გამოყენებული.

ფოტოელორიმეტრიული განსაზღვრისათვის გამოყენებულია ხელსაწყოები – ფერ-М, ფერ-Н და კფკ ტიპის ფოტოკოლორიმეტრები (ნახ. 7), რომელთა კონსტრუქცია და მუშაობის მეთოდიკა შემდეგია:



**ნახ. 7. ფოტოელორიმეტრი ფერ-56М**


1. სინათლის წყარო – ვარგარის ნათურა. ნაკადი ორ ნაწილად იყოფა. ხელსაწყოს მუშაობის სიზუსტის ასამაღლებლად აუცილებელია სინათლის წყაროს მუდმივი ვარგარი, რომელიც ხორციელდება სტაბილიზატორის საშუალებით. იმისათვის, რომ განათება იყოს თანაბარი და სრულად აქსებდე საზომი დიაფრაგმის ან ნეიტრალური

სოლის ხვრელს, გამნათებელი ნათურის ძაფი ლინზებზე მკვეთრად უნდა იყოს გამოსახული. ძაფის გამოსახულების შესამოწმებლად ლინზას აფარებენ თხელ ქაღალდს და საჭიროების მიხედვით გამოსახულებას არეგულირებენ მარეგულირებელი მოწყობილობით.

### 2. სარკეები.

3. შუქფილტრები (ფერადი შუქფილტრების კვანძი). შუქფილტრის დანიშნულებაა გაატაროს სპექტრის გარკვეული უბნის სხივები. ოუ ვიცით საკვლევი შეფერილი სსნარის მიერ სხივის შთანთქმის სპექტრი, შეიძლება შევარჩიოთ ისეთი შუქფილტრი, რომელიც გაატარებს მხოლოდ იმ სხივებს, რომელსაც შთანთქავს სსნარი და დანარჩენს დააკავებს. შუქფილტრის შერჩევისას მისი შთანთქმის მინიმუმი და სსნარის შთანთქმის მაქსიმუმი ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს.

ფოტოკოლორიმეტრს ზედა ნაწილში, საკვლევ სსნარსა და ობიექტის შორის, აქვს ორი დისკო შუქფილტრების კომპლექტით, რომლებსაც შეუძლიათ ერთდროულად მოძრაობა სპეციალური სახელურის საშუალებით. სახელურზე აღნიშნული ნომერი შეესაბამება შუქფილტრის ნომერს. სახელურის მობრუნებით სინათლის ნაკადს უყენებენ ორ წყვილ ერთნაირ შუქფილტრს.



ნახ. 8. შუქფილტრების სპექტრული მახასიათებლები

შუქფილტრის შერჩევა ხდება შემდგენაირად: ყველა შუქფილტრის გამოყენებით ზომავენ ოპტიკურ სიმკვრივეს ორი ხსნარისათვის, რომელთა კონცენტრაცია განსხვავდება 10-15%-ით. საკვლევ ხსნართან სამუშაოდ ირჩევენ იმ შუქფილტრს, რომელიც ამ ხსნარისათვის იძლევა ოპტიკური სიმკვრივის მაქსიმალურ მნიშვნელობას.

მე-8 ნახაზზე მოყვანილია ფერ-56 ფოტოკოლორიმეტრის შუქფილტრების სპექტრული მახასიათებელი. კომპლექტი შედგება 9 შუქფილტრისაგან.

ქვემოთ მოყვანილია თითოეული შუქფილტრისათვის ეფექტური ტალღის სიგრძის მნიშვნელობები, რომლის დროსაც შთანთქმა მაქსიმალურია.

## ცხრილი 2.

შუქფილტრის ნომერი	1	2	3	4	5	6	7	8	9
ეფექტური ტალღის სიგრძე	315	364	400	440	490	540	582	610	630

შუქფილტრებად გამოყენებულია ფერადი მინები, ჟელატინის აფსკი, რომელიც გაჟღენთილია ორგანული საღებავით და ხევ.

4. კიუვეტების კომპლექტი. ხელსაწყოს თან ახლავს ორი ფუთი კიუვეტების კომპლექტი. კიუვეტები დამზადებულია გამჭირვალე კვარცის მინისაგან, რომელთა ფენის სისქეა 0,1-0,5 სმ. სამუშაოდ ირჩევენ იმ კიუვეტს, რომელიც განსაზღვრისას იძლევა ოპტიკურ სიმკვრივეს 0,15-0,52 ზღვრებში. კიუვეტების შერჩევა დამოკიდებულია საანალიზო ხსნარის შეფერვის ინტენსივობაზე, რაც უფრო მეტია შეფერვის ინტენსივობა, მით ნაკლები ზომის კიუვეტა გამოიყენება.

5. ნეიტრალური სოლი. სინათლის ინტენსიურობის გათანაბრებისათვის გამოყენებულია ნეიტრალური სოლი

და საზომი დიაფრაგმა. ნეიტრალური სოლი შედგება ორი ჟელატინისაგან დამზადებული სამკუთრედისაგან, რომელთაგან ერთი დაფარულია მურით, იგი განკუთვნილია უხეში რეგულაციისათვის, მეორე დია ფერის კი ზუსტი გათანაბრებისათვის.

6. საზომი დიაფრაგმა ანათვლიანი დოლით. ხვრელიანი დიაფრაგმა წარმოადგენს სამკუთხედს, რომლის ორი გვერდის წახნაგებს შეუძლიათ ერთმანეთის მიმართ გადაადგილება, რითაც მცირდება ხვრელის სიგანე მაქსიმალური სიდიდიდან ნულამდე.

დაიფრაგმასთან დაკავშირებულია ორი ანათვლიანი დოლი, რომლებიც მდებარეობენ ერთ დერძზე. დოლზე არის ორი სკალა: შუქბამტარობის კოეფიციენტის – შავი და ოპტიკური სიმკვრივის წითელი კაგშირი ორ დანაყოფს შორის ორივე სკალაზე განისაზღვრება ფორმულით:

$$D=lg I/T$$

სადაც  $D$  ოპტიკური სიმკვრივეა;  $T$  – შუქბამტარობის კოეფიციენტი. დოლის მობრუნების ხარისხი გვიჩვენებს ოპტიკურ სიმკვრივეს.

7. ფოტოელემენტები. სინათლის ენერგიის მიმდებად ხელსაწყოში გამოყენებულია სელენის ფოტოელემენტი. იგი წარმოადგენს ლითონის ფირფიტაზე დაფენილ ნახევარგამტარი სელენის ფენას. სინათლის ნაკადი, ფოტოელემენტზე დაცემისას წარმოქმნის მასში ელექტროდენს, რომელიც გალვანომეტრით იზომება. სელენის ფოტოელემენტი საშუალებას გვაძლევს განსაზღვრა ვაწარმოოთ სპექტრის სილულ უბანში (400-650 ნმ). სელენის ფოტოელემენტის სპექტრული მგრძობიარობა ახლოს არის თვალის სპექტრულ მგრძობიარობასთან. ამასთან დაკავშირებით ვიზუალური კოლორიმეტრისათვის დამუშავებული მეთოდების გამოყენება შეიძლება ყოველგვარი სიძნელის

გარეშე ფოტომეტრიისათვის სელენის ფოტოელემენტების გამოყენებისას.

ხანგრძლივი ძლიერი განათებისას ფოტოელემენტი კარგავს მგრძნობიარობას, რის შედეგადაც ფოტოდენის ძალა მცირდება, მაგრამ საკმარისია იგი მოვათავსოთ სიბნელეში, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მგრძნობიარობა აღდგება.


ფოტოელემენტები გალვანომეტრთან ჩართულია დიფურენციალური სქემით, ე.ო. ისე, რომ სინათლის ნაკადის ფოტოელემენტებზე ერთნაირი ინტენსიურობით დაცემისას გალვანომეტრის ისარი ნულზე დგას.

8. ისრიანი გალვანომეტრი. ისრიანი გალვანომეტრი გამოიყენება როგორც ნულოვანი ხელსაწყო ფოტოელემენტთა შეერთების სქემაში. მუშაობის დაწყებამდე გალვანომეტრის ისარს აყენებენ ნულზე, ხოლო მუშაობის დამთავრების შემდეგ ისარი უნდა იქნეს არეტირებული, რისთვისაც სახელურს აყენებენ მდგომარეობაში „დაკეტილია“.

გალვანომეტრის გადართვა მეტ ან ნაკლებ მგრძნობიარობაზე ხდება სპეციალური სახელურით. დიდ მგრძნობიარობაზე გადასვლა დაშვებულია მას შემდეგ, რაც სინათლის ნაკადი გათანაბრებულია მცირე მგრძნობიარობაზე.

### ფოტოგოლორიმეტრზე მუშაობის მეთოდიკა

სინათლის ნაკადი (ნახ. 9), რომელიც მიღებულია ნათურიდან 1, აირეკლება სარკეებზე 2, გაივლის შუქფილ-ტრებს 3, 3, კიუვეტებს 4, 4, და ეცემა  $\Phi_1$  და  $\Phi_2$  ფოტოელემენტებს, რომელიც გალვანომეტრთან 7 შეერთებულია დიფერენციალური სქემით.




ნახ. 9. ფრეინდლერიმეტრის სქემა

სინათლის მარჯვენა კონაში ათავსებენ კიუვეტს საკვლევი ხენარით, მარცხენაში კი – კიუვეტს სუფთა გამხსნელით. დ დიაფრაგმა მოლიანად დიად. ხენარის მიერ სინათლის შთანთქმის გამო  $\Phi_2$  ფოტოელემეტრზე შთანთქმის გამო  $\Phi_2$  ფოტოელემეტრზე სინათლის ნაკადი ეცემა ნაკლები ინტენსიურობით, ხოლო  $\Phi_1$  ფოტოელემეტრზე – სრული ინტენსიურობით, რის გამოც დაირღვევა წონასწორობა, გალვანომეტრის ისარი გადაიხრება ნულიდან. ისრის ნულზე დაყენება ხდება ნეიტრალური K სოლის გადახურვის საშუალებით. შემდეგ მარჯვენა სხივთა კონაში საკვლევი ხენარის მაგივრად ათავსებენ კიუვეტს სუფთა გამხსნელით, წონასწორობა ისევ დაირღვევა, რადგან  $\Phi_2$  ფოტოელემეტრზე სინათლის ნაკადი იმატებს. სინათლის ნაკადის შემცირება ხდება d დიაფრაგმის გადახურვით, რასაც აღწევენ მასთან დაკავშირებული დოლის ბრუნვით, რომელზეც აღებული ანათვალი გვიჩვენებს სინათლის ინტენსიურობის შემცირების სიდიდეს. გაზომვას აწარმოებენ რამდენჯერმე და გამოთვლიან ოპტიკური სიმკვრივის საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს.

## ნივთიერების კონცენტრაციის განსაზღვრა ხსნარში

ნივთიერების კონცენტრაციის განსაზღვრისათვის აუცილებელია ამ ნივთიერებისათვის მაგრადუირებელი გრაფიკის აგება. ამისათვის ამზადებენ განსასაზღვრავი, ნივთიერების მთელ რიგ სტანდარტულ ხსნარებს მზარდი კონცენტრაციით, რომელთა ფარგლებში იმყოფება საანალიზო ნივთიერების მოსალოდნელი კონცენტრაცია.

სათანადო კიუვეტების შერჩევის შემდეგ აწარმოებენ სტანდარტული ხსნარების ოპტიკური სიმკვრივეების განსაზღვრას და მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს, რისთვისაც აბსცისათა ღერძზე გადაზომავენ კონცენტრაციას, ხოლო ორდინატაზე – შესაბამის ოპტიკურ სიმკვრივეებს.



ნახ. 10. ოპტიკური სიმკვრივის დამოკიდებულება ხსნარის კონცენტრაციაზე

ლიც შეიძლება იყოს დადებითი (ზევით), ან უარყოფითი (ქვევით) (ნახ. 10).

კოლორიმეტრის ძირითადი კანონის თანახმად მიღება სწორი ხაზი, რომელიც აუცილებლად უნდა გადიოდეს კორრდინატა სათავეზე. თუ ხსნარი ამ კანონს არ ჰმორჩილება, სწორხაზოვანი დამოკიდებულება ირდევა გრაფიკის რომელიმე უბანზე ან მთელ მის სიგრძეზე. ასეთ დარღვევას ბერის კანონიდან გადახრა ეწოდება, რომელიც შეიძლება იყოს დადებითი (ზევით), ან უარყოფითი (ქვევით) (ნახ. 10).

ბერის კანონის გადახრის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც შეფერილი ნაერთის ქიმიური თვისებები, ასევე შეფერვის ინტენსიურობის გაზომვის პირობები.

გრაფიკს აქვს ქვედა ზღვარიც, რაც დაკავშირებულია ოპტიკური სიმკვრივის გაზომვის ტექნიკასთან. სასარგებლო სიგნალი 100-ჯერ მეტი უნდა იყოს ხელსაწყოს მინიმალურ ჩვენებაზე. და ბოლოს, სასურველია მაგრადუირებელი გრაფიკი გაპყვეს ანალიზის ყოველ სერიას.

არსებობს განსაზღვრის ე.წ. დანამატების მეთოდი. ამ მეთოდით საანალიზო ხსნარის  $C_x$  კონცენტრაციის განსაზღვრისათვის ზომავენ მის ოპტიკურ სიმკვრივეს  $D_{x+}$ -ს. შემდეგ ამავე საანალიზო ხსნარს უმატებენ სტანდარტული ხსნარის განსაზღვრულ რაოდენობას  $C_{b\phi}$ . მიღებული ხსნარის კონცენტრაცია იქნება ( $C_x + C_{b\phi}$ ), ზომავენ მის ოპტიკურ სიმკვრივეს  $D_{x+b\phi}$ . ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონით

$$D_x = \epsilon h c_x$$

ოპტიკური სიმკვრივე დანამატით იქნება:

$$D_{x+b\phi} = \epsilon h (c_x + c_{b\phi})$$

ამ ორი განტოლების შედარებით მივიღებთ:

$$\frac{D_x}{D_{x+b\phi}} = \frac{C_x}{C_x + C_{b\phi}} \quad \text{ან} \quad D_x (C_{x+b\phi}) + D_{x+b\phi} \cdot C_x$$

აქედან საანალიზო ხსნარის კონცენტრაცია

$$C_x = C_{b\phi} \cdot \frac{D_x}{D_{x+b\phi} - D_x}$$

### ფოტომეტრიული ტიტრა

ფოტომეტრიული ტიტრისას ფართოდ გამოიყენება ფოტოკოლორიმეტრი. ნაერთში ელემენტის შემცველობაზე მსჯელობენ არა შთანთქმული სინათლის ინტენსიურობით, არამედ ტიტრაზე დახარჯული რეაქტივის რაოდენობით.


ამრიგად, ფოტომეტრიული ტიტვრა წარმოადგენს მოცულობითი ანალიზის ერთ-ერთ სახესხვაობას, რომლის დროსაც ეპივალენტური წერტილის დადგენა ხდება ფოტოელემენტის საშუალებით. ფოტოელემენტი ასრულებს ინდიკატორის როლს.

ფოტომეტრიული ტიტვრა გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

1. ტიტვრის დროს წარმოიქმნება შეფერილი ნაერთი.
2. ინდიკატორის ფერის ცვლილება ხდება მაღიან ნედა.
3. ტიტვრისას ნივთიერების მიერ სინათლის შთანთქმა ხდება ულტრაიისფერ ან უახლოეს ინფრაწითელ უბნებში.
4. ძლიერ განზავებული ხსნარების ტიტვრისას ფოტომეტრიული ტიტვრა შეიძლება ჩატარდეს როგორც შიგა ინდიკატორის გამოყენებით, ასევე ინდიკატორის გამოყენების გარეშე.

პირველ შემთხვევაში ყველა კანონზომიერება, რომელიც გამოყენებულია ეპივალენტური წერტილის ვიზუალურად დაკვირვებისას, შენარჩუნებულია ფოტომეტრიული ტიტვრის დროს.

ტიტვრის დასაწყისში ოპტიკური სიმკვრივე პრაქტიკულად არ იცვლება. ეპივალენტურ წერტილში მიახლო-



ნახ. 11. ფოტომეტრული  
ტიტვრის მრუდი

ებისას, როდესაც ინდიკატორი იცვლის ფერს, ოპტიკური სიმკვრივე, რომელიც იზომება გარკვეული ტალღის სიგრძის დროს, მკვეთრად იცვლება.

ინდიკატორის გამოყენების გარეშე ფოტომეტრიული ტიტვრისას აუცილებელია, რომ ტიტრაცის და რეაქციის

პროდუქტს ჰქონდეთ საკუთარი შთანთქმის ზოლი. ტიტვრის შედეგების მიხედვით აგებენ გრაფიკს კოორდინატებში: ოპტიკური სიმკვრივე – დახარჯული ხსნარის მოცულობა. ორი ხაზის გადაკვეთის წრილიდან აბსცისაზე დაშვებული პერპენდიკულარი გვიჩვენებს ტიტვრაზე დახარჯული ხსნარის მოცულობას ( $V_{\text{ტ}}$ ), რომელიც შეესაბამება ეკვივალენტურ წერტილს (ნახ. 11).

ადსანიშნავია, რომ ფოტომეტრიული ტიტვრის მეთოდი, მსგავსად ტიტრიმეტრიული მეთოდისა, ნაკლებად მგრძნობიარეა, ვიდრე წვეულებრივი ფოტომეტრიული მეთოდი. იგი უმეტესად გამოყენებულია დიდი რაოდენობით ნივთიერების შემცველობისას:

$$Cx=V_{\text{ტ}} \cdot T_{\text{ტ}}$$

სადაც  $T_{\text{ტ}}$ . სტანდარტული ხსნარის ტიტრია.

### ანალიზის სპექტროფოტომეტრიული მეთოდი


სპექტროფოტომეტრი პრინციპულად არ განსხვავდება ფოტო-კოლორიმეტრისაგან. ეს არის მოლექულურ-აბსორბციული მეთოდი, რომელშიც გამოიყენება საანალიზო ნივთიერების უნარი, შთანთქოს ულტრაიისფერი გამოსხივება  $\lambda=10-380$  ნმ. სპექტროფოტომეტრში გამოყენებულია მონოქრომატული სხივი, ე.ი. შესაძლებელია გამოვყოთ არა ზოლი, არამედ გარკვეული ტალღა 0,01 ნმ უბანში. ამით იზრდება მეთოდის მგრძნობიარობა, სპეციფიკურობა და დიაპაზონიც. ამავე დროს უკეთ არის დაცული ბერის კანონი.

სპექტროფოტომეტრის ძირითადი ნაწილებია:

1. მონოქრომატორი, რომლის საშუალებით ხდება მონოქრომატული სხივის მიღება.
2. დიფრაქციული მესრები, სინათლის სხივის სპექტრებად დაშლისათვის.

3. მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სპექტროფოტომეტრის ხვრელი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სინათლის ნაკადის რეგულირება. რაც უფრო ვიწროა ხვრელი, მით უფრო ნაკლები სინათლის ნაკადი გადის მასში და მით უფრო ვიწროა სინათლის ნაკადის ტალღის სიგრძის ინტერვალი.

4. ფოტოელექტრული ფოტომეტრი, რომლის დანიშნულებაა სინათლის ინტენსიურობის გაზომვა.



ნახ. 12. სპექტროფოტომეტრ CPh-16-ის ოპტიკური სქემა

ფოტოკოლორიმეტრიული მეთოდის მსგავსად შედეგების გამოანგარიშება ხდება მაგრადუირებელი გრაფიკის აგების საშუალებით.

სპექტროფოტომეტრ CPh-16-ის ოპტიკური სქემა (ნახ. 12): სინათლის წყაროდან 1 სხივი ეცემა სარკიან კონდენსორზე 2, ბრტყელ სარკეზე, რომელიც სინათლის კონას გადახრის  $90^{\circ}$ -ით და მიმართავს ხვრელში 4. იგი დაცულია ფირფიტით 5. ხვრელში გამავალი სინათლე ხდება მადის-

პერგირებელ პრიზმაში 7, რომელიც მას შლის სპექტრებად დისპერგირებული ნაკადი მიემართება ობიექტივში 6 და ფიქსირდება ხვრელში 8. პრიზმა სპეციალური მექანიზმით შეერთებულია ტალღის სიგრძის სკალასთან. სათანადო სახელურის ბრუნვით მონოქრომატული გამოსხივებიდან დებულობენ გარკვეული ტალღის სიგრძის მონოქრომატული სხივის კონას, რომელიც გაივლის ხვრელს 8, კვარცის ლინზას 9, ფილტრს 10, სინათლის მშთანთქმელ უტალონს 11, დამცველ ფირფიტას 12 და ხვდება ფოტოელემენტზე 13.

სპექტროფოტომეტრ CФ-16-ს შეუძლია აწარმოოს განსაზღვრა გამტარობის 2 დიაპაზონში (0-დან 100%-მდე და 0-დან 10%-მდე) და ოპტიკური სიმკვრივის 2 დიაპაზონში (0-დან 2,5-მდე და 0-დან 1-მდე), რაც იძლევა მგრძნობიარობის და სიზუსტის გაზრდის შესაძლებლობას.

ერთი სპექტრის ჩაწერას ესაჭიროება 2-დან 4,5 წუთამდე.

### **ანალიზის დიფერენციალურ-სპექტროფოტომეტრიული მეთოდი**

დიფერენციალური სპექტროფოტომეტრიული მეთოდი გამოიყენება დიდი რაოდენობის ნივთიერების განსაზღვრისას, ასევე რეაქტივის შთანთქმის და გარე იონების ხელშემშლელი მოქმედების თავიდან ასაცილებლად. მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საკვლევი და სტანდარტული ხსანრების ოპტიკური სიმკვრივეების გაზომვა ხდება არა ნულოვანი ხსნარის ან სუფთა გამხსნელის მიმართ, არამედ განსასაზღვრავი იონის ზუსტად გარკვეული კონცენტრაციის ხსნარის მიმართ ( $C_0$ ), რომელიც ახლოსაა საკვლევი ხსნარის კონცენტრაციასთან ( $C_1$ ).

შედეგების გამოანგარიშება ხდება მაგრადუირებელი გრაფიკის აგების ან გადათვლის ფაქტორის გამოყენებით:

$$F = (C_1 - C_o) / \Delta D; \quad C_x = C_o + D_x \cdot F_1$$

სადაც  $C_o$  არის კონცენტრაცია შესაძარებელ სსნარში;  $C_1$  – კონცენტრაცია სტანდარტულ სსნარში;  $C_x$  – კონცენტრაცია საკვლევ სსნარში;  $\Delta D$  – კონცენტრაციათა სხვაობის შესაბამისი ოპტიკური სიმკვრივე ( $D_{C_i} - D_{C_o}$ );  $D_x$  – საკვლევი სსნარის ოპტიკური სიმკვრივე;  $F$  – გადათვლის ფაქტორი.

### ექსტრაქციულ-ფოტომეტრული მეთოდი

ექსტრაქცია ეწოდება ნივთიერების განაწილებას ორ ფაზას შორის იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაზები არ იხსნებიან ერთმანეთში და არ შედიან ერთმანეთთან ქიმიურ რეაქციაში. მაგალითად, წყალი და მასში უხსნადი სითხე (ქლოროფორმი, ბენზოლი, ტულურილი და სხვ). ნივთიერებას, რომლის საშუალებით ხდება ექსტრაქცია, ექსტრაგენტი ეწოდება, ხოლო ექსტრაქციის შედეგად მიღებულ სსნარს ექსტრაქტი.

ექსტრაქცია წონასწორული პროცესია და მისი ეფექტურობა განისაზღვრება ე.წ. განაწილების კოეფიციენტით  $K$

$$K_{\text{გან.}} = \frac{C_{\text{ორგ.}}}{C_{H_2O}}$$

სადაც  $C_{\text{ორგ.}}$  – ორგანული ნივთიერების კონცენტრაციაა,  $R$  – რომელიც გადავიდა ექსტრაგენტის (ორგ.) ფაზაში, ხოლო  $C_{H_2O}$  – ნივთიერების კონცენტრაცია, რომელიც დარჩენილია საანალიზო წყალსსნარში ექსტრაქციის ჩატარების შემდეგ. რაც უფრო მეტია  $K_{\text{გან.}}$ , მით უფრო ეფექტურია ექსტრაქცია.

დიდი მნიშვნელობა აქვს ექსტრაქტის შემდგომ დამუშავებას (რეექსტრაქციას), ანუ ორგანული ფაზიდან ნივთიერების გამოყოფას წყალსსნარში. რეექსტრაქტის წყალ-

სსნარებს შეარჩევენ ისე, რომ გამოყოფა იყოს სელექტიური.

ექსტრაქციულ-ფოტომეტრიული მეთოდი ფართოდ გამოიყენება რთული ნარევევის ანალიზის დროს, როდესაც საჭიროა დიდი რაოდენობის შემცველ ნივთიერებაში მიკრო კომპონენტის გამოყოფა, მინარევების განსაზღვრა ზესუფთა ნაერთებში და სხვ. ხშირ შემთხვევაში შეფერილი ექსტრაგირებული ფაზა უშუალოდ გამოიყენება მიკრო კომპონენტის ფოტომეტრული მეთოდით რაოდენობრივი განსაზღვრისათვის. მეთოდი მარტივია, ხასიათდება მაღალი მგრძნობიარობით, ექსპრესულობით, რაც მთავარია არ მოითხოვს რთულ აპარატურას.

### ლაბორატორიული სამუშაოები

#### სამუშაო 1. კალციუმის და მაგნიუმის განსაზღვრა ფოტომეტრული ტიტვრის მეთოდით

მეთოდი დამყარებულია კალციუმის და მაგნიუმის კომპლექსონ III-თან უფერო მდგრადი კომპლექსის წარმოქმნის რეაქციაზე. სუსტ ტუტე გარემოში წარმოიქმნება მაგნიუმის ძნელადხსნადი ჰიდროჟანგი და იტიტრება მხოლოდ კალციუმი. მაგნიუმს პოულობენ სხვაობით.

#### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. კომპლექსონ 111-ის 0,05 M სსნარი.
2. 18,6 გ კომპლექსონ III სსნიან ერთ ლიტრ წყალში. თუ სსნარი შემდგრეულია, ფილტრავენ.
3. მარილმჟავას 1:4 სსნარი.

4. ინდიკატორი მჟავური ქრომლურჯი, ან ქრომლურჯი K.

1 გ ინდიკატორს ურევენ 25 გ NaCl და შელესავენ ფილთაქვაში.

5. ბუფერული ხსნარი 10 მლ 20%-იან NH<sub>4</sub>Cl შეურევენ 10 მლ ამიაკს.

6. NaOH 2N ხსნარი.

7. MgCl<sub>2</sub> · 7H<sub>2</sub>O და CaCl<sub>2</sub> · 6H<sub>2</sub>O ის 0,1N ხსნარები.

### ანალიზის მსვლელობა

კომპლექსონ III-ის ტიტრის დაღგენა.

0,327 გ თუთიას ხსნიან 10-15 მლ HCl (1:4), ხსნარს აციებენ და გადააქვთ 100 მლ საზომ კოლბაში, ანზავებენ ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდოვენ, მიღებული ხსნარიდან პიკეტკით იღებენ 1-10 მლ, ათავსებენ ტიტრატორში, უმატებენ 50 მლ წყალს, 10 მლ ბუფერულ ხსნარს, დაახლოვებით 0,05 გ ინდიკატორს და ტიტრავენ კომპლექსონ 111-ის ხსნარით გალვანომეტრის ისრის მავთორ გადახრამდე.

$$T_{\text{კომპლ.}_{\text{Zn}}} = T_{\text{Zn}} (V_{\text{Zn}} / V_{\text{კომპIII}})$$

გალციუმის და მანგანუმის ნარევის გატიტვრა.

იღებენ 20 მლ 0,05 M MgCl და CaCl, გადააქვთ ტიტრომეტრის ჭიქაში, უმატებენ 50 მლ წყალს, 10 მლ ამიაკურ ბუფერულ ხსნარს, 0,05 გ ინდიკატორს და ტიტრავენ კომპლექსონ III-ის ხსნარით. ანგარიშობენ Ca და Mg შემცველობას მიღიგრამ-ექვივალენტში.

ხელმეორედ ტიტვრის ჭიქაში ათავსებენ Ca და Mg ნარევის 10 მლ, უმატებენ 10 მლ წყალს, 15 მლ 2N NH<sub>4</sub>OH,

ინდიკატორს და ტიტრავენ კომპლექსონ III-ის ხსნარით. ანგარიშობენ Ca შემცველობას, Mg პოულობენ სხვაობით.

## სამუშაო 2. თუთიის განსაზღვრა ფოტომეტრული ტიტრის მეთოდით

მეთოდი დამყარებულია თუთიის იონების ეთილენდიამინტეტრამმარმჯავით, ანუ კომპლექსონ III ინდიკატორული ტიტვრის რეაქციაზე, რომელშიც ინდიკატორად გამოყენებულია ერეოქრომშავი T.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. თუთიის სულფატის  $ZnSO_4 \cdot 7H_2O$  0,05 M სამუშაო ხსნარი.

2. კომპლექსონ III 0,05 – ხსნარი.
3. ამონიუმის ქლორიდის  $NH_4Cl$  0,1% ხსნარი.
4. ამიაკის 0,1 M ხსნარი.
5. ერეოქრომშავი T 0,1% ხსნარი.
6. აბსორბციომეტრი ლმფ ნარინჯისფერი შუქფილ-ტრიო.

### კომპლექსონ III ტიტრის დადგენა

ტიტრატორის ჭიქაში ათავსებენ 1 მლ თუთიის სტანდარტულ ხსნარს, უმატებენ 5 მლ  $NH_4Cl$ , 25 მლ ამიაკს, 0,5 მლ ინდიკატორ ერეოქრომშავს T და 10 მლ გამოხდილ წყალს. ჭიქას ათავსებენ ხელსაწყოში და ტიტრავენ ედტა-ს ხსნარით. ანათვალს იღებენ ყოველი 0,1 მლ დამატების შემდეგ. მიღებული მონაცემებით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს  $T = f(V)$ . გატიტვრას აწარმოებენ

სამჯერ, იდებენ 2 ტიტრანტის საშუალო მონაცემს და ანგარიშობენ ტDTA-ს ტიტრს:

$$T_{\text{EDTA}_{/\text{Zn}}} = N_{\text{Zn}}(V_{\text{Zn}} / V_{\text{EDTA}})$$

### ანალიზის მსვლელობა

საანალიზო ხსნარს უმატებენ 5 მლ  $\text{NH}_4\text{Cl}$ , ამიაკს, 0,5 მლ ინდიკატორ ერეოქრონშავს T, 10 მლ წყალს და ტიტრავენ ტDTA-ს ხსნარით (არანაკლებ 3-ჯერ). მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ ტიტრის მრუდეს და პოულობენ  $V_{\text{EDTA}}$ . საშუალო მნიშვნელობების მიხედვით ანგარიშობენ ხსნარში თუთიის შემცველობას.

### სამუშაო 3. ნიკელის ფოტოკოლორიმეტრიული განსაზღვრა

მეთოდი დამყარებულია ნიკელის იონების დიმეთილ-გლიოქსიმთან მჟანგავის თანაობისას მოწითალო-ყავისფერი კომპლექსის წარმოქმნის რეაქციაზე. მჟანგავად გამოყენებულია იოდი.

#### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა:

##### 1. ნიკელის სტანდარტული ხსნარი.

0,48გ  $\text{NiSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$  ხსნიან გამოხდილ წყალში, გადაქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, ანზავებენ გამოხდილი წყლით ჭდემდე და კარგად შეანჯდრევენ. მიღებული ხსნარის 1მლ შეიცავს 0,1მგ ნიკელს.

##### 2. მარილმჟავის 1 N ხსნარი.

##### 3. იოდის 0,05 M ხსნარი.

##### 4. ნატრიუმის ტუტის 1 N ხსნარი.

##### 5. დიმეთილ-გლიოქსიმის 1%-იანი სპირტიანი ხსნარი.

##### 6. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК – 56.

## მაგრადუირებელი გრაფიკის აგება

ანალიზის დაწყების წინ საჭიროა მაგრადუირებელი გრაფიკის აგება. ამისათვის რამდენიმე 50მლ-იან საზომ კოლბაში ათავსებენ ნიკელის სტანდარტულ ხსნარებს 0,1; 0,2; 0,3; 0,5; 0,8 და 1,0მლ, რაც შეესაბამება 10; 20; 30; 50; 80 და 100 მკგ/50მლ; აზავებენ მოცულობას ~25მლ-მდე, უმატებენ 2-3 წვეთ მარილმჟავას ხსნარს, 0,5მლ იოდის ხსნარს, 0,5მლ დიმეთილგლიოქსიმს, 2,5მლ ნატრიუმის ტუტეს, მიჰყავთ მოცულობა ჭრებით გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ.

მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ **ФЭК-56** ფოტოკოლიმეტრზე (იხ. ფოტოკოლორიმეტრზე მუშაობის მეთოდიკა) მწვანე შუქფილტრის გამოყენებით (470ნმ) კიუგეტში, რომლის სამუშაო სიგრძეა 10მმ. შესადარებელ ხსნარად გამოყენებულია ნულოვანი ხსნარი, რომელიც შეიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ რეაქტივს, გარდა ნიკელისა.

მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში: ოპტიკური სიმკვრივე (D) – კონცენტრაცია (C).

## ანალიზის მსგლელობა

საკვლევი ხსნარის გარკვეული მოცულობა გადააქვთ 50მლ საზომ კოლბაში, აზავებენ გამოხდილი წყლით ~25მლ-მდე და უმატებენ ყველა რეაქტივს ისეთივე რაოდენობით და მიმდევრობით, როგორც მაგრადუირებელი გრაფიკის აგების დროს.

მიღებული ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ **ФЭК-56** ფოტოკოლიმეტრზე მწვანე შუქფილტრის გამოყენებით კიუგეტში, რომლის სამუშაო სიგრძეა 10მმ. ზემოთ

აღნიშნული შესადარებელი ხსნარის გამოყენებით. მიღებული ოპტიკური სიმკვრივის მნიშვნელობით პოულობენ მაგრადუირებელ გრაფიკზე საკვლევი ხსნარის კონცენტრაციას.

სამუშაოს შედეგების გაფორმება ხდება მაგრადუირებელი გრაფიკის და სათანადო ცხრილის სახით (ცხრ. 3).

### ცხრილი 3.

ცდის №	ხსნარის კონცენტრაცია C, მკგ/მლ	ხსნარის ოპტიკური სიმკვრივე D			
		1	2	3	D <sub>ხსაშ</sub>
	სტანდარტული ხსნარი				
1					
2					
3					
4					
5					
	საკვლევი ხსნარი				D <sub>ხსაშ</sub>
1					
2					
3					

$$C_x =$$

### სამუშაო 4. რენიუმის განსაზღვრა დიფერენციალურ-სპექტროფოტომეტრიული მეთოდით

მეთოდი დამყარებულია რენიუმის იონების თიოჰარდოვანასთან ურთიერთქმედების რეაქციაზე აღმდგენელად ქლორიანი კალის გამოყენებით.

გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა:

1. რენიუმის სტანდარტული ხსნარი.

0,1553გ KReO<sub>4</sub> ხსნიან 50მლ წყალში, გადააქვთ 100მლ-იან საზომ კოლბაში და მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით.

მიღებული ხსნარის 1მლ შეიცავს 1მგ რენიუმს.

2. HCl, (კუთრი წონა, 1,19).

3. თიოჟარდოვანას 5%-იანი ხსნარი.

4. SnCl<sub>2</sub>-ის 20%-იანი ხსნარი მარილმჟავაში (კუთრი წონა, 1,19).

5. სპექტროფოტომეტრი (CФ – 4A, CФ – 16 ან CФ - 26).

### მაგრადუირებელი გრაფიკის აგება

50მლ-იან საზომ კოლბებში ათავსებენ 2-2,7 მლ რენიუმის სტანდარტულ ხსნარს ინტერვალით 0,18ლ. თითო-ეულ კოლბას უმატებენ 10მლ კონცენტრირებულ HCl, 10მლ თიშარდოვანას, 2მლ SnCl<sub>2</sub>, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდოვენ.

30 წუთის შემდეგ ზომავენ მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს სპექტროფოტომეტრზე 390ნმ ტალღის სიგრძის დროს 1სმ. კიუვეტში შესადარებელი ხსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს 2გგ რენიუმს და უკელა გამოყენებულ რეაქტივს. მიღებული ოპტიკური სიმკვრივის სიდიდეების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში: ოპტიკური სიმკვრივეების სხვაობა ( $\Delta D$ ) – კონცენტრაციათა სხვაობა ( $\Delta C$ ), ან ანგარიშობენ თითოეული წყვილისათვის გადათვლის ფაქტორს (F) და იღებენ საშუალო არითმეტიკულს. გადათვლის ფაქტორის გამოთვლა ხდება ფორმულით

$$F = (C_1 - C_o) / \Delta D \text{ ან } F = \Delta C / \Delta D,$$

სადაც  $C_o$  არის რენიუმის კონცენტრაცია შესადარებელ ხსნარში;

$C_1$  – რენიუმის კონცენტრაცია სტანდარტულ ხსნარში;

$\Delta D = (C_1 - C_o)$  კონცენტრაციათა შესაბამისი ოპტიკური სიმკვრივეების სხვაობა ( $D_{cl} - D_{co}$ ).

### ანალიზის მსგლელობა

პიპეტით იღებენ საკვლევი სსნარის გარკვეულ მოცულობას (რენიუმის შემცველობის მიხედვით), გადააქვთ 50 მლ-იან საზომ კოლბაში, უმატებენ 10 მლ კონცენტრირებულ  $HCl$ , 10 მლ თიოშარდოვანას, 2 მლ  $SnCl_2$ , მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ.

30 წუთის შემდეგ ზომავენ მიღებული სსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს სპექტროფოტომეტრზე 390 ნმ ტალღის სიგრძის დროს 1 სმ კიუვეტში შესადარებელი სსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს 2 მგ რენიუმს და ყველა გამოყენებულ რეაქტივს.

რენიუმის შემცველობას ანგარიშობენ ფორმულით

$$C_x = C_o + D_x \cdot F,$$

სადაც  $C_o$  არის რენიუმის კონცენტრაცია შესადარებელ სსნარში;

$C_x$  – რენიუმის კონცენტრაცია საკვლევ სსნარში;  $D_x$  – საკვლევი სსნარის ოპტიკური სიმკვრივე;  $F$  – გადათვლის ფაქტორი.


სამუშაოს შედეგების გაფორმება ხდება სათანადო ცხრილის სახით (ცხრ. 4).

ცხრილი 4.

ცდის №	$C_{b\beta}, \text{მგ}/100\text{მლ}$	$\Delta C = C_1 - C_o$	D		$D_{b\beta\beta}$	$\Delta D$	$F = \Delta C / \Delta D$	$C_x$
1								
2								
3								

## **სამუშაო 5. სპილენძის განსაზღვრა დიფერენციალურ-სპექტროფოტომეტრიული მეთოდით**

მეთოდი დამყარებულია სპილენძის იონების ამიაკთან ურთიერთქმედების რეაქციაზე, რის შედეგად მიიღება ლურჯი ფერის კომპლექსნაერთი:



**გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა:**

1. სპილენძის სტანდარტული ხსნარი.

3,931გ CuSO<sub>4</sub> · 5H<sub>2</sub>O ხსნიან 25მლ 2 M გოგირდმჟავას ხსნარში, გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში და მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით.

მიღებული ხსნარი შეიცავს 1მგ სპილენძს 1მლ-ში.

2. ამიაკის 5%-იანი ხსნარი.

3. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК-56.

**მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

6 50 მლ-იან საზომ კოლბაში ათავსებენ 2,5; 5,0; 7,5; 10 მლ სპილენძის სტანდარტულ ხსნარს. თითოეულ კოლბას უმატებენ 10მლ 5%-იან ამიაკის ხსნარს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ. 10 წუთის შემდეგ ზომავენ მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ფოტოკოლორიმეტრზე წითელი შუქფილტრის გამოყენებით 1სმ კოუგეტში შესადარებელი ხსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს 5მგ სპილენძს და ყველა გამოყენებულ რეაქტივს.

მიღებული ოპტიკური სიმკვრივის სიდიდეების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში:

ოპტიკური სიმკვრივეების სხვაობა ( $\Delta D$ ) – კონცენტრაციათა სხვაობა ( $\Delta C$ ), ან გამოითვლიან თითოეული წყვილისათვის გადათვლის ფაქტორს (F) და იდებენ შედეგების საშუალო არითმეტიკულს.

$$\text{გადათვლის ფაქტორის გამოთვლა ხდება ფორმულით} \\ F = (C_1 - C_0) / \Delta D \quad F = \Delta C / \Delta D,$$

სადაც  $C_0$  არის სპილენბის კონცენტრაცია შესაძარებელ სსნარში;


$C_1$  – სპილენბის კონცენტრაცია სტანდარტულ სსნარში;  
კონცენტრაციათა შესაბამისი ოპტიკური სიმკვრივეების სხვაობა ( $D_{cl}$  -  $D_{co}$ ).

### თავი III

#### ტურბიდიმეტრია. ნეფელომეტრია

ტურბიდიმეტრია და ნეფელომეტრია ანალიზის ოპტიკური მეთოდებია, რომლებიც დამყარებულია შეწონილ მდგომარეობაში მყოფი სუსპენზიის ნაწილაკების მიერ შთანთქმული და გაფანტული სინათლის ინტენსივობის გაზომვაზე, ე. ი. აქ ოპტიკურ აქტიურ ნივთიერებას სუსპენზია წარმოადგენს, რომელშიც ატარებენ სინათლის სხივს

$I_o$  ინტენსივობით.



ნახ. 13. სინათლის შთანთქმა და გაბნევა შემდგრეულ ხსნარებში ხდება მის პერპენდიკულარულად – ნეფელომეტრია (ნახ. 13).

სუსპენზიის მიერ გაფანტული სხივების ინტენსივობა რაოდენობრივად შეიძლება დავახასიათოთ რელაის გაფანტულის კანონით:

$$I_p = K_1 I_0 \frac{v^2 c}{\delta \lambda^4} \left( \frac{n_1^2 - n_2^2}{n_1^2 - 2n_2^2} \right)^2$$

სადაც  $K$  – კოეფიციენტია,  $v$  – სუსპენზიის ნაწილაკების მოცულობა,  $C$  – ნაწილაკების კონცენტრაცია,  $n_1$  – ნივთიერების გარდატეხის მაჩვენებელი,  $n_2$  – გამსხველის

გარდატების მაჩვენებელი,  $\lambda$  – დაცემული სხივის ტალღის სიგრძე,  $\delta$  – ნივთიერების ნაწილაკების სიმკვრივე.

ნეფელომეტრული განსაზღვრისას  $n_1, n_2, \lambda, \delta$  და  $\nu$  რჩება მუდმივი და თუ მას მივიღებთ  $K$ -ს ტოლად, რელეის განტოლება გამარტივებულად გამოისახება:

$$I_p = KC$$

ე. ი. გაფანტული სხივის ინტენსივობა სუსპენზიის ნაწილაკების კონცენტრაციის პირდაპირპორციულია. თუ ორი სუსპენზიის ნაწილაკების ზომა და ფორმა ერთნაირია, მაშინ გაფანტული სხივის ინტენსივობების ფარდობა ნაწილაკების კონცენტრაციის პროპორციულია:

$$\frac{I'_p}{I_p^n} = \frac{C_1}{C_2} \quad \text{აქედან } C_1 = \frac{I'_p \cdot C_2}{I_p^n}$$

ეს ფორმულა გამოიყენება ნეფელომეტრული განსაზღვრების დროს.

ტურბიდიმეტრიული ანალიზის დროს კაგშირი სუსპენზიაში გასული სხივის ინტენსივობასა და ნაწილაკების ზომას შორის გამოისახება ფორმულით:

$$A = \lg \frac{I_0}{I_t} = K_1 \frac{\ell Cr^3}{r^4 + \alpha \lambda^4}$$

სადაც  $A$  – გაფანტვის უნარია (ოპტიკური სიმკვრივის მხგავსი)

$I_0$  – სუსპენზიაზე დაცემული სხივის ინტენსივობა

$I_t$  – სუსპენზიაში გასული სხივის ინტენსივობა

$\ell$  – ფენის სისქე

$r$  – ნაწილაკების საშუალო ზომა

$\lambda$  – დაცემული სხივის ტალღის სიგრძე

$K_1$  – პროპორციულობის კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია სუსპენზიის ბუნებაზე და გაზომვის მეთოდზე

$\alpha$  – მუდმივა, დამოკიდებული მხოლოდ გაზომვის მეთოდზე.

მიღებული განტოლება გამოიყენება მხოლოდ განზავებული სსნარებისათვის ტურბიდიმეტრული განსაზღვრისას  $K$ ,  $r$ ,  $\alpha$  და  $\lambda$  – მუდმივი სიდიდეებია, ამიტომ

$$A = K\ell C$$

ეს განტოლება ანალოგიურია ბუგერ-ლამბერტ-ბერის განტოლების, სადაც  $K$  არის სუსპენზიის სიმდგრივის კოეფიციენტი.

### პირობები, რომელიც უნდა იქნეს დაცული ტურბიდიმეტრიული და ნეფელომეტრიული განსაზღვრების დროს

1. ტურბიდიმეტრიული მეთოდით განსაზღვრას საფუძვლად უდევს დალექვის რეაქცია. რაც უფრო ძნელად სსნადია ნივთიერება, მით უფრო მგრძნობიარეა მეთოდი. ზოგჯერ მგრძნობიარობის გაზრდის მიზნით სუსპენზიას დებულობენ ორგანული გამსხველების არეში, მაგალითად აცეტონის, ეთანოლის სსნარების გამოყენებით. რაც უფრო იზრდება ეთანოლის კონცენტრაცია, მით სუსპენზიის ოპტიკური სიმკვრივე იზრდება განსაზღვრულ ზღვარამდე, შემდეგ კი კლებულობს.

2. რელეის განტოლების მიხედვით გაფანტული სხივის ინტენსივობა იმავე მოცულობაში ნაწილაკების ზომის გაზრდით იზრდება. ამიტომ განსაზღვრის დროს სუსპენზიის მიღება უნდა წარმოებდეს მკაცრად სტაბილურ პირობებში, რათა დაცული იყოს თანაფარდობა  $C$  და  $V$ -ს შორის. კოაგულაციის აღმოსაფხვრელად ხშირად უმატებენ ჟელატინს, კრახმალს და სხვ.

3. რელეის განტოლებიდან სიდიდე  $\frac{1}{\lambda^4}$  გვიჩვენებს, რომ გაფანტული სხივის ინტენსივობა ტალღის სიგრძის შემცირებით სწრაფად იზრდება. ამიტომ ტურბიდიმეტრიულ გან-

საზღვრას აწარმოებენ ულტრაიისფერ უბანში. ნაკლები ტალღის სიგრძისას უკვე მორეაგირე ნივთიერება იწყებს შთანთქმას.

4. ტურბიდიმეტრიული განსაზღვრის დროს შეცდომის წეაროა სუსპენზიის ოპტიკურად უმდგრადობა დროში, არ უნდა ხდებოდეს დაყოფნებისას ნალექის გამოყოფა. ამიტომ ოპტიკური სიმკვრივე უნდა გაიზომოს ფიქსირებულ დროში, მაგალითად, 10 წუთის შემდეგ. უფრო ხელსაყრელია სარეაქციო არეში ბლანტი ორგანული ნივთიერებების შეფვანა, როგორიცაა გუმიარაბიკი, გლიცერინი, ეთილენგლუკოლი და სხვ. რომლებსაც აქვს მაღალი სიბლანტე.

5. სუსპენზიის ფორმირებას განაპირობებს აგრეთვე წეალბად-იონჯის კონცენტრაცია – pH. სუსტ მჟავა გარემოში სუსპენზია სტაბილურია. ყველა რეაქციას აქვს თავისი pH, რომელიც უნდა იქნეს დაცული. ასევე საჭიროა ტემპერატურა იყოს სტაბილური.

6. მნიშვნელოვანია სსნარის იონური ძალის გავლენა – გარეშე ელექტროლიტების თანაობა. ამიტომ საჭიროა როგორც საკვლევ, ისე სტანდარტულ სსნარებში იონური ძალა იყოს ერთნაირი.

7. რეაგენტების დამატების თანმიმდევრობა და სიჩქარე. სარეაქციო არე მზადდება წინასწარ და შემდეგ ემატება დამლექავი. მაგალითად,  $BaSO_4$ -ის დალექციისას ერთ შემთხვევაში - ( $SO_4^{2-}$  + ეთანოლი) +  $Ba^{2+}$  და მეორე შემთხვევაში -  $SO_4^{2-}$  + ( $Ba^{2+}$  + ეთანოლი).

თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირობები არ იქნება დაცული, შედეგები იქნება არასწორი. ტურბიდიმეტრიული და ნეფელომეტრიული მეთოდების დადებითი მხარეა მაღალი მგრძნობიარობა, გამოიყენება ძლიერ განზაგებული სუსპენზიებისას, რომელიც შეიცავს არაუმეტეს 100 მგ/ლ მყარ ნივთიერებას. იგი სიზუსტით ჩამორჩება ფოტოკოლორიმეტრისას, მას მიმართავენ მაშინ, როდესაც საჭიროა

მცირე რაოდენობის ქ. წ. არაქრომოფორული იონების განსაზღვრა, რომლებიც არ იძლევიან, ან ძნელად იძლევიან შეფერილ ნაერთებს. ამ შემთხვევაში იგი შეუცვლელია.


განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფოტოკოლორიმეტრი და ნეფელომეტრი.

### გამოყენებული აპარატურა

ნეფელომეტრიულ განსაზღვრას აწარმოებენ ხელსა-წყოში – ნეფელომეტრ НФМ, რომელიც კონსტრუქციით ფოტომეტრის ანალოგიურია. იგი შეიცავს მოწყობილობას, რომელშიც გაბნეულ სხივზე დაკვირვება ხდება დაცემული სხივის მიმართ  $90^{\circ}$ -ით.

ხელსაწყოს ოპტიკური სქემა მოცემულია ნახ. 14. სინათლე ვარგარიდან (1) გაივლის გამჭვირვალე ფირფიტას (2), კონდენსორს (3) და ხვდება კიუვეტაში (4) საკვლევი სხივით. კიუვეტაში გამავალი სხივის ჩაქრობა ხდება სინათლის დამჭერით (5). სუსპენზიის ნაწილაკების მიერ გაფანტული სინათლის ნაწილი გაივლის ლინზას (9), ხვდება ფოტომეტრულ თავში და ანათებს ოკულარის ერთ ნახევარს. სინათლის ნაკადის მეორე ნაწილი აირეკლება მინის ფირფიტიდან (2) და ხვდება გაბნევზე (17).

ამ უკანასკნელიდან გაბნეული სხივი ლინზის (13) საშუალებით ხვდება ფოტომეტრულ თავში და იწვევს ოკულარის მეორე ნახევრის მხედველობის არეში ნათებას, გაივლის გამზომ დიაფრაგმებს (7) და (15), რომელიც დაკავშირებულია დოლთან. ორივე სინათლის ნაკადი ობიექტივით (8) და (14), პრიზმებით (10) და (11) მიაღწევს ოკულარს 12 და ხვდება დამკვირვებლის თვალში, რომელშიც მხედველობის არე გაყოფილია ვერტიკალური ხაზით.



ნახ. 14. ნეფელომეტრი НФМ-ის ოპტიკური სქემა  
 1 – ნათურა; 2 – მინის ფირფიტა; 3 – კონდენსორი; 4 – გიუვეტა;  
 5 – სინათლის დამჭერი; 6, 16 – ლინზები; 7, 15 – გამზომი  
 დიაფრაგმები; 8, 14 – ობიექტივები; 9, 13 – რომბიული პრიზმები;  
 10 – ბიპრიზმა; 11 – შუქფილტრი; 12 – ოკულარი; 17 – გამნევი.


გამზომ დოლზე ორი სკალაა: ერთი შუქბამტარობის (შავი), მეორე ოპტიკური სიმკვრივის (წითელი), განსაზღვრისას სინათლის ნაკადს უყენებენ უქსი შუქფილტრიდან ერთერთს (11), შუქფილტრების მახასიათებლები მოცემულია ცხრილებში.

კონცენტრაციის განსაზღვრისათვის აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს, რისთვისაც სტანდარტული სსნარებით ამზადებენ ცნობილი კონცენტრაციის სუსპენზიებს, განსაზღვრას იწყებენ მაქსიმალური შემცველობის სსნარებით, შემდგა კი კონცენტრაციის შემცირების თანმიმდევრობით. საკვლევი სსნარის კონცენტრაციას პოულობენ გრაფიკის საშუალებით.

## ლაბორატორიული სამუშაოები

### სამუშაო 1. ხსნარში ქლორიდების განსაზღვრა ტურბიდიმეტრული მეთოდით

მეთოდი დამყარებულია ქლორიდ-იონის აზოტმჟავა გარემოში ( $\text{pH} < 1$ )  $\text{AgNO}_3$ -თან ურთიერთქმედებისას მცირედ-დისპერსული სისტემის წარმოქმნაზე:



#### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1.  $\text{KCl}$ -ის 0,1მგ/მლ ხსნარი (ძირითადი ხსსნარი)  
სამუშაო ხსნარი კონცენტრაციით 0,01 მგ/მლ მზადდება ძირითადი ხსნარის 10-ჯერ განზავებით.
2.  $\text{HNO}_3$ -ის 25% ხსნარი.
3.  $\text{AgNO}_3$  0,1 M ხსნარი.

#### მაგრადუირებელი გრაფიკის აგება

100 მლ-იან საზომ კოლბებში შეყვავთ 2; 5; 10; 15; 20 მლ კალიუმის ქლორიდის სამუშაო ხსნარი, რომელიც შეესაბამება 0,02; 0,05; 0,01; 0,15 და 0,2 მგ ქლორიდ-იონს. თითოეულ კოლბაში უმატებენ 2 მლ  $\text{HNO}_3$ , 80 მლ-მდე გამოხდილ წყალს, 1 მლ  $\text{AgNO}_3$ , მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით, კარგად შეანჯლრევენ და ტოვებენ ბნელ ადგილას 20 წუთის განმავლობაში.

მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე ფЭК-56 კიუვეტაში, რომლის სამუშაო სიგრძეა 50 მმ ლურჯი შუქფილტრის გამოყენებით შესაბარებელი ხსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს ყველა რეაქტივს, გარდა ქლორიდისა.


მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში: ოპტკური სიმკვრივე (D) – კონცენტრაცია (C).

### ანალიზის მსგლელობა

100 მლ საზომ კოლბაში ათავსებენ საანალიზო ხსნარს და ამზადებენ სუსპენზიას, როგორც ზემოთ იყო აღწერილი მაგრადუირებელი გრაფიკის აგებისას, ზომავენ ოპტიკური სიმკვრივეს 3-ჯერ და საშუალო მნიშვნელობის მიხედვით მაგრადუირებელ გრაფიკზე პოულობენ  $\text{Cl}^-$  - იონების კონცენტრაციას საკვლევ ხსნარში.

### სამუშაო 2. სულფატ-იონების ნეფელომეტრული განსაზღვრა

მეთოდი დამყარებულია სულფატ-იონების ბარიუმის იონებთან ურთიერთქმედებისას ძნელად ხსნადი ბარიუმის სულფატის წარმოქმნის რეაქციაზე:



განზავებულ ხსნარებში ნალექის გამოყოფა ნელა მიმდინარეობს და წარმოიქმნება დროში საკმაოდ მდგრადი სუსპენზია. სუსპენზიას სტაბილიზაციისთვის უმატებენ ჟელატინს ან სახამებელს.

ბარიუმის სულფატის სუსპენზიის ფოტომეტრირებისთვის შეიძლება შეიქმნას ისეთი პირობები, რომლის დროსაც სუსპენზიის ოპტიკური სიმკვრივე კონცენტრაციის პროპორციულია:

$$D = KC$$

$\text{BaSO}_4$ -ის სუსპენზიის ფოტომეტრირება ხდება ლურჯი-იისფერი შუქფილტრის გამოყენებით.

## **გამოყენებული ოქაქტივები და აპარატურა**

1. კალციუმის სულფატის სტანდარტული ხსნარი. 1 გ უწყლო კალციუმის სულფატს ხსნიან წყალში, გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭრემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ.

მიღებული ხსნარის 1 მლ შეიცავს 0,001 გ  $\text{CaSO}_4$ .

2. ბარიუმის ქლორიდის 5%-ნი ხსნარი.

3. უელატინი 2,5% ხსნარი ან 0,05%-ნი სახამებლის ხსნარი.

4. მარილმჟავა (1:2)

5. უნივერსალური ინდიკატორი

6. ნეფელომეტრი.

### **ანალიზის მსგლელობა**

100 მლ რამდენიმე ჭიქაში ათავსებენ სტანდარტულ ხსნარს 1; 2; 3; 4; 5; 6; 7 მლ და 25 მლ საანალიზო ხსნარს, შეამჟავებენ მარილმჟავით (1:2). უნივერსალური ინდიკატორის თანაობისას pH 3-მდე, უმატებენ 2 მლ დამცავ კოლოიდს (სახამებელს ან უელატინს) და კარგად შეანულრევენ. შემდეგ უმატებენ 5 მლ 5%-იან  $\text{BaCl}_2$  ხსნარს განუწყვეტელი მორევისას. სუსპენზიას ათავსებენ ნეფელომეტრის კიუვებში და ზომავენ გაბნეული სხივის ინტენსივობას. მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C, რის მიხედვით პოულობენ  $\text{CaSO}_4$ -ის შემცველობას საანალიზო ხსნარში.

## თავი IV

### ლუმინესცენტური ანალიზი

ცნობილია, რომ ნივთიერებების ატომები ან მოლეკულები სინათლის ენერგიით დასხივებისას გადადიან აგზნებულ მდგომარეობაში, რის შემდეგ ხდება მათი განმუხტვა და ჭარბი ენერგია შეიძლება მოხმარდეს ელექტრონის მოწყვეტას, ნივთიერების იონიზაციას, ფოტოქიმიურ რეაქციას, გაცხელებისას ჭარბი ენერგიის გარდაქმნა სითბურ ენერგიად, გამოყოფა სინათლის სახით და სხვ.

ზოგიერთ ნივთიერებას გაცხელების გარეშე ოთახის ტემპრატურის დროს ახასიათებს ნათება. მას "ცივი ნათება", ან ლუმინესცენცია ეწოდება. ლუმინესცენტურ ნათებას იწვევს მაღალი ენერგიის ელექტრომაგნიტური ტალღები, კერძოდ, კათოდური ულტრაიისფერი სხივები, რომლის ტალღის სიგრძეა 500 ნმ-და.

აგზნების წყაროდ ელექტრომაგნიტური ტალღების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქიმიური რეაქცია. მაშინ მას ფოტოლუმინესცენცია, ან ფლუორესცენცია ეწოდება.

ენერგიის ნაწილის გამოყოფა ფოტონების სახით არის ქემილუმინესცენცია. ყველა ლუმინესცენტურ ნივთიერებებს ლუმინოფორები ეწოდება. ლუმინესცენცია ძირითადად ახასიათებს ორგანულ ნაერთებს. ამიტომ არაორგანული ნივთიერებების ანალიზში იყენებენ ლუმინესცენტურ ორგანულ ანალიზურ რეაგენტებს, რომლებიც ლითონის იონებთან განიცდიან ლუმინესცენციას. რაც მეტად შთანთქავს ორგანული ნაერთი სპექტრის ულტრაიისფერ უბანში, მით მეტია მისი ლუმინესცენცია. ამ პირობას აკმაყოფილებს ალიფატური ნაჯერი ციკლური ნაერთები და ნაკლებად ხასიათდებიან არომატული ნაერთები.

მთელ რიგ ნივთიერებებს გააჩნია საკუთარი ლუმინესცენციის უნარი, მაგალითად, კოდეინს ყვითელი, ნიკოტინის ლურჯი-იისფერი, რაც ფართოდ გამოიყენება მათი იდენტიფიკაციისათვის.

### **ლუმინესცენციის ენერგეტიკული, ქვანტური მახასიათებლები და კავშირი მათ შორის**

ლუმინესცენცურ ანალიზი მნიშვნელოვან კანონზომიერებას წარმოადგენს აღგზების ენერგიის დამოკიდებულება ლუმინესცენციის ინტენსივობასთან. მას ენერგეტიკული გამოსავალი ეწოდება და აღინიშნება  $B_{\mathcal{E}}$ . იგი წარმოადგენს ნივთიერების ლუმინესცენციის დროს გამოსხივებული ენერგიის  $E_L$  ფარდობას შთანთქმული აღგზების ენერგიასთან  $E_B$ :

$$B_{\mathcal{E}} = \frac{E_L}{E_B}$$

ან ქვანტური გამოსავალი  $B_k$ , რომელიც არის ლუმინესცენციის დროს გამოსხივებული კვანტის  $N_L$  ფარდობა შთანთქმული ქვანტის  $N_B$  რაოდგნობასთან:

$$B_k = \frac{N_L}{N_B}$$


რადგან ქვანტის ენერგია პროპორციულია სიხშირის  $v$ , ან უძუპროპორციულია ტალღის სიგრძის  $\lambda$ ,

$$E = h\nu = h\frac{c}{\lambda}$$

სადაც  $h$  – პლანკის მუდმივაა,  $c$  – სინათლის სიჩქარე, მაშინ დამოკიდებულება ენერგეტიკულ გამოსავალსა  $B_{\mathcal{E}}$  და ქვანტურ გამოსავალს  $B_K$  შორის, გამოისახება ფორმულით:

$$B_{\mathcal{E}} = \frac{E_L}{E_B} = \frac{h\nu N_L}{h\nu N_B} = \frac{\nu_L}{\nu_B} \cdot B_K = \frac{\lambda_B}{\lambda_L} \cdot B_K$$

ამ დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ლუმინესცენტულ ანალიზში. რაც მეტია ლუმინესცენციის გამოსავალი, მთელი მეტია ანალიზური რეაქციის მგრძნობიარობა. გრაფიკული დამოკიდებულება ლუმინესცენციის ენერგეტიკულ გამოსავალსა და ტალღის სიგრძეს შორის მოცემულია ნახ. 15.



ნახ. 15 ლუმინესცენციის ენერგეტიკული გამოსავლის დამოკიდებულება ტალღის სიგრძეზე.

მცირდება – მონაკვეთი II და მოვლენას ჩაქრობა ეწოდება.

ჩაქრობის მიზეზია გამოსხივებული ენერგიის შთანთქმა საკვლევი ნივთიერების მიერ. არჩევენ ჩაქრობის შემდეგ სახეებს: კონცენტრაციული ჩაქრობა, ტემპერატურული ჩაქრობა და ჩაქრობა გარეშე მინარევებით.


### კონცენტრაციული ჩაქრობა

ლუმინესცენციის გამოსავალი ლუმინესცენტირებული ნივთიერების კონცენტრაციის პროპორციულია, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაოდენობრივი ლუმინესცენტური ანალიზისათვის:

როგორც ნახაზიდან ჩანს I მონაკვეთზე ენერგეტიკული გამოსავლის სიდიდე პროპორციულად იზრდება სინათლის ტალღის სიგრძის გაზრდით. ტალღის სიგრძის შემდგომი გაზრდისას რადაც კრიტიკულ მნიშვნელობამდე იგი რჩება მუდმივი, რის შემდეგ გამოსავალი მკვეთრად თანდათან ქრება. ამ

$$I_L = KC$$

სადაც  $K$  პროპორციულობის კოეფიციენტია.



**ნახ. 16. ლუმინესცენციის  
ინტენსივობის დამოკიდებულება  
კონცენტრაციასთან**

სპეციფიკურია და მის ზემოთ ნათება აღარ სწარმოებს. ხაზოვანი დამოკიდებულება  $I_L$  და  $C$ -ს შორის ირდვევა.

უმეტესი ნივთიერებების კონცენტრაციული ბარიერი მდებარეობს  $10^{-4} - 10^{-3}$  – ხაზღვრებში.

მაგრამ კონცენტრაციის გაზრდა იწვევს ლუმინესცენციის შემცირებას. გარკვეული კონცენტრაციის მიღწევისას იწყება ლუმინესცენციის ჩაქრობა, ანუ დგება კონცენტრაციული ბარიერი (ნახ. 16), ან კონცენტრაციული ჩაქრობა. იგი თითოეული ნივთიერებისათვის

### ტემპერატურული ჩაქრობა

ლუმინესცენციის გამოსავალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტემპერატურა. ტემპერატურის გაზრდა იწვევს ლუმინესცენციის ინტენსივობის შემცირებას, რადგან ამ დროს გამსხველის სიბლანტე მცირდება, მოლეკულების რხევითი ენერგია იზრდება, რაც გამოიწვევს შიდამოლექულური კავშირების შესუსტებას და მოლეკულების გადასვლა ხორმალურ მდგომარეობაში ხორციელდება ენერგიის გამოსხივების გარეშე.

ზოგიერთი ორგანული ნივთიერებები ოთახის ტემპერატურაზე არ განიცდიან ლუმინესცენციას. ამიტომ მიმარ-

თავენ გაყინვის მეთოდს და განსაზღვრას აწარმოებენ -100°-ის დროს.

### **ლუმინესცენციის ჩაქრობა გარეშე მინარევებით**

ლუმინესცენტურ ხსნარებზე ზოგიერთი ნივთიერებების დამატებისას ადგილი აქვს ლუმინესცენციის ჩაქრობას. ასეთ ნივთიერებებს ჩამქრობები ეწოდება. ლუმინოფორების ჩამქრობებთან ურთიერთქმედებისას ჩაქრობა განპირობებულია ახალი (არალუმინესცენტირებული) პროცესების წარმოქმნით და აგზნებული მოლეკულები ენერგიას გადასცემენ ჩამქრობის მოლეკულებს. ჩაქრობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გამხსნელზე. აქტიური ჩამქრობებია მჟანგავი იონები ან ნივთიერებები, რომლებიც ადგილად გასცემენ ელექტრონებს. მაგალითად, ელემენტარული იოდი,  $Fe^{3+}$ -ის იონები,  $Cu^{2+}$ ,  $Ag^+$  და სხვ.

ლუმინესცენტური გამოსხივების ინტენსივობაზე გავლენას ახდენს გასსნილი გაზები. ჟანგბადის ჩამქრობი მოქმედება ძლიერ მუდავნდება არომატიული ნაერთების მიმართ. ჩამქრობი ძალით ჟანგბადს უტოლდება აზოტის ჟანგი. აზოტი, არგონი, ნეონი და სხვა გაზები არ ახდენენ გავლენას ლუმინესცენციაზე, პირიქით, აფერხებენ ენერგიის არასასურველ გადასვლას სითბურ ენერგიაში.

### **თვისებითი და რაოდენობითი ლუმინესცენტური ანალიზი**

მთელ რიგ არაორგანულ და ორგანულ ნივთიერებებს ახასიათებს საკუთარი ლუმინესცენცია. მაგალითად, ტალიუმს (I), კალას (II), ტუვიას (III), ბისმუტს (III) ორგანული ნივთიერებებიდან: ვაზელინის ზეთს (იასამნისფერი), ფიჭვის ზეთს (მწვანე), პარაფინს (ცისფერი) და სხვ.

საკუთარი ლუმინესცენცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვისებითი ანალიზისათვის, ასევე არაორგანული ნივთიერებების ორგანულ რეაგენტებთან კომპლექსების რეაქციები, რის შედეგად წარმოიქმნება ლუმინესცენცია. მაგალითად, ბერილიუმი მორინთან წარმოქმნის კომპლექსს, რომელიც ლუმინესცენტირებს მწვანე ფრად, ნატრიუმ-თუთია-ურანილაცეტატი - მომწვანო-მოყვითალო ფრად. ასეთი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი.

ზოგიერთ არალუმინესცენტურ კრისტალებში სხვა ელემენტის მინარევების (აქტივატორების) შექვანით ისინი გამოავლენენ დამახასიათებელ ლუმინესცენციას. ასეთ ნივთიერებებს კრისტალოფოსფორები ეწოდება. კრისტალოფოსფორების ლუმინესცენციის ინტენსივობის მიხედვით საზღვრავენ ელემენტ-მინარევები. მაგალითად, კალციუმის ჟანგზე მომზადებული კრისტალოფოსფორით შეიძლება განისაზღვროს სელენის და ტელურის მინარევები წითელი ფერის ლუმინესცენციით, ტალიუმი (I) - მოწითალო-მომწვანო, ბისმუტი (III) - მოლურჯო-იისფრად საკმაოდ დაბალი ადმისაჩენი მინიმუმით.

მთელ რიგ შემთხვევებში საკმარისია ლუმინესცენციაზე ვიზუალურად დაკვირვება. საკვლევი ხსნარის გამოსხივების ინტენსივობას ადარებენ სტანდარტული ხსნარების სკალას და საანალიზო ნივთიერების შემცველობას ანგარიშობენ ფორმულით:

$$x = \frac{C \cdot 10^{-4} V_1}{q \cdot V_2}$$

სადაც  $C$  არის კონცენტრაცია;  $q$  – საანალიზო ნივთიერების წონა;  $V_1$  – ხსნარის მოცულობა, რომელშიაც გახსნილია საანალიზო ნივთიერება;  $V_2$  – ანალიზისათვის აღებული ხსნარის ალიგოტური ნაწილი.

რაოდენობრივ განსაზღვრას აწარმოებენ მაგრადუირებელი გრაფიკის აგებით ან დანამატების მეთოდით,

რისთვისაც ზომავენ მთელი რიგი სტანდარტული ხსნა-რების ლუმინესცენციას და მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში: ინტენსივობა  $I_L$  – კონცენტრაცია  $C$ . დამოკიდებულება სწორხაზოვანია. ანალოგიურად აწარმოებენ საკვლევი ხსნარის ლუმინესცენციას და გრაფიკის საშუალებით პოულობენ  $C_x$ -ს.


მაგრადუირებელ გრაფიკს იყენებენ მაშინ, როდესაც საკვლევ ხსნარში მაღალი კონცენტრაციების ან მინარევების შემცველობისას არა აქვს ადგილი ჩაქრობას. იმ შემთხვევაში, თუ საანალიზო ხსნარი შეიცავს ლუმინესცენციის ჩამქრობ მინარევებს, სარგებლობენ დანამატების მეთოდით, რისთვისაც საანალიზო ხსნარს ყოფენ ორ ტოლ ნაწილად და ათავსებენ კოლბებში. ერთ-ერთ მათგანს უმატებენ განსასაზღვრავი მინარევის გარკვეულ რაოდგნობას. მესამე კოლბაში ათავსებენ ნულოვან ხსნარს. სამივე კოლბას უმატებენ სათანადო რაოდენობის რეაგენტს, შეანჯდორევენ, დატოვებენ მცირე დროის განმავლობაში ლუმინესცენტური კომპლექსის წარმოქმნისათვის, რის შემდეგ ზომავენ სამივე ხსნარის ლუმინესცენტური გამოსხივების ინტენსივობას. მინარევის შემცველობას ანგარიშობენ ფორმულით:

$$x = \frac{\Delta C(I_x - I_0) \cdot V_1 \cdot 10^{-4}}{(I_{\Delta C} - I_x) \cdot V_2 \cdot q}$$

სადაც  $I_x$  არის საანალიზო ხსნარის ლუმინესცენციის ინტენსივობა,  $I_{\Delta C}$  – საანალიზო ხსნარის ლუმინესცენციის ინტენსივობის დანამატი,  $I_0$  – ნულოვანი (შესაძარებელი) ხსნარის ლუმინესცენცია,  $\Delta C$  – დანამატის კონცენტრაცია,  $V_1$  – საანალიზო ხსნარის მოცულობა,  $V_2$  – საანალიზოდ აღებული ხსნარის ალიკვოტური ნაწილი.

## გამოყენებული აპარატურა

ლუმინესცენციის ინტენსივობის გასაზომად გამოყენებულია ფოტოელექტრული ფლუორომეტრები, რომლის სქემა მოცემულია ნახ. 17. ელექტრომაგნიტური ტალღები გამოსხივების წყაროდან (1), გაივლის პირველად შუქფილტრს (2), რომელიც ატარებს მხოლოდ ულტრაიისფერ სხივებს და ოკავებს სკექტრის ხილული უბნის სხივებს, ხვდება კიუვეტაში საანალიზო სსნარით (3), წარმოქმნილი ლუმინესცენციის გამოსხივება  $I_L$  მეორადი შუქფილტრით (4), რომელიც ატარებს გარკვეული ტალღის სიგრძის სხივებს, ხვდება ფოტოელექტრული (5), ან ფოტომამრავლული (6), სადაც იგი გარდაიქმნება ლუმინესცენციის ინტენსივობის პროპორციულ ელექტრულ სიგნალად, რომელიც ძლიერდება გამაძლიერებლით და იზომება მიკროამპერმეტრით (6).



**ნახ. 17. ფლუორომეტრის სქემა**

- 1 – გამოსხივების წყარო;
- 2, 4 – შუქფილტრები; 3. კიუვეტა სსნარით;
- 5 – ფოტოელექტრული;
- 6 - მილიმიკროამპერმეტრი

ლის წყაროსთან  $90^{\circ}$ -ით. მაგრადუირებელი გრაფიკის სწორ-

ფლუორომეტრის სქემის თავისებურებას წარმოადგენს სინათლის წყაროს და სინათლის მიმდების ურთიერთგანლაგება, კერძოდ, იმისათვის, რომ გამოირიცხოს იმ სხივების გავლენა, რომლებიც არ შთაინთქმება ფილტრის მიერ, ფლუირესცენციის გამოსხივების მიმდებს ათავსებენ სინათ-


ხაზოვანი ნაწილის გამოყენებისას განმეორადობა შეადგენს 5%.

მეთოდი გამოიყენება მცირე შემცველობის ორგანული ნაერთების განსაზღვრისათვის. ლუმინესცენტური მეთოდი პრინციპულად არ განსხვავდება ფოტომეტრიისაგან და არის ოპტიკური მეთოდების სახესხვაობა, მაგრამ აქვს თავისი დამახასიათებელი თავისებურება. ლიმინესცენტური რეაქციების მთავარი მოთხოვნილებაა შთანთქმული ენერგიის საკმაოდ სრულად გარდაქმნა ლუმინესცენტურ გამოსხივებად. მეთოდის მაღალი მგრძნობიარობა მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის რეაქტივების გამოყენებას (იუ და ჯუ), რომლებსაც ინახავენ პოლიეთილენის ან კვარცის ჭურჭელში. წყალი გამოიყენება ორჯერ გამოხდილი და სასურველია ახლად მომზადებული. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჭურჭლის სისუფთავეს.

### ქემილუმინესცენტური ანალიზი

მთელ რიგ ეგზოთერმულ რეაქციებში თავისუფალი ენერგია გამოიყოფა სითბოს სახით, მაგრამ ზოგიერთ რეაქციებში ენერგიის ნაწილი გამოიყოფა სინათლის სახით, რასაც ქემილუმინესცენცია ეწოდება. ქემილუმინესცენციის მოვლენა დიდი ხანია ცნობილია, იგი შეიმჩნევა ცოცხალ ორგანიზმებში (ციცინათელა, ფუტუროები, ზღვის მიკროორგანიზმები). ნათება მათში გამოწვეულია ორგანიზმის მიერ გამომუშავებული ფერმენტული ნივთიერებების ქანგბადით დაუანგვის შედეგად.

ქემილუმინესცენციას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ხსნარში მიმდინარეობს ეგზოთერმული აქტი, რომლის ენერგია მეტია 170 კკალ/გოლზე. სქემატურად ქემილუმინესცენციის რეაქცია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:



ქემილუმინესცენციის ინტენსივობა  $I$  ქემილუმინესცენტური რეაქციის სიჩქარის პროპორციულია:

$$I = \eta V$$

ან

$$\frac{d \sum(h\nu)}{dt} = 6,02 \cdot 10^{23} \eta \frac{dC}{dt}$$

სადაც  $C$  არის გამომსხივებლის კონცენტრაცია, მოლი;

$t$  – დრო, სეკ.

პროპორციულობის კოეფიციენტი  $\eta$  არის ქემილუმინესცენტური რეაქციის ქვანტტური გამოსავალი:

$$\eta = \frac{N_1}{N_{\text{საერთო}}}$$

სადაც  $N_1$  არის ლუმინესცინტირებული მოლეკულების რიცხვი;  $N_{\text{საერთო}}$  – გამოსხივებული მოლეკულების რიცხვი.

$\eta$ -ს მაქსიმალური მნიშვნელობა ზოგიერთ ბიოქიმიურ რეაქციებში შეიძლება იყოს ერთის ტოლი, ხოლო დანარჩენ ქემილუმინესცენტურ რეაქციებში კვანტტური გამოსავალი იშვიათად აღწევს რამდენიმე პროცენტს.

ქემილუმინესცენცია გამოიყენება ჟანგვა-აღდგენის რეაქციების კინეტიკური მახასიათებლების მისაღებად, კომპლექსნაერთების შესასწავლად, განსაკუთრებით გაზისებურ რეაქციებში აღგზნებული მოლეკულების შესასწავლად და სხვ.

ანალიზურ ქიმიაში ქემილუმინესცენციის რეაქციები გამოყენებულია:

1. ექვივალენტური წერტილის დასადგენად შეფერილი და შემდვრეული ხსნარების ტიტვრისას.

2. ქემილუმინესცენციის რეაქციის ძირითადი კომპონენტების განსაზღვრისას.

3. ორგანული ნივთიერებების და მიკრორაოდენობის იონების განსაზღვრა, რომლებიც წარმოადგენენ ქემილუმინესცენციის რეაქციის კატალიზატორებს, ან ინპიბიტორებს.

ქემილუმინესცენციის გამოსხივების ინტენსივობას ზომავენ ფოტოკოლორიმეტრით, ფოტომამრავლით, ან ფოტოლემეტრის საშუალებით.

ქემილუმინესცენტურ ანალიზში არ არის საჭირო აღგზნების წყაროს გამოყენება. ამიტომ მისი აპარატურა მარტივია ლუმინესცენტურ ანალიზთან შედარებით. ასევე ნაკლებია ფონის გავლენა.

სხვადასხვა ქემილუმინესცენციის სისტემების ექსპერიმენტულად შესწავლით შესაძლებელია განისაზღვროს რეაქციის ოპტიმალური პირობები, მონიახოს არე, სადაც არსებობს სწორხაზოვანი დამოკიდებულება განსასაზღვრავ ნივთიერების კონცენტრაციასა და ნათების მაქსიმალურ ინტენსივობას შორის, ან განსაზღვრულ დროში ნათების ინტენსივობასთან, ან განსაზღვრულ დროში გამოყოფილ ქიმიურ ნათებას შორის.

კარგად შესწავლილი და გამოყენებული ქემილუმინესცენტური რეაგენტებია: ლუმინოლი, ლუციგენინი, სილოქსენი.

ლუმინოლი ტუტე გარემოში წყალბადის ზეჟანგთან ( $\text{pH} > 8,5$ ), ქლორის მჟავასთან, ქლორიან, ბრომიან და იოდიან წყალთან, წარმოქმნის ცისფერ ნათებას, რომელიც გამოიყენება მიკრორაოდენობის კობალტის, სპილენძის, რკინის, ცირკონიუმის, ტიტანის და სხვ. განსაზღვრისათვის აღმოსაჩენი მინიმუმით  $10^{-9}$ – $10^{-8}$  გრ/მლ.

ლუციგენინი წყალბადის ზეჟანგთან, აღმდგენელებთან ( $\text{pH} > 9$ ) ჟანგბადის თანაობისას იძლევა ცისფერ ნათებას, რომელიც გამოიყენება ტყვიის, ბისმუტის, სპილენძის, კობალტის და სხვ. განსაზღვრისათვის, აღმოსაჩენი მინიმუმით  $10^{-9}$ – $10^{-7}$  გრ/მლ, ასევე სხვადასხვა აღმდგენელების განსაზღვრისათვის, და როგორც ინდიკატორი - ტიტრიმეტრულ ანალიზში.

სილოქსენი მჟავა გარემოში ( $\text{pH} < 5$ ) დამჟანგველების მოქმედებით იძლევა ვარდისფერ ნათებას. გამოიყენება ჟანგვა-აღდგენის რეაქციებში როგორც ინდიკატორი, მიკრო-რაოდგნობის ცერიუმის, ვანადიუმის, ოქროს, მანგანუმის და სხვ. განსაზღვრისათვის.

ქემილუმინესცენტური მეთოდის უპირატესობაა დაბალი აღმოსაჩენი მინიმუმი,  $10^{-10}$ – $10^{-4}$  გრ/მლ, საკმაო განსაზღვრის სიზუსტე, ექსპრესულობა, აპარატურის სიმარტივე, ნაკლია რეაქციის მცირე სელექტიურობა.

## ლაბორატორიული სამუშაოები

### სამუშაო 1. ბორის შემცველობის განსაზღვრა ლუმინესცენტური მეთოდით

მეთოდი დამყარებულია ბორის ბენზოინთან ლუმინესცენტირებადი კომპლექსის წარმოქმნის რეაქციაზე. რეაქციის ჩატარებისას ტუტე-სპირტიან წყალსნარის გარემოში წარმოქმნილი კომპლექსის ნათება არის ლია-ცისფერი, გამოსხივების მაქსიმუმით ~ 480ნმ.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. ბორის სტანდარტული სნარი 20მგ/მლ.  
1000მლ საზომ კოლბაში სნიან 0,112გ  $\text{H}_3\text{BO}_3$  და მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე 2%-ნი  $\text{Na}_2\text{CO}_3$ -ის სნარით.
2. ეთილის სპირტი, 95%-ნი.
3. ბუფერული სნარი  $\text{pH} = 12,8$   
450გ 0,4%-იან  $\text{NaOH}$ -ში სნიან 0,375გ ეთილენგლი-კოლს, 0,3გ  $\text{NaCl}$ , 0,5გ  $\text{NH}_4\text{F}$ . სნარი გადააქვთ 500მლ საზომ

კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

4. ბენზოინი, 0,5%-იანი ხსნარი 95% ეთანოლის ხსნარში.

5. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК-56.

6. შუქფილტრები: პირველადი ფК-1, მეორადი В2-2.

### **ანალიზის მსგლელობა**

ხელსაწყოს სამ სინჯარებში, რომელიც ოან ახლავს ხელსაწყოს, ათავსებენ 0,2; 0,5; და 1,0მლ ბორის სტანდარტულ ხსნარს, უმატებენ 4მლ ეთილის სპირტს, 0,5მლ ბენზოინის ხსნარს და მიჰყავთ მოცულობა 6მლ-მდე გამოხდილი წყლით. ანალოგიურად ამზადებენ საკონტროლო ხსნარს. რეაგენტების შერევის 5 წუთის შემდეგ ზომავენ ფლუორესტენციას და მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს, რის შემდეგ საზღვრავენ ბორის შემცველობის საკონტროლო ამოცანაში.

### **სამუშაო 2. ალუმინის განსაზღვრა 2-ოქსი = 3 – ნაფტიონის მჟავასთან კომპლექსის ნათების მიხედვით**

ალუმინის იონები 2-ოქსი-3-ნაფტიონის მჟავასთან ხსნარში წარმოქნიან  $\text{pH}=3$  დროს კომპლექსს, რომელიც ფლუორესცირებებს კაშკაშა-ცისფერ ფერად.

### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. ალუმინის სამუშაო ხსნარი, 5მგ/მლ ალუმინის შემცველობით.

$2,3720\text{g KAl}(\text{SO}_4)_2 \cdot 12\text{H}_2\text{O}$  გახსნილი 1 ლიტრ ხსნარში.

2. 2-ოქსი-3-ნაფტიონის მჟავას ნატრიუმის მარილი,  $10^{-4}$  M.

3. აცეტატური ბუფერული ხსნარი  $\text{pH}=5,8$ .

107,5მლ 1M ძმარმჟავას ხსნარს უმატებენ 100მლ 1M ნატრიუმის ტუტის ხსნარს და ანზავებენ გამოხდილი წყლით ერთ ლიტრამდე.

4. ფლუორომეტრი ტΦ – 3 MA.

### მაგრადუირებელი გრაფიკის აგება


6 საზომ კოლბებში პიპეტით ათავსებენ 10მლ საანალიზო ხსნარს, თითოეულ მათგანს უმატებენ 10მლ აცეტატურ ბუფერულ ხსნარს, 10მლ 2-ოქსი-3-ნაფტიონის მჟავას ნატრიუმის მარილს. ბიურეტიდან უმატებენ 0; 2; 5; 10; 15; 20მლ ალუმინის სამუშაო ხსნარს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შენჯლრევენ. ერთი საათის შემდეგ ზომავენ მიღებული ხსნარების ფლუროსტენციას 3-4-ჯერ. პირველად შუქფილტრად გამოყენება  $B-1 \lambda = 320 - 390$  ნმ, მეორად შუქფილტრად  $B-1 \lambda = 400 - 520$  ნმ. საშუალო ინტენსივობის მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში: ფლუორესცენციის ინტენსივობა – ალუმინის კონცენტრაცია  $C_{\text{Al}}$ . ფლუორესცენციის საშუალო მნიშვნელობის და მაგრადუირებელი გრაფიკის საშუალებით პოულობენ ალუმინის კონცენტრაციას, რის შემდეგ ანგარიშობენ ალუმინის შემცველობას საანალიზო ხსნარში.

## თავი V

### ანალიზის სპექტრული მეთოდი

ანალიზის სპექტრული მეთოდი დამყარებულია შთანთქმის და გამოსხივების სპექტრების შესწავლაზე. იმისდამიხედვით, თუ რომელი ოპტიკური სპექტრი გამოიყენება ნივთიერების შემადგენლობის შესასწავლად, იგი იყოფა:

1. აბსორბციული სპექტროსკოპია, რომელიც დამყარებულია ნივთიერების შთანთქმის სპექტრების შესწავლაზე. მას მიეკუთვნება ფოტომეტრია, სპექტროფოტომეტრია.
2. ემისიური სპექტრული ანალიზი, რომელიც დამყარებულია გამოსხივების სპექტრების შესწავლაზე.



ნახ. 18. ატომის ენერგეტიკული დონეების სქემა

ატომს სტაციონალურ მდგომარეობაში გააჩნიათ მინიმალური ენერგია, რომელსაც არც შთანთქავს და არც გამოასხივებს. ატომები და მოლეკულები სინათლის ენერგიის შთანთქმისას გადადიან აგზნებულ მდგომარეობაში, რის შედეგად მინიმალური ენერგიის მქონე სავალენტო

ელექტრონი გადადის უფრო მაღალ ენერგეტიკულ დონეზე, ე.ი. მან უნდა მიიღოს ენერგია, რომელიც ტოლი იქნება ორ დონეზე ენერგიების სხვაობისა, რომელსაც აგზნების ენერგია ეწოდება (ნახ. 18):

$$\Delta E = E_2 - E_0 = h\nu$$

თუ ჩავსვამთ  $n$ -ს მნიშვნელობას, მივიღებთ

$$\Delta E = E_2 - E_0 = h \frac{c}{\lambda} \quad \text{აქედან } \lambda = \frac{hc}{E_2 - E_1}$$

ეს არის განტოლება, რომელზეც დამყარებულია ატომურ-ემისიური მეთოდი.

თუ ელექტრონის მიერ შეძენილი ენერგია მეტია ელექტრონსა და ბირთვს შორის ბმის ენერგიაზე, მაშინ ელექტრონი მოწყდება ატომს, ანუ ადგილი ექნება ატომის იონიზაციას.

აგზნებულ და იონიზირებულ მდგომარეობაში ატომს არ შეუძლია დიდხანს დარჩენა ( $10^{-8}$  წამი). ატომი, რომელსაც დაკარგული აქვს საგალენტო ელექტრონი, შეხვდება რა თავისუფალ ელექტრონს, შეიერთებს მას და მოხდება მისი ეწ. რეამბინაცია, ან შეიძლება საგალენტო ელექტრონი გარკვეულ პირობებში თავისთვალ, ან სხვა ელექტრონებთან შეჯახებისას გადავიდეს უფრო დაბალ ენერგეტიკულ დონეზე, ან დაუბრუნდეს თავის საწყის მდგომარეობას და გამოასხივებს ენერგიას სინათლის კვანტის სახით.

სპექტრებს, რომლებიც მიიღება სხეულის მიერ გამოსხივებული სინათლის დაშლის შედეგად, ემისიური სპექტრი ეწოდება. იგი შეიძლება იყოს უწყვეტი, ხაზოვანი და ზოლოვანი. უწყვეტი სპექტრები ახასიათებს გავარვარებული მყარი და თხევადი სხეულების გამოსხივებას – გაზების გამოსხივება ან ხაზოვან სპექტრებს იძლევა, ან ზოლოვანს, რომელიც უამრავი ახლომდებარე ხაზებისაგან შედგება.

დადგენილია, რომ ხაზოვანი სპექტრები მიიღება ატომთა მიერ გამოსხივებისაგან, ხოლო ზოლოვანი მოლეკულებისაგან.

ენერგიას, რომელიც საჭიროა ელექტრონის მოწყვეტისათვის, იონიზაციის პოტენციალი ეწოდება, იზომება ელექტრონ-ვოლტებში. იგი უდრის იმ კინეტიკურ ენერგიას, რომელსაც ფლობს ერთი ელექტრონი ელექტრულ ველში, როდესაც პოტენციალთა სხვაობა უდრის ერთ ვოლტს.

სხვადასხვა ატომები განსხვავდებიან იონიზაციის პოტენციალით. თითოეული ელემენტის სპექტრის სახე დამოკიდებულია აღნების წყაროს ტემპერატურაზე, რომლის შერჩევა ხდება იონიზაციის პოტენციალის და იმ პირობების მიხედვით, რომელიც საჭიროა სინჯის ორთქლად გადაქცევისათვის. ადვილად აღგზნებადი ელემენტებისათვის, მაგალითად, ტუბე ლითონები, გამოიყენება შედარებით დაბალი ტემპერატურის მქონე – ალი ( $2000^{\circ}\text{C}$ ). მნელად აღგზნებადი ელემენტებისათვის. მაგალითად, ინერტული აირები, მეტალოიდები, წყალბადი – მაღალი ტემპერატურის მქონე წყაროები – რკალი, მაღალდაბავიანი ნაპერწყალი ( $10000$ - $12000^{\circ}\text{C}$ ), რაც იძლევა საშუალებას მივიღოთ ელემენტის სპექტრი მაღალი იონიზაციის პოტენციალით. ამ პირობებში შესაძლებელია ანალიზის ჩატარება საანალიზო ობიექტის დაშლის გარეშე.

ემისიური სპექტრალური ანალიზის მეთოდი შედგება შემდეგი ოპერაციებისაგან: სპექტრის მიღება, სპექტრალური ხაზების ტალღის სიგრძის განსაზღვრა.


თითოეულ ქიმიურ ელემენტის ატომს ხაზოვან სპექტრში ან სპექტრის გარკვეულ უბანში ახასიათებს გარკვეული ტალღის სიგრძის მქონე ხაზები, ან ხაზების ჯგუფები. ამ ხაზებს ანალიზური ხაზები ეწოდება, რომლის მიხედვით ხდება მყარი და თხევადი ნიმუშების თვისებითი, ნახევრად რაოდენობრივი და რაოდენობითი ანალიზი.

სპექტრის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს სპექტრალური ხაზის არსებობა სპექტრში, რომელიც განისაზღვრება ტალღის სიგრძით. ამ მონაცემების მიხედვით სპეციალური ცხრილების საშუალებით აღგენენ, თუ რომელ ელემენტს მიეკუთვნება იგი. ე.ი. სახდვრავენ მის თვისობრივ მხარეს.

სპექტრის მეორე მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს სპექტრალური ხაზის ინტენსივობა. ინტენსივობა იზომება ერთეულ ფართზე გათვლილი ენერგიით. არსებობს გარკვეული დამოკიდებულება სპექტრალული ხაზის ინტენსივობასა და კონცენტრაციას შორის, რომელიც გამოისახება ფორმულით:

$$I = aC$$

სადაც  $I$  – არის ინტენსივობა,  $C$  – კონცენტრაცია. კოეფიციენტი  $a$  დამოკიდებულია აღგზნების წყაროს მუშაობაზე, მის სტაბილურობაზე, ტემპერატურაზე და სხვ.



**ნახ. 19.** გრაფიკული დამოკიდებულება სპექტრული ხაზის ინტენსივობასა და კონცენტრაციას შორის:

ა) -  $I$  და  $C$  კოორდინატებში, ბ) და გ) – ლოგარითმულ კოორდინატებში  $\lg I$  და  $\lg C$

დამოკიდებულების გრაფიკი სწორხაზოვანია და გადის კოორდინატთა სათავეზე (ნახ. 19). მაგრამ უველა აგზებული ატომების მიერ გამოსხივებული ენერგია ვერ აღწევს სინათლის მიმღებს, რადგან იგი შეიძლება შთანთქმული

იქნეს არაგზნებული ატომების მიერ. ეს არის თვითშთანთქმის მოვლენა. იგი მხედველობაში იქნა მიღებული ლომაკინის განტოლებაში:

$$I = a C^b \quad (1)$$

სადაც  $b$  – თვითშთანთქმის კოეფიციენტია, რომელიც გულისხმობს არაგზნებული ატომების მიერ შთანთქმული სინათლის რაოდენობას. მცირე კონცენტრაციების დროს თვითშთანთქმა არ ხდება და კოეფიციენტი უახლოვდება ერთს. კონცენტრაციის გაზრდით იგი მცირდება, სათანადოდ მცირდება გრაფიკის დახრილობა და კონცენტრაციის განსაზღვრა ხდება უხეშად.

(1)განტოლების გალოგარითმებით მივიღებთ:

$$\lg I = \lg a + b \lg C$$


ეს განტოლება საფუძვლად უდევს რაოდენობით სპექტრალურ ანალიზს, რომელიც კარგად აღწერს კონცენტრაციულ დამოკიდებულებებს სპექტრალური ხაზის ინტენსივობასთან. რაოდენობრივი განსაზღვრისათვის საჭიროა გაიზომოს სპექტრალური ხაზით ინტენსივობა. არსებობს რაოდენობრივი განსაზღვრის ორი ვარიანტი: 1. შიგა სტანდარტის მეთოდი; 2. გარე სტანდარტის მეთოდი.

### რაოდენობრივი განსაზღვრის შიგა და გარე სტანდარტის მეთოდი

შიგა სტანდარტის მეთოდით განსაზღვრისას ანალიზური ხაზების ინტენსივობის შედარება ხდება ვიზუალურად სპეციალური ხელსაწყოს სტილოსკოპის საშუალებით. იდებენ საანალიზო ნივთიერების ხაზოვან სპექტრს და ანალიზური ხაზების ინტენსივობას ვიზუალურად ადარებენ ამ ხაზებთან ყველაზე ახლო მდებარე ქ.წ. შიგა სტანდარტის ანალიზური ხაზების ინტენსივობას. მიღებული შედეგების პასუხს დებულობენ სპეციალური ატლასის

საშუალებით, რომელშიც მოცემულია ინტენსივობის შესაბამისი განსასაზღვრავი ელემენტის პროცენტული შემცველობა. შიგა სტანდარტად გამოყენებულია რკინა, რადგან მისი სპექტრი კარგად არის შესწავლილი და სპექტრის ყველა უბანში იძლევა ანალიზურ ხაზებს.

ანალიზის ჩატარება სტილოსკოპის საშუალებით (ნახ. 20) მდგომარეობს შემდეგში: საკვლევ ნიმუშსა და ელექტროდს შორის ინთება ელექტრული რკალი, რომლის გამოსხივება გაივლის კონცენტრირდება სტილოსკოპის ხვრელზე (2) და შემდეგ პრიზმა (3) მიმართავს ობიექტიზე (4) და გამოდიან მისგან პარალელურ კონად, რომლებიც მიემართებიან მადისპერგირებელ პრიზმაზე (5) და (6), სადაც ხდება დაშლა სპექტრებად. პრიზმა 6-ის დიდი კათეტი მოვერცხლილია. ამიტომ სხივები, რომლებიც აირეკლებიან მისგან, ისევ ბრუნდებიან უკან (6) და (5) პრიზმების გავლით, გადიან ობიექტში და ხვდებიან პრიზმაზე (7), რომელიც მიმართავს მათ ოკულარში (8). სპექტრის სხვადასხვა უბნებს ოკულარის მხედველობის არეში აყენებენ პრიზმის (6) მობრუნებით.




ნახ. 20. სტილოსკოპ CL-10 ოპტიკური სქემა და საერთო ხედი

გარე სტანდარტის მეთოდით განსაზღვრისას სპექტრის ანალიზი ტარდება სპექტროგრაფის საშუალებით. ფოტოფირზე იდებენ რამოდენიმე სტანდარტული ნიმუშების

სპექტრებს. გამშრალ და გამუდავნებულ ფოტოფირფიტას ათავსებენ სპექტროპროექტორში, რის საშუალებით ადგენენ თითოეული ელემენტის შესაბამის ხაზებს. შემდეგ მიკროფოტომეტრის MФ-2 საშუალებით ადგენენ სპექტრალური ხაზების გაშავების ხარისხს და მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კორდინატებში S-C (ნახ. 21), რისთვისაც აბსცისათა ლერძზე გადაზომავენ კონცენტრაციას C, ხოლო ორდინატთა ლერძზე გაშავების ხარისხს S, გაშავების ხარისხი

$$S = \frac{I_0}{I}$$

სადაც  $I_0$  არის ინტენსივობა გამავალი გაშავებულ ნაწილში,  $I$  – არაგაშავებულ ნაწილში. სიზუსტის გაზრდის მიზნით განსაზღვრას აწარმოებენ 2-3 ჯერ და იღებენ საშუალოს:



ნახ. 21. სპექტრული ხაზების გაშავების ხარისხის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების გრაფიკი

$$\Delta S = \gamma \lg a + \gamma \lg C$$

სადაც  $\gamma$  – კონტრასტულობის ფაქტორია. მიღებულ გრაფიკზე ინტერპოლაციის ხერხით ლებულობენ განსასაზღვრავი ნივთიერების კონცენტრაციას. ეს არის ფოტოგრაფიული სპექტრული ანალიზის ძირითადი განტოლება.


მეთოდის დადგებითი მხარეა მაღალი მგრძნობიარობა  $10^{-4}$ – $10^{-6}$ %. შესრულების სისწავით ექსპრეს მეთოდს წარმოადგენს. განსაზღვრას ესაჭიროება 2-3 წუთი. ნიმუში არ განიცდის არავითარ ცვლილებას (გარდა გახსნისა).

საკვლევ ობიექტში ელემენტის მაღალი შემცველობისას (%) სპექტრული ანალიზის სიზუსტე ნაკლებია

ქიმიურ ანალიზთან შედარებით. მცირე შემცველობისას სპექტრული ანალიზის სიზუსტე უფრო მაღალია, ვიდრე ქიმიური მეთოდების.

### ფოტოელექტრული მეთოდები

სპექტრის ფოტოელექტრული რეგისტრაციისას სინათლის ენერგიის გარდაქმნა ელექტრულ ენერგიად წარმოებს ფოტოელემენტის ან ფოტომამრავლის საშუალებით. სპექტრალური ხაზების შეფასება წარმოებს ელექტრული სიგნალის საშუალებით. ფოტოელექტრული დანადგარი შედგება ოთხი ძირითადი კვანძისაგან (ნახ. 22); სინათლის წყარო და მასთან დაკავშირებული კვების სქემა 1, სპექტრალური ხელსაწყო 2, სინათლის ენერგიის ელექტრულ ენერგიად გარდაქმნის მიმღები 3 და რეგისტრაციის მოწყობილობა, რომლის საშუალებით შეიძლება აითვალოს განსასაზღვრავი ელემენტის კონცენტრაცია.



ნახ. 22. ფოტოელექტრული დანადგარის სქემა

სინათლის წყარო უნდა აქმაყოფილებდეს სპექტრალური ხაზების საკმაო ინტენსივობას და განმუხტვის სტაბილურობას. ყველაზე ხელსაყრელი წყაროა ცვლადი დენის რკალი. რკალის წვის სტაბილიზაციისათვის გამოყენებულია სპეციალური ელექტრული განმუხტვის სქემები.

სინათლის სხივის დაშლისათვის გამოიყენება დიფრაქტოული პრიზმული სპექტრული ხელსაწყოები. სინათლის ფოტოელემენტებით და ფოტომამრავლით რეგისტრაციისას გამოიყენება მინის ოპტიკა, იგი მოთავსებულია მინის ბალონში, რომელიც გაუმჯორვალეა ულტრაინფერი სხივებისათვის. გარდა ამისა, სპექტრის ხილულ უბანში მუშაობა ხელსაყრელია იმით, რომ შესაძლებელია გამოყოფილი ანალიზური ხაზების ვიზუალურად დაკირვება.

სპექტრალური ხელსაწყოს კამერული ობიექტივის ფოკალურ სიბრტყეში მოთავსებულია გაუმჯორვალე ხვრელიანი ეკრანი, რომელშიც გადის ანალიზური ხაზები. ხვრელის შემდეგ მოთავსებულია სინათლის მიმღები – ფოტოელემენტი ან ფოტომამრავლი.

ფოტოგრაფიული მეთოდისაგან განსხვავებით ფოტოელექტრულ მეთოდში არ არის სავალდებულო ხვრელის თანაბარი განათება, ყველაზე გავრცელებულ მიმღებს წარმოადგენს ფოტომამრავლი, რადგან ფოტოელემენტს ახასიათებს ნაკლები მგრძნობიარობა და ამიტომ იშვიათად გამოიყენება.

ფოტოელექტრული დანადგარის მარეგისტრირებელი ნაწილი შეიცავს ინდიკატორს, რომლის ჩვენება მიმღებიდან გამოსული ელექტრული სიგნალის შესაბამისი სპექტრალური ხაზების პროპორციულია, აგრეთვე გამაძლიერებელ მოწყობილობას, რადგან სინათლის მიმღებში წარმოქმნილი ელექტრული სიგნალის ინდუქტორით რეგისტრაცია არ არის საკმარისი. ინდიკატორად გამოყენებულია გალვანომეტრი ან ოსცილოგრაფი.

ამრიგად, ყველაზე გავრცელებული ფოტოელექტრული მეთოდის მარეგულირებელი მოწყობილობა შედგება კონდენსატორის, გამაძლიერებლის და ინდიკატორისაგან. კონდენსატორულ სქემაში დენის ძალის გაზიარება ხდება ისე, რომ ინდუქტორის ჩვენება, რომელიც ზომავს ანალიზური ხაზე-

ბის წევილის სინათლის ნაკადს, იყოს ამ ხაზების ინტენ-სივობის, ანუ მინარევების კონცენტრაციის პროპორციული.

კონცენტრაცია შეიძლება გამოისახოს გრაფიკულად, რომლის ერთ დერძზე გადაზომავენ ინდიკატორის ჩვენებას, ხოლო მეორეზე სინჯში ელემენტის კონცენტრაციას. გრაფიკის აგება, მსგავსად ფოტოგრაფიული მეთოდისა, წარმოებს ეტალონების გამოყენებით.

ფოტოელექტრული მეთოდის უპირატესობა ფოტოგრა-ფიულთან შედარებით არის შესრულების სისწრაფე, მაღა-ლი სიზუსტე. ცდომილებაა 0,5% საერთო შემცველობიდან, რაც ხორციელდება სტაბილური სინათლის წყაროების გამოყენებით.

ამრიგად, შემუშავებულია მთელი რიგი ფოტოელექ-ტრული დანადგარები, რომლებიც განსხვავდებიან მარეგის-ტრირებელი მოწყობილობის სქემებით.


## ლაბორატორიული სამუშაოები

### სამუშაო 1. ფოლადში ქრომის რაოდენობის განსაზღვრა სტილოსკოპის CL -10-ის საშუალებით

სტილოსკოპის მაგიდაზე (6) ათავსებენ სუფთა რკინის ნიმუშს, ხოლო დამჭერში რკინის ცილინდრულ ელექტ-როდს. მათ შორს ანთებენ რკალს და განსაზღვრავენ სუფ-თა რკინის სპექტრს. პოულობენ ამ სპექტრში რკინის და-მახასიათებელ ხაზების ჯგუფებს და საზღვრავენ მათ ტალღის სიგრძეს სკალის (4) საშუალებით. მილიმეტრების წილს აითვლიან თვალით.

სტილოსკოპის მაგიდაზე ათავსებენ ქრომის შემცველ ნიმუშს. ამ ნიმუშსა და რკინის ცილინდრულ ელექტროდს შორის ანთებენ რკალს, რის შემდეგ სპექტრის მწვანე

ნაწილში პოულობენ ქრომის ხაზებს 1 და 2 და რკინის შესაბამის ხაზებს (ნახ. 23).



**ნახ. 23. სტილოსკოპის მხედველობის არე ფოლადში ქრომის განსაზღვრის დროს**

ოკულარს გადაიყვანენ სპექტრის ცისფერ ნაწილზე, პოულობენ ქრომის დამახასიათებელ ჯგუფებს 4 და 5 და რკინის ხაზებს 6,7 და 8. გადაიყვანენ ოკულარის სპექტრს იისფერ-მოცისფერო ნაწილზე. პოულობენ ქრომის ხაზების დამახასიათებელ ჯგუფებს 9 და 10 და რკინის ხაზებს 11 და 12. ქრომის და რკინის ხაზების ტალღის სიგრძეები მოყვანილია ცხრილში 5.

#### **ცხრილი 5.**

ჯგუფი	ქრომის ხაზები	ნომერი	რკინის ხაზები	ნომერი
Cr <sub>1</sub>	5204,52	1	5202,34	3
	5208,44	2	-	-
Cr <sub>2</sub>	4646,17	4	4647,44	6
	4652,16	5	4643,47	8
Cr <sub>3</sub>	4351,05	9	4352,74	11
	4371,26	10	4375,93	12

ადარებენ რკინისა და ქრომის ხაზებს და ცხრილში 6 მოყვანილი მონაცემების მიხედვით საზღვრავენ ქრომის

რაოდენობრივ შემცველობას საკვლევ ნიმუშში ხაზების ინტენსივობის ტოლობით.

### ცხრილი 6.

ხაზების ჯგუფი	ხაზების ინტენსივობათა შეფარდება	ქრომის შემცველობა
Cr <sub>1</sub>	2=3 1=3	0,1 0,2 0,258
Cr <sub>2</sub>	{4<6      5≤8 4=6      5<7 4>6      5≤7	0,3-0,7 0,7-1,1 1,5-2,2
Cr <sub>3</sub>	9<11    10<12 9=11    10=12	2,5-8,0 8,0-13

### სამუშაო 2. ფოლადში სილიციუმის განსაზღვრა სტილოსკოპ „სპექტრი“-ს საშუალებით

სპექტრის აგზნება წარმოებს დაბალვოლტიანი ნაპერწ-  
კალით სპილენძის დისკური ელექტროდის გამოყენებით.  
სპექტრზე დაკვირვება ხდება წყაროს გამოსახულების  
ხვრელზე მკვეთრი ფოკუსირებით. ანალიზის დროს გამო-  
იყენება სილიციუმის ხაზები სპექტრის წითელ უბანში:  
Si11 634, 701 ნმ.




**სპექტრალური ნიშნები ფოლადში სილიციუმის  
განსაზღვრისათვის**

სილიციუმის შემცველობა, %	ინტენსივობის შეფასება	შენიშვნა
0,1	1=3; 2 კვალი	ინტენსივობის შეფასება
0,2	1>3; 1<4; 2 არის	გარდება
0,55	1>4; 1≤5; 2=4	გენერატორის ჩართვის 20
0,5	1>5; 2>4	წამის შემდგა
0,9	1>5; 2>4	
	1>>5; 2=5 2>>4	

**სამუშაო 3. ფოლადში ნახშირბადის განსაზღვრა  
სტილოსკოპ „სპექტრი”-ს საშუალებით**

სპექტრის აღგზნება ხდება დაბალვოლტიანი ნაპერწყალით სპილენძის დისკური ელექტროდის გამოყენებით. სპექტრზე დაკვირვება წარმოებს წყაროს გამოსახულების ხვრელზე მკვეთრი ფოკუსირებით. ანალიზის დროს გამოიყენება ნახშირბადის ხაზები სპექტრის წითელ უბანში განლაგებული წყალბადის ყველაზე განიერი ხაზების მარჯვნივ ( $H_2$  655, 285 ნმ).




**სპექტრალური ნიშნები ფოლადში ნახშირბადის  
განსაზღვრისათვის**

ნახშირბადის შემცველობა, %	ინტენსივობის შეფასება	შენიშვნა
0,04	1-არის; 2-ფეოქდება	ინტენსივობის
0,15	1>3; 2-კვალ	შეფასება
0,25	1<3; 2 არის	ტარდება
0,30	1<3; 2<3	გენერატორის
0,40	1>3; 2<3	ჩართვის 15-20
0,60	1=4; 2=3	წამის შემდეგ
0,70	1=4; 2>3	
0,90-1,0	1>4; 2=4	

**სამუშაო 4. ფოლადში გოგირდის განსაზღვრა სტილოსკოპი  
„სპექტრი”-ს საშუალებით**

გოგირდზე ელექტრული მუხტის ზემოქმედებით იგი სწრაფად გამოიწვება. შეფასება უნდა ჩატარდეს წყაროს ჩართვისთანავე. სპილენძის დისკური ელექტროდის გამოყენებისას სპექტრი ადიგზნება დაბალვოლტიანი ნაკერწვლით. ანალიზის დროს გამოიყენება გოგირდის ყველაზე მგრძნობიარე შაბი 11 545,635ნმ, რომელიც განლაგებულია სპექტრის მწვანე უბანში.



**სპექტრული ნიშნები ფოლადში გოგირდის  
განსაზღვრისათვის**

გოგირდის შემცველობა, %	ინტენსივობის შეფასება	შენიშვნა
0,01-0,02	1<3; 1<2	ინტენსივობის შეფა- სებას იწყებენ წი- ნასწარი გამოწვის გარეშე
0,03-0,04	1=3 1=3	
0,05-0,06	1≥3; 1>2	

## ალის ფოტომეტრია

ალის ფოტომეტრია ემისიური სპექტრული ანალიზის სახესხვაობაა, რომელიც დამყარებულია მაღალი ტემპერატურის ალში აღგზნებული ნივთიერების ატომების გამოსხივების ინტენსივობის გაზომვაზე. საანალიზო ნივთიერება აეროზოლის სახით შეფავთ ნათურის ალში, სადაც ხდება აორთქლება და ატომების ნაწილი ალის სითბური ენერგიის ხარჯზე აღიგზნება. გამოსხივების ინტენსივობას, რომელსაც შუქფილტრი გამოყოფს საერთო ნაკადიდან, ზომავენ ფოტოელექტრული ხელსაწყოებით. ალი იძლევა შედარებით დაბალ ტემპერატურას. ასეთ ალში აღიგზნება დაბალი იონიზაციის პოტენციალის მქონე ელემენტები, მაგალითად, ტუტე და ტუტემიწათა ელემენტები.

გამოსხივების ინტენსივობა დამოკიდებულია ნივთიერების კონცენტრაციაზე, ტემპერატურაზე, ალის შედგენილობაზე და ფორმაზე, რომელიც გაზომვის პირობებში, გარდა კონცენტრაციისა, უნდა იყოს სტაბილური.


საწვავის შერჩევა ხდება შესაძლებლობის და მიზნის მიხედვით. ალის შედგენილობა და ტემპერატურა დამოკიდებულია, თუ რა საწვავს და რომელ დამჟანგავს გამოვიყენებთ. მეთანის და პროპანის ნარევის ჰაერთან დაწვის შედეგად მიიღება  $1800\text{--}1950^\circ$ . ჰაერის ჟანგბადით შევცვლით, ტემპერატურა აიწვევს  $2000\text{--}2200^\circ$ -მდე, წყალბადის ან აცეტოლენის გამოყენებისას  $3000^\circ$ -მდე, აზოტის ჟანგის, ან დიციანის დაწვით ჟანგბადში, ან ოზონით გამდიდრებულ ნარევში, ტემპერატურა  $4000^\circ$ -ს აღწევს.

ტემპერატურის გაზრდით ემისიის ინტენსივობა იზრდება, გაიზრდება მგრძნობიარობაც. ხანდახან მგრძნობიარობა იმდენად მაღალია, რომ ჩვეულებრივ ტემპერატურაზეც მი-

დის რეაქცია. რაც უფრო ძნელად ადგზნებადია ელემენტი, მით უფრო მარტივია გამოსხივების სპექტრი და პირიქით.

### ალის შედგენილობის სქემა

ალი რთულ შედგენილობის სისტემაა. მისი ცალკეული უბნები განსხვავდებიან შედგენილობით, უანგგა-ალდგენითი უნარით და ტემპერატურით. ნახ. 24 მოცემულია ალის შედგენილობის სქემა, რომელიც მიღებულია მანათობელი გაზის და ჰაერის ნარევისაგან. მოყვანილია მისი ცალკეული ნაწილების ტემპერატურა. იგი შედგება შიგა აღდგენითი და გარე დამჟანგავი უბნებისაგან.



ნახ. 24. ალის  
შედგენილობის სქემა:  
1 - აღდგენითი ზონა,  
2 - შიგა კონუსი,  
3 - ჰაერის კონუსი,  
4 - გარე კონუსი

შიგა არეში მიმდინარეობს თერმული დისოციაცია და ნარევის კომპონენტების დაწვა, რომელიც წარმოიქმნება დამჟანგავის უკმარისობისას ( $CO$ ,  $C_2$  და  $H_2$ ).

გარე უბანში მიმდინარეობს ამ ნივთიერებების სრული დაჟანგვა  $CO_2$  და  $H_2O$ . შიგა და გარე უბნები გამოყოფილია შიგა კონუსით, რომელშიც მიმდინარეობს დაჟანგვა. იგი შეფერილია მომწვანო-ცისფერ ფრად, რომელიც გამოწვეულია რადიკალების  $C_2$  მოლეკულური გამოსხივებით.

გარდა ამისა, მასში არის მოლეკულები  $N_2$ ,  $O_2$ ,  $CO$ . მათი გამოსხივება თითქმის ფარავს მოელ სპექტრს. ამიტომ შიგა სფერო არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალიზური მიზნებისათვის. ალის გარე არე შეიცავს მაღალი ტემპერატურის შემცველ სრული წვის პროდუქტებს  $CO$ ,  $H$ ,  $O$ , რომლებიც ინტენსიურად გამოასხი-

ვებს ინფრაწითელ უბანში და ნაკლებად ხილულ და ულტრაიისფერ უბნებში, რაც ხელსაყრელია ელემენტის ატომური სპექტრების მისაღებად.


ალი სარეაქციო არის როლს ასრულებს. მასში რთულ პროცესებს აქვს ადგილი. ალში შემოდის აეროზოლი. გვაქვს აირის და სითხის წვეთები, გაცხელებით მიიღება მარილების ორთქლი. ტემპერატურის შემდგომი გაზრდით ხდება ატომიზაცია. ტემპერატურის გავლენით ატომები გადადიან აგზნებულ მდგომარეობაში, რომელთა განმუხტვა იძლევა სასარგებლო სიგნალს. სპექტრალური ხაზების ინტენსივობა მუდმივ პირობებში ალში შეყვანილი ელემენტის ატომების ან საკვლევ ხსნარში მარილის კონცენტრაციის პროპორციულია.

მაგრამ რეალურ პირობებში ეს დამოკიდებულება შეიძლება დაირღვეს, ადგილი აქვს მეორად პროცესებს, რომლებიც ართულებენ განსაზღვრას, კერძოდ, შესაძლებელია მოხდეს მეტალის იონიზაცია, იონიც გადავიდეს აგზნებულ მდგომარეობაში, ჰიდროჟანგების და ოქსიდების წარმოქმნა, მათი აგზნება და გამოსხივება. მაღალი კონცენტრაციების დროს გავლენას ახდენს თვითშთანთქმა (არააგზნებული ატომების მიერ შთანთქმული ენერგიის რაოდენობა), დაბალი კონცენტრაციების და მაღალი ტემპერატურის დროს თვითშთანთქმას ადგილი არა აქვს. ორივე შემთხვევაში გრაფიკის სწორხაზოვანი დამოკიდებულება ირღვევა. ამ პროცესების მართვა შეიძლება პროტექტორების საშუალებით, მაგალითად, კალიუმის და ნატრიუმის განსაზღვრისას ხსნარში შეყვავთ ცეზიუმი. იგი იონიზირდება და ახშობს კალიუმის და ნატრიუმის იონიზაციას. თუ ყოველივე ეს შესაძლებელი არ არის, მაშინ განსაზღვრას აწარმოებენ შესადარებელ ხსნარების თანაობისას, რომელიც შეიცვას საკვლევ ხსნარში შემცველ ყველა ნივთიერებებს.

## ალის ფოტომეტრის პრინციპული სქემა

ალის ფოტომეტრი რამდენიმე ბლოკისაგან შედგება: მფრქვევანა, აეროზოლი გამდიდრებული ჟანგბადით შედის სისტემაში და იწვის, ჩაზნექილი სარკე გამოსხივების გასაძლიერებლად, ლინზები, შუქფილტრები ან მონოქრომატორი, ფოტოელემენტები და გამზომი სისტემა (ნახ. 25).

პარი, რომელიც შედის შემრევში (2), თან წარიტაცებს კოლბიდან (1) საანალიზო ხსნარის წვეთებს. წარმოქმნილი აეროზოლი საწვავ გაზთან ერთად ხვდება ნათურის აღში (4).



ნახ. 25. ალის ფოტომეტრის სქემა:

- 1 - კოლბა საანალიზო ხსნარით; 2 - შემრევი; 3 - სარკე;
- 4 - ნათურის ალი; 5 - ლინზები; 6 - შუქფილტრები;
- 7 - ფოტოელემენტი; 8 - ფოტოგამაძლიერებელი;
- 9 - გამზომი სისტემა

გამოსხივება ოპტიკური სისტემის საშუალებით პროექტირდება მონოქრომატორზე, რომელიც გამოყოფს გარკვეული ტალღის სიგრძის გამოსხივებას. ალის ფოტომეტრში ეს არის შუქფილტრების ბლოკი (6). გამოსხივება მიემართება ფოტომეტრზე (7). წარმოქმნილი ფოტოდენტი ძლიერდება ფოტოგამაძლიერებლით (8) და სიგნალი შედის მარკ-

გულირებელ მოწყობილობაზე (9). თუ მარეგულირებელი მოწყობილობა არის ამპერმეტრი, მაშინ მისი ისრის გადახრა საანალიზო ხსნარში განსასაზღვრავი ნივთიერების კონცენტრაციის პროპორციულია.

ვინაიდან განსაზღვრის დროს საქმე გვაქვს ფეთქებად ნივთიერებასთან, განსაკუთრებით ჟანგბადის გამოყენებისას, უპირველეს ყოვლისა კურადღება უნდა მიექცეს უსაფრთხოების წესების დაცვას. კველაზე მნიშვნელოვანია მფრქვევანას მუშაობა, რადგან იგი პრაქტიკულად განსაზღვრავს მეთოდის მგრძნობიარობას. მისი ნაკლი არის ის, რომ თუ ნაწილაკების ზომა აღემატება 10 მპ, იგი ვერ ასწრებს ატომიზაციას. ამიტომ გამოიყენება შედარებით როტული მფრქვევანები, რომელშიც კონდენსირებული მსხვილი წვეოები ისევ უბრუნდება საწყის მოცულობას.

განსაზღვრისათვის საჭიროა ხინჯის მომზადება, გადაყვანა თხევად მდგომარეობაში, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს წყალი, მჟავები. თუ ნივთიერების შემცველობა მცირეა, სასურველია გაიხსნას რომელიმე ორგანულ გამსხველები, რაც ზრდის მეთოდის მგრძნობიარობას.

### **ხსნარის შემადგენლობის გავლენა გამოსხივების ინტენსივობაზე**

გამოსხივების ინტენსივობაზე გავლენას ახდენს ხსნარის შედგენილობა ტემპერატურა, სიბლანტე და ზედაპირული დაჭიმულობა. ტემპერატურის შეცვლა  $10-15^{\circ}$ -ით ინტენსივობას 3-5%-ით ცვლის. სიბლანტე და ზედაპირული დაჭიმულობა განსაზღვრავენ აეროზოლში სითხის დისპერსულობის ხარისხს. რაც მეტია დისპერსულობის ხარისხი, მით მეტია გამოსხივება. თუ წვეოს ზომა მეტია 10 მპ, იგი მცირე დროში ვერ ასწრებს აორთქლებას და სიგნალი არ მიიღება. სიბლანტის შეცვლა შეიძლება მოხდეს ორგანული

გამსსნელების შეყვანით. ორგანული გამსსნელების გაფლენა მით მეტია, რაც მეტია მისი წვის სითბო.

გამოსხივების ინტენსივობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იონური შედგენილობა ე. წ. „ანიონური ეფექტი“. ანიონების შემცველობა ხსნარში ცვლის ნივთიერების აქროლადობას, რაც გამოიწვევს მგრძნობიარობის შესუსტებას.

თუ საკვლევ ხსნარში ობიექტის შემცველობა მცირეა, საჭიროა მისი კონცენტრირება. ამ დროს კონცენტრირდება ხელისშემშლელი ანიონებიც, საჭიროა მათი დაცილება დალექცით, ექსტრაქციით ან ზოგიერთი კომპლექსონების შეყვანა, მაგალითად,  $Ca^{2+}$  და  $Mg^{2+}$  განსაზღვრისას კომპლექსონ III-ის შეყვანა. თუ ეს შესაძლებელი არ არის, მაშინ სტანდარტებში შეყვანა იგივე იონი შესაბამისი კონცენტრაციით.

რაოდენობრივ განსაზღვრას აწარმოებენ მაგრადუირებელი გრაფიკის აგებით, რისთვისაც ხელსაწყოში შეყვავთ სტანდარტული ხსნარები მზარდი კონცენტრაციით, ზომავენ ემისიას და მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს. დამოკიდებულება სწორხაზოვანია, რომლის მიხედვით გამოთვლიან ნივთიერების შემცველობას საანალიზო ხსნარში.

მეთოდი მარტივია, სწრაფი. განსაზღვრას ესაჭიროება რამდენიმე ათეული წამი, მგრძნობიარეა  $10^{-3}$ – $10^{-5}\%$ , 1–2% ცდომილებით. სინჯის წინასწარი დამუშავება, გარდა გახსნისა, არ არის საჭირო. ალის ფოტომეტრული მეთოდით შეიძლება განისაზღვროს ტუტე და ტუტემიწათა ელემენტები.

## **ლაბორატორიული სამუშაოები**

### **სამუშაო 1. კალიუმის განსაზღვრა ალის ფოტომეტრიული მეთოდით**

მეთოდი დამყარებულია ალში აგზებული განსასაზღვრავი ელემენტის გამოსხივების ხაზების ინტენსივობის შედარებაზე სტანდარტული ხსნარების გამოსხივების ხაზების ინტენსივობასთან.

#### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. კალიუმის სტანდარტული ხსნარი კონცენტრაციით 100მგ/მლ

ქიმიურად სუფთა KCl 0,0191 გ ხსნიან მცირე რაოდენობის გამოხდილ წყალში, გადააქვთ 100მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდონევენ.

2. ადგზნების წყარო, მანათობებით გაზი - ჰაერი.

3. ალის ფოტომეტრი.

#### **ანალიზის მსგლელობა**

100 მლ საზომ კოლბებში შეჰყავთ 1,0; 2,0; 4,0; 6,0; 8,0; და 10მლ სტანდარტული ხსნარები, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდონევენ, ჩართავენ ხელსაწყოს და ამზადებენ მას განსაზღვრისათვის, შეარჩევენ სათანადო შუქფილტრს და ახურებენ 30 წუთის განმავლობაში. კომპრესორის საშუალებით აყენებენ წნევას 60-80 კპა. საწვავი გაზის და დამჟანგავის სწორად შერჩევისას ალის კონუსს აყენებენ მინიმალურ სიმაღლეზე, რომელიც მომწვანო-ცისფრად არის შეფერილი. შუქფილტ-

რებს აყენებენ კალიუმზე. მიკროამპერმეტრს ნულოვან მდგომარეობაზე აყენებენ გამოხდილი წყლით. ალში აფრქვევენ კალიუმის მაქსიმალური შემცველობის ხსნარს, რის შემდეგ ისევ აფრქვევენ გამოხდილ წყალს ისრის ნულოვან მდგომარეობაში დასაბრუნებლად. ყოველივე ამის შემდეგ მიმდევრობით აწარმოებენ სტანდარტული და საკვლევი ხსნარების ფოტომეტრირებას. პირველად ალში ათავსებენ სტანდარტულ ხსნარს მაქსიმალური კონცენტრაციით და მგრძნობიარობის სახელურის საშუალებით აყენებენ გამზომი ხელსაწყოს 100 დანაყოფზე.

ამოწმებენ ხელსაწყოს ნულზე დაყენების სისწორეს და გამზომი ხელსაწყოს მაქსიმალურ ანათვალს. შემდეგ განსაზღვრას აწარმოებენ დაბალი კონცენტრაციიდან მაღლამდე. ყოველი განსაზღვრის შემდეგ მფრქვევანას და გაზის ნათვრას რეცხავენ გამოხდილი წყლით, რომელსაც შეაფრქვევენ ალში, რის შემდეგ ხელსაწყო უბრუნდება ნულოვან მდგომარეობას. თითოეული ხსნარისათვის განსაზღვრას აწარმოებენ 3-ჯერ და იღებენ საშუალო მნიშვნელობას. მუშაობის დამთავრების შემდეგ მფრქვევანას გულდასმით რეცხავენ გამოხდილი წყლით 5-10 წუთის განმავლობაში და გამორთავენ ხელსაწყოს.

ანალიზის შედეგებს ანგარიშობენ ფორმულით:

$$C_x = C_{b\beta} a_x / a_{b\beta}.$$

სადაც  $C_x$  და  $C_{b\beta}$  არის ელემენტის კონცენტრაცია სტანდარტულ და საკვლევ ხსნარებში.  $a_x$  და  $a_{b\beta}$  - ფოტოდენის მნიშვნელობები (გალვანომეტრის ისრის გადახრა)  $C_x$  და  $C_{b\beta}$  კონცენტრაციების შესაბამისად.

## **სამუშაო 2. ნატრიუმის განსაზღვრა ალის ფოტომეტრული მეთოდით**

მეთოდი დამყარებულია მაღალი ტემპერატურის ალში აგზნებული საანალიზო ნივთიერების ატომების გამოსხივების ინტენსივობის გაზომვაზე.

### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. ნატრიუმის სტანდარტული სსნარი 100მგ/მლ.

ქიმიურად სუფთა 0,0254გ NaCl სსნიან მცირე რეოდენობის წყალში, გადააქვთ 100მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ.

2. აღგზნების წყარო მანათობელი გაზი-ჰაერი.

3. ალის ფოტომეტრი.

4. კომპრესორი.

### **განსაზღვრის მსვლელობა**

100მლ საზომ კოლბაში შეჰყავთ 1,0; 2,0; 4,0; 6,0; 8,0 და 10 მლ სტანდარტული სსნარები, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ. ჩართავენ ხელსაწყოს, შეარჩევენ შუქფილტრს ნატრიუმზე და ახურებენ 30 წუთის განმავლობაში. კომპრესორის საშუალებით წნევას აყენებენ 60-80 კპა. საწვავი გაზის და მჟანგავის სწორად შერჩევის შემდეგ ალის კონუსს აყენებენ მინიმალურ სიმაღლეზე, რომელიც შეფერილია მომწვანო ცისფრად. ყოველივე ამის შემდეგ მიმდევრობით აწარმოებენ სტანდარტული და საპკლევი სსნარების გამოსხივების ინტენსივობის გაზომვას. პირველად ალში შეაფრქმევენ სტანდარტულ სსნარებს მაქსიმალური კონცენტრაციით და

მგრძნობიარობის სახელურს აყენებენ გამზომ ხელსაწყოს 100 დანაყოფზე.

ამოწმებენ ხელსაწყოს ნულზე დაყენების სისწორეს გამოხდილი წყლის შეფრქვევით და აწარმოებენ ფოტომეტრირებას დაბალი კონცენტრაციიდან მაღალზე გადასვლით. ყოველი განსაზღვრის შემდეგ მფრქვევანას და გაზის ნათურას რეცხავენ გამოხდილი წყლით, რომელსაც შეაფრქვევენ ალჟი, რის შემდეგ ხელსაწყო უბრუნდება ნულს. განსაზღვრას აწარმოებენ 3-ჯერ და იდებენ საშუალოს. მუშაობის დამთავრების შემდეგ მფრქვევანას გულდასმით რეცხავენ გამოხდილი წყლით 5-10 წუთის განმავლობაში და გამორთავენ ხელსაწყოს.

მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში: მიკროფოტომეტრის ჩვენება – კალიუმის კონცენტრაცია, რის მიხედვით ხდება საანალიზო ხსნარის კონცენტრაციის განსაზღვრა.

## თავი VII

### ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრია


ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრია დამყარებულია თავისუფალ მდგომარეობაში მყოფი არააგზნებული ატომების რეზონანსული შთანთქმის გაზომვაზე. ატომის აღგზნებისას ყველაზე შესაძლებელი უნერგუტიკული დონის ცვლილება არის მისი გადასვლა იმ დონეზე, რომელიც ახლოა საწყის ენერგეტიკულ მდგომარეობასთან, ანუ რეზონანსული გადასვლა.

თუ არააგზნებულ ატომს დავასხივებთ რეზონანსული გადასვლის სიხშირით, ატომი შთანთქავს ქვანტს და გამოსხივება შემცირდება. ეს მოვლენა საფუძვლად უდევს ატომურ-აბსორბციულ სპექტროფოტომეტრიას. თუ ემისიურ სპექტროსკოპიაში ნივთიერების კონცენტრაცია დაკავშირებულია გამოსხივების ინტენსივებასთან, რომელიც აღგზნებული ატომების რიცხვის პირდაპირპოპორციულია, ატომურ-აბსორბციულ სპექტროფოტომეტრიაში ანალიზური სიგნალი (გამოსხივების ინტენსივობის შემცირება) დაკავშირებულია არააგზნებული ატომების რიცხვთან, რომელიც აღში გაცილებით მეტია, ვიდრე აგზნებული ატომები. ვინაიდან ორთქლის მდგომარეობაში შთანთქმის და გამოსხივების ენერგიები ტოლია, ამიტომ აგზნების წყაროდ გამოყენებულია იმავე ელემენტის მიერ გამოსხივებული ენერგია, ანუ ე. წ. რეზონანსული ტალღები. თეორიულად ამ ტალღის ზოლის სიფართე  $10^{-5}$  ნმ-ის ტოლია, არც ერთი მონოქრომატორი ასეთ ვიწრო ზოლს არ გამოყოფს, თანაც მას უნდა ჰქონდეს მაღალი ენერგია, რომ აღაგზნოს ორთქლისებურ მდგომარეობაში მყოფი ატომები.

ამ საკითხის გადაჭრა მოხერხდა მაშინ, როდესაც შემოღებული იქნა ე. წ. რეზონანსული ნათურები. იგი

წარმოადგენს ღრუ კათოდის მქონე ნათურებს. კათოდი დამზადებულია იმავე ელემენტისაგან, რომლის განსაზღვრაც სწარმოებს. თუ კათოდი მზადება სხვა ელემენტისაგან, მაშინ იგი იფარება იმავე ელემენტის თხელი ფენით. ანოდად გამოყენებულია ლითონის ღერო, რომელიც მოთავსებულია კათოდის გეერდით. ნათურაში მოთავსებულია ნეონი ან არგონი. კათოდის დაყუმბარებისას იგი გადადის აგზებულ მდგომარეობაში და იძლევა რეზონანსული გამოსხივების მძლავრ ნაკადს.

ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრის ბლოკ-სქემა მოცემულია ნახ. 26.



ნახ. 26. ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრის ბლოკ-სქემა

რეზონანსული გამოსხივების წყაროდან (1) სინათლის სხივს ატარებენ ალჟი, რომელშიც შეაფრქვევენ საანალიზო სინჯის წვრილდისპერსულ აეროზოლს. სპექტრში რეზონანსული გამოსხივების ხაზებს გამოყოფენ მონოქრომატორით (2) და მიმართავენ ფოტოელექტრულ დეტექტორებს (3) (ჩვეულებრივი ფოტომამრავლი). დეტექტორიდან

გამომავალი სიგნალი გამაძლიერებლის (4) შემდეგ რეგისტრირდება გალვანომეტრით (5), ციფრული ვოლტმეტრით, ან ჩამწერი პოტენციომეტრით (6), სპექტროფოტომეტრები ადჭურვილია ციფრული მბეჭდავით (7), სინჯის და მუანგავის ავტომატური მოწყობილობით (8, 9) ხვდება მფრქვევანაში (10) და შემრეებში (11).


რეზონანსული გამოსხივებას ზომავენ ორჯერ, ჯერ საანალიზო სინჯის შეფრქვევამდე და შეფრქვევის შემდეგ. ამ თრი ანალიზის სხვაობით განსაზღვრავენ ანალიზური სიგნალის სიდიდეს.

ალის მისაღებად სარგებლობენ საწვავი აირის და დამჟანგავის სხვადასხვა კომბინაციით, როგორიცაა, წყალბადის, პროპანის, აცეტილენის ნარევი პაერთან, ან აზოტის ოქსიდთან. ნარევი შეიძლება იყოს სტექიომეტრული, მასზე მეტიც და ნაკლებიც. თუ ნარევი სტექიომეტრულზე დაბალია, მას გადარიბებული ეწოდება, სტექიომეტრულზე მეტს კი გამდიდრებული.

უანგბადი სუფთა სახით, როგორც დამჟანგავი, თითქმის არ გამოიყენება, რადგან საწვავი აირის მასთან შერევისას

წვა მიმდინარეობს დიდი სიჩქარით და კონტროლს არ ექვემდებარება.

ლამინარული ალი შედგება სამი ზონისაგან ნახ. 27. პირველი სარეაქციო ზონის სიგანე 1 მმ-ია, რომელშიც ტემპერატურა არის არანაკლები  $1000^{\circ}\text{C}$ -ის. ამ ზონაში ხდება აირების პიდროლიზი, ატომიზაცია უმნიშვნელოა და ანალიზისათვის ამ ზონას არ იყენებენ. შიგა კონუსის ზონაში საწვავი აირების სიჭარ-



ნახ. 27. ლამინარული ალის ზონები:

- 1 – პირველი სარეაქციო;
- 2 – შიგა კონუსი;
- 3 – მეორე ალი სარეაქციო.

ბეა. ამიტომ მასში ჭარბობს უარყოფითად დამუხტული რადიკალები და მოლეკულები, რომლებსაც ახასიათებს აღმდგენელი მოქმედება:  $C_2$ ,  $CN$ ,  $CO$ ,  $CH$ ,  $H_2$ ,  $NH$ . ამ ზონაში მოცემული აირებისათვის ტემპერატურა მაქსიმალურია. შიგა ზონაში დაკვირვება ხდება იმ ელემენტების აბსორბციაზე, რომლებიც წარმოქმნიან მდგრად ჟანგეულებს, ან ჰიდროჟანგებს (ალუმინი, მოლიბდენი და სხვ.).


მეორე სარექციო ზონაში საწვავი აირების დაჟანგვა მიდის ბოლომდე ნახშირწყალბადების შემთხვევაში  $CO_2$  და  $H_2O$ -ს წარმოქმნით. ამ ზონაში დაკვირვება ხდება იმ ელემენტების აბსორბციაზე, რომლებიც არ წარმოქმნიან თერმულად მდგრად ჟანგეულებს (სპილენი, ვერცხლი, ოქრო, თუთია, მანგანუმი და სხვ.). განსაზღვრები ამ ზონაში ხასიათდებიან სტაბილურობით.

ატომურ-აბსორბციულ სპექტროფოტომეტრიაში გამოიყენება ორი სახის ალი: ჰაერი-აცეტილენი და აზოტის (1) ოქსიდი-აცეტილენთან. ჰირველი გამოიყენება ტუტე და ტუ-ტემიწათა ელემენტების განსაზღვრისას. ამ მინარევს ახასიათებს მაღალი გამჭვირვალობა 200 ნმ ტალღის სიგრძის უბანში, სუსტი საკუთარი ემისია და უზრუნველყოფს 30-ზე მეტი ელემენტის მაღალ ეფექტურ ატომიზაციას.

აცეტილენისა და აზოტის (1) ოქსიდის ნარევს აქვს თითქმის 900 K-ზე უფრო მაღალი ტემპერატურა. ალი ხასიათდება მაღალი გამჭვირვალობით ტალღის სიგრძის მთელ ინტერვალში (190–850 ნმ). ეს კი იძლევა 70-ზე მეტი ელემენტის განსაზღვრის შესაძლებლობას მგრძნობიარობით  $10^{-4}$ – $10^{-10}$  გრ.

მეორე მნიშვნელოვანი ბლოკია ატომიზაციის ბლოკი, რასაც ბევრი საერთო აქვს ალის ფოტომეტრიასთან: მფრქვევანა, დამჟანგავი, ალი. სხვაობა არის ის, რომ აქ უფრო დახვეწილი სისტემაა გამოყენებული. უფრო მცირე რაოდენობის განსაზღვრაა საჭირო. ალი ასრულებს კიუვე-

ტის როლს, რადგან ატომურ-აბსორბციულ სპექტროფოტომეტრიაში დაცულია ბერის კანონი, მეთოდის მგრძნობიარობა დამოკიდებულია ალის მშთანთქმელი ფენის სიგრძეზე. ამ მიზნით შემოღებულია ხვრელიანი ნათურები, რომელიც იძლევა წვრილ ბრტყელ ალს დიდი სიგრძის მშთანთქმელი ფენით (ნახ. 28), რომლის ზედა ნაწილში 12 სმ სიგრძის ხვრელია, იგი უზრუნველყოფს აირის ლამინარულ ნაკადს. წინასწარ შერეული საწვავის და მჟანგავის ნარევის გამოყოფა სარეაქციო არედან ხდება ამ ხვრელის საშუალებით. დიდი კონცენტრაციების განსაზღვრისას საჭიროა ხსნარის განზავება ან ნათურის შემობრუნება  $90^{\circ}$ -ით, რის შედეგად იცვლება მშთანთქმელი ფენის სიგრძე.



**ნახ. 28. ხვრელიანი ნათურა**  
საჭიროა გამოყენებულ იქნეს უფრო რთული მფრქვევანები, რომლებშიც კონდენსირებული წვეთები უბრუნდება საწყის მდგომარეობას, რის შედეგად ხარჯი მცირდება 0,1–0,5 მლ-მდე.

მონოქრომატორი საჭიროა იმისათვის, რომ მოიხსნას ინერტული აირების გამოსხივება, ალის საკუთარი გამოსხივება და, რაც მთავარია, თანამდევ ელემენტების აღზენების შედეგად წარმოქმნილი გამოსხევება, რაც უზრუნველყოფს მაგრადუირებელი გრაფიკის სწორხაზოვან დამოკიდებულებას (ბერის კანონის თანახმად).

ატომიზაციის ბლოკში შედის მფრქვევანა. ჩვეულებრივი მფრქვევანების გამოყენებისას სასარგებლო სიგნალზე მოდის 5%, 95% მსხვილი წვეთები კონდენსირდება და ჩამოვივა, რის გამოც სსნარის ხარჯი დიდია, წუთ-

ში საჭიროა 10 მლ. ამიტომ საჭიროა გამოყენებულ იქნეს უფრო რთული მფრქვევანები,

დეტექტორი. ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრიის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ალტი არა-აღგზნებულ მდგომარეობაში მყოფი ატომების გამოსხივება. თუ იგი გამორიცხული არ იქნება, მათი ემისია კონცენტრაციის გაზრდისას ქმნის ფონს, რაც იწვევს ბერის კანონიდან გადახრას. ამის თავიდან აცილება შეიძლება ორი ტიპის მოდულაციის გამოყენებით: ელექტრონული და მექანიკური.


ელექტრონული მოდულაციისას გამოიყენება რელე, რომელიც გარკვეული დროის მონაკვეთში რამდენიმე წამით თიშავს რეზონანსულ ნათებას.

მექანიკური მოდულაციისას იგივე ეფექტის მისაღწევად ნათურას და სისტემას შორის ათავსებენ მბრუნავ შემწყვეტისკოს, რომელიც გადახურვის მომენტში ზომავს ალის ემისიას  $I_1$ , ხოლო როდესაც შემწყვეტი დიად, მაშინ დეტექტორში მიღებული გამოსხივება იქნება ჯამური ეფექტი  $I_1 + I_2$ . დეტექტორი გამოყოფს სასარგებლო სიგნალს, რომლის გაძლიერება სწარმოებს სპეციალური გამაძლიერებელი ბლოკის საშუალებით. რეგისტრაცია ხდება მიკროამპერმეტრის გამოყენებით, შედეგების გადათვლა კი უფრო რთულ ბლოკზე, სადაც იძებლება შედეგები.

### უალო ატომიზაცია

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნივთიერების ატომურ ორთქლში გადასაყვანად გამოყენებული იყო ალი. მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო ალი არ არის სრულყოფილი ატომიზატორი. გარდა ამისა, ალი მუშაობისას საფრთხეს წარმოადგენს, საჭიროა მათი შენახვა და მოპყრობა პოტენციურად მავნე საწვავის და დამჟანგავის გამოყენებისას. ასეთი მეთოდები განსაკუთრებით შეზღუდულია სინჯში მცირე კონცენტრაციების განსაზღვრისას.

ალის გამოყენება უსაფრთხო არ არის, ადგილი აქვს არასრულ წვას, წვის პროდუქტები კი მავნეა ტოქსიურობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ალს აქვს საკუთარი გამოსხივება, მასში მიმღინარეობს ფიზიკური და ქიმიური პროცესები, რაც დაკავშირებულია საწვავი აირების და მქანგავების დიდ ხარჯთან, საანალიზოდ საჭიროა დიდი რაოდენობით სინჯის გამოყენება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალი კონცენტრაციების განსაზღვრის დროს. ამიტომ უფრო ეფექტური გამოდგა ელექტროორმული ატომიზატორების გამოყენება, რომელიც მოწოდებული იყო საბჭოთა მეცნიერის ლკოფის მიერ, ე.წ. გრაფიტის კიუვეტა. იგი წარმოადგენს მილისებულ ღუმელს, რომელსაც ცენტრში აქვს გრაფიტის ელექტროდი. გრაფიტის ღეროში თავსდება მცირე რაოდენობის სინჯი ~100 მგ. ღუმელში განუწყვეტლივ ხდება არგონის შებერვა. მას ახურებენ ელექტროდენით. ელექტროდის კიუვეტასთან შეხებისას წარმოებს მისი დამატებითი გაცხელება და გამსხველი კიუვეტის შიგნით იწყებს აორთქლებას. შემდეგ ტემპერატურას ადიდებენ  $2000\text{--}3000^{\circ}$ -მდე, სინჯის მშრალი ნაშთი აორთქლდება და ორთქლი შეავსებს მთელ მილს (ნახ. 29).



ნახ. 29. გრაფიტის უალო ატომიზატორი  
1 - გრაფიტის მილი, 2 - გრაფიტის ელექტროდები

ატომიზაციის პროცესს აკვირდებიან სპექტროფოტომეტრის საშუალებით. რამდენიმე წამში ოპტიკური სიმკვ-

რიგე იზრდება მაქსიმუმამდე და შემდეგ ეცემა ნულამდე, რაც შეესაბამება ატომიზაციას და შემდგომ სინჯის აორთქლებას.

ატომურ-აბსორბციულ სპექტროფოტომეტრიაში რეზონანსული გამოსხივების შემცირება ეჭვემდებარება ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონს. თუ დაცემული მონოქრომატული სხივების ინტენსივობა არის  $I_0$ , ხოლო ალტი გასული სხივის ინტენსივობა  $I$ , მაშინ  $\lg \frac{I_0}{I}$  სიდიდე არის ოპტიკური სიმკვრივე:

$$A = \lg \frac{I_0}{I} = KhC$$

სადაც  $K$  არის შთანთქმის კოეფიციენტი,  $h$  – სინათლის მშთანთქმელი ფენის სისქე (ალის),  $C$  – კონცენტრაცია.

ოპტიკური სიმკვრივე პირდაპირ პროპორციულია ნივთიერების კონცენტრაციის. მაგრამ ეს დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში არ არის სწორხაზოვანი, გადახრა უმეტესად გამოწვეულია სპექტროფოტომეტრიის სხვადასხვა კვანძების მუშაობის არასტაბილურობით (აგზნების წყარო და სხვ), გამოსხივების არამონოქრომატულობით, ალტი ჟანგბადთან განსასაზღვრავი ელემენტების სხვადასხვა ნაერთების წარმოქმნით და სხვ.

### რაოდენობრივი განსაზღვრა

რაოდენობრივი განსაზღვრა წარმოებს მაგრადუირებელი გრაფიკის აგებით ან დანამატების მეთოდით.

მაგრადუირებელი გრაფიკის აგებისას ზომავენ რამდენიმე სტანდარტული სსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს და აგებენ დამოკიდებულების გრაფიკს კოორდინატებში ოპტიკური სიმკვრივე – კონცენტრაცია, რის შემდეგ იმავე პირობებში საზღვრავენ საანალიზო სსნარის ოპტიკურ სიმკვ-

რივეს და გრაფიკის საშუალებით პოულობენ მის კონცენტრაციას.

დანამატების მეთოდის გამოყენებისას ჯერ ზომავენ საანალიზო ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს  $A_x$ , შემდეგ მასში შექავთ სტანდარტული ხსნარი გარკვეული მოცულობით და ზომავენ ოპტიკურ სიმკვრივეს  $A_{x+b}$ . თუ საანალიზო ხსნარის კონცენტრაცია  $C_x$ , ხოლო  $C_{b}$  – სტანდარტული ხსნარის კონცენტრაცია, მაშინ

$$A_x = KhC$$

$$A_{x+b} = Kh(C_x + C_{st})$$

რადგან  $K$  და  $h$  მუდმივია, მივიღებთ:

$$\frac{A_x}{A_{x+b}} = \frac{C_x}{C_{x+b}} \quad \text{აქედან } C_x = C_b \cdot \frac{A_x}{A_{x+b} - A_x}$$

მეთოდის შეცდომის ძირითად წყაროს წარმოადგენს არასელექტრიური შთანთქმა, რომლის მაშტაბები იზრდება საანალიზო ხსნარის საერთო კონცენტრაციის გაზრდით. აქ ჩნდება ტურბიდიმეტრის ელემენტები. მიკრო- წვეთები შედის ალტი. თუ კონცენტრაცია დიდია, ალტი გავლილი მყარი ნაწილაკები წარმოიქმნება, რომელიც ვერ ასწრებს შთანთქმას და ფანტავენ რეზონანსულ გამოსხივებას. იგი გადაითვლება სასარგებლო სიგნალში. ეს არის არასელექტრიური შთანთქმა. ეს ფაქტი რომ გამოირიცხოს საჭიროა ხსნარი განზავდეს ან გაიზომოს არასელექტრიური შთანთქმა და სათანადო შესწორება შეიტანილ იქნას შედეგში.

ატომურ-აბსორციული სპექტროფოტომეტრია უნივერსალური ანალიზის მეთოდია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ელემენტის მცირე შემცველობისას, ასევე მაღალი კონცენტრაციების დროს. მსგავსად ატომურ-ემისიური ანალიზისა, არ არის აუცილებელი ნარევში შემავალი კომპონენტების მოცილობა. სინჯის წინასწარ მომზადება ხორციელდება მხოლოდ მისი გახსნით. იგი საშუალებას იძლევა

გაიზომოს 70-ზე მეტი ელექტრი 10<sup>4</sup>-10<sup>6</sup> გრ/მლ მგრძნობიარობით, განმეორებადობა 3-5%, თუ ამგზნები წყაროა აღი, ხოლო 1-2% - უაღვით ატომიზატორების გამოყენებისას.

## ლაბორატორიული სამუშაოები

### სამუშაო 1. სპილენის განსაზღვრა ატომურ-აბსორბციული მეთოდით

მეთოდი დამყარებულია სპილენის იონების პროპან-ბუთან-ჰაერის აღში სპექტრალური ხაზის 324,766მ რეზონანსული გამოსხივების შთანთქმაზე, რომელიც მიღებულია ღრუ კათოდის ნათურისაგან.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. სპილენის სტანდარტული ხსნარი, 1000მგ/მლ.

1,96გ CuSO<sub>4</sub> · 5H<sub>2</sub>O ხსნიან 50მლ გოგირდმჟავაში (1:20), გადააქვთ 500მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ (ძირითადი ხსნარი).

სამუშაო ხსნარი კონცენტრაციით 100მგ/მლ მზადდება ძირითადი ხსნარის 10-ჯერ განზავებით, რისთვისაც 10მლ ძირითადი ხსნარი გადააქვთ 100მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

2. H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის ხსნარი, განზავებული 1:20.

3. ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრი AAS-1 ხვრელიანი ნათურით.

4. ატომიზატორი: პროპან-ბუთან-ჰაერი.

5. ღრუ კათოდის ნათურა.

## მაგრადუირებელი გრაფიკის აგება

100მლ საზომ კოლბებში ათავსებენ 1,0; 2,0; 4,0; 8,0მლ სპილენბის სამუშაო ხსნარებს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

რთავენ ხელსაწყოს, აყენებენ სამუშაო მდგომარეობაში ღრუ კათოდის ნათურას სპილენბზე და ახურებენ ელექტრულ სისტემას 15-20 წუთის განმავლობაში. ხელსაწყოს გალვანომეტრის მაქსიმალური გადახრით მონოქრომატორის ხვრელზე გამოჰყავთ სპილენბის ანალიზური ხაზი 324,7ნმ. გამტარობის სკალაზე T გამზომ ისარს აყენებენ „100”, ან „0”-ზე შთანთქმის A სკალაზე ხვრელის სიგანის შეცვლისას. ხვრელის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 0,1მმ, წინა-აღმდეგ შემთხვევაში ზრდიან ფოტომამრავლის დენის ძალას ან გაძლიერების ხარისხს. ცდის დასაწყისში ჰაერის ხარჯს (480ლ/სთ) აყენებენ როტმეტრის მიხედვით, შემდეგ პროპან-ბუთანის ნარევს და ანთებენ ალს. წვას იწყებენ საწვავი გაზის მიწოდებამდე. ამოწმებენ მფრქვევანის მუშაობას და ალის სტაბილურობას. ალის შიდა კონუსს უნდა ჰქონდეს მინიმალური სიმაღლე მომწვანო-ცისფერი შეფერილობის შენარჩუნებით. ხელსაწყოზე ნულის კორექტირებას აწარმოებენ ალში გამოხდილი წყლის შეფრქვევისას. სტანდარტული ხსნარების ფოტომეტრირებას აწარმოებენ არანაკლებ 3-ჯერ და მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში: აბსორბცია – სპილენბის კონცენტრაცია, მგ/მლ.

## ანალიზის მსვლელობა

საკვლევი ხსნარი გადააქვთ 100მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ. გაზომვის წინ უნდა შემოწმდეს ხელსაწყოს

ნულზე დაყენება გამოხდილი წყლით არანაკლებ ხუთჯერ, რის შემდეგ ფოტომეტრირებას აწარმოვებენ ისევე, როგორც სტანდარტული ხსნარების შემთხვევაში. საშუალო მონაცემების მიხედვით მაგრადუირებელი გრაფიკის საშუალებით ანგარიშობენ სპილენძის კონცენტრაციას 100მლ ხსნარში.

## სამუშაო 2. ხსნარში ტყვიის კონცენტრაციის განსაზღვრა აომურ-აბსორბციული მეთოდით

მეთოდი დამყარებულია ტყვიის იონების პროპან-ბუთან-ჰაერის ალ-ში საექტრალური ხაზის 283,36მ რეზონანსული გამოსხივების შთანთქმაზე, რომელიც მიღებულია ღრუ კათოდის ნათურისაგან.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. ტყვიის სტანდარტული ხსნარი 1000მგ/მლ.

1,559გ  $Pb(NO_3)_2$  ხსნიან გამოხდილ წყალში 1მლ კონცენტრირებული აზოტმჟავის დამატებით, გადააქვთ ლიტ-რიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ.

სამუშაო ხსნარი კონცენტრაციით 100მგ/მლ მზადდება შემდეგნაირად: 10მლ ძირითადი ხსნარი გადააქვთ 100მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ.

### მაგრადუირებელი გრაფიკის აგება

5 100მლ საზომ კოლბებში ათავსებენ 5; 10; 15; 20 და 25მგ/მლ ტყვიის სამუშაო ხსნარებს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ.

მიღებული ხსნარების ფოტომეტრირებას აწარმოებენ ისევე, როგორც სამუშაო 1 და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში აბსორბცია – ტყვიის კონცენტრაცია (მგ/მლ).

### **ანალიზის მსგლელობა**

საანალიზო ხსნარი გადააქვთ 100მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდოვენ.

მიღებული ხსნარების ფოტომეტრირებას აწარმოებენ ისევე, როგორც სტანდარტული ხსნარების შემთხვევაში არანაკლებ 6-ჯერ. წინასწარ უნდა შემოწმდეს გამოხდილი წყლით ხელსაწყოს ნულზე დაყენება და მაგრადუირებელი გრაფიკის საშუალებით პოულობენ ტყვიის კონცენტრაციას საკვლევ ხსნარში.

## თავი VIII

### რადიოსიხშირის სპექტრული მეთოდები

ატომის ბირთვები და ელექტრონები მოძრაობენ რა თავისი დერმის გარშემო, ქმნიან მაგნიტურ ველს და ფლობენ მაგნიტურ მომენტს. ისინი ძლიერ მაგნიტურ ველში ორიენტირდებიან და იაკვებენ რამდენიმე შესაძლებელ თრიენტაციას. გარკვეული ენერგიის მქონე ელექტრომაგნიტური რხევებით მოქმდებისას ხდება ნაწილაკების ორიენტაცია, რომელიც ტოლფასია მათი ერთი ენერგეტიკული მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის. ყოველივე ამას თან სდევს მაღალი სიხშირის ენერგიის ნაწილის შთანთქმა, რომელიც რეგისტრირდება ნივთიერების მიერ რეზონანსული შთანთქმის სპექტრის სახით. ანალიზურ ქიმიაში გამოყენებულია ბირთვული მაგნიტური რეზონანსი, ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსი და ბირთვული კვადრუპოლური რეზონანსი.

ბირთვული მაგნიტური რეზონანსი ადმოჩენილ იქნა 1946წ. პურცელის მიერ. იგი ახასიათებს ატომის ბირთვებს, რომელსაც აქვს მოძრაობის საკუთარი მაგნიტური მომენტი ეწ. სპინი  $P$ . იგი ხასიათდება სპინური ქვანტური რიცხვით  $I$ , რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა  $0; 1/2; 1; 3/2$  და სხვ. ბირთვი მოძრაობისას წარმოქმნის მაგნიტურ ველს, მიმართულს მოძრაობის დერმის გარშემო და მოქმედებს როგორც პატარა მაგნიტი. მაგნიტურ მომენტსა  $\mu$  და ბირთვის სპინს  $P$  შორის არსებობს დამოკიდებულება:

$$\mu = \gamma P = \gamma \left( \frac{h}{2\pi} I \right)$$

სადაც  $\gamma$  - არის პროპორციულობის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს ბირთვს;

$I$  - სპინური ქვანტური რიცხვი;

h – პლანკის მუდმივა

მაგნიტური მომენტის მქონე ბირთვს შეუძლია მიიღოს რამდენიმე ორიენტაცია, რომლის რაოდენობა განისაზღვრება მაგნიტური ქვანტური რიცხვით, დამოკიდებული სპინურ ქვანტურ რიცხვზე. თითოეულ ორიენტაციას შეესაბამება სათანადო ენერგეტიკული დონე, ამიტომ ერთი ორიენტაციიდან (დაბალი ენერგიით) მეორეზე (მაღალი ენერგიით) გადასვლას თან სდევს  $\Delta E$  ენერგიის ქვანტის შთანთქმა ელექტრომაგნიტური გამოსხივების  $hv$  სახით, რომელიც დამოკიდებულია მაგნიტური ველის დაძაბულობაზე  $H_0$  და ბირთვის მახასიათებელზე  $\mu$ . შთანთქმული ელექტრომაგნიტური გამოსხივების სიხშირის  $v$  დამოკიდებულება ბირთვის მახასიათებელსა და ველის დაძაბულობასთან გამოისახება ფორმულით:

$$\Delta E = hv = 2\mu H_0; \quad v = \frac{\gamma}{2\pi} H_0 \quad (1)$$


სპინი და მაგნიტური მომენტი ახასიათებს ბირთვს, რომელსაც აქვს კენტი მასიური რიცხვი, ან კენტი ატომური ნომერი ( $^1H$ ;  $^{13}C$ ;  $^{15}N$ ;  $^{19}Fe$ ;  $^{31}P$ ). წყვილი მასიური რიცხვის და წყვილი ატომური ნომრის ელემენტებს ( $^{12}C$ ;  $^{16}O$ ;  $^{32}S$ ) სპინი არ აქვს და არ იძლევიან ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სიგნალს. უმეტესად ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრები ახასიათებს ქიმიურ ნაერთში შემავალ პროტონებს. ბირთვული მაგნიტური რეზონანსი, რომელიც დამყარებულია პროტონებზე დაკვირვებაზე, პროტონული მაგნიტური რეზონანსი ეწოდება. ამ სპექტრზე დაკვირვებისათვის სინჯის ნიმუშს ათავსებენ  $H_0$  დაძაბულობის მქონე ძლიერ მაგნიტურ ველში და მასზე მოქმედებენ მზარდი ცვლადი სიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივებით.

მაგნიტურ ველში ხდება პროტონების ორიენტაცია ველის მიმართულებით ან მის საწინააღმდეგოდ. ელექტრო-

მაგნიტური სიხშირისას  $\nu$  (რომელიც უპასუხებს (1) ფორმულას), ხდება პროტონების გადასვლა ერთი ენერგეტიკული მდგომარეობიდან მეორეზე. ნაწილი ენერგია შთაინოქმება და პროტონული მაგნიტური რეზონანსის სპექტრში წარმოიქმნება სიგნალი შთანთქმის პიკის სახით.


პროტონის მშთანთქმელი ნივთიერება გარშემორტყმულია ელექტრონებით და სხვა ატომების ბირთვებით, რომელიც გარკვეულწილად უკრანიზაციას უწევს შთანთქმულ პროტონს ელექტრომაგნიტური ველისაგან, რაც აღირიცხება ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრში და ეწოდება ქიმიური გადახრა. ქიმიური გადახრის სიდიდე განისაზღვრება სტანდარტული ნივთიერების რეზონანსული სიხშირის მიმართ. სტანდარტად გამოყენებულია ტეტრამეთილსილანი ( $\text{CH}_3)_4\text{Si}$ , რომლის პროტონებს ახასიათებს მაღალი ენერგია. ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრში პროტონების სიგნალი გადახრილია ეტალონის მიმართ სიდიდით, რომელიც დამოკიდებულია პროტონის მდგომარეობაზე ქიმიურ გარემოცვაში. იგი იძლევა შესაძლებლობას ვიმსჯელოთ ნივთიერების ქიმიურ აგებულებაზე. პროტონების სიგნალის ინტენსიურობა დამოკიდებულია მოლეკულაში მათ რაოდენობაზე, რაც ნივთიერების რაოდენობრივი შედარების საშუალებას იძლევა. მაგალითად, ნახ. 30 მოყვანილია დიაცეტონური სპირტის ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრი, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული ტიპის პროტონს შეესაბამება გარკვეული ქიმიური გადახრა.

ერთგვაროვანი პროტონები გავლენას ახდენენ გადახრის სიდიდეზე. ქიმიურ გადახრას გამოსახავენ პერცებში. ქიმიური გადახრის სიდიდე დამოკიდებულია რადიოსიხშირეზე, რომელზეც მუშაობს ხელსაწყო. მაგალითად,  $\text{CH}_3\text{Cl}$  –სათვის ქიმიური გადახრა 40 ჰეც სიხშირისას ტოლია 120 ჰეც, 60 ჰეც – 180 ჰეც, 100 ჰეც – 300 ჰეც.



ნახ. 30. დიაცეტონური სპირტის ბირთვული მაგნიტური სპექტრი.  
A – შთანთქმის ველის ინტენსიურობა. B – ქიმიური გადახრა.

გარდა ქიმიური გადახრისა ბირთვულ მაგნიტურ რეზონანსს ახასიათებენ




ნახ. 31. ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სიგნალის სპინ-სპინური გახლება. A – პროტონების მდგომარეობა სპინების ორიენტაციით. B – პროტონის სიგნალის გახლება ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრში.  
a – პროტონის ტრიპლეტი –  $\text{CH}_3$ ;  
b – პროტონების დუბლეტი  $> \text{CH}_2$ .

სპინ-სინარების ახასიათებენ სპინ-სპინური ურთიერთქმედებით, რომელიც წარმოიქმნება პროტონებში მათი ურთიერთქმედებისას სავალენტო ელექტრონების საშუალებით. შედეგად ხდება ქიმიური გადახრის გახლება და ერთი სიგნალის მაგიერ წარმოიქმნება გახლებილი სუსტი სიგნალი – დუბლეტი. რადგან პროტონების მდგომარეობაზე შეიძლება მოქმედებდეს მოლეკულაში სხვა პროტონები, ბირთვული მაგნიტური რეზონანსის

სპექტრებში წარმოიქმნება რამდენიმე გახლეჩილი სიგნალები – ტრიპლექსური, კვადროუპლეტური და სხვ (ნახ. 31).

სპინ-სპინური გახლების სიდიდე და ხარისხი იძლევა წარმოდგენას ნივთიერების სტრუქტურის შესახებ.

ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრების გადაღება წარმოებს სპექტრომეტრებში, რომელიც შედგება მძლავრი მუდმივი ელექტრომაგნიტისგან 1, რადიოსინამდირის გენერატორი 3, კოჭა 4, დეტექტორი (მიმდები) 6 და მარკარისტორი 5. კოჭაში მოთავსებულია ნიმუშის ამპულა 2 (ნახ. 32).



ნახ. 32. ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრომეტრი.

მაგნიტური გელი გახლების მაგნიტური ბირთვების ენერგეტიკულ დონეებს. რადიოსინამდირის გენერატორი აღაგზნებს მაღალი სინატრის ელექტრომაგნიტურ ველს, რომლის სინატრე (ენერგია) იცვლება გარკვეულ ინტერვალში. განსაზღვრული სინატრისას ხდება ნივთიერების ველის ენერგიის რეზონანსული შთანთქმა, რომლის რეგისტრაცია ხდება მიმღების და თვითხამწერის მიერ. გამოყენებულია ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრომეტრები, რომელიც მუშაობს 40, 60, 100 მჰც სინატრეზე.

ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრის გაზომვისას გამოიყენება ნივთიერების ხსნარები გამსხველში, ან რომელიც არ შეიცავს პროტონს ( $\text{CCl}_4$ ,  $\text{CDCl}_3$ ,  $\text{D}_2\text{O}$ ) ან პროტონები, რომლებიც ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრში შეიცავენ მხოლოდ ერთ სიგნალს. ამჟღალას ნივთიერების ხსნარით (5-20%) ათავსებენ სპექტრომეტრის უჯრედში. ერთდროულად ამჟღალაში ათავსებენ ეტალონს, ან ეტალონს უმატებენ ნივთიერების ხსნარს.

ელექტრონულ პარამაგნიტური რეზონანსი. იგი აღმოჩენილ იქნა 1944 წელს ზავორსკის მიერ. მეთოდი პრინციპულად მსგავსია ბირთვული მაგნიტური რეზონანსის. ელექტრონულ პარამაგნიტურ რეზონანსის სპექტრში ფიქსირდება ელექტრონების რეზონანსული შთანთქმა, რომლის ენერგეტიკული დონეების გახლეჩა მაგნიტურ ველში ხდება ორ ქვედონებდ ელექტრონების სპინების ორიენტაციით ველში, ან ველის საწინააღმდეგოდ. ელექტრომაგნიტურ ველში ნივთიერების მოლეკულების რეზონანსული შთანთქმა შეიმჩნევა (ბირთვული მაგნიტური რეზონანსისაგან განსხვავებით) არა რადიოსისშირის, არამედ მიკროტალდურ დიაპაზონში. ამიტომ ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის სპექტრომეტრები განსხვავდებიან ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრომეტრებისაგან გენერატორით და მიკროტალდური მიმღების მოწყობილობით.


ელექტრონულ პარამაგნიტური რეზონანსის სპექტრომეტრები მუშაობენ ~9000 მჴც სისშირეზე და ფართოდ გამოიყენება რადიკალების, ქიმიური ნაერთების, განსაკუთრებით პოლიმერების შესასწავლად.

## თავი IX


### ანალიზის რადიომეტრიული მეთოდები

რადიომეტრული მეთოდი დამყარებულია განსასაზღვრავი ელემენტის ბუნებრივი, ან იზოტოპების გამოყენებით მიღებული რადიოაქტივობის გაზომვაზე. ბუნებრივი რადიოაქტივობის გაზომვის მაგალითია კალიუმის ანალიზი ქიმიურ ნაერთში. ბუნებრივი კალიუმი შეიცავს 93,5% იზოტოპ  $^{39}K$ , 0,119% იზოტოპ  $^{40}K$  და 0,098%  $^{41}K$ . იზოტოპი  $^{40}K$  რადიოაქტივურია და გამოასხივებს  $\beta$  გამოსხივებას. ანალიზის ჩატარებისას ზომავენ ფონის (სუფთა NaCl) რადიოაქტივურობას, ასევე სტანდარტული სერიების რადიოაქტივურობას (10 და 100% შემცველობისას), შემდეგ საანალიზო ნიმუშის რადიოაქტივურობას. მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს, რომლის მიხედვით განსაზღვრავენ კალიუმის შემცველობის ნიმუშში.

ხშირ შემთხვევაში რადიოაქტიურ ანალიზში იყენებენ სელოგნური გზით მიღებულ რადიოაქტიურ იზოტოპებს. ასევე გამოიყენება პირდაპირი განსაზღვრა სსნარში მონიშნული რადიოაქტივური იზოტოპების გამოყენებით. მაგალითად, კათორნები დალექილი ფოსფატით, შეიძლება განისაზღვროს  $Na_2HPO_4$ -ის საშუალებით, რომელიც მონიშნულია  $*P$ -ით, რისთვისაც ჯერ ზომავენ ცნობილი კონცენტრაციის  $Na_2HPO_4$ -ის სსნარის აქტიურობას. მას აორთქლებენ მშრალ ნაშთამდე და ზომავენ რადიოაქტიურ  $^{32}P$ -ის გამოსხივებას. შემდეგ აწარმოებენ საანალიზო ელემენტის ფოსფატით დალექვას, დედასსნარს აცილებენ და აორთქლებენ, საზღვრავენ არარეგისტრირებული  $Na_2HPO_4$ -ის აქტიურობას, აქტიურობის სხვაობით ანგარიშობენ რეაქციაზე დახარჯულ მონიშნული ნატრიუმის ჰიდროფოსფატის რაოდენობას.



რადიომეტრულ ტიტვრაში იყენებენ იზოტოპით მონიშნულ ნივთიერებას. ან ტიტრანტს, თუ რეაქციის პროდუქტს გამოვყოფთ ნალექის სახით, ან ექსტრაქციით და გავზომავთ გასატიტრო ნივთიერების აქტიურობას, ტიტვრის მრუდზე შეიმჩნევა ტეხილი, რომელიც შეესაბამება ექვივალენტურ წერტილს (ნახ. 33).



ნახ. 33. რადიომეტრული ტიტვრის მრუდები. *a* - აქტიური  ${}^3P$  შემცველი ფოსფატის აქტიურობის შეცვლა  $Mg^{2+}$ -ის სსნარით ტიტვრის დროს. *b* -  $Mg^{2+}$ -ის სსნარის აქტივობის შეცვლა  ${}^3P$ -ის შემცველი ფოსფატით ტიტვრისას.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს ჰიდროფოსფატის მაგნიუმით ტიტვრისას ექვივალენტურ წერტილამდე სსნარის აქტიურობა მკვეთრად ეცემა, რადგან რადიოაქტიური  $HP^*O_4^{2-}$  სსნარიდან გამოიყოფა ნალექში. ექვივალენტური წერტილის შემდეგ აქტიურობა რჩება მუდმივი (*a*).

ჰიდროფოსფატის მაგნიუმის სსნარზე დამატებისას სსნარის აქტიურობა ექვივალენტურ წერტილამდე არ იცვლება, რადგან რადიოაქტიური  ${}^3P$  გადადის ნალექში  $Na_2HP^*O_4$ -ის სახით. ექვივალენტური წერტილის შემდეგ

სსნარის აქტიურობა იზრდება პიდროფოსფატის კონცენტრაციის პროპორციულად (b).

რადიომეტრული ტიტვრის რეაქციები უნდა აკმაყოფილებდეს ჩვეულებრივ ტიტრიმეტრულ რეაქციაზე მიყენებულ მოთხოვნილებებს, კერძოდ, რეაქციის ბოლომდე რაოდენობრივი მიმდინარეობა, რეაქციის პროდუქტის მუდმივობა და სხვ.

ცნობილია რადიომეტრული მეთოდები, სადაც რეაქციის პროდუქტის ექსტრაქციას აწარმოებენ ორგანული გამსსნელებით დითიზონით, ქლოროფორმით, ნახშირბადის ტეტრაქლორიდით და სხვ., რაც ექვივალენტური წერტილის ზუსტად დადგენის შესაძლებლობას იძლევა, რადგან შეიძლება გაიზომოს ორივე ფაზის აქტიურობა.

როგორი ნარევების ანალიზის დროს იყენებენ იზოტოპურ განზავებას. საანალიზო ნივთიერებას უმატებენ გარკვეული რაოდენობის მონიშნულ იზოტოპს, რის შედეგად მცირდება რადიოაქტიურობა, წარმოებს იზოტოპური განზავება. შემდგომ დალექვით ან ექსტრაქციით გამოყოფენ ნივთიერების ნაწილს და ზომავენ მის აქტიურობას, აქტიურობის შესუსტებით საზღვრავენ ნივთიერების იზოტოპური განზავების ხარისხს და ნივთიერების რაოდენობას. მაგალითად, იოდიდ-იონის რაოდენობა ბრომიდ-იონების თანაბისას შეიძლება განისაზღვროს  $I$ -ით მონიშნული NaCl-ის დამატებით და ამიაკურ გარემოში AgCl-ით ნაწილობრივი დალექვით. ნალექის და აქტიური NaCl-ის აქტიურობის შესუსტებით შეიძლება გამოითვალოს იოდიდ-იონის შემცველობა.

აქტივაციური ანალიზი დამყარებულია განსასაზღვრავი ნივთიერების ნეიტრონების ნაკადით (ნეიტრონულ აქტივაციური ანალიზი), მაღალი ენერგიის ფოტონებით, ან  $\gamma$ -გამოსხივებით (ფოტოაქტივაციური ანალიზი) დასხივებაზე. დასხივების შედეგად ბირთვი წარიტაცებს ნეიტრონს,

წარმოიქმნება ახალი ბირთვი, რომლის მასა პირვანდელზე ერთით მეტია, ხოლო მუხტი უცვლელია, ანუ წარმოიქმნება განსასაზღვრავი ელემენტის იზოტოპი. იგი არასტაბილურობის გამო  $\gamma$  - გამოსხივებით იშლება, მიღებული იზოტოპები განსხვავდებიან ნახევარდაშლის პერიოდით. იზოტოპების რადიოაქტიური გამოსხივების გაზომვით აწარმოებენ ნივთიერების რაოდენობრივ შემცველობას.

სინჯის შემადგენლობის შესასწავლად გარკვეული დროის განმავლობაში ზომავენ მათ რადიოაქტიურობას. ანალიზის ჩასატარებლად საჭიროა იზოტოპების ნახევარდაშლის პერიოდის ზუსტად ცოდნა.

პრაქტიკაში აწარმოებენ ერთი და იგივე პირობებში საანალიზო სინჯის და ცნობილი შემცველობის ეტალონების დასხივებას, რაც საგრძნობლად ამარტივებს ანალიზს. დასხივების შემდეგ სინჯი გადაყავთ ხსნარში, გამოყოფენ განსასაზღვრავ ელემენტს ექსტრაქციის, ქრომატოგრაფიის, დალექციის ან სხვა მეთოდით, აწარმოებენ გამოყოფილი პროდუქტის აქტიურობის გაზომვას, მაგრამ ეს მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც იზოტოპების ნახევარდაშლის პერიოდი არ არის მცირე.

აქტივაციის მეორე მეთოდია  $\gamma$  - სპექტროსკოპია, დამყარებული  $\gamma$  - გამოსხივების სპექტრის შესწავლაზე.  $\gamma$  - გამოსხივების ენერგია არის თვისებითი, ხოლო ათვლის სიჩქარე იზოტოპის რაოდენობრივი მახასიათებელი. გაზომვას აწარმოებენ მრავალარსიანი  $\gamma$  - სპექტრომეტრებით, ნახევარგამტარი მრიცხველებით. მეთოდი საგრძნობლად სწრაფია და სპეციფიკური, მაგრამ ნაკლებად მგრძნობიარე, ვიდრე რადიაქტიური მეთოდი.

აქტივაციური ანალიზის სხვადასხვა ვარიანტები ფართოდ გამოიყენება მაღალი სისფთავის ნივთიერებების გამოკვლევისათვის, მაგალითად, ნახევარგამტარების, ატომური,


რაკეტული ტექნიკა, გეოქიმიური, ძველი საგნების და მინერალების წლოვანების დადგენა და სხვ.

აქტივაციური ანალიზის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს მაღალი მგრძნობიარობა  $10^{13}$ - $10^{15}$ გ. რაც დამოკიდებულია ნეიტრონების სიმძლავრეზე და წარმოქმნილი იზოტოპების ნახევარდაშლის პერიოდზე.

ანალიზის რადიოაქტიური მეთოდებით განსაზღვრისას საჭიროა მკაცრად იქნეს დაცული სპეციალური პირობები. ყველა განსაზღვრები უნდა წარმოებდეს ბოქსში ადამიანის რადიაქტიური გამოსხივებისაგან დასაცავად, დასხივებისათვის გამოიყენება სპეციალური  $\beta$  და  $\gamma$  - გამოსხივების წყაროები, რადიოაქტიური იზოტოპები, ქიმიური ნივთიერებები მონიშნული რადიოაქტიური იზოტოპებით, იმპულსების დათვლა ხდება სპეციალურ გამომთვლელებში.


### მასს-სპექტრომეტრია

მასს-სპექტრომეტრული ანალიზი დამყარებულია გაზისებური იონების დაცილებაზე, რაც დამოკიდებულია შეფარდებაზე  $m/e$ , სადაც  $m$  – მასაა, ხოლო  $e$  – იონის მუხტი. გაზის მოცულობის იონიზაცია მიღის ელექტრონების ნაკადით:



$m/e$  სიდიდის მიხედვით საზღვრავენ იონის მასიურ რიცხვს და შესაბამისი სიგნალის მიხედვით მსჯელობენ იონის კონცენტრაციაზე.

მასს-სპექტრომეტრის პრინციპული სქემა მოცემულია ნახ. 34.



ნახ. 34. მასს – სპექტრომეტრის პრინციპული სქემა

- 1 – გაზისებური სინჯი, 2 – კათოდი, 3 – ანოდი,
- 4 – დამაჩქარებელი ფირფიტები, 5 – მაგნიტური ველი,
- 6 – დეტექტორი

კამერაში საანალიზო ნივთიერება გადაყავთ გაზისებურ მდგომარეობაში  $10^{-2} \dots 10^{-3}$  პა. კამერის მუშაობის რეჟიმის დადგენა ხდება იმისდა მიხედვით ადვილად, თუ ძნელად აქროლად ნივთიერებას შეიცავს საანალიზო ნიმუში. გაზისებური სინჯის ანალიზის დროს აორთქლების სტადია გამორიცხულია, რის შემდეგ ხდება მოლეკულური კონის იონიზაცია, რაც ხორციელდება ფოტონებით, იონებით, ელექტრული ველით და სხვ. ანალიზური ქიმიის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ხელსაწყოები, რომელშიც იონიზაცია ხორციელდება ელექტრონული ან იონური დაყუმბარებით, ან ნაპერწკლიანი განმუხტვით. ელექტრონული დაყუმბარებისას გამოიყენება ელექტრონული სტაბილიზებული კონა, მიმართული სინჯის ნაკადის პერპენდიკულარულად. ელექტრონების ნაკადის ენერგია მცირეა და შეადგენს  $10\text{-}100$  ევ, რის შედეგად ერთდღოულად წარმოებს რამდენიმე პროცესი. წარმოიქმნება ერთმუხტიანი იონები და ნაწილობრივად მაღალი მუხტის იონები. თუ დაყუმბარების ენერგია დიდია, რომელსაც შეუძლია გახლის ქიმიური კავშირები, წარმოებს მოლეკულების ფრაგმენტაცია, რის შედეგად წარმოიქმნება ე.წ. იონური ნატეხები.

წარმოქმნილი დადებითად დამუხტული იონები გაივლიან გამაძლიერებელ ფირფიტებს, რომელთა შორის პოტენციალი საკმაოდ დიდია (რამდენიმე ათასი ვოლტი), რის შედეგად დებულობები ენერგიას  $eV$  და მათი სიჩქარე იზრდება  $V$ -მდე. ენერგია  $eV$  ტოლი იქნება იონების კინეტიკური ენერგიის  $\frac{mv^2}{2}$  და იონურ წყაროს ტოვებს  $v$  სიჩქარით

$$eV = \frac{mv^2}{2} \quad (1)$$

ელექტრულ ველში გაძლიერების შემდეგ იონები სწორი კუთხით გადაკვეთენ  $H$  დაძაბულობის მაგნიტურ ველს და ხვდება  $HeV$  ძალის მოქმედების ქვეშ, რომელიც მიმართულია იონის პერპენდიკულარულად. ამიტომ პრაქტიკულად იონების მოძრაობის ტრაექტორია იქნება  $r$  რადიუსის შემოწერილობის ტოლი.

ძალების გატოლებით მივიღებთ:

$$v = r \frac{He}{m}$$

მიღებული სიდიდე ჩავსვათ (1) განტოლებაში, მივიღებთ:

$$eV = \frac{mr^2 H^2 e^2}{2m^2}$$

საიდანაც შემოწერილობის რადიუსი ტოლია

$$r = \frac{1}{H} \sqrt{2V \frac{m}{e}} \quad (2)$$

იონები, რომლებიც წარმოქმნიან  $r$  რადიუსის შემოწერილობის რკალს, ხვდებიან დეტექტორში. იონების დეტექტირება წარმოებს ფოტოგრაფიული, ან ელექტრული მეორდებით. ფოტოგრაფიული დეტექტირებისას იონთა კონა ხვდება ფოტოფირზე და იწვევს იონების პროპორციულ გაშვებას. ელექტრულ დეტექტორში იონური ძალა იზომება ელექტრო-

მეტრით, ელექტრონული გამაძლიერებლით ან სხვა ანალოგიური მოწყობილობით. სიგნალის რეგულირება ხდება სწრაფად მოქმედი პოტენციომეტრით. დღესდღეობით მონაცემების დამუშავება ხდება კომპიტერულად.

$$(2) \text{ განტოლებიდან } m/e = r^2 H^2 / 2V$$

მასს-სპექტრის მისაღებად შეიძლება შეიცვალოს მარჯვენა ნაწილის ცვლადი სიდიდეები ( $r$ ,  $H$  და  $V$ ) და გაზომოს ფოტოფირის გაშავება, ან იონური დენი. რადიუსი  $r$  არ იცვლება, რომლის მნიშვნელობა ეძლევა ხელსაწყოს მოწყობილობით და რჩება ყველა იონებისათვის მუდმივი. ამრიგად  $H$ -ის შეცვლით მუდმივი  $V$ -ს, ან  $V$ -ს შეცვლით მუდმივი  $H$ -ისას, შეიძლება დეტექტორზე მივმართოთ  $m/e$  ტოლი სიდიდის იონები. მასს-სპექტრს წარმოადგენენ სპექტროგრამის, ან ცხრილების სახით, რომელიც შეიცავს  $m/c$  სიდიდეს და მის შესაბამის ინტენსიურობას.

### თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი

თვისობრივი მასს-სპექტრომეტრული ანალიზი დამყარებულია იონების მასის გაზომვაზე. მასების იდენტიფიკაცია წარმოებს ფოტოფირზე ხაზების განლაგებით, რომელსაც აფიქსირებენ, ზომავენ მანძილს საანალიზო ნივთიერებისა და ცნობილი მასების ხაზებს შორის.

მთელი რიგი ნივთიერებების მასსპექტრები საკმაოდ ზუსტად არის შესწავლილი და მოცემულია სპეციალურ ცხრილებში. ამ ცხრილების გამოყენებისას მხედველობაში დებულობენ, რომ ორმუხსტიანი იონი 56 მასით იძლევა სპექტრში ისეთივე ხაზებს, როგორც ერთმუხსტიანი იონი 28 მასით, ასევე სპექტრის მიღების პირობებს – იონური წყაროს ტემპერატურას, ელექტრონების ენერგიას და სხვ.

რაოდენობრივ განსაზღვრას აწარმოებენ დეტექტორზე ფიქსირებული დენის, ან ფოტოფირის გაშვების ხარისხის

მიხედვით პირველ შემთხვევაში გამოთვლები დამყარებულია იმაზე, რომ იონური დენის (I) პიკი პროპორციულია კომპონენტის შემცველობის ან მის პარციალურ წნევაზე.

$$I = KC = \kappa P$$

სადაც  $K$ ,  $\kappa$  - პროპორციულობის კოეფიციენტებია.  $C$  – კონცენტრაცია.  $P$  – წნევა.

მასს-სპექტრული მეთოდი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ნივთიერებების იზოტოპური შედგენილობის, მყარი, თხევადი გაზური სინჯების ანალიზისათვის, ორგანულ ქიმიაში მთელი რიგი ნაერთთა კლასების, მრავალკომპონენტიანი ნახშირწყლების ანალიზისათვის, ნავთობქიმიაში, არაორგნული ნივთიერების ტექნოლოგიაში და სხვ.

მასს-სპექტრომეტრის მეთოდი ხასიათდება უნივერსალურობით და მაღალი მგრძნობიარობით  $10^{-3}...10^{-4}\%$ .


## თავი X

### ანალიზის რეფრაქტომეტრული მეთოდი

რეფრაქცია ანუ გარდატეხა ეწოდება სინათლის სხივის სწორხაზოვანი გავრცელების მიმართულების შეცვლას ერთი გარემოდან მეორე გარემოში გადასვლისას.

გარდატეხა, ისევე როგორც შთანთქმა, არის მისი გარემოსთან ურთიერთქმედების შედეგი.

სინათლე, რომელიც წარმოადგენს ელექტრომაგნიტურ რხეებს, ნივთიერების ატომებში გავლისას ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებით იწვევს ბირთვისა და




**ნახ. 35. სინათლის გარდატეხა**

ელექტრონების წარმოქმნიან რეზულტატურ ტალღებს და გრცელდებიან სხვა მიმართულებით.

სინათლის გარდატეხა ხასიათდება გარდატეხის მაჩვენებლით.  $n$  – გარდატეხის მაჩვენებელი ეწოდება დაცემის კუთხის სინუსის შეფარდებას გარდატეხის კუთხის სინუსთან (ნახ. 35)

$$n = \frac{n_1}{n_2} = \frac{\sin \alpha}{\sin \beta} \dots \quad (1)$$

თუ სინათლის სხივი ეცემა უფრო მკვრივი გარემოდან ნაკლებად მკვრივ გარემოს, მაშინ დაცემის კუთხე ნაკლები იქნება გარდატეხის კუთხეზე და პირიქით. დაცემის კუთხის შემდგომი გაზრდისას დადგება მომენტი, როდესაც გარდატეხის კუთხე გაუტოლდება  $90^0$ -ს, და სხივი გასრიალდება გაყოფის ზედაპირზე ნახ. 36.



ნახ. 36. სინათლის გარდატეხა და სრული შინაგანი არეალება

დაცემის კუთხის შემდგომი გაზრდისას სინათლის სხივი უპვე აღარ გამოდის გარემოდან და იმავე გარემოში აირეკლება. ამ მოვლენას სრული შინაგანი არეალება ეწოდება.

ისეთ დაცემის კუთხეს, რომლის შესაბამისი გარდატეხის კუთხე 90°-ია ზღვრული ანუ კრიტიკული კუთხე ეწოდება და აღინიშნება ψ-თი.

$$\text{თუ } \beta = 90^0, \quad \sin \beta = 1,$$

$$\text{მაშინ } n = \frac{n_1}{n_2} = \frac{\sin \psi}{t} \quad \text{აქედან}$$

$$n_1 = n_2 \cdot \sin \psi$$

ე.ი. ორი ნივთიერების შეხების ადგილზე ზღვრული კუთხის სიდიდე დამოკიდებულია მხოლოდ ამ ნივთიერების გარდატეხის მაჩვენებელზე.

მაშასადამე, თუ ცნობილია ერთი ნივთიერების გარდატეხის მაჩვენებელი, შეიძლება მოინახოს მეორე გარემოს გარდატეხის მაჩვენებელი ზღვრული კუთხის საშუალებით.

სინათლის სხივის გადახრა თავისი საწყისი მიმართულებიდან მით მეტია, რაც მეტია სინათლის გავრცელების სიჩქარეთა სხვაობა ამ ორ გარემოს შორის:

$$n = \frac{V_1}{V_2}$$

სადაც  $n$  არის გარდატეხის ფარდობითი მაჩვენებელი. იგი გვიჩვენებს სინათლის სიჩქარის ცვლილებას ერთი გარემოდან მეორეში გადასვლის დროს.

ცნობილია, რომ სინათლის სხივი ყველაზე მეტი სიჩქარით ვრცელდება სიცარიელეში. სიცარიელე წარმოადგენს ყველაზე უფრო დაბალი ოპტიკური სიმკვრივის გარემოს. სინათლის სიჩქარე სიცარიელეში 1,00027-ჯერ მეტია სინათლის ჰაერში გავრცელების სიჩქარეზე. ვინაიდან სინათლის სხივის სიჩქარე სიცარიელეში არის მინიმალური ზღვარი, ამიტომ გარდატეხის მაჩვენებელი ნებისმიერ გარემოში მეტია ერთზე.

გარდატეხის მაჩვენებელს სიცარიელის მიმართ ეწოდება გარდატეხის აბსოლიტური მაჩვენებელი:

$$N = \frac{C}{V}$$

და გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ ნაკლებია სინათლის სიჩქარე ამ ნივთიერებაში სიცარიელესთან შედარებით. იმ გარემოს, რომლისთვისაც  $n$  მეტია, ოპტიკურად უფრო მკვრივი გარემო ეწოდება.

### გარდატეხის მაჩვენებლის დამოკიდებულება სხვადასხვა ფაქტორებზე

გარდატეხის მაჩვენებელი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე:

1. სიმკვრივეზე. სიმკვრივის გაზრდა იწვევს გარდატეხის გაზრდას:

$$f(n)=rd$$

სადაც  $n$  გარდატების მაჩვენებელია,  $r$  – პროპორციულობის კოეფიციენტი და ხედრითი რეფრაქცია ეწოდება,  $d$  – სიმკვრივეა.

2. დაცემული სხივების ტალღის სიგრძეზე, რომელსაც დისპერსია ეწოდება შემდეგია: რაც ნაკლებია დაცემული სხივების ტალღის სიგრძე, მით მეტია გარდატება. ამიტომ არის, რომ სხვადასხვა ტალღის სიგრძის სხივები სხვადასხვანაირად გარდატყვდებიან. სილული სინათლისათვის უდიდესი გარდატყვდების მაჩვენებელი ახასიათებს ისფერ გამოსხივებას ტალღის სიგრძით 397-424 ნმ, მინიმალური კი წითელს ტალღის სიგრძით 640-732 ნმ.

3. ტემპერატურაზე, ანუ გაფართოების კოეფიციენტზე, ყოველი აირადი ან თხევადი ნივთიერების მოცულობა ტემპერატურის აწევით იზრდება, მათი სიმკვრივე კი მცირდება, რაც გამოიწვევს გარდატების მაჩვენებლის შემცირებას. მაგრამ, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ ტემპერატურის აწევით იზრდება პოლარიზაციის უნარიც, რაც თავის მხრივ იწვევს გარდატების მაჩვენებლის გაზრდას. ამის მაგალითია უმეტესი მინები.

4. ნივთიერების ბუნებაზე. იგი დამოკიდებულია დეფორმაციის ხარისხზე, პოლარიზაციის უნარზე, რაც მეტია პოლარიზაციის უნარი, მით მეტია გარდატება. ნივთიერების ბუნებისაგან დამოკიდებულების შესასწავლად შემოღებულია სიდიდე, რომელსაც მოღებულური რეფრაქცია ეწოდება. იგი გამოისახება ფორმულით:

$$R = \frac{n^2 - 1}{n^2 + 2} \cdot \frac{M}{d}$$

სადაც  $n$  – ნივთიერების გარდატების მაჩვენებელია,  $M$  – ნივთიერების მოღებულური წონა,  $d$  – სიმკვრივე,  $R$  – მოღებულური რეფრაქცია.

მოლეკულური რეფრაქცია არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე, არც წნევაზე, არც ნივთიერების აგრეგატულ მდგომარეობაზე და რაც მთავარია ანალიზური ქიმიისათვის, ახასიათებს აღიტივობის თვისება ე.ო. რთული ნაერთის რეფრაქცია ტოლია შემადგენელი ნაწილების რეაქციების ჯამისა:

$$R_{AB} = R_A + R_B$$

ანალოგიურად, ნარევის რეფრაქცია ტოლია შემადგენელი ნაწილების რეფრაქციათა ჯამისა:


$$R_{\text{ნარ}} = R_A C_A + R_B C_B$$

სადაც  $C$  არის ცალკეული შემადგენელი ნაწილის მოლური წილი.

### კონცენტრაციის გამოთვლის სერხები

#### 1. კონცენტრაციის განსაზღვრა მაგრადუირებელი გრაფიკის გამოყენებით

ამ სერხით კონცენტრაციას საზღვრავენ მაგრადუირებელი გრაფიკის აგებით კოორდინატებში – გარდატეხის მაჩვენებელი  $n$ , კონცენტრაცია  $C$ . ამზადებენ სტანდარტულ სსნარებს მზარდი კონცენტრაციით, ზომავენ თითოეული



ნახ. 37. გარდატეხის მაჩვენებლის დამოკიდებულება კონცენტრაციაზე

მათგანის გარდატეხის მაჩვენებელს. ამ მონაცემების მიხედვით აგებენ გრაფიკს, რის შემდეგ ზომავენ საანალიზო სსნარის  $n_x$  და გრაფიკის საშუალებით გამოთვლიან  $C_x$ . დამოკიდებულება არის სწორ ხაზოვანი, რომელიც არ გადის კოორდინატთა

სათავეზე (ნახ. 37).

## 2. კონცენტრაციის განსაზღვრა ცხრილების საშუალებით.

მთელი რიგი ორგანული ნივთიერების ცნობილი კონცენტრაციის ხსნარებისათვის გაზომილია გარდატეხის მაჩვენებლის მნიშვნელობები და მოცემულია სათანადო ცხრილებში.

### 3. რეფრაქტომეტრული ფაქტორის საშუალებით.

რეფრაქტომეტრული ფაქტორი ( $F$ ) გვიჩვენებს გარდატეხის მაჩვენებლის ზრდას, როცა ხსნარის კონცენტრაცია იზრდება 1%-ით და იანგარიშება ფორმულით:

$$C_x = \frac{(n_{\text{bb}} - n_0)}{F}$$

სადაც  $n_{\text{bb}}$  არის ხსნარის გარდატეხის მაჩვენებელი.

$n_0$  – გამხსნელის გარდატეხის მაჩვენებელი.

$F$  – ანალიზური რეფრაქტომეტრული ფაქტორი, რომლის გამოთვლა ხდება ექსპერიმენტულად ან ცხრილების საშუალებით.

მაგალითად, NaCl-ის 4% და 2% ხსნარებს შორის გარდატეხის მაჩვენებლის სხვაობა, გაყოფილი კონცენტრაციების სხვაობაზე, რომელიც უდრის 2%-ს.

$$F = \frac{(1,3397 - 1,3364)}{(4 - 2)} = 0,00165$$

თუ ხსნარი შეიცავს ერთზე მეტ კომპონენტს, მაგალითად, სამს, მაშინ ანალიზის შედეგები გამოითვლება ფორმულით:

$$C_x = \frac{[n_x - (n_0 + C_1 F_1 + C_2 F_2)]}{F_x}$$

სადაც  $C_x$  – სამი კომპონენტის კონცენტრაცია, განისაზღვრება რეფრაქტომეტრული გზით.

$n_x$  – ხსნარის გარდატეხის მაჩვენებელი

$n_0$  – სუფთა გამხსნელის გარდატეხის მაჩვენებელი.

$C_1$  და  $C_2$  – პირველი და მეორე კომპონენტის კონცენტრაცია, რომელიც განისაზღვრება ქიმიურად.

$F_1$  და  $F_2$  – კომპონენტების რეფრაქტომეტრული ფაქტორი, რომელიც განისაზღვრება ქიმიურად.

$F_x$  – კომპონენტის ფაქტორი, რომელიც განისაზღვრება რეფრაქტომეტრული გზით.


### რეფრაქტომეტრები РЛ და РПЛ

რეფრაქტომეტრი არის ხელსაწყო, რომელშიაც ხდება გარდატეხის მაჩვენებლის გაზომვა. გამოყენებულია А66-ს და პულფრიხის ტიპის რეფრაქტომეტრები, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საზომი პროზმა. იგი დამზადებულია ოპტიკური მინისაგან, რომლის გარდატეხის მაჩვენებელი ზუსტად არის ცნობილი. საზომი პრიზმის ერთი გვერდი ოპტიკურ კონტაქტში მოგვყავს გასაზომ სხეულთან და გვემსახურება როგორც გამყოფი ზედაპირი, რომელზედაც ხდება გარდატეხა ან სრული შინაგანი არეკლვა. α კუთხებს, რომელიც მიიღება სხივების შესასვლელ და გამოსასვლელ გვერდებს შორის, პრიზმის გარდატეხის კუთხე ეწოდება.

რამდენიმე წვეთ საანალიზო სსნარს ათავსებენ ორი პრიზმის (I და II) წახნაგებს შორის. I პრიზმას აქვს კარგად გაპრიალებული ბრტყელი წახნაგი  $AB$  - გამზომი პრიზმა, ხოლო II პრიზმას მუქი ბრტყელი წახნაგი  $A^1B^1$  - გამშუქებელი პრიზმა (ნახ. 38).

სინათლის წყაროდან სხივები ეცემა  $C^1B^1$  წახნაგს, გარდატყდება და ხვდება მუქ ზედაპირზე  $A^1B^1$ . მუქი ზედაპირით სხივის გაფანტვისას საკვლევ სსნარში შედის სხვადასხვა მიმართულების სხივები, რომლებიც გადიან საკვლევი სსნარის ფენაში და ეცემიან I პრიზმის  $AB$  ზედაპირს. ხელსაწყოში შეიძლება განისაზღვროს

ხსნარები, რომელთა გარდატეხის მაჩვენებელი ნაკლებია I პრიზმის გარდატეხის მაჩვენებელზე. ამ დროს ყველა მიმართულების სხივები მინის და ხსნარის საზღვარზე განიცდიან გარდატეხას და შედიან პრიზმაში.



**ნახ. 38. რეფრაქტომეტრი RPL 2-ში სინათლის სხივის  
გავლის სქემა**

პრიზმიდან გამოსულ სხივებზე დაკვირვებისას, რომელიც ახლოსაა ზღვრულთან, მილის მხედველობის არე ორად არმოჩნდება გაყოფილი, ერთი განათებული, მეორე კი ბნელი, რომელთა შორის საზღვარი ზღვრული სხივის შესაბამისია.


ზღვრული კუთხის სხვადასხვა რეფრაქტომეტრები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საზომი პრიზმის გარდატეხის კუთხის სიდიდით, კუთხის საზომი მოწყობილობის კონსტრუქციით და გამოყენებული სინათლის წყაროთი.

### **რეფრაქტომეტრის RPL ოპტიკური სქემა**

სინათლის სხივი ელექტრონათურიდან (1) ორლინზიანი კონდესატორის (2) საშუალებით მიემართება გამაშუქებელ პრიზმაში (3), გაივლის საკვლევ ხსნარს და საზომ პრიზმას

(4), აირეკლება ბრტყელ სარკეში (5), მიემართება პირდაპირი ხედვის პრიზმისკენ (6), რომელიც განკუთვნილია სინათლის შუქისა და ჩრდილის საზღვრის დისპერსული შეფერვის მოსაცილებლად, რასაც აღწევენ მისი ბრუნვით ხელსაწყოს ოპტიკური დერძის გარშემო (ნახ.39).

შემდეგ სინათლის სხივი ხვდება ორლინზიან ობიექტივში (7) და გაივლის დახრილ ბრტყელ პარალელურ ფირფიტას (8), რომლის ბრუნვით ხდება სინათლის შუქისა და ჩრდილის საზღვრის გადაწევა, რის შემდეგ ხვდება სკალას (9) ოკულარს (10), (11), (12) საშუალებით ხვდება დამკვირვებლის თვალში. ოკულარის ფოკალურ სიბრტყეში მდებარეობს პირობითი სკალა 0-100, რომელიც შეესაბამება გარდატეხის მაჩვენებლის ცვლილებას 1,3330-1,3811-მდე. ხელსაწყოს თან ერთვის ცხრილი, რომლის საშუალებით ხდბა გადაყვანა რეფრაქტომეტრის სკალაზე ათვლილი დანაყოფების – გარდატეხის მაჩვენებლის სიდიდეზე.



ნახ. 39. რეფრაქტომეტრ RPL-ის ოპტიკური სქემა  
და საერთო ხედი

მუშაობის დაწყების წინ მოწმდება ხელსაწყოს ნულზე დაყენების სისწორე, რისთვისაც საზომ პრიზმაზე ათავსებენ მინის წკირით 1-2 წვეთ გამოხდილ წყალს და ახურავენ ზედა კამერას. აკვირდებიან შუქჩრდილის საზღვარს, რომელიც უნდა ემთხვეოდეს სკალის ნულოვან დანაყოფს და სამ სამიზნებელ ხაზს. მაშინ ხელსაწყო ნულზეა დაყენებული და შეიძლება ცდის ჩატარება. თუ არ ემთხვევა მაშინ დამთხვევას ახდენენ სპეციალური დასაყენებელი მოწყობილობით, რომელიც მოთავსებულია კორპუსის შიგნით.

### **ლაბორატორიული სამუშაოები**

#### **სამუშაო 1. ხსნარში ეთილის სპირიტის კონცენტრაციის განსაზღვრა რეფრაქტომეტრული მეთოდით**

ხსნარში ეთილის სპირიტის კონცენტრაციის რეფრაქტომეტრული განსაზღვრისათვის საჭიროა მაგრადუირებელი გრაფიკის წინასწარ აგება, რისთვისაც ზემოთ აღწერილი მეთოდით საზღვრავენ გარდატეხის მაჩვენებელს ეთილის სპირიტს მოელი რიგი ცნობილი კონცენტრაციის ხსნარში.

მიღებული შეაქვთ ცხრილში 7.

**ცხრილი 7.**

ცდის №	სპირიტს შემცველობა ხსნარში (მოც. %)	გარდატეხის მაჩვენებლის /n/სიდიდე			/n/ საშუალო
		1	2	3	

მიღებული მონაცემების საფუძველზე აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს, რისთვისაც აბსცისაზე გადაზომავენ ეთილის სპირტის სტანდარტული ხსნარების კონცენტრაციების სიდიდეებს (მოცულობით %-ში), ხოლო ორდინატაზე შესაბამის გარდატეხის მაჩვენებლის განსაზღვრულ მნიშვნელობებს.

გრაფიკის აგების შემდეგ საზღვრავენ საკვლევი ხსნარის გარდატეხის მაჩვენებელს იმავე პირობებში. მიღებული მნიშვნელობის მიხედვით გრაფიკზე მონახავენ შესაბამის პროექციას ჯერ გრაფიკზე, შემდეგ კი აბსცისაზე, რაც შეესაბამება საკვლევ ხსნარში სპირტს კონცენტრაციას (მოცულობით %-ში).

## **სამუშაო 2. შაქრის კონცენტრაციის განსაზღვრა რეფრაქტომეტრული მეთოდი**

შაქრის კონცენტრაციის განსაზღვრისათვის რეფრაქტომეტრული მეთოდით საჭიროა მაგრადუირებელი გრაფიკის წინასწარი აგება, რისთვისაც ზემოთ აღწერილი მეთოდით საზღვრავენ გარდატეხის მაჩვენებელს შაქრის მოგლი რიგი ცნობილი კონცენტრაციის ხსნარებში.

მიღებული შედგები შეაქვთ ცხრილში 8.

### **ცხრილი 8.**

ცდის №	შაქრის შემცველობა %-ში	გარდატეხის მაჩვენებლის /n/სიდიდე			/n/ საშუალო
		1	2	3	

მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრა-  
დუირებელ გრაფიკს, რისთვისაც აბსცისაზე გადაზომავენ  
შაქრის სტანდარტული სსნარების კონცენტრაციების სიდი-  
დებს, ხოლო ორდინატაზე შესაბამის გარდატეხის მაჩ-  
ვენებლის განსაზღვრულ მნიშვნელობებს.

გრაფიკის აგების შემდეგ საზღვრავენ საკვლევი სსნა-  
რის გარდატეხის მაჩვენებელს იმავე პირობებში. მიღებული  
მნიშვნელობის მიხედვით გრაფიკზე მონახავენ შესაბამის  
პროექციას ჯერ გრაფიკზე, შემდეგ კი აბსცისაზე, რაც  
შეესაბამება შაქრის კონცენტრაციას საკვლევ სსნარში.

## ელექტროქიმიური მეთოდები

ელექტროქიმიური მეთოდები ემყარება ელექტრული დენის ან ელექტროდის პოტენციალის გაზომვას, რომლებიც იქმნება ან იცვლება ქიმიური ან ელექტროქიმიური რეაქციის მიმდინარეობის დროს. ძირითადი ელექტროქიმიური მეთოდებია:

1. ელექტროგრავომეტრია – ელექტროწონითი ანალიზი;
2. პოტენციომეტრია;
3. კონდუქტორმეტრია;
4. ვოლტამპერმეტრია და პოლაროგრაფია;
5. კულონომეტრია.

## ელექტროგრავიმეტრული ანალიზი

ელექტროგრავიმეტრულ ანალიზში საკვლევი ნივთიერება სსნარიდან ელექტროლიზით გამოიყოფა წინასწარ აწონილ ელექტროდზე მეტალის, ან მისი ჟანგეულის სახით. განსასაზღვრავი ნივთიერების შემცველობაზე მსჯელობენ წონათა სხვაობით ელექტროლიზის შემდგაბ და ელექტროლიზის ჩატარებამდე.

ელექტროლიზს საფუძვლად უდევს ფარადეის კანონი: ელექტროდზე გამოყოფილი ნივთიერების რაოდენობა ელექტრობის იმ რაოდენობის პროპორციულია, რომელიც სსნართან შეხებაში მყოფი ელექტროდის ზედაპირზე ვადის, იგი გამოისახება განტოლებით:

$$m = \frac{EIt}{F}$$

სადაც  $m$  არის გამოყოფილი ნივთიერების რაოდენობა, გრ.

E – ნივთიერების ექვივალენტი, გრ.

I – დენის ძალა, ამპერებში.

t – ღრო წამებში, ან საათებში.

ფარდობას  $\frac{E}{F}$  ნივთიერების ელექტროქიმიური ექვივა-

ლენტი ეწოდება, რომელიც გვიჩვენებს ნივთიერების რა რაოდენობა გამოიყოფა სათანადო ელექტროდზე ერთი წამის, ან ერთი საათის განმავლობაში, თუ დენის ძალა უდრის ერთ ამპერს.

გრავიმეტრიულ ანალიზში ნალექისადმი მთავარი მოთხოვნილება – პრაქტიკული უხსნადობა – ელექტროანალიზში კარგად ხორციელდება, რადგან მეტალების უმრავლესობა წყალში არ იხსნება. მაგრამ ელექტროლიზური დალექვა ზოგჯერ არასასურველია არასაკმაო დენის გატარების გამო. ელექტროლიზის დროს დალექვა ხდება მხოლოდ განსასაზღვრავი იონების ელექტროდის ზედაპირთან მიახლოვების მომენტში. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სსნარის მორევას.

ნალექისადმი მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მისი სისუფთავე, ნალექის შედგენილობის შესაბამისობა გარკვეულ ფორმულასთან. ეს მოთხოვნა ელექტროლიზური დალექვისას სრულდება გაცილებით უკეთ, ვიდრე გრავიმეტრული ანალიზის მეთოდების გამოყენებისას. „დამლექავი“ (ელექტრონები) სხვადასხვა მეტალის იონებისათვის ერთნაირია. მიუხედავად ამისა, გარკვეული ფიზიკური და ქიმიური პირობების დაცვისას, მეტალების დაცილება რაოდენობრივად ხდება.

მეტალების კრისტალური მესერის განსაკუთრებული სასიათის გამო, სსნარში მყოფი იონები პრაქტიკულად არ წარიტაცება მეტალების ელექტროლიზური დალექვისას. მაშასადამე, აქ არ გვხვდება თანადალექვის მოვლენა.

ნალექისადმი მესამე მოთხოვნა – საკმაოდ მოხერხებული, გარკვეული აგრეგატული ფორმით მიღება, ელექტრო-

ლიზის დროს კარგად სრულდება. გარკვეულ ფიზიკურ-ქიმიურ პირობებში ნალექები ელექტროდზე მიიღება მკვრივი ფენის სახით. გაფილტვრის ოპერაცია სრულიად აცილებულია, ხოლო გარეცხვა ძალიან მცირე დროს მოითხოვს.

მეტალების ელექტროლიზური დალექვის ჩასატარებლად საჭიროა რეაქციის გარკვეული ფიზიკური და ქიმიური პირობები.

### **მეტლების დალექვის ფიზიკური პირობები ძაბვის გავლენა**

ფიზიკური პირობებიდან მთავარი მნიშვნელობა აქვს ძაბვას და დენის ძალას. თუ ელექტროდზე მიყენებული იქნება არასაქმარისი ძაბვა, მეტალი საერთოდ არ გამოიყოფა, ან გამოყოფა იქნება არასრული. თუ მიყენებული ძაბვა ძალიან დიდია, მაშინ საჭირო მეტალის გარდა ელექტროდებზე შეიძლება გამოიყოს სსნარში მყოფი სხვა მეტალებიც. ე.ი. მიიღება გაჭუჭყიანებული ნალექი. ძალიან დიდი ძაბვისას სშირად წარმოიქმნება მეტალს ფხვიერი ღრუბლისებური ნალექი.

ამიტომ მეტალების ელექტროლიზური დალექვა აუცილებლად უნდა წარმოებდეს ძაბვის გარკვეულ ინტერვალში.

### **დენის ძალის და სიმკვრივის გავლენა**

ერთი გრამექვივალენტი მეტალის სრულად დასალექად საჭიროა სსნარში 96 500 კულონი (ფარადეის რიცხვი). სინამდვილეში საჭიროა მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობა ელექტრობის გატარება, ვიდრე ფარადეის რიცხვის მიხედვითაა გამოთვლილი, რადგან კათოდზე მიმდინარეობს თანამდე პროცესები (წყალბადის გამოყოფა,

$NO_3^-$  – იონების აღდგენა და სხვ). თანამდე რეაქციებზე დენის ხარჯი ხშირად მცირდება ხსნარის მორევისას ე.ი. დასალექი მეტალის იონების კათოდის ზედაპირთან სწრაფი მიყვანით. ყველა შემთხვევაში აუცილებელია ელექტროლიზის დამთავრების წინ შემოწმდეს დალექვის სისრულე.

დენის ძალა გავლენას ახდენს წარმოქმნილი ნალექის ხასიათზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა ელექტრობის რაოდენობას, არამედ დენის სიმკვრივეს კათოდზე ე.ი. ამპერების რაოდენობას კათოდის ზედაპირის ერთეულზე. დენის ძალის მცირე სიმკვრივის დროს ზოგჯერ მეტალი ილექტბა მსხვილი კრისტალების სახით, რომლებიც არამჭიდროდ ეკვრის კათოდს, გარეცხვის და გაშრობის დროს ადვილად სცილდება მას, რის გამოც მიიღება ანალიზის არასწორი შედეგები.

დენის ძალის დიდი სიმკვრივისას ხშირად წარმოიქმნება მეტალის ფხვიერი ღრუბლისებური ნალექი. ძლიერი დენის გატარებისას ხდება მეტალის სწრაფი დალექვა და მეტალის იონების კონცენტრაცია ელექტროდებთან ახლო ფრნაში მკვეთრად მცირდება, რის შედეგად იწყება წყალბადის გამოყოფა და სხვა მოვლენები, რაც იწვევს ნალექის გაფხვიერებას. ფხვიერი ნალექი ადვილად ჩამოცვივა ელექტროდიდან, ძლიერ იქანგება გაშრობისას და ამიტომ მოუხერხებელია.

დენის ძალის საშუალო ინტერვალში მიიღება ელექტროდის ზედაპირზე კარგად მიკრული, მკვრივი წვრილკრისტალური ნალექი, რომელიც ადვილად ირეცხება, არ იქანგება გაშრობისას და მუშაობაშიც უფრო მოსახერხებელია.

### მეტალების დალექვის ქიმიური პირობები კონცენტრაციის გავლენა

ელექტროდის პოტენციალი დამოკიდებულია არა მარტო ნივთიერების ბუნებაზე, არამედ ხსნაში იონთა კონკუ-

რენციაზე. მაგალითად, 1 M ვერცხლის ნიტრატის შემცველ ხსნარებიდან ვერცხლის გამოყოფისათვის საჭიროა 0,9 B ძაბვის მიუენება. თუ კონცენტრაცია ნაკლებია 1 M –ზე, მაშინ ვერცხლის გამოყოფა გაძნელებულია და საჭიროა მეტი ძაბვის მიუენება. ვერცხლის ნიტრატის განზავებულ ხსნარში (0,1 ან 0,01 M) მოთავსებულ ელექტროდს წყალბადის ელექტროდის მიმართ აქვს 0,9 B –ზე ნაკლები პოტენციალი. ეს კი იწვევს დაშლის პოტენციალის გაზრდას, რადგან ვერცხლის გამოყოფის პოტენციალი გადაიხრება მარცხნივ, ანუ წყალბადის გამოყოფის პოტენციალზე შორის. ლითონის ელექტროდის პოტენციალის დამოკიდებულება ხსნარში იონთა კონცენტრაციასთან გამოისახება ნერნსტის განტოლებით:

$$E = E_o + \frac{0,058}{n} \lg C$$

ვთქვათ ელექტროდი ჩაშვებულია ხსნარში, რომლის კონცენტრაცია ტოლია  $10^{-6}$  M ერთ ლიტრში, მაშინ

$$E = E_o + \frac{0,058}{1} \lg [Ag+] = 0,8 + 0,058 \lg 10^{-6} = 0,8 - 0,058 \cdot 6 = 0,45B$$


მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება დაშლის პოტენციალის გამოვლა, რომელიც საჭიროა ვერცხლის პრაქტიკულად სრული გამოყოფისათვის, ანუ იმისათვის, რომ ხსნარში დარჩეს  $10^{-6}$  M ვერცხლის იონები. ჩვეულებრივ სარგებლობები გლუკი პლატინის ანოდით, რომელზედაც გამოყოფა უანგბადი, ხსნარს ელექტროლიზის ბოლოს აქვს მუავა რეაქცია. ასეთ პირობებში წყალბადის ელექტროდის პოტენციალი შეიძლება მივიღოთ 1,7 B ტოლი. აქედან საჭირო დაშლის პოტენციალი

$$E_{\text{დ}} = E_o - E_j = 1,7 - 0,45 = 1,25 \text{ B.}$$


## მჟავიანობის გავლენა. დალექტა გოგირდმჟავა ხსნარებიდან

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ხსნარის მჟავიანობას, აზოტის ან გოგირდის ანიონების თანაობას, ანიონების შეფვანას, რომლებიც მეტალთან წარმოქმნიან კომპლექსნა-ერთებს და სხვ.

გოგირდმჟავა ხსნარების ელექტროლიზის დროს კათოდზე უმთავრესად ხდება განსასაზღვრავი იონების განტვირთვა და მეტალების სახით დალექტა:



აზოდზე ხდება ჟანგბადის გამოყოფა:




მხედველობაში მისაღებია ის, რომ ხსნარის მჟავიანობა ანოდური პროცესის შედეგად იზრდება, რაც აძნელებს კათოდზე მეტალის გამოყოფას. ამ შემთხვევაში აუცილებელია ხსნარის ნაწილობრივ განეიტრალება ნატრიუმის აცეტატის დამატებით.

## დალექტა აზოტმჟავა ხსნარებიდან


აზოტმჟავა ხსნარების ელექტროლიზის დროს კათოდური და ანოდური პროცესები იგივეა, რაც წინა შემთხვევაში. ელექტროლიზისათვის ისეთი ხსნარი უნდა მომზადდეს, რომ უზრუნველყოს აზოტის ჟანგეულების და აზოტოვანი მჟავას სრული მოცილება. აზოტმჟავა ხსნარებთან საქმე გვაქვს მეტალის ან შენადნობის აზოტმჟავაში გახსნის შემდეგ. ასეთი ხსნარი ყოველთვის შეიცავს აზოტის ჟანგეულებს, რომლებიც დუღილით უნდა მოცილდეს.

აზოტოვანი მჟავა უფრო ძლიერი დამჟანგელია, ვიდრე აზოტმჟავა. ამიტომ იგი ხსნის ელექტროლიზის დროს კათოდზე გამოყოფილ მეტალებს. აზოტოვანი მჟავას თანაობისას მეტალების დალექტა ძლიერ ნელდება, ან საერთოდ

არ მიმდინარეობს. აზოტოვანი მჟავას მოცილება შეიძლება შარდოვანას დამატებით:




აზოტმჟავა სსნარებიდან ელექტროლიზის დროს მნიშვნელოვან თანამდევ კათოდურ პროცესს წარმოადგენს აზოტმჟავას ანიონის აღდგენა ამონიუმის იონამდე:



ეს პროცესი მრავალ შემთხვევაში სასარგებლოცაა, აზოტმჟავა უფრო ადრე აღდგება, ვიდრე წყალბადის იონები. ამიტომ წყალბადი არ გამოიყოფა მანამ, სანამ არ დამთავრდება აზოტმჟავას აღდგენა ამონიუმის იონამდე. ამით აცილებული იქნება მეტალის დრუბლისებური ნალექის წარმოქმნის მთავარი მიზეზი. გარდა ამისა,  $NO_3^-$  იონები „ბუფერული“ იონების როლს ასრულებს.

### დალექა მარილმჟავა სსნარებიდან

მარილმჟავას სსნარების ელექტროლიზის იშვიათად იყენებენ. მარილმჟავა სსნარების გამოყენებისას ანოდზე მიიღება თავისუფალი ქლორი, რომელიც ნაწილობრივ ურთიერთქმედებს პლატინის ანოდთან და ანელებს მეტალის დალექვას კათოდზე. მარილმჟავა სსნარებიდან მეტალების გამოყოლას აწარმოებენ ძლიერი აღმდგენელის, მაგალითად, პიდროქსილამინის თანაობისას, რომელიც აღადგენს გამოყოფილ ქლორს:



### დალექა კომპლექსური ნაერთების სსნარებიდან


კომპლექსური ნაერთების სსნარების ელექტროლიზის მთავარი ღირსებაა მეტალების მკვრივი ნალექების მიღება. მაგალითად, ვერცხლი გამოიყოფა ვერცხლის ნიტრატის

სსნარიდან ცალკეული გრძელი კრისტალების სახით, რომელიც კათოდიდან ადვილად ჩამოცივა. ვერცხლის ციანი-დური კომპლექსებიდან კი მიღება თანაბარი მკვრივი ნალექი. კომპლექსური მარილების ელექტროლიზის შემთხვევაში გამოყოფის სიჩქარე მეტად მცირეა (ვინაიდან ლითონი შედის კომპლექსური ანიონის უარყოფით ნაწილში), რის შედეგად მიღება წვრილკრისტალური მკვრივი ნალექი.

გარდა ამისა, კომპლექსწარმომქმნელების გამოყენება ცვლის ცალკეული მეტალის გამოყოფის პოტენციალის სიდიდეს, რაც ქმნის დაცილებისათვის ახალ შესაძლებლობას.

ელექტროლიზის დროს უფრო ხშირად იყენებენ ისეთ კომპლექსწარმომქმნელებს, როგორიცა ამიაკი, კალიუმის ციანიდი, ნატრიუმის ტუტე, მჟაუნმჟავა და სხვ. ამიაკური ხსნარების ელექტროლიზს იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც განსასაზღვრავი იონი წარმოქმნის ხსნად ამიაკატებს, მაგალითად, ნიკელის, კობალტის, სპილენდის და სხვ. განსაზღვრისათვის. კათოდზე ილექტრა მეტალი, ანოდზე გამოიყოფა უანგბადი.

ტუტე ხსნარების ელექტროლიზს უმთავრესად იყენებენ თუთიის განსაზღვრისას. როგორც ცნობილია, თუთიის იონები ჭარბ ნატრიუმის ტუტესთან წარმოქმნის ცინკატებს:



თუ ხსნარში არის  $NO_3^-$ -იონები, თუთია დაილექტრ მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამთავრდება  $NO_3^-$ -იონების აღდგენა ამიაკამდე.

ციანიდური ხსნარების ელექტროლიზს იყენებენ ვერცხლის, კალიუმის და სხვ. ელემენტების განსაზღვრისათვის. ანოდზე, ჰიდროკსილ-იონების გარდა, განიმუხტება აგრეთვე  $CN^-$  - ანიონები თავისუფალი ციანის ( $CN$ ) გამოყოფით, რომელიც მომწამლავი გაზია. მისი გამოყოფა რომ თავიდან

აიცილონ, აუცილებელია ხსნარს დაქმატოს ცოტაოდენი თავისუფალი ტუტქ:



ლითონის ელექტროლიზური გამოყოფის პროცესი შეიძლება გაიყოს ორ ფაზად: 1. იონების დიფუზია კა-თოდის ზედაპირისაკენ, 2. ლითონის გამოლექვა თხევადი ფაზიდან მყარ ფაზაში.

დიფუზიის სიჩქარე ხსნარის საერთო კონცენტრაციის პროპორციულია და ტემპერატურის გადიდებით ძლიერ მატულობს. ელექტროლიზის პროცესს აჩქარებს აგრეთვე ხსნარის მორევა, რომლის დროს კათოდურ არეში იონები შედის უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ნორმალური დიფუზიის დროს.

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ ელექტროგრავიმეტ-რული მეთოდით ლითონების განსაზღვრისათვის საჭიროა შემდეგი ოპტიმალური პირობები:

1. ელექტროლიზის ჩატარება მოცემულ ლითონზე წყალბადის გამოყოფისათვის საჭირო პოტენციალზე უფრო დაბლა ე.ო. ელექტროლიზის ჩატარება მუდმივი დენის ძაბვის გარკვეული სიდიდის დროს.
2. ელექტროლიზის ჩატარება სამუშაო დენის საშუალო სიმკვრივის დროს ( $0,001\text{--}0,01 a/\text{სმ}^2$ ).

3. ელექტროლიზის მიმდინარეობა ლითონის თანდათანობით გამოყოფის პროცესში (წვეულებრივად – კომპლექს-ნაერთებიდან).


4. საანალიზო ხსნარის გაცხელება გარკვეულ ტემპე-რატურამდე.

5. საანალიზო ხსნარის მორევა ელექტროლიზის პრო-ცესის მიმდინარეობის დროს.

## შიგადენის ელექტროლიზის მეთოდი


შიგადენის ელექტროლიზის მეთოდი დამუშავებული იყო საბჭოთა მეცნიერების ლურიეს, ჩერნიხოვის და სხვ. მიერ. მეთოდმა სახელწოდება მიიღო იმიტომ, რომ მასში არ იყენებენ დენის გარეშე წყაროს, ელექტროლიზური განსაზღვრისათვის გამოიყენება გალვანურ ელემენტი მიმდინარე პროცესები.

მაგალითად, თუ სპილენძის სულფატის სსნარში ჩაუშვებოთ თუთიის და პლატინის მოკლედ ჩართულ ელექტროდებს, მიიღება გალვანური ელემენტი  $Zn/CuSO_4/Pt$ . უფრო უარყოფითი პოტენციალის მქონე თითიაზე ამ შემთხვევაში დაიწყება ანოდური პროცესი:




**ნახ. 40. შიგადენის ელექტროლიზის დანადგარი უდიაფრაგმოდ.**

1 – ქიმიური ჭიქა (ელექტროლიზური აბაზანა); 2 – ცინკის (ან ალუმინის) ელექტროდი (ანოდი); 3 – პლატინის ბადისებრი ელექტროდი (კათოდი); 4 – სპილენძის კლემა.



რის გამოც თუთია კათონების სახით გადავა სსნარში და განთავისუფლებული ელექტრონები გარე კონტაქტის საშუალებით გადავლენ პლატინის ელექტროდზე, საიდანაც გადაეცემა სსნარში მყოფ სპილენძის იონებს ე.ი. პლატინის ელექტროდზე დაიწყება კათოდური პროცესი:



შესაბამის პირობებში სპილენძი სსნარიდან პლატინის ელე-

ქტროდზე რაოდენობრივად გამოიყოფა მკვრივი ნალექის სახით. სპილენძის შემცველობა გამოიანგარიშება კათოდის წონათა სხვაობით ელექტროლიზის შემდეგ და ელექტროლიზამდე.

ცნობილია შიგადენის ელექტროლიზის შესრულების ორი მეთოდი: 1) შიგადენის ელექტროლიზი უდიაფრაგმოდ (ლურიეს მეთოდი) და 2) შიგადენის ელექტროლიზი დიაფრაგმის გამოყენებით (ჩერნიხოვის მეთოდი).

### **შიგადენის ელექტროლიზი უდიაფრაგმოდ (ლურიეს მეთოდი)**


ამ მეთოდით განსაზღვრისას სათანადო ელექტროდების მოკლედ ჩართული წყვილი უშუალოდ ჩაიშვება საკვლევ ხსნარში (ნახ. 40). ეს ვარიანტი გამოსადეგია მხოლოდ მინარევების ძალიან მცირე რაოდენობის განსაზღვრისათვის. კონცენტრაციის გაზრდის დროს ადგილი აქვს ცემენტაციას. ცემენტაცია ეწოდება ლითონის ანოდზე უშუალოდ გამოყოფის მოვლენას. ცემენტაციის მიზეზია:

1. ანოდის გაჭუჭყიანება გარეშე მინარევებით.
2. ანოდსა და კათოდს შორის ცუდი კონტაქტი, რომლის დროს ანოდის განმუხტვა სწრაფად არ ხდება, ელექტროდის უარყოფითი პოტენციალი იზრდება და ლითონი გამოიყოფა ანოდზე.
3. გამოსაყოფი ლითონის მნიშვნელოვანი კოცენტრაცია. ყოველი ლითონისათვის არსებობს საკუთარი ზღვრული კონცენტრაცია, რომლის გადიდება იწვევს ცემენტაციას. მაგალითად, ლურიეს და გინზბურგის მონაცემებით სპილენძი დამაკმაყოფილებლად შეიძლება გამოიყოს, თუ მისი კონცენტრაცია საკვლევ ხსნარში არ აღემატება 10მგ 100მლ-ში. უფრო მაღალი კონცენტრაცია იწვევს ცემენ-

ტაციას. ნიკელისათვის იგივე ზღვრული კონცენტრაცია ტოლია 8მგ 100მლ-ში.

### შიგადენის ელექტროლიზი დიაფრაგმის გამოყენებით (ჩერნიხოვის მეთოდი)

ამ მეთოდით ელექტროლიზის ჩატარების დროს ანოდური არე გამოყოფილია კათოდური არესაგან ფოროვანი დიაფრაგმის საშუალებით. დიაფრაგმის როლს ასრულებს ანოდზე გადაკრული კოლოდიუმის თხელი აპი (ნახ. 41). დიაგრამის გამოყენებით ელექტროლიზის დროს კონცენტრაციები შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს.



ნახ. 41. შიგადენის ელექტროლიზის დანადგარი დიაფრაგმით. 1 – მინის ჭურჭელი; 2 – პლატინის ბაზისებრი კათოდი; 3 – შემაერთვებელი გამტარი; 4 – ანოდი; 5 – კერამიკული დიაფრაგმა.

ელექტროლიზის ეს ორივე მეთოდი თავისი მსვლელობით ერთნაირია, მაგრამ თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი უპირატესობა და ნაკლი.

შიგადენის ელექტროლიზი უდიაფრაგმოდ მოითხოვს მარტივ დანადგარს და შეიძლება შესრულდეს სწავლის მორევის გარეშე. ვინაიდან დიაფრაგმა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაღობას, შიგადენის ელექტროლიზი უდიაფრაგ-

მოდ შეიძლება მიმდინარეობდეს უფრო მაღალი დენის სიმკვრივის დროს. ე.ი. უფრო სწრაფად. მეთოდი მოითხოვს ელექტროლიზის პირობების დაცვას უფრო ვიწრო ზღვრებ-

ში, ვიდრე ელექტროლიზი დიფრაგმით. უდიაფრაგმოდ შიგადენის ელექტროლიზის დროს აუცილებელია ცემენტაციის წინააღმდეგ სპეციალური ზომების მიღება:

1. ანოდის ზედაპირის და ყველა კონტაქტის ზედმიწევნით გასუფთავება.
2. ანოდის ზედაპირის შემცირება.
3. ანოდად სუფთა ლითონის გამოყენება.
4. ელექტროლიზის აბაზანაში ანოდის დამაზიანებელი ნივთიერებების გამორიცხვა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ელექტროლიზის პროცესს.
5. გამოსაყოფ ლითონისათვის ოპტიმალური კონცენტრაციის დაცვა.

შიგადენის ელექტროლიზის მეთოდს ჩვეულებრივ ელექტროლიზის მეთოდთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობა აქვს:

1. დანადგარის სიმარტივე და მუდმივი დენის წყაროს აუცილებლობის გამორიცხვა.

2. ჩვეულებრივი ელექტროლიზით ძნელად დასაცილებელი პროცესების გამორიცხვა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ელექტროლიზის პროცესს.

შიგადენის ელექტროლიზის არსებით ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ამ მეთოდით შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ლითონების მეტად მცირე რაოდენობა, რადგანაც გამოსაყოფი ლითონის მნიშვნელოვანი კონცენტრაციის დროს იწყება ცემენტაცია.

### **ლითონების ელექტროლიზური დაცილება ვერცხლისწყლის კათოდის გამოყენებით**

ვერცხლისწყლის კათოდის გამოყენებას პლატინის კათოდთან შედარებით შემდეგი უპირატესობა და თავისებურება ასასიათებს:

1. ლითონების უმეტესობა კარგად იხსნება ვერცხლისწყალში ამალგამების ან კოლოიდური სსნარების წარმოქმნით. ამასთან დაკავშირებით ლითონების ელექტროლიზური გამოყოფა გაცილებით ადვილია. მთელი რიგი ლითონებისა (რკინა, მოლიბდენი და სხვა), რომლებიც მყარ კათოდზე სრულებით არ გამოიყოფა, ან მათი ელექტროლიზური დალექვა ძალზე გაძნელებულია, ვერცხლისწყლის კათოდზე სსნარიდან რაოდენობრივად ადვილად გამოიყოფა (ნახ. 42).

2. წყალბადის განმუხტვა ვერცხლისწყლის სარკისებურ ზედაპირზე მოითხოვს გაცილებით მეტ ბაბვას, ვიდრე განმუხტვა პლატინაზე. ამასთან დაკავშირებით ვერცხლისწყლის კათოდზე ადვილად იღებება ზოგიერთი ელექტროუარყოფითი პოტენციალის მქონე ლითონები (თუთია, კადიუმი, ბისმუტი და სხვ.). დალექვა მიმდინარეობს წყალ-

ბადის გამოყოფის გარეშე, რომელიც მყარი ელექტროდების შემთხვევაში ღრუბლისებური ნალექების წარმოქმნას იწვევს და ამნელებს ლითონის რაოდენობრივ გამოყოფას.

ვერცხლისწყლის კათოდის გამოყენებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როდესაც საჭიროა ამალგამის წარმომქმნელი ერთი ელემენტის დიდი რაოდენობის, ან რამდენიმე მეტალის ერთდროულად დაცილება იმ ლითონის მინარევებისაგან, რომელიც რჩება სსნარში.

ისეთი ელემენტები, როგორიცაა ალუმინი, ტიტანი, ცირკო-



ნახ. 42.  
ელექტროლიზის  
უჯრედი  
ვერცხლისწყლის  
კათოდით.


ნიუმი, ფოსფორი, დარიშხანი, ვანადიუმი და სხვ. არ წარმოქმნიან ამალგამებს და ვერცხლის კათოდით ელექტროლიზის დროს რჩება ხსნარში. სხვა ლითონები, როგორიცაა ქრომი, რკინა, სპილენძი, ბისმუტი, ვერცხლი, კადიუმი, მოლიბდენი, თუთია, კალა, ნიკელი, კობალტი და სხვ. აღვილად და რაოდენობრივად ილექტბიან ვერცხლის წყლის კათოდზე.

მოყვანილი დახასიათებიდან ჩანს, რომ ელექტროლიზი ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენს მეტალების დაცვლების და რაოდენობრივი განსაზღვრის საკმაოდ მოხერხებულ მეთოდს.

### ლაბორატორიული სამუშაოები

#### სამუშაო 1. ნიკელის ელექტროგრაფიმეტრიული განსაზღვრა

ნიკელის ელექტროგრაფიმეტრიულ განსაზღვრას აწარმოებენ სულფატ-ამიაკური ხსნარებიდან, რომელშიც ნიკელი იმყოფება კომპლექსნაერთის სახით:



#### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. ნიკელის მარილის შემცველი 0,1 M საანალიზო ხსნარი
2. HNO<sub>3</sub>, (1:1) და 2 M ხსნარები
3. NH<sub>4</sub>OH 0,1 M და 25%-ნი ხსნარები
4. (NH<sub>4</sub>)<sub>2</sub> SO<sub>4</sub>, კრისტალური
5. დიმეთილგლიკინის სპირტიანი ხსნარი
6. ეთილის სპირტი


7. ელექტრო ქურა
8. მაგნიტური სარეველა

### ანალიზის მსგლელობა

სამუშაოს დაწყების წინ აუცილებელია ელექტროდების გულდასმით გასუფთავება, რისთვისაც ჩაყურსავენ განზავებულ მარილმჟავაში (1:1), რის შემდეგ რეცხავენ ჯერ ონკანის და შემდეგ გამოხდილი წყლით. ანოდის მომზადება ამით მთავრდება.

ქათოდი აწონის წინ კარგად უნდა გაშრეს, რისთვისაც ათავსებენ ეთოლის სპირტში, აშრობენ თერმოსტატში 105°-სას 20 წუთის განმავლობაში. აციებენ ექსიკატორში და წონიან ანალიზურ სასწორზე.

ელექტროლიზის დანადგარს აწყობენ ნახ. 43 მოცემული პრინციპული სქემით: საკვლევ ხსნარს ათავსებენ ქიმიურ ჭიქაში (7), უმატებენ 10-15მლ კონცენტრირებულ  $\text{NH}_4\text{OH}$ , 5გრ ამონიუმის სულფატს და ანზავებენ გამოხდილი წყლით 100-200მლ-მდე. ნიკელის შემცველობის შემთხვევაში საკვლევი ხსნარი შეიფერება იისფრად (ნიკელის კომპლექს-ამიაკატის წარმოქმნის გამო).



ნახ. 43. ელექტროლიზის დანადგარის პრინციპული სქემა

ჭიქაში ჩაუშვებენ ამპულას მაგნიტით, ათავსებენ ელექტროქურაზე და ჩართავენ მაგნიტურ სარეველას. ხსნარის 50-60°-მდე გაცხელების შემდეგ ჭიქაში ჩაუშვებენ წინასწარ აწონილ პლატინის კათოდს (8) და ანოდს (9) და ჩართავენ მუდმივ დენს. ელექტროლიზის საწყის ძაბვას 2,5 V აეენებენ (2), (3), (4) რეოსტატის საშუალებით. 10 წუთის შემდეგ ძაბვას ზრდიან 2,8V-მდე, 5 წუთის შემდეგ 3V-მდე, რის შემდეგ ელექტროლიზი გრძელდება კიდევ 5-10 წუთი.

კათოდზე ნიკელის სრული გამოყოფის შესამოწმებლად საათის მინაზე ათავსებენ საკვლევი ხსნარის 1-2 წვეთს და უმატებენ დიმეთილგლიოქსიმის სპირტიან ხსნარს (ჩუგავის რეაქტივი) ნიკელის აღმოჩენის შემთხვევაში ელექტროლიზს განაგრძობენ ნიკელის სრულ გამოყოფამდე (სინჯი ჩუგავის რეაქტივით ყოველ 10 წუთში).

ელექტროლიზის დამთავრების შემდეგ დენის გამოურთავად ელექტროდებს ამოიდებენ ხსნარიდან, მოათავსებენ ცარიელ ჭიქაში და სწრაფად რეცხავენ გამოხდილი წყლით (რადგან ნიკელის ნალექი შეიძლება ნაწილობრივ გაიხსნას ამონიაკურ ელექტროლიტის წვეთებში უკუდენის მოქმედების გამო). შემდეგ გამორთავენ დენს, რეცხავენ კათოდს წყლით, სპირტით, აშრობენ საშრობ კარადაში 105°-სას, აცივებენ ექსიკატორში და წონიან ანალიზურ სასწორზე.

ნიკელის რაოდენობას საკვლევ ხსნარში გამოითვლიან ფორმულით:

$$m = m_2 - m_1$$

სადაც  $m$  – ნიკელის რაოდენობა, გრამებში;

$m_2$  – პლატინის კათოდის წონა ელექტროლიზის შემდეგ, გრამებში;

$m_1$  – პლატინის კათოდის წონა ელექტროლიზის წინ, გრამებში.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ კათოდზე დალექილ ნიკელს ხსნიან მარილმჟავაში (1:1), რის შემდეგ კათოდს


ჯერ რეცხავენ ონკანის და შემდეგ გამოხდილი წყლით.  
სამუშაოს შედეგები ფორმდება ცხრილის სახით.

### ცხრილი 9.

პლატინის კათოდის წონა, (გრამებში)	პლატინის კათოდის წონა, (გრამებში)		გლექტრო ლიზის წინ m <sub>1</sub>	გლექტრო ლიზის შემდეგ m <sub>2</sub>	გლექტრო ლიზის წინ მასში გადა მარტინის რაოდენობა, გრ მ
	გლექტრო ლიზის წინ m <sub>1</sub>	გლექტრო ლიზის შემდეგ m <sub>2</sub>			

### სამუშაო 2. სპილენის განსაზღვრა შიგადენის ელექტროლიზის მეთოდით

სპილენის განსაზღვრა დამყარებულია აზოგმჟავა  
ხსნარებიდან კათოდზე ელექტროლალექვის რეაქციით გამო-  
ყოფილი ნალექის აწონაზე:



### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. სპილენის მარილის შემცველი 0,1 M ხსნარი
2. NaOH, 25%-ი ხსნარი
3. HNO<sub>3</sub>, (1:1) ხსნარი

4.  $H_2SO_4$ , (1:2) ხსნარი
5. პლატინის ბადისეგბრი კათოდი
6. ანოდი ალუმინის (ან თუთიის)
7. ეთილის სპირტი
8. ელექტრო ქურა

### **ანალიზის მსგლელობა**

სამუშაოს დაწყების წინ აუცილებელია კათოდის, ანოდის კონტაქტების და მათი ზედაპირის გაწმენდა.

ალუმინის ანოდის ხმარების შემთხვევაში ახდენენ ელექტროდის პასივაციას (ჟანგებულის აფსკით დაფარვა), რისთვისაც ჩაყურსავენ მას ერთი წუთით ნატრიუმის ტუტის 25%-ან ხსნარში და რეცხავენ ჯერ ონკანის და შემდეგ გამოხდილი წყლით.

პლატინის კათოდის მომზადებისათვის რეცხავენ განზავებული აზოტმჟავით (1:1), ონკანის წყლით და სპირტით, რის შემდეგ აშრობენ საშრობ კარადაში 105°-ის დროს, აცივებენ ექსიკატორში და წონიან ანალიზურ სასწორზე.

კათოდის და ანოდის მომზადების შემდეგ აწყობენ შიგადენის ელექტროლიზის დანადგარს ნახ. 43 მოცემული სქემის მიხედვით.

სპილენძის შემცველ საანალიზო ხსნარს ათავსებენ ელექტროლიზის უჯრედში, უმატებენ 3მლ  $H_2SO_4$  (1:2) და ანზავებენ გამოხდილი წყლით 150მლ-მდე. მიღებულ ნარევს აცხელებენ ელექტრო ქურაზე 80-85°-მდე და მასში უშვებენ ელექტროდების წყვილს. ელექტროლიზს აწარმოებენ 40 წუთის განმავლობაში.

სპილენძის სრული გამოყოფის შესამოწმებლად ელექტროლიზის უჯრედში უმატებენ გამოხდილ წყალს იმ რაოდენობით, რომ სითხის დონემ აიწიოს 1-1,5სმ-ით და 10-

15 წუთის შემდეგ აკვირდებიან კათოდის ზედაპირს. თუ კათოდის ზედა ნაწილზე სპილენძი აღარ გამოიყოფა, ელექტროდებს იდებენ სსნარიდან და რეცხავენ გამოხდილი წყლით, შემდეგ დააცილებენ ელექტროდებს ერთმანეთს და კათოდს გარეცხავენ სპირტით, გააშრობენ თერმოსტატში, აციებენ ექსიკატორში და წონიან ანალიზურ სასწორზე.

სპილენძის შემცველობის საკვლევ ხსნარში გამოითვლიან ფორმულით:

$$m = m_2 - m_1$$

სადაც  $m$  არის სპილენძის რაოდენობა, გრ.

$m_2$  – პლატინის კათოდის წონა ელექტროლიზის შემდეგ, გრ.

$m_1$  – პლატინის კათოდის წონა ელექტროლიზის წინ, გრ.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ პლატინის კათოდზე გამოყოფილი სპილენძის მოსაცილებლად კათოდს რეცხავენ ჯერ განზავებული აზოტმჟავით (1:1), შემდეგ ონკანის და გამოხდილი წყლით.

## თავი XII

### ანალიზის პოტენციომეტრული მეთოდი

ანალიზის პოტენციომეტრულ მეთოდს საფუძვლად უდევს საკვლევ ხელის ჩაშვებული სათანადო ელექტროდის პოტენციალის ცვლილების გაზომვა. პოტენციალის სიდიდე, რომელიც საკვლევ ხელის არსებულ იონთა კონცენტრაციის ლოგარითმულ ფუნქციას წარმოადგენს, დამოკიდებულია ელექტროდის ბუნებაზე, ხელის ბუნებაზე და კონცენტრაციაზე, რომელშიაც ჩაშვებულია ელექტროდი, ქიმიური რეაქციის ხასიათზე, ტემპერატურაზე და სხვა. ელექტრული წევილის პოტენციალთა სხვაობის ანუ ე. მ. ძის გაზომვა საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ დაკვირვება ქიმიური რეაქციის მსვლელობაზე.

თუ ლითონის ელექტროდი ჩაშვებულია ხელის, რომელიც შეიცვალს ამავე ლითონის იონებს, მყარ და თხევად ფაზას შორის მყარდება წონასწორობა



ელექტროდის პოტენციალს, რომელიც წარმოიქმნება საზღვარზე ხელის-ლითონი ეწოდება წონასწორული პოტენციალი, რომლის დამოკიდებულება ლითონის იონთა კონცენტრაციასთან გამოისხება ნერნსტის განტოლებით:

$$E_x = E_0 + \frac{R}{nF} \cdot \ln C_{Me}$$

სადაც

$E_0$  – არის ნორმალური პოტენციალი

$F$  – ფარადეის რიცხვი (96500 კ)

$T$  – აბსოლიტური ტემპერატურა

$R$  – აირის მუდმივა (8,313 ჯ)

$C_{Me}$  – ლითონის იონების კონცენტრაცია

$n$  – ლითონის იონების მუხლი

თუ ჩავსვამთ  $R$ ,  $F$  და  $T$  მნიშვნელობას  $25^{\circ}$ -ის დროს და გადავალო ათობით ლოგარითმზე, მივიღებთ

$$E_x = E_0 + \frac{0,058}{n} \cdot \lg C_{Me}$$

ეანგგა-ალფანის რეაქციები ხასიათდებიან განსაზღვრული პოტენციალის მნიშვნელობით, რომელიც დამოკიდებულია სისტემის ბუნებაზე, ადგგენილი და დაქანგული ფორმების კონცენტრაციაზე და გამოისახება ფორმულით:

$$E_x = E_0 + \frac{0,058}{n} \cdot \lg \frac{[\text{დაჟ.}]}{[\text{ალფ.}]}$$

სადაც

$E_0$  – არის ეანგგა-ალფანის ნორმალური პოტენციალი

$n$  – ელექტრონების რიცხვი, რომელიც მონაწილეობს რეაქციაში

[დაჟ.] – დაჟანგული ფორმის კონცენტრაცია

[ალფ.] – ალფანილი ფორმის კონცენტრაცია.

თუ სისტემაში იდებს მონაწილეობას წყალბადის იონები, მაშინ ელექტროდის პოტენციალი იქნება დამოკიდებული ხსნარში წყალბად-იონების კონცენტრაციაზე:

$$E_x = E_0 + \frac{0,058}{n} \cdot \lg \frac{[\text{დაჟ.}]^\alpha \cdot [H^+]^m}{[\text{ალფ.}]^\delta}$$

სადაც  $\alpha$ ,  $\delta$  და  $m$  – სტექიომეტრული კოეფიციენტებია.


### ნორმალური პოტენციალი

ელექტროდის პოტენციალის პირდაპირ გაზომვა არ შეიძლება. ამიტომ ელექტროდის პოტენციალს ადარებენ მეორე ელექტროდის პოტენციალს, რომელიც პირობითად ნულის ტოლად არის მიღებული.

ასეთ შესაძარებელ ანუ ეტალონურ ელექტროდად მიღებულია წყალბადის ნორმალური ელექტროდი. იგი წარმოადგენს პლატინის ფირფიტას, რომელიც დაფარულია პლა-

ტინის შავით, გაჯერებულია წყალბადით ნორმალური ატ-მოსფერული წნევის დროს.

ფირფიტა ჩაშვებულია ხენარში, რომლის წყალბადის იონების აქტივობა ტოლია 1 გრ. ექვ. წყალბადი, რომელიც ადსორბირებულია ფირფიტაზე, ხენარში წყალბად იონებთან იქცევა, როგორც ლითონის ელექტროდი თავისივე იონებთან. წონასწორობა გამოისახება ფორმულით:



ელექტროდის პოტენციალს, რომელიც ჩაშვებულია სა-თანადო მარილის ხენარში 1 გ/ექვ. აქტივობით და გაზო-მილია წყალბადის ნორმალურ ელექტროდთან შედარე-ბისას, ნორმალური პოტენციალი ეწოდება და აღინიშნება  $E_0$ -ით.

რაც შეეხება ელექტროდის მუხტს, თუ იგი დამზა-დებულია ლითონისაგან, რომელიც აქტივობის მწკრივში მდებარეობს წყალბადის შემდეგ, იქნება უარყოფითი, ხოლო წყალბადამდე - დადებითი.

ნორმალური პოტენციალების მნიშვნელობა  $25^\circ$ -ის დროს მოცემულია ცხრილში.

### რეალური პოტენციალი

ჩვეულებრივ პირობებში ნორმალური პოტენციალებით არ შეიძლება სისტემების შედარება, რადგან ხენარში, გარდა მოქმედი იონებისა, გვაქვს გარეშე იონები, რომ-ლებიც რეაქციაში არ მონაწილეობენ, მაგრამ გავლენას ახ-დენენ ჟანგვა-აღდგენით პოტენციალზე. ასეთი იონები ხში-რად შეიძლება იყოს კომპლექსწარმომქმნელი იონები, რომ-ლებიც მოქმედებენ დაუანგულ და აღდგენილ ფორმებთან. მაგალითად,  $\frac{Fe^{3+}}{Fe^{2+}}$  წყვილის ნორმალური პოტენციალი

ტოლია  $+0,77V$ , ციანიდ-იონების თანაობისას ხდება კომპლექსის წარმოქმნა და პოტენციალი ტოლია  $+0,36V$ .

რეალურ პოტენციალს დიდი მნიშვნელობა აქვს პოტენციომეტრული ტიტვრის დროს. მაგრამ იგი ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი და ამიტომ სარგებლობები თეორიულად გამოთვლილი წონასწორული პოტენციალის მნიშვნელობით.

## ელექტროდები

პოტენციომეტრული განსაზღვრებისას საკვლევ სსნარში ათავსებენ ორ ელექტროდს. ერთ ელექტროდს, რომლის პოტენციალის სიდიდე დამოკიდებულია საკვლევ სსნარში განსასაზღვრავი იონების კონცენტრაციაზე და გატიტვრის დროს ცვლის ინდიკატორს, ეწოდება ინდიკატორული ელექტროდი.


ინდიკატორული ელექტროდის პოტენციალი შეიძლება გაიზომოს რომელიმე არაპოლარული ელექტროდის მიმართ, რომლის პოტენციალი არ იცვლება გატიტვრის დროს და ისმარება ინდიკატორული ელექტროდის პოტენციალის გასაზომად, შესადარებელი ან სტანდარტული ელექტროდი ეწოდება. ასეთ ელექტროდებად გამოყენებულია მეორე რიგის ელექტროდები.

ინდიკატორული ელექტროდები იყოფა ორ სახეცვლილებად: მეტალური და მემბრანული ელექტროდები. მეტალური ელექტროდები თავის მხრივ იყოფა აქტიურად და ინერტულად.

ყველა ლითონი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინდიკატორულ ელექტროდად. მაგალითად, *Pt*, *Cu*, *Hg*, *Pb*, რადგან ჰაერზე იფარებიან პასივირებული ჟანგის ფენით და კარგავენ მგრძნობიარობას წყალბადის-იონების მიმართ, ელექტროდის წონასწორობა მყარდება ნელა, ამიტომ მათ

იშვიათად იყენებენ. გამოყენება შესაძლებელია, თუ ლითონს გახსნიან ვერცხლისწყალში. ასეთ ელექტროდებს ამალგამიანი ელექტროდები ეწოდება. ამალგამიანი ელექტროდების უპირატესობა მეტალურ ელექტროდებთან შედარებით არის ის, რომ ისინი არ რეაგირებენ მჟავებთან და წონასწორობაც ხსნარსა და ელექტროდს შორის მყარდება სწრაფად.

მეტალურ ელექტროდებს უყენებენ შემდეგ მოთხოვნილებს: ინდიკატორული ელექტროდი უნდა იყოს შექცევადი, ანუ მისი პოტენციალი უნდა იცვლებოდეს ხსნარში იონთა კონცენტრაციის შეცვლით; იყოს ქიმიურად მდგრადი იმ ნივთიერებების მიმართ, რომლებიც არის ხსნარში. მაგალითად, თუთიის ელექტროდი არ გამოიყენება მჟავა გარემოში, რადგან იგი იხსნება მჟავაში. ასევე, თუ ხსნარი შეიცავს უფრო ელექტროდადებით ლითონებს, როგორიცაა სპილენძი, სპილენძის იონები გამოდევნიან ხსნარიდან თუთიას:



რაც მთავარია, ელექტროდის პოტენციალი უნდა მყარდებოდეს სწრაფად, წინააღმდეგ შემთხვევაში გატიტვრა მოითხოვს დიდ დროს.


ინერტული ელექტროდებია პლატინა, ოქრო, პალადიუმი, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ელექტროქიმიურ რეაქციაში. პოტენციალი დამოკიდებულია საანალიზო ხსნარში განსასაზღვრავი იონების დაჟანგული და აღდგენილი ფორმების თანაფარდობაზე.

ინდიკატორული ელექტროდების შერჩევა ხდება იმ რეაქციის ტიპის მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს პოტენციომეტრულ ტიტვრას. კერძოდ, ნეიტრალიზაციის მეთოდში მჟავების და ტუტების გასატიტრად გამოიყენება მინის, ქინკიდრონის, ლითონჟანგის და სხვ. ელექტროდები. ჟანგვა-აღდგენის რეაქციაში - პლატინის, ოქროს და

პალადიუმის ელექტროდები, დალექვის და კომპლექსურ-მოქმნის რეაქციაში - ვერცხლის და ვერცხლისწყლის ელექტროდები. შესადარებელ ელექტროდად გამოიყენება მეორე რიგის ელექტროდები. მაგალითად, კალომელის ელექტროდი. იგი შედგება ლითონური ვერცხლისწყლსაგან და  $KCl$ -ის ხსნარისაგან, რომელიც გაჯერებულია კალომელით  $Hg_2Cl_2$ . ასეთი ელექტროდის პოტენციალი განისაზღვრება სისტემით:



და ქლორვერცხლის ელექტროდი, რომელიც შედგება ვერცხლის მავთულისაგან, რომელიც ჩაშვებულია  $KCl$ -ის ნაჯერ ხსნარში და შეიცავს მცირე რაოდენობით ვერცხლის ქლორიდს. უმჯობესია  $AgCl$  გავალდოთ და მასში ჩავდგათ ვერცხლის მავთული. გაციების შემდეგ ელექტროდი იფარება  $AgCl$ -ის თანაბარი ფენით, რომელსაც ათავსებენ  $KCl$ -ის ნაჯერ ხსნარში. ასეთი ელექტროდის პოტენციალი განისაზღვრება სისტემით:



### იონოსელექტრიური მემბრანული ელექტროდები

იონოსელექტრიური ელექტროდები ელექტროქიმიური ნახევარელემენტებია, რომელშიც პოტენციალთა სხვაობა ფაზების გამყოფ ზედაპირზე დამოკიდებულია ხსნარში განსასაზღვრავი იონების აქტივობაზე. ელექტროდის მასალა წარმოადგენს მყარ ან თხევად მემბრანას, რომელიც მგრძნობიარება მხოლოდ ერთი რომელიმე იონის მიმართ. მასში შეევანილია განსასაზღვრავი იონების მოწყვეტის უნარის მქონე ნივთიერება. ეს იონები წყალში ან ელექტროლიტის ხსნართან შეხებისას შესაბამისად გადადიან ხსნარში და, პირიქით, ხსნარიდან მემბრანაში, რის შედეგად მემბრანა იძენს ხსნარში გადასული იონების საწი-

ნააღმდეგო ნიშნის მუხტის. ფაზების გამყოფ ზედაპირზე წარმოიქმნება მემბრანული პოტენციალი  $E_\vartheta$  რომლის მნიშვნელობა ნერნსტის განტოლების მიხედვით დამოკიდებულია სსნარში არსებული იონების აქტივობაზე:

$$\Delta E = E_1 - E_2 = E_\vartheta$$

$$E_\vartheta = E' + \frac{RT}{F} \ln \frac{a'}{a''}$$

თუ  $a'' = \text{const}$ , მაშინ


$$E_\vartheta = K + \frac{RT}{F} \lg a'$$

სადაც  $E'$  არის პოტენციალი მემბრანის გარე ზედაპირზე, გარე ზედაპირი კონტაქტშია საანალიზო სსნართან, რომლის კონცენტრაცია  $a'$  უცნობია.  $E_2$  – მემბრანის შიგა ზედაპირის პოტენციალია, შიგა ზედაპირი კონტაქტშია სტანდარტულ სსნართან, რომლის კონცენტრაცია  $a''$  მუდმივია და ცნობილია. მემბრანის შიგა და გარე ზედაპირებს შორის ჩნდება პოტენციალთა სხვაობა  $\Delta E$ , რომელიც უდრის მემბრანის პოტენციალს  $E_\vartheta$ . ამ განტოლებიდან ჩანს, რომ მემბრანის პოტენციალი დამოკიდებულია სანალიზო სსნარის კონცენტრაციაზე:

$$E_\vartheta = f(a'')$$


გამოყენებული მასალის მიხედვით მემბრანული ელექტროდები იყოფა ოთხ ჯგუფად: მინის ელექტროდები, ელექტროდები მყარი მემბრანით, ელექტროდები თხევადი მემბრანით და ელექტროდები აირმგრძნობიარე მემბრანით (ნახ. 44, 45).

პირველი მემბრანული ელექტროდი იყო მინის ელექტროდი, რომელიც იქნა გამოყენებული წყალბად-იონების კონცენტრაციას გასაზომად pH-ის ფართო ზღვებში 0–13.



ნახ. 44. თხევადმემბრანული ელექტროდი:

- 1 – ფორმაციანი პლასტიკური მემბრანა; 2 –  $\text{AgCl}$ -ით გაჯერებული  $\text{MgCl}_2$ -ის წყალ ხსნარი; 3 – თხიადი ორგანული იონიგი; 4 – გარე მილი; 5 – შიდა მილი; 6 – ვერცხლის ელექტროდი



ნახ. 45. აირ-მგრძნობიარე ელექტროდი:

- 1 – აირგამავალი მემბრანა;
- 2 – ინდიკატორული ელექტროდი; 3 – შესადარებელი ელექტროდი; 4 – პლასტიკური მილი; 5 – შიდა ხსნარი; 6 – გარე ხსნარი


მინის ელექტროდი დამზადებულია სპეციალური მინისაგან (1), რომელიც შეიცავს უმეტესად ტუტე ლითონებს  $\text{Li}$  და  $\text{Na}$  (ნახ. 46). მილს ბოლოში აქვს 15-20 მმ დიამეტრის ბურთულა (2), რომელიც შევსებულია 0,1 N  $\text{NaCl}$  ან რომელიმე ბუფერული ხსნარით (3). ბურთულის შიგნით მოთავსებულია ქლორვერცხლის ელექტროდი (4). მინის ელექტროდს ათავსებენ საკვლევ ხსნარში და ელექტროლიტური გამტარის საშუალებით უერთებენ სტანდარტულ კალომელის ელექტროდს და




ნახ. 46. მინის ელექტროდი:

- 1 – კორპუსი; 2 – ბურთულა;
- 3 – ხსნარი; 4 – კონტაქტური ნახევარელემენტი;
- 5 – ელექტრომეტრული ხიდი.

ღებულობები ჯაჭვის:



თხელი მინის ზედაპირზე, რომელიც ყოფს ორი სხვა-დასხვა კონცენტრაციის მქონე წყალბად-იონებს, აღიძვრება პოტენციალი. მინა ასრულებს ელექტროდის როლს, რომელიც შექცევადია წყალბად-იონების მიმართ. სხვარში მყარდება რთული წონასწორობა, რომელიც გამოწვეულია წყალბად-იონების დიფუზიით სხვარიდან მინაში და ლითოუმის და ნატრიუმის იონების - მინიდან სხვარში, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს pH-ის გასაზომად:



მინის ელექტროდის ელექტროგამტარობა ძალიან მცირება, ამიტომ ჯაჭვში გამავალი დენი განსაზღვრის წინ უნდა გაძლიერდეს. ამას ემსახურება იონომეტრი.

ტუტე იონების შემცველ სხვარში მინის ელექტროდი იღებს  $Na$ -ის ფუნქციას, ანუ იგი რეაგირებს სხვარში ნატრიუმის იონების კონცენტრაციაზე. თუ მინის ელექტროდის მემბრანა დამზადებულია ისეთი მინისაგან, რომელიც შეიცავს  $Al_2O_3$  ან  $B_2O_3$ , მაშინ გარკვეულ პირობებში, კერძოდ,  $pH > 9$ -ზე, ასეთი მემბრანა კარგავს ფუნქციას წყალბად-იონების მიმართ და იძენს ახალ თვისებას – სხვარში ტუტე ლითონების იონების პროპორციული ხდება. ეს ევექტი ფართოდ გამოიყენება ნატრიუმის იონების განსაზღვრისათვის.

მინის ელექტროდის დადებითი მხარეა ის, რომ იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს ძლიერი დამუანგველების და ადმდგენელების სხვარებში, წონასწორობა მყარდება სწრაფად. ნაკლია მინის ბურთულის დაზიანება, რისთვისაც მას ათავსებენ მინის მილში.

მყარი მემბრანული ელექტროდები შეიძლება იყოს ჰომოგენური და ჰეტეროგენული. ჰომოგენურ ელექტროდებში იონმგრძნობიარე ელემენტი მზადდება იონური გამ-

ტარებლობის მქონე კრისტალური ნივთიერებისაგან, რომელიც შეიცავს განსასაზღვრავ იონებს. ასეთ კრისტალებში მუხტის გადატანა წარმოებს კრისტალური მესერის დეფექტების სარჯზე, რომელშიც თავისუფალ (ვაკანტურ) ადგილებს იკავებს გარკვეული ზომის და მუხტის იონები. ამის მაგალითია ფტორსელუქტიური ელექტროდი, მემბრანა არის *LaF<sub>3</sub>*-ის მონოკრისტალი *EuF<sub>2</sub>*-ის დანამატით ელექტროგამტარობის გასადიდებლად. იგი გამოიყენება ფტორიდ-იონების განსაზღვრისათვის კონცენტრაციის ფართო ზღვრებში  $10^{-6}$ -დან 1 მოლ/ლ. ვერცხლის და სულფიდ-იონების განსაზღვრსათვის გამოიყენება ვერცხლის სულფიდის მემბრანა.

ჰეტეროგენული მემბრანები შეიცავს რომელიმე ინერტულ შემაკავშირებელ მასალას (მატრიცას) ელექტროდის მექანიკური სიმტკიცისათვის, მაგალითად, პარაფინი, კაუჩუკი, პოლიეთილენი, აგარ-აგარი და სხვ.

თხევად მემბრანებს ამზადებენ მჟავური ამ ფუძე ფუნქციონალური ჯგუფების შემცველი მყარი ან თხევადი იონიტებისაგან, ან მათ სხსარებს შესაბამის წყალში უხსნად ორგანულ გამსხსნელში. მაგალითად, კალციუმი შეიძლება განისაზღვროს ფოსფორმჟავას ეთერის კალციუმის მარილის ელექტროდის საშუალებით.


იონოსელექტრიური ელექტროდები გამოირჩევიან მაღალი მგრძნობიარობით, აღმოსაჩენი მინიმუმის ზღვრებია  $10^{-5}$ – $10^{-7}$ .

მემბრანული ელექტროდები ფართოდ გამოიყენება როგორც პირდაპირ პოტენციომეტრიაში, ასევე პოტენციომეტრული ტიტვრის დროს.

### პოტენციომეტრული ტიტვრა

არჩევენ პოტენციომეტრული მეთოდის გამოყენების ორ ვარიანტს: პოტენციომეტრული ტიტვრა და პირდაპირი


პოტენციომეტრია, ანუ იონომეტრია. პირველი ვარიანტი შინაარსით მოცულობითი ანალიზის მეთოდია. პოტენციომეტრული ტიტრისას ხსნარში იონთა კონცენტრაციები იცვლება, რის შედეგად იცვლება წონასწორული პოტენციალი. ექვივალენტურ წერტილში იონთა კონცენტრაცია მკვეთრად იცვლება, რაც მჟღავნდება ინდიკატორული ელექტროდის პოტენციალის ნახტომით.



ნახ. 47. პოტენციომეტრული ტიტრის ინტეგრალური (a) და დიფერენციალური (b) მრუდები

თუ გატიტვრის ცალკეული მომენტისათვის ნერნსტის განტოლების მიხედვით გამოვითვლით წონასწორული პოტენციალის მნიშვნელობას და ავაგებთ გრაფიკს კოორდინატებში  $E-V$ , სადაც  $E$  – პოტენციალია და  $V$  – გატიტვრაზე დახარჯული სამუშაო ხსნარის მოცულობა (ნახ. 47), მივიღებთ ტიტვრის მრუდს. მიღებული მრუდის ვერტიკალური მონაკვეთი შეესაბამება ექვივალენტურ წერტილს. მაგრამ მრუდის მცირე კუთხით გადახრისას ექვივალენტური წერტილის ზუსტად განსაზღვრა გაძნელებულია, ამიტომ ამ შემთხვევაში სარგებლობენ დიფერენციალური პოტენციომეტრული ტიტვრის მრუდით, რომელსაც აგებენ კოორდინატებში  $\Delta E/\Delta V$ , სადაც  $\Delta E$  არის ელექტროდის პოტენციალის ცვლილება ორ დამატებულ ხსნარის პორ-

ციებს შორის, ხოლო  $\Delta V$  – დამატებული ხსნარის მოცულობათა სხვაობა. ექვივალენტური წერტილი ( $V_x$ ) განისაზღვრება მრუდის მაქსიმუმის პროექციით აბსცისათა დერძზე. დალექვის მეთოდით პოტენციომეტრული ტიტვრის დანადგარის სქემა მოცემულია ნახ. 48-ზე.



ნახ. 48. დალექვის მეთოდით პოტენციომეტრული ტიტვრის დანადგარის სქემა

- I – პოტენციომეტრი ППТВ-1; 1, 3 – ბერკეტული გადამრთველები;
- 4 – გადამრთველი «ი»; 5 – წინაღობის ბერკეტული მაღაზიის სამი დუკადა და რეოსტრატი პოტენციომეტრის მუშა დენის რეგულირებისთვის; 6 – ნორმალური ელექტრონიკური დამხმარებატარება ან აკუმულატორი; 8 – გალვანომეტრი; 9 – ქიმიური ჰიქასაკვლევი სსნარისთვის; 10 – ვერცხლის ელექტროდი;
- 11 – ჰარილის ბოგირი; 12 – ბიურეტი სამუშაო სსნარით;
- 13 – კალომეტრის ელექტროდი; 14 – ჭურჭელი KCl-ის ნაჯერი სსნარით (კალომეტრის ელექტროდის მოსათავსებლად).

ამრიგად, იანგარიშება ნეიტრალიზაციის, უანგვა-ალდეგენის, დალექვის და კომპლექსურმოქმნის რეაქციების პოტენციალთა სხვაობის მნიშვნელობები და ხდება სათანადო ტიტვრის მრუდების აგება.

ნეიტრალიზაციის მეთოდში ტიტვრის მრუდის მიმართულება დამოკიდებულია გასატიტრი სსნარის კონცენტრაციაზე და მჟავას და ტუტის დისოციაციის მუდმივაზე. პო-

ტენციალის ნახტომი ექვივალენტურ წერტილში მით მეტია, რაც მეტია გასატიტრი მჟავას ან ტუტის კონცენტრაცია და მათი დისოციაცია.

ესნგვა-აღდგენის მეთოდში ექვივალენტური წერტილის ზუსტად დადგენა დამოკიდებულია სამუშაო სსნარის შერჩევაზე. კერძოდ, რაც მეტია სსნარის საწყისი კონცენტრაცია, მით მეტია პოტენციალის მკვეთრი ცვლილება. გარდა ამისა, პოტენციალის ნახტომი დამოკიდებულია ულექტროდული პროცესების ბუნებაზე. რაც მეტია დამჟანგავის და აღმდგენელის ნორმალურ პოტენციალებს შორის სხვაობა, მით მეტია პოტენციალის ნახტომი ექვივალენტურ წერტილში.

დალექვის და კომპლექსურმოქმნის მეთოდში ექვივალენტურ წერტილში პოტენციალის ნახტომი დამოკიდებულია ნალექის სსნადობაზე. რაც ნაკლებია ნალექის სსნადობა და მისი სსნადობის ნამრავლი, მით მეტია პოტენციალის ნახტომი ექვივალენტურ წერტილში.

მეორე ვარიანტი - იონომეტრია გულისხმობს წყალბად-იონების კონცენტრაციის და pH-ის განსაზღვრას. ბოლო წლებში იონომეტრიის გამოყენება ფართოდ გაიზარდა. იგი არის, ერთის მხრივ, წყალბად-იონების განსაზღვრის შეუცვლელი მეთოდი და, მეორეს მხრივ, შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს სსნარში 50-ზე მეტი იონების წონასწორული კონცენტრაციები, მაგალითად, ტუტე და ტუტემიწათა ლითონები, ჰალოგენები, სულფიდ და ციანიდ-იონები და სხვ.

მეთოდი მეტად პერსპექტიულია, რაც განპირობებულია გაზომვის სიმარტივით, სელექტიურობით და მაღალი მგრძნობიარობით.

### ე.მ.ძ-ის გაზომვის მეთოდები. კომპენსაციური მეთოდი

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ საკვლევ სსნარში იონთა კონცენტრაციები პოტენციომეტრული მეთოდით,

საჭიროა შევადგინოთ ინდიკატორული და შესადარებელი ელექტროდისაგან გალვანური ელემენტი და გავზომოთ მისი ე.მ.ძ.


ომის კანონის თანახმად, დენის ძალა დამოკიდებულია გალვანური ელემენტის ე.მ.ძ. და შიგა და გარე წრედის წინაღობაზე.

$$I = \frac{E}{R_1 + R_2} \quad \text{ანუ} \quad E = I(R_1 + R_2)$$

მუშაობის დროს გალვანურ ელემენტში ადგილი აქვს ქიმიურ და კონცენტრაციულ ცვლილებებს, რომლებიც იწვევენ ელექტროდების პოლარიზაციას და ე.მ.ძ. განუწყვეტლივ მცირდება. ამიტომ ე.მ.ძ. უნდა გაიზომოს მაშინ, როდესაც წრედში დენი არ გადის. ამის მიღწევა შეიძლება პოტენციონალური კომპენსაციური მეთოდით დიუბუა-რაიმონდის სქემით.

მეთოდის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ წრედში არსებული დენის საპირისპირო მიმართულებით ატარებენ დენს გარეშე წყაროდან.

თუ ორივე დენს ერთნაირი ე.მ.ძ. აქვთ, მაშინ წრედი არ მუშაობს. ე. ი. ე.მ.ძ-ის გაზომვა ხდება მაშინ, როდესაც



ნახ. 49. ემ გაზომვის კომპენსაციური სქემა

იგი წრედში მთლიანად კომპენსირდება მეორე ცნობილი დენით. დენი აკუმულატორიდან A მიემართება AB რეოჟორდაზე, რომელზედაც პოტენციალი თანდათანობით იზრდება 0-დან აკუმულატორის ე.მ.ძ-მდე (2V). ამ წრედს დიდი წრედი ეწოდება (ნახ. 49).

საკვლევი  $x$  ელემენტი  
ჩამრთველისა და გალვა-

ნომეტრის საშუალებით მცოცავი კონტაქტით უერთდება  $AB$  რეოქორდას, ხოლო მეორე ბოლო დამაგრებულია  $B$  წერტილში. ამ წრედს მცირე წრედი ეწოდება.

მცოცავი კონტაქტის გადაღებით და ჩამრთველის პერიოდულად ჩართვისას ვაღწევთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც გალვანომეტრის ისარი არ გადაიხრება ე. ი. დენი არ გადის. ამ შემთხვევაში საკვლევი ელემენტის ე.მ.ძ. მთლიანად კომპენსირდება რეოქორდის პოტენციალთა სხვაობით.

ცნობილია, რომ რეოქორდზე პოტენციალის დაცემა მისი სიგრძის პროპორციულია, ე. ი.

$$\frac{E_x}{E_A} = \frac{BC}{BA} \quad \text{აქედან } E_x = E_A \frac{BC}{BA}$$

ვინაიდან აკუმულატორები არ იძლევიან ზუსტად  $2V$ -ს,  $E_x$ -ის გაზომვამდე საჭიროა  $E_A$ -ს ჭეშმარიტი მნიშვნელობის დადგენა. ამ მიზნით ზემოთაღნიშნულ კომპენსაციურ დანადგარში  $E_x$ -ს ცვლიან ვესტონის ნორმალური ელემენტით, რომლის  $E=1,0183V$   $20^{\circ}\text{C}$ .

მოძრავ კონტაქტს  $C$  წერტილიდან „გამზომ ხიდზე“ გადაანაცვლებენ სანამ მცირე წრედში დენი არ შეწყდება ე. ი. გალვანომეტრის ისარი ნულზე არ გაჩერდება.

დაუშვათ, რომ კომპენსაცია დაემთხვა  $C'$  წერტილს. ამ შემთხვევაში

$$\frac{1,0183}{E_A} = \frac{BC'}{BA} \quad \text{აქედან } E_A = 1,0183 \frac{AB}{BC'}$$

შევიტანოთ  $E_A$ -ს მნიშვნელობა  $E_x$ -ის ფორმულაში, მივიღებთ


$$E_x = 1,0183 \frac{BC}{BC'}$$

ამრიგად,  $E_x$ -ის გამოსათვლელად საკმარისია გიპოვთ  $BC$  და  $BC'$  მონაკვეთების სიდიდე, რომელიც

აითვლება გამზომ ხიდზე გადაჭიმულ მილიმეტრებად დაყოფილ სახაზავზე.

### არაკომპენსაციური მეთოდი

არაკომპენსაციური მეთოდი შედარებით მარტივია. გალვანური ელემენტის ე.მ.ძ. განისაზღვრება მგრძნიბიარე გალვანომეტრის ისრის გადახრით, რომელთანაც მიმდევრობით ჩართულია დიდი და ზუსტად ცნობილი წინაღობა. ამ მეთოდით განსაზღვრისას არა აქვს მნიშვნელობა გალვანური ელემენტის ე.მ.ძ-ის აბსოლუტურ სიდიდეს. ელექტროდებს შორის ძაბვაზე შეიძლება ვიმსჯელოთ დენის ძალის ცვლილების მიხედვით.



**ნახ. 50.**  
**არაკომპენსაციური**  
**მეთოდით**  
**ტიტვრის დანადგარის**  
**სქემა**

ექვივალენტურ წერტილში ინდიკატორული და შესადარებელი ელექტროდის პოტენციალის ცვლილება განისაზღვრება ტიტვრის პროცესში სსნარის დამატებისას გალვანიმეტრის ისრის მკვეთრი გადახრით. არაკომპენსაციური მეთოდის სქემა (ნახ. 50) შემდეგია:

მგრძნიბიარე გალვანომეტრს (2) წინაღობის მაღაზიის (1) საშუალებით უერთებენ ინდიკატორულ ელექტროდს (3) და შესადარებელ ელექტროდს (4). რადგან საჭიროა გატიტვრის დროს საანალიზო სსნარის ინტენსიური მორევა, ქიმიურ ჭიქას (5), რომელშიაც მოთავსებულია საანალიზო სსნარი, ათავსებენ მაგნიტურ სარეველაზე (6) და საანალიზო სსნარში უშვე-


ელექტროდს (7). რადგან საჭიროა გატიტვრის დროს საანალიზო სსნარის ინტენსიური მორევა, ქიმიურ ჭიქას (5), რომელშიაც მოთავსებულია საანალიზო სსნარი, ათავსებენ მაგნიტურ სარეველაზე (6) და საანალიზო სსნარში უშვე-

ბენ მაგნიტს (7). საანალიზო ხსნარს წვეთწვეთობით უმატებენ ბიურეტიდან (8) სამუშაო ხსნარს. ამ დროს გალვანომეტრის ისარი ნელნელა უბრუნდება ნულს და ექვივალენტურ წერტილში მკვეთრად გადაიხრება ნულის საწინააღმდეგო მხარეს, რაც იძლევა საშუალებას ზუსტად დაგადგინოთ გატიტვრის დასასრული.

### ლაბორატორიული სამუშაოები

#### სამუშაო 1. ხსნარში მჟავას კონცენტრაციის განსაზღვრა პოტენციომეტრული მეთოდით

საკვლევ ხსნარში მჟავას პოტენციომეტრული განსაზღვრა დამყარებულია ნეიტრალიზაციის რეაქციაზე:



მჟავას საანალიზო ხსნარის ტიტვრისას ტუტის ცნობილი ნორმალების სამუშაო ხსნარით, pH-ის ცვლილება ფიქსირდება pH – მეტრით. ექვივალენტურ წერტილში ადგილი აქვს pH-ის სიდიდის ნახტომს გადიდების მიმართულებით.

საანალიზო ხსნარს ათავსებენ მაგნიტურ სარეველაზე, მასში ათავსებენ ელექტროდებს და ტიტრავენ 0,1N NaOH-ის ხსნარით. ყოველი მლ-ის დამატების შემდეგ ზომავენ საანალიზო ხსნარის pH-ს. ტიტვრას აწარმოებენ pH-ის ნახტომის გავლამდე და სამი თანხვდენილი სიდიდის მიღებამდე.

მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ პოტენციომეტრული ტიტვრის მრუდს კოორდინატებში V-pH და  $V - \Delta pH^- / \Delta V$ , რის შემდეგ გრაფიკულად საზღვრავენ ტიტვრის ექვივალენტურ წერტილს (გატიტვრაზე დახარჯული 0,1 N ტუტის მოცულობა).

საანალიზო ხელოვნური ნორმალობას, ტიტრს და კონცენტრაციას ანგარიშობენ ფორმულებით:

$$N_{\text{ალ}} = \frac{V_{\text{NaOH}} \cdot N_{\text{NaOH}} \cdot K_{\text{NaOH}}}{V_{\text{ალ}}}; \quad T_{\text{ალ}} = \frac{N_{\text{ალ}} \cdot \Theta_{\text{ალ}}}{1000}; \quad C_{\text{ალ}} = T_{\text{ალ}} \cdot 1000 \text{მგ/ლ}.$$

სადაც  $V_{\text{NaOH}}$  არის გატეგრაზე დახარჯული 0,1 N NaOH მოცულობა, მლ;

$N_{\text{NaOH}}$  – NaOH –ის სამუშაო ხელოვნური ნორმალობა;

$K_{\text{NaOH}}$  – NaOH –ის სამუშაო ხელოვნური შესწორების კოეფიციენტი;

$V_{\text{ალ}}$  – საანალიზო მუდავას მოცულობა (მლ);


$N_{\text{ალ}}$  – საანალიზო მუდავას ნორმალობა;

$\Theta_{\text{ალ}}$  – საანალიზო მუდავას ექვივალენტი;

$T_{\text{ალ}}$  – საანალიზო მუდავას ტიტრი (მგ/მლ).

## სამუშაო 2. ალუმინის განსაზღვრა არაკომპენსაციური პოტენციომეტრული ტიტგრით

მეთოდი დამყარებულია ძმარმუავა არეში ნატრიუმის ფტორიდით ალუმინის გატიტვრაზე, რომლის შედეგად წარმოიქმნება მცირედისოცირებული ალუმინის ფტორიდი:



გატიტვრა წარმოებს დანადგარზე, რომლის სქემა მოცემულია 50-ე ნახაზზე. ანალიზის ჩატარებამდე ხდება ნატრიუმის ფტორიდის სამუშაო ხელოვნური ტიტრის დადგენა ალუმინის მიხედვით.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. ალუმინის სტანდარტული ხელოვნური (ტიტრით 0,2მგ/მლ)
2. NaF 0,06 N ხელოვნური
3. ძმარმუავის 0,6 N ხელოვნური
4. ინდიკატორი მეთილნარინჯი

5. ინდიკატორული და შესადარებელი ელექტროდები (Al და Zn)

6. წინადობის მაღაზია KMC -6
7. მაგნიტური სარეველა

### 0,06 N NaF ხსნარის ტიტრის დადგენა ალუმინის მიხედვით

პიპეტის საშუალებით 25მლ ალუმინის ნიტრატის ხსნარი გადააქვთ 250მლ ქიმიურ ჭიქაში, ანზავებენ გამოხდილი წყლით 100მლ-მდე, უმატებენ 1-2 წვეთ ინდიკატორ მეთილნარინჯს და ამჟავებენ (წვეთწვეთობით) 0,6 N მმარმქავით, ხსნარის შეფერვის ვარდისფერში გადასვლამდე.

ჭიქას მიღებული ნარევით დგამენ მაგნიტურ სარეველაზე, ჩაუშვებენ ჭიქაში მაგნიტის ამპულას, ათავსებენ მასში ინდიკატორულ ელექტროდად ალუმინის ელექტროდს, ხოლო შესადარებელ ელექტროდად თუთიის ელექტროდს და უერთებენ დანადგარს მოცემული ნახაზის მიხედვით.

წინადობის მაღაზიის KMC-5 წინადობას აყენებენ 20 000 ომზე, ამ დროს გალვანომეტრის ისარი გადაიხება ნულიდან, რის შემდეგ ჩართავენ მაგნიტურ სარეველას და საანალიზო ხსნარს წვეთობით ტიტრავენ 0,06 N NaF-ის ხსნარით. ამ დროს გალვანომეტრის ისარი ნელ-ნელა უბრუნდება ნულს და ექვივალენტურ წერტილში მკვეთრად გადაეხრება ნულის საწინააღმდეგო მხარეს.

NaF-ის ხსნარის ტიტრი ალუმინის მიხედვით გამოიანგარიშება ფორმულით:

$$T_{NaF / Al} = \frac{V_{Al} \cdot T_{Al}}{V_{NaF}}$$

სადაც  $T_{NaF / Al}$  ნატრიუმის ფტორიდის ტიტრია ალუმინის მიხედვით მგAl/მლ NaF.

$V_{Al}$  – ალუმინის სტანდარტული ხსნარის მოცულობა, მლ.

$T_{Al}$  – ალუმინის სტანდარტული ხსნარის ტიპი, მგ/მლ.

$V_{NaF}$  – გატიტვრაზე დახარჯული  $NaF$  ხსნარის მოცულობა, მლ.

### ანალიზის მსგლელობა

25მლ საანალიზო ხსნარი პიპეტით გადააქვთ 250მლ ქიმიურ ჭიქაში და შემდეგ ატარებენ ყველა იმ ოპერაციებს, რომელიც აღწერილია ზემოთ  $NaF$  -ის ხსნარის ტიპის დადგენის შემთხვევაში.

ალუმინის შემცველობა გამოიანგარიშება ფორმულით:

$$C_{Al} = \frac{T_{Al/NaF} \cdot V_{NaF}}{V} \cdot 1000$$

სადაც  $C_{Al}$  – საკვლევ ხსნარში ალუმინის შემცველობა, მგ/ლ;

$T_{NaF/Al}$  – ნატრიუმის ფტორიდის ტიპი ალუმინის მიხედვით;

$V_{NaF}$  – გატიტვრაზე დახარჯული ნატრიუმის ფტორიდის ხსნარის მოცულობა, მლ;

$V$  – ანალიზისათვის აღებული საკვლევი ხსნარის მოცულობა, მლ.

### სამუშაო №3. ხსნარში ქლორ-იონის განსაზღვრა კომპენსაციური პოტენციომეტრული მეთოდით

მეთოდი დამყარებულია რეაქციაზე:



ინდიკატორულ ელექტროდად გამოყენებულია ვერცხლის ელექტროდი (ვერცხლისწყლის მავთული, ან მოვერცხლიდი პლატინა), რომელის პოტენციალი განისაზღვრება განტოლებით:

$$E = E_o + 0,059 \ell g [Ag^+]$$

## გამოყენებული ოეაქტივები და აპარატურა

- კალიუმის ქლორიდის 0,1 N ხსნარი.
- ვერცხლის ნიტრატის 0,1 N ხსნარი.
- პოტენციომეტრი  $\Pi\Gamma\Gamma B - 1$ .

### ანალიზის მსვლელობა

პოტენციომეტრული ტიტვრის დანადგარს აწყობენ ნახ.  
48 მოცემული სქემის მიხედვით (სქემის აწყობას ამოწმებს ხელმძღვანელი).

10მლ პიპეტის საშუალებით საკვლევ ხსნარს (კალიუმის ქლორიდი) ათავსებენ ჭიქაში (9), ანზავებენ გამოხდილი წყლით 100მლ-ზე და იწყებენ საპვლევი ხსნარის ტიტვრას ვერცხლის ნიტრატის 0,01 N ხსნარით. ყოველი დამატებული  $\text{AgNO}_3$ -ის ხსნარის შემდეგ წრედის ე.მ.პ. ვოლტებში ზომავენ პოტენციომეტრის საშუალებით.

### ცხრილში 10.

მიმატებული 0,01 N $\text{AgNO}_3$ -ის სამუშაო ხსნარის მოცულობა, მლ	ე.მ.პ.-ის სიდიდე E mv - ში	$\frac{\Delta E}{\Delta V}$
1		
2		
3		

პოტენციალის მკვეთრი ნახტომის შემდეგ საპვლევ ხსნარს კიდევ უმატებენ 4-5მლ, რის შემდეგ წყვეტავენ ტიტვრას. ტიტვრის შედეგად მიღებული მონაცემები შეაქვთ ცხრილში 10.

მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ პოტენციომეტრული ტიტვრის მრუდებს კოორდინატებში:  $E - V$ ;  $\Delta E / \Delta V - V$ , რის შემდეგ გრაფიკის საშუალებით საზღვ

რავენ ტიტორის ექვივალენტურ წერტილს. საკვლევ ხსნარში კალიუმის ქლორიდის ნორმალობას აღგენენ შემდეგი ფორმულით:

$$N_{KCl} = \frac{V_{AgNO_3} \cdot N_{AgNO_3}}{V_{KCl}} \quad (1)$$

სადაც  $N_{KCl}$  არის კალიუმის ქლორიდის საკვლევი ხსნარის ნორმალობა;

$V_{KCl}$  – გასატიტრად აღებული საკვლევი ხსნარის მოცულობა, მლ;

$V_{AgNO_3}$  - საკვლევი ხსნარის გატიტრაზე დახარჯული სამუშაო ხსნარის მოცულობა, მლ (მას პოულობენ პოტენციომეტრული ტიტორის მრუდის საშუალებით).

$N$  - გერცხლის ნიტრატის ხსნარის ნორმალობა.

ქლორ-იონის კონცენტრაციას ანგარიშობენ ფორმულით:

$$C_{Cl^-} = N_{KCl} \cdot \Theta_{Cl^-}$$

სადაც  $C_{Cl^-}$  არის ქლორ-იონის კონცენტრაცია საკვლევ ხსნარში, გ/ლ.


$N_{KCl}$  - (1) ფორმულით გამოთვლილი კალიუმის ქლორიდის საკვლევი ხსნარის ნორმალობა;

$\Theta_{Cl^-}$  - ქლორ-იონის გრამექვიგალენტი.

## თავი XIII

### ვოლტამპერომეტრია პოლაროგრაფია. ამპერომეტრია

ვოლტამპერომეტრიული მეთოდი დამყარებულია ელექტროლიზის პროცესში საანალიზო ხსნარში გამავალი დენის ძალის დამოკიდებულებაზე ხსნარზე მოდებული გარეწრედის მზარდი პოტენციალის სიდიდეზე. საკვლევ ხსნარში ჩაშვებულია ორი ელექტროდი. ერთ-ერთ მათგანს, კათოდს, მცირე ზედაპირი აქვს. ეს არის წვრილი კაბილარიდან გამომდინარე ვერცხლისწყლის წვეთი. ანოდად გამოყენებულია ელექტროლიზის უჯრედის ძირზე მოთავსებული დიდი ზედაპირის ვერცხლისწყლი. დიდი ზედაპირი საჭიროა პოლარიზაციის მოვლენის მოსახსნელად. ელექტროდებს უერთებენ მუდმივი დენის წყაროს. პირველად ელექტროდებს მცირე ძაბვას აყენებენ,



ნახ. 51. პოლაროგრაფია

სქემა

დენი მანამდე არ გაივლის, სანამ არ მიაყენებენ ელექტროლიზის პროდუქტის გამოყოფისათვის

ელექტროდებს მცირე ძაბვას აყენებენ, ხოლო შემდეგ თანდათან უმატებენ ძაბვას და აკვირდებიან დენის ძალის შეცვლას მიუენებული ძაბვის ცვლილებისას. ელექტროდებზე მუდმივი დენის გატარებისას მიმდინარეობს ელექტროქიმიური პროცესები: კათოდზე აღდგენა, ანოდზე დაჟანგვა, რის შედეგადაც ელექტროდებს შორის ადიძვრება პოტენციალი, რომელიც მიმართულია ელექტროდზე მიუენებული ძაბვის საწინააღმდეგოდ.

ელექტროლიზის ხსნარში დენი მანამდე არ გაივლის, სანამ არ

საჭირო ძაბვას. ე.ი. ისეთს, რომელიც შეძლებს პოლარიზაციის ელექტრომამოძრავებელი ძალის გადალახვას. ელექტრომამოძრავებელი ძალის ზრდასთან ერთად გარკვეულ მომენტში იწყება ელექტროქიმიური აღდგენა და დაშანების რეაქცია, რის გამოც უჯრედში გავლილი დენის ძალა იზრდება. ამ დამოკიდებულებაზეა დამყარებული მეოდი, რომელსაც პოლაროგრაფია ეწოდება.

კლასიკურ პოლაროგრაფიაში ანალიზს აწარმოებენ სპეციალურ ხელსაწყოში – პოლაროგრაფში (ნახ. 51). იგი შედგება პოლაროგრაფიული უჯრედისაგან (1), პოტენციალის მიმწოდებელი მოწყობილობა – ბატარეა (6), რეოსტატი (5), ვოლტმეტრი (4) და მიკროამპერმეტრი (7).

პოლიგრაფიული უჯრედი არის მინის ჭურჭელი, ელექტროლიტის სსნარით (ფონური სსნარი), რომელშიც მოთავსებულია ვერცხლისწყლის მწვეთავი ელექტროდი (2), რომელთანაც რეზინის მიღის საშუალებით შეერთებულია ვერცხლისწყლიანი ჭურჭელი (3). კაპილარიდან გამომავალი ვერცხლისწყლის წვეთის ზომაა 1მმ. წვეთის სიჩქარე უნდა იყოს თანაბარი 3-5 წ. წვეთი კაპილარს წყდება პერიოდულად და მის ნაცვლად წარმოიქმნება იმავე ზომის წვეთი. ამიტომ ელექტროდის ზედაპირი რჩება მუდმივი, რაც გარანტიას იძლევა, რომ არ მოხდება მისი გაჭუჭყიანება აღდგენილი და ვერცხლისწყალში გახსნილი იონებით.


ვერცხლისწყლის მწვეთავ ელექტროდს აქვს მცირე ზედაპირი, რომელშიაც ელექტროქიმიური აღდგენისას გადის დიდი დენი. ამის გამო მწვეთავი ელექტროდის პოტენციალი განსხვავდება წონასწორული პოტენციალისაგან. ამ მოვლენას ელექტროდის პოლარიზაცია ეწოდება და აქედან წარმოიქმნა მეოდი დასახელება პოლაროგრაფია.

თუ ვერცხლისწყლის ელექტროდზე მიეწოდება უარყოფითი პოტენციალი, ელექტროდულ არესთან არსებული დადებითი იონები მიიზიდებიან ელექტროდზე და წარმოქმნიან

ორმაგ ელექტრულ შრეს, რომელშიაც ელექტროდის ზედაპირი დამუხხებულია უარყოფითად, იონების ფენა – დადგბითად. ორმაგ ელექტრულ შრეს აქვს გარკვეული ტევადობა და წინადობა.

### პოლაროგრაფიული ტალღა

ელექტროდებზე პოტენციალის ზღვრულ დონემდე თანდათან გაზრდით, დენი, რომელიც უჯრედში გადის, მცირეა და ეწოდება ნარჩენი დენი (ნახ. 52). იგი შეესაბამება მონაკვეთს AB, რომელიც გადის ელექტროდზე მასზე ჟანგბადის და ფონურ ელექტროლიტში მინარევების აღსადგენად.



ნახ. 52. პოლაროგრამა

ელექტროდებზე პოტენციალის შემდგომი გაზრდით, რაც ხორციელდება მოძრავი კონტაქტის რეოსტატზე გადაადგილებით, ადგგნას იწყებს ნივთიერების იონები (დეპოლარიზაცია) და დენის ძალა იზრდება (მონაკვეთის BC). მას ფარადეის დენი ეწოდება. იგი იზრდება მანამ, სანამ არ დამთავრდება ყველა იონების აღდგენა.

ელექტროლიზის შედეგად აღსადგენი იონების კონცენტრაცია მიკროგათოდის ზედაპირის ახლოს მცირდება. მცირე დენის ძალის დროს იონთა ეს დანაკლისი ივსება მიკროგათოდის ზედაპირიდან უფრო დაშორებული ნაწილებიდან იონთა დიფუზიის ხარჯზე. ამიტომ პირველად ძაბვის გაზრდისას დენის ძალა აგრძელებს ზრდას და მრუდი ისევ

მაღლა მიდის ისე სწრაფად, რომ აღსადგენი იონების საკმაო რაოდენობა უკვე ვეღარ ასწრებს დიფუზიის ხარჯზე კათოდის ზედაპირთან მისვლას და მათი კონცენტრაცია კათოდთან ახლო ფენაში უახლოვდება ნულს. ამიტომ, მიუხედავად ძაბვის შემდგომი გაზრდისა, დენის ძალა მეტად აღარ იმატებს, მიუჟებულ ძაბვაზე დენის ძალის დამოკიდებულების მრუდი წარმოქმნის დამახასიათებელ ჰორიზონტალურ გადაღუნვას. ტალღის სიმაღლის შესაბამის დენის ძალას ზღვრული დენი ეწოდება, რის შემდეგ დენი რჩება სტაბილური და განისაზღვრება იონების დიფუზიით ხსნარიდან ელექტროდზე. პოლაროგრამის BC მონაკვეთს ეწოდება პოლაროგრაფიული ტალღა და ზღვრულ დენს, რომელიც განისაზღვრება დიფუზიის სიჩქარით, დიფუზიური დენი. დიფუზიური დენი განსასაზღვრავი იონების პირდაპირპოროპორციულია, ამიტომ იგი არის რაოდენობრივი განსაზღვრის ძირითადი მახასიათებელი.

პოლაროგრამზე პოლაროგრაფიული ტალღის მდებარეობა ხასიათდება ტალღის საშუალო წერტილის პოტენციალით, რომელსაც ხახევარტალდის პოტენციალი ეწოდება ( $E_{1/2}$ ). იგი არის ნივთიერების მახასიათებელი, რადგან თოთოეული ელექტროგრაფიული თავისებურების მიხედვით, ადგან სათანადო პოტენციალის დროს.

ნივთიერების ხახევარტალდის პოტენციალი იცვლება ელექტროლიტის ფონის და ხსნარის pH-ის მიხედვით. პრაქტიკულად ხახევარტალდის სიმაღლის გამოთვლა ხდება შემდეგნაირად: ჯერ პოულობენ ტალღის სიმაღლეს. ამისათვის ატარებენ ზედა და ქვედა მრუდების შეხების ხაზებს, შემდეგ დახრილობის ხაზს. ამ ხაზებს შორის მანძილი არის ტალღის სიმაღლე. მას ყოფენ შუაზე, ატარებენ აბსცისათა დერძის პარალელურად სწორ ხაზს პოლაროგრამის გადაკვეთამდე და გადაკვეთის წერტილიდან უშვებენ პერპენდიკულარს პოტენციალის დერძზე.

უფრო ზუსტად პოლაროგრაფიული ტალღის მათემატიკური აღწერა წარმოებს ეწ. პოტენციალის ტალღის განტოლებით, რომელიც ნერნსტის განტოლების მსგავსია:

$$E = E_{1/2} - \frac{0,059}{n} \lg \frac{I}{I_\infty - I}$$

სადაც  $E_{1/2}$  არის ნახევარტალღის პოტენციალი

$I$  – ე.მ.ძ-ს ზრდის პროცესში გაზომილი დენის სიდიდე.

$I_\infty$  – დიფუზიური დენი

$n$  – ელექტრონების რიცხვი.

პოლაროგრაფიული ტალღის სიმაღლე  $h$  დამოკიდებულია კონცენტრაციაზე, გარეშე იონების თანაობაზე, აგრეთვე, თუ რა სახით იმყოფება განსასაზღვრავი იონი - ქლორიდების, ნიტრატების, ამიაკური კომპლექსების და სხვ.

დიფუზიური დენის დამოკიდებულება კონცენტრაციასთან გამოისახება ილკოვიჩის განტოლებით:

$$I_\infty = KC \quad K = 607nD^{1/2}m^{2/3}t^{1/6}$$

სადაც  $D$  – დიფუზიის კოეფიციენტია

$m$  – კაპილარიდან გამომდინარე ვერცხლისწყალი, მგ/წ.

$t$  – ერთი წელის წარმოქმნის დრო, წ.

$n$  – ელექტრონების რიცხვი

პოლაროგრაფირების სტანდარტულ პირობებში  $D$ ,  $m$  და  $t$  მუდმივი სიდიდეებია. მათი განსაზღვრა შეიძლება ექსპრიმენტულად და საძიებელი კონცენტრაციის ( $C$ ) გამოვლა წარმოებს ილკოვიჩის განტოლებით.

### პოლაროგრაფიული ფონი

აღდგენილი და დაუანგული იონები აღწევენ ელექტროდის ზედაპირზე ორი ფაქტორის მოქმედებით: დიფუზიით და მიგრაციით. მიგრაცია არის იონების გადაადგილება კათოდის ელექტროსტატიკური ველის გავლენით. მიგრაციის გამო კათონების რაოდენობა დროის ერთეულში

იზრდება და ზღვრული დენი იზრდება მიგრაციის დენის ტოლად. ამრიგად, ზღვრული დენი შეიძლება განისაზღვროს როგორც დიფუზიური და მიგრაციული დენის ალგებრული ჯამი:


$$I_{\text{ზღვ}} = I_{\text{დიფ}} + I_{\text{მიგ}}.$$

მიგრაციული დენი საგრძნობლად ცვლის პოლაროგრამის სახეს. ამ დენის ჩახშობა შეიძლება საანალიზო ხსნარში საკმაო კონცენტრაციის ინდიფრენტული ულექტროლიტის (ფონის) შეყვანით. ფონური ელექტროლიტის კათიონები მოძრაობენ კათოდისაკენ, მაგრამ არ ხდება მათი განმუხტვა, რადგან განმუხტვის პოტენციალი უფრო უარყოფითია, ვიდრე განსასაზღვრავი კათიონების. ფონის იონები განლაგდებიან ელექტროლიტის ზედაპირზე, რის გამოც ელექტრული ველის ეკრანიზაცია ხდება ამ იონებით და ხსნარში მათი მოქმედება არ ვრცელდება. ელექტრული ველის ზემოქმედებით აღსადგენი იონების კონცენტრაცია მცირეა დიფუზიური იონების რაოდენობასთან შედარებით, რის შედეგად მიგრაციული დენი ისპობა და ზღვრული დენი გაუტოლდება დიფუზიურ დენს:

$$I_{\text{ზღვ}} = I_{\text{დიფ}}$$

ფონის სახით შეიძლება გამოყენებული იქნეს ტუტე და ტუტემიწათა მარილები, ამონიუმის მარილები, ამონიუმის ჰიდროქსიდი, ტუტეები, მჟავები, რომლის კონცენტრაცია 100-1000-ჯერ აღემატება განსასაზღვრავი ნივთიერების კონცენტრაციას. ფონი საგრძნობლად ზრდის ხსნარის ელექტროგამტარობას. ანალიზის ჩატარების წინ უნდა შეირჩეს სათანადო ფონური ელექტროლიტი (გარემო), რომელსაც ათავსებენ უჯრედში, იღებენ მის პოლაროგრამას, რის შემდეგ უმატებენ საკვლევი ხსნარის გარკვეულ რაოდენობას და აწარმოებენ პოლაროგრაფირებას.

პოლაროგრამის სახეზე გავლენას ახდენს ხსნარში გახსნილი ჟანგბადი, რომლის აღდგენა ხდება ორი სტადიით:




პირველი პროცესი მიღის 0,1-დან – 0,2В პოტენციალის დროს, მეორე დაახლოვებით 0,5-დან 1,3В-მდე. ჟანგბადის აღდგენა ხდება განსასაზღვრავ კათონიუბზე ადრე და ხელს უშლის მცირე კონცენტრაციის ლითონების განსაზღვრას, რომლის ნახევარტალლის პოტენციალი ახლოა ნულთან (Cu, Sb და სხვ.).

ჟანგბადის მოცილებისათვის პოლაროგრაფიულის წინ 15-20 წუთის განმავლობაში ხსნარში ატარებენ წყალბადს მცირე სიჩქარით, არგონს და CO<sub>2</sub>. ნეიტრალური და ტუტე ხსნარებიდან ჟანგბადის მოცილება ხდება მცირე რაოდენობის ნაგრიუმის სულფატის (0,5-1,0 გ 20მლ ხსნარზე) დამატებით, ან რამდენიმე მილილიტრი ახლად დამზადებული ნატრიუმის სულფატის ნაჯერი ხსნარის დამატებისას. ჟანგბადის აღდგენა ხსნარის შემადგენლობის მიხედვით ხდება 2-10 წუთის განმავლობაში.

### პოლტამანურომეტრიული მეთოდები დიფერენციალური პოლაროგრაფია

დიფერენციალური პოლაროგრაფია გამოიყენება უახლოესი ნახევარტალლის პოტენციალის მქონე ნივთიერებების ანალიზისათვის. დიფერენციალური პოლაროგრამა წარმოადგენს დენის ნამატის ΔI-ის დამოკიდებულებას პოტენციალთან E. განსაზღვრისათვის აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში ΔI/ΔE-E (ნახ. 53). ნახაზზე მოცემულია პოლაროგრაფიული ტალღა და მისი შესაბამისი დიფერენციალური მრუდი.



ნახ. 53. კლასიკური პოლაროგრამა – ა  
დიფერენციალური პოლაროგრამა – ბ

დიფერენციალური პოლაროგრამის მაქსიმუმი ახასიათებს ნივთიერებას, ხოლო სიმაღლე, ან ფართი, განსაზღვრავი იონების კონცენტრაციას. დიფერენციალურ პოლაროგრამას უფრო მეტი გადაწყვეტის საშუალება აქვს, ვიდრე კლასიკურ პოლაროგრამას. იგი მოსახერხებელია ნარევების ანალიზის დროს, სადაც თითოეული ელემენტის იდენტიფიკაცია ხდება მიღებული სათანადო პიკის მიხედვით. გარდა ამისა, იგი უფრო ზუსტია, რადგან მქსიმუმების მდებარეობა და გაზომვა შესაძლებელია უფრო მეტი სიზუსტით. თუ ჩვეულებრივ პოლაროგრაფიაში ნივთიერების განსაზღვრისათვის პოტენციალებს შორის განსხვავება დასაშვებია 0,1 В, დიფერენციალურ პოლაროგრაფიაში 0,05 В.


დიფერენციალურ პოლაროგრაფიაში ნივთიერების კონცენტრაციის განსაზღვრა წარმოებს დიფერენციალური მრუდის სიმაღლის გაზომვით. პიკის სიმაღლე განსასაზღვრავი იონების კონცენტრაციის პროპორციულია. რამდენიმე სტანდარტული ხსნარების პოლაროგრაფირებით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს, რომლის საშუალებით პოულობენ საანალიზო ხსნარში ნივთიერების კონცენტრაციას.

## ოსცილოგრაფიული პოლაროგრაფია

მაღალი მგრძნობიარობით ხასიათდება ოსცილოგრაფიული პოლაროგრაფია, რომელშიც უჯრედში მიეწოდება ცვლადი ძაბვა დიდი სიჩქარით, რომელმაც შეიძლება მიაღწიოს 0,12-16 В, მაშინ როდესაც კლასიკურ პოლაროგრაფიაში იგი ტოლია 5-10 мВ. პოლარიზებული ძაბვის ცვლილების რეგისტრაცია წარმოებს ოსცილოგრაფის საშუალებით.

პიკის დასაწყისში შეიმჩნევა მცირე აღმავლობა (ნახ. 54), რაც გამოწვეულია ტევადობის დენით. იონების გამოყოფის პოტენციალის მიღწევის შემდეგ დენი ძალა, იონების ელექტროდზე აღდგენის გამო, მკვეთრად იზრდება. მაქსიმუმის შემდეგ დენის ძალა ეცემა, რადგან იონების კონცენტრაცია კათოდურ არეში მცირდება, ხოლო დიფუზიის სიჩქარე არ არის საკმარისი, რომ შეავსოს იონების დანაკლისი. ამ მრუდზე პიკის მაქსიმუმის პოტენციალი დამოკიდებულია იონების ბუნებაზე.

მაქსიმუმის პოტენციალის მნიშვნელობა განსხვავდება კლასიკური პოლაროგრამის ნახევარტალდისაგან.



**ნახ. 54.**  
ოსცილოგრაფიული  
პოლაროგრამა

$$E_{\Pi} = E_{1/2} 1,11 \frac{RT}{nF}$$

მაქსიმუმის სიმაღლე აღდგენილი იონების კონცენტრაციის პროპორციულია და დამოკიდებულია პოლარიზებული ძაბვის სიჩქარეზე  $1/2$  ხარისხში:

$$I = K n_{2/3} C V^{1/2}$$

სადაც  $K$  არის კოეფიციენტი;  $n$  – რეაქციაში მონაწილე ელექტრონების რიცხვი;  $C$  – იონების კონცენტრაცია;  $V$  – პოტენციალის

ცვლილების სიჩქარე. პოლარიზებული ძაბვის გაზრდით ტევადობის დენი დიფუზიურ დენზე უფრო სწრაფად იზრდება. ეს განსაკუთრებით არასასურველია მცირე კონცენტრაციების განსაზღვრის დროს. ამიტომ ანალიზური განსაზღვრების დროს არ არის საჭირო ძაბვის დიდი სიჩქარით გაზრდა.


ოსცილოგრაფიული პოლაროგრაფიის მგრძნობიარობა უფრო მაღალია, ვიდრე კლასიკური პოლაროგრაფიის და შეადგენს  $10^{-6}$  მოლ/ლ.

### ამალგამური პოლაროგრაფია დაგროვებით


განსასაზღვრავ ნივთიერებას, მუდმივი პოტენციალის დროს, ხსნარის დიდი მოცულობიდან სტაციონალურ გერცხლისწყლის წვეთზე გამოყოფენ ამალგამის სახით. ელექტროლიზს აწარმოებენ ხსნარის მორევისას მკაცრად განსაზღვრულ დროში. ელექტროლიზის დამთავრების შემდეგ (კათოდური პროცესი) ამალგამას ხსნიან (ანოდური პროცესი).

ამალგამის ანოდური გახსნისას დენის დამოკიდებულებას ძაბვასთან ახასიათებს მაქსიმუმი (პიკი), რომლის სიმაღლე განსასაზღვრავი იონის კონცენტრაციის პროპორციულია (ნახ. 55). პიკის მაქსიმუმის პოტენციალი დამოკიდებულია იონის ბუნებაზე და განსაზღვრავს მის თვისობრივ მხარეს.

ამალგამური პოლაროგრაფია დაგროვებით შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს ერთი და იგივე ხსნარში რამდენიმე ელემენტი, აღგილი აქვს რამდენიმე ელემენტის ამალგამის ნარევის სახით გამოყოფას. ანოდური გახსნისას დებულობენ რამდენიმე პიკს, რომლის სიმაღლე, თითოეული ელემენტის კონცენტრაციის პროპორციულია (ნახ. 56).



ნახ. 55. ანოდური პოლაროგრამა  
ამალგამურ პოლარიზაციაში  
დაგროვებით



ნახ. 56. ანოდური გახსნის  
მრუდი

ამალგამური პოლაროგრაფია დაგროვებით შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს ელემენტები კონცენტრაციით  $10^{-7}$ – $10^{-3}$ მოლ/ლ, რაც გამოიყენება ზესუფთა ნივთიერებების ანალიზის დროს. იგი არ გამოიყენება ელემენტების განსაზღვრისათვის, რომლებიც არ წარმოქმნიან ამალგამებს.

### ინვერსიული პოლაროგრაფია

ინვერსიული პოლაროგრაფია დამყარებულია განსასაზღვრავი იონის წინასწარ ელექტროქიმიურ კონცენტრირებაზე ძლიერ განზავებული სსნარებიდან ვერცხლის-წყლის წვეთზე, ან გრაფიტის ელექტროდზე, რის შემდეგ წარმოებს მიღებული ამალგამის ანოდური გახსნა. ანოდური გახსნისას დენის ძალის ძაბვისაგან დამოკიდებულების გრაფიკს აქვს დამახსასიათებელი პიკის სახე, რომლის სიმაღლე  $h$  განსასაზღვრავი იონის კონცენტრაციის პროპორციულია და დამოკიდებულია კონცენტრაციის დროზე. რაც მეტია ელექტროლიზის ხანგრძლივობა, მით მეტი ლითონი


გადის ხენარიდან ვერცხლისწყლის წვეთში და მით მეტად იზრდება მგრძნობიარობა. ინვერსიული პოლაროგრაფიის აღმოსაჩენი მინიმუმი 2...3 რიგით უფრო დაბალია, ხვეულებრივ, პოლაროგრაფიის აღმოსაჩენ მინიმუმთან შედარებით.

### ცვლადი დენის პოლაროგრაფია

ცვლადი დენის პოლაროგრაფიის განსხვავება კლასიკური პოლაროგრაფიისაგან არის ის, რომ უჯრედში ელექტროდზე ხაზვანი და ნელა ცვლადი ძაბვის მაგიერ მიეწოდება მცირე სიდიდის ცვლადი ძაბვა.

ცვლადი დენი შეიძლება იყოს სინუსოიდალური, სწორკუთხოვანი და ტრაპეციის ფორმის. მიუქნებული ძაბვის მოქმედებით უჯრედში გაივლის დენი, რომელიც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც მუდმივი  $I_{\text{აუდ.}}$ , ცვალებადი  $I_{\text{ცვალ.}}$  და ტევადობის  $I_{\text{ტევ.}}$  შემადგენელთა ჯამი:

$$I_{\text{უდ.}} = I_{\text{აუდ.}} + I_{\text{ცვალ.}} + I_{\text{ტევ.}}$$




ნახ. 58.

მრავალდომპონენტიანი  
ხენარის ცვლადი დენის  
პოლაროგრამა

ცვლადი დენის გამოყენება საშუალებას იძლევა აღმოიფხვრას ტევადობის (კონდესატორული) დენის ხელისშემსლელი მოქმედება, რაც საგრძნობლად ზრდის მეთოდის მგრძნობიარობას. ცვლადი დენის პოლაროგრაფიაში ხდება გამოყოფა და გაზომვა მარტო ცვლადი შემადგენელის  $I_{\text{ცვალ.}}$ . ცვლადი დენის დამოკიდებულება ხაზობრივად ცვლად ძაბვასთან წარმოადგენს ცვლადი

დენის პოლაროგრამას, რომელიც მოცემულია ნახ. 57-ზე.



ნახ. 57. ცვლადი დენის  
პოლაროგრამა (1) და  
კლასიკური  
პოლაროგრაფული  
ტალა (2)

მრუდის პორიზონტალუ-  
რი ნაწილი არის მოქმედი,  
როდესაც ძაბვის ცვლილება  
(კათოდური პოტენციალი)  
არ იწვევს დენის ცვლილე-  
ბას, ანუ ცვლადი დენი არ  
არსებობს.

განსასაზღვრავი იონე-  
ბის გამოყოფის პოტენცია-  
ლის მიღწევის შემდეგ (მრუ-  
დის აღმასვლის დასაწყისი)  
მიღის დეპოლარიზატორის  
მონაცვლებითი ჟანგვა-აღდ-  
გნა მიექნებული ცვლადი

ძაბვის სიხშირით და უჯრედში გაივლის იმავე სიხშირის ცვლადი დენი, ნახევარტალდის პოტენციალის დროს მიაღ-  
წევს მაქსიმუმს, რადგან ძაბვის მცირე ცვლილება იწვევს დენის ძალის მცირე ცვლილებას. ნივთიერების ზღვრული დენის პოტენციალის დროს ცვლადი დენი მცირდება ნუ-  
ლამდე. ამ მონაცვეთში გადის მუდმივი ზღვრული დენი (იგი არ იცვლება). პოლარიზებული ძაბვის ცვლილებით დენი არ იცვლება, ამიტომ ცვლადი დენი არ არსებობს.

მრუდზე დენის მაქსიმუმის სიდიდე განსასაზღვრავი იონების პროპორციულია

$$I_{\text{მაქ}} = Kn^2 D^{1/2} ESC.$$

სადაც  $K$  – მუდმივაა;  $n$  – რეაქციაში მონაწილე ელექტრონების რიცხვი;

$D$  – დიფუნდის კოეფიციენტი;  $E$  – ცვლადი დენის ამპლიტუდა;

$S$  – კათოდის ზედაპირის ფართი;


$C$  – ხსნარის კონცენტრაცია.

ზომავენ პიკის მწვერვალიდან ფონურ მრუდზე დაშვებული პერპენდიკულარის სიმაღლეს. ცვლადი დენის პოლაროგრაფიას აქვს დიდ გადაწყვეტის უნარი, რაც იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს სსნარი, თუ კომპონენტების პიკის პოტენციალების სხვაობა არის  $0,04$  В (ნახ. 58). მეთოდის მგრძნობიარობაა  $10^{-7} - 10^{-8}$  მოლ/ლ.

### რაოდენობრივი განსაზღვრა

რაოდენობრივი განსაზღვრა წარმოებს რამდენიმე მეთოდით: მაგრადუირებული გრაფიკით, სტანდარტების მეთოდით და დანამატების მეთოდით.

**1. მაგრადუირებული გრაფიკის მეთოდი.** იდებენ განსაზღვრავი ნივთიერების შემცველ რამდენიმე სტანდარტული სსნარების პოლაროგრამას, პოულობენ ტალღის სიმაღლეს და აგებენ გრაფიკს კოორდინტებში I-C ან h-C (ნახ. 59).



ნახ. 59. სხვადასხვა კონცენტრაციის სტანდარტული ხსნარების პოლაროგრაფიული ტალღის სიმაღლე (ა, ბ, გ) და მაგრადუირებული გრაფიკი (დ).

შემდეგ დებულობენ საკვლევი ხსნარის პოლაროგრამას, ზომავენ ტალღის სიმაღლეს და გრაფიკის მიხედვით ინტრაპოლაციის მეთოდით საზღვრავენ საკვლევი ხსნარის კონცენტრაციას. ზუსტი შედეგები მიიღება, თუ დაცული იქნება სტანდარტული და საკვლევი ხსნარების პოლაროგრაფირების სათანადო პირობების იდენტურობა.

**2. სტანდარტების მეთოდი.** ამ მეთოდით მუშაობის დროს დებულობენ რამდენიმე სტანდარტული ხსნარის პოლაროგრამას. მიღებულ მრუდებს ათავსებენ ერთ ნახაზზე და ამ მრუდების სიმაღლეს ადარებენ ცალკე მიღებული საანალიზო ხსნარის პოლაროგრამას და პროპორციიდან, რომელიც დამყარებულია განტოლებაზე  $I=KC$ , ანგარიშობენ საკვლევი ნივთიერების კონცენტრაციას  $C_x$ :

$$C_x = C_{b\beta} \cdot \frac{h_x}{h_{b\beta}}$$

სადაც  $C_{b\beta}$  – არის სტანდარტული ხსნარის კონცენტრაცია

$h_x$  და  $h_{b\beta}$  – საანალიზო და სტანდარტული ხსნარების ტალღების სიმაღლეებია.

ასეთი განსაზღვრა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაციასა და დიფუზიურ დენს შორის დამოკიდებულება არის პირდაპირპორპიული.

**3. დანამატების მეთოდი.** დანამატების მეთოდით მუშაობის დროს ჯერ დებულობენ საანალიზო ხსნარის პოლაროგრამას. შემდეგ ამავე საანალიზო ხსნარში უმატებენ საანალიზო ნივთიერების გარკვეულ ცნობილ დანამატს  $\Delta C$  და ისევ იღებენ ამ ხსნარის პოლაროგრამას. დანამატებიანი ხსნარის პოლაროგრამაზე ტალღის სიმაღლე გაიზრდება  $\Delta C$ -ს შესაბამისი  $\Delta h$  სიდიდით. საკვლევი ხსნარის კონცენტრაციას ანგარიშობენ შემდეგი თანაფარდობით:

$$\frac{\Delta h}{h_x} = \frac{\Delta C}{C_x} \quad \text{აქედან } C_x = \frac{h_x \cdot \Delta C}{\Delta h}$$

მიღებული განტოლების სამივე სიდიდე ცნობილია.  $\Delta C$  - ცნობილია (დანამატი)  $h_x$  და  $\Delta h$  გადაზომავენ პოლაროგრამაზე და პოულობენ  $C_x$ .

პოლაროგრაფიის დაღებითი მხარეებია: მაღალი მგრძობიარობა  $10^{-5}\text{-}10^{-6}$ მოლ/ლ, მაღალი სიზუსტე 1-2%, ნარევების ანალიზის შესაძლებლობა დაცილების გარეშე. უარყოფითი

მხარეა მავნე ვერცხლიწყლის გამოყენება, სპეციალური აპარატის – პოლაროგრაფიის აუცილებლობა, მხოლოდ ელექტროაქტიური ნივთიერებების განსაზღვრის შესაძლებლობა (ნივთიერებების, რომელიც აღდგებიან ვერცხლისწყლის კათოდზე).


### **ამპერომეტრული ტიტვრა**

ამპერომეტრული ტიტვრის დროს იყენებენ პოლაროგრაფიულ სქემას, ხოლო პოლაროგრაფიასთან განსხვავებით საკვლევ ხსნარზე მოქმედებენ არა თანდათანობით მზარდი ძაბვით, არამედ გარკვეული ძაბვის სიდიდით, რომელიც განსასაზღვრავი ნივთიერების ნახევარტალლის ძაბვაზე მეტია  $E > E_{1/2}$ . ამ პირობების დაცვით საანალიზო ხსნარს ტიტრავენ სათანადო რეაქტივით და ამპერგალვანომეტრის საშუალებით ზომავენ დიფუზიური დენის სიდიდეს. მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ ამპერომეტრული ტიტვრის მრუდს კოორდინატებში I-V, სადაც I არის დენის ძალა, ხოლო V – სამუშაო ხსნარის მოცულობა. ექვივალენტურ წერტილში ამპერომეტრული ტიტვრის მრუდი განიცდის გარდატეხას, რომლის პროექტირებით ასციისათა დერმზე პოულობენ გატიტვრაზე დახარჯული ხსნარის მოცულობას V.

ამრიგად ამპერომეტრული ტიტვრა, პოტენციომეტრიისა და კონდუქტორმეტრიის ანალოგიურად, წარმოადგენს ექვივალენტური წერტილის დადგენის ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდს. ამპერომეტრული ტიტვრის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა ტიპის ქიმიური რეაქციები, კერძოდ ნეიტრალიზაციის, უანგვა-ალდგენის და კომპლექსწარმოქმნის. ინდიკატორულ ელექტროდად ამპერომეტრულ ტიტვრაში გამოყენებულია პლატინის და გრაფიტის ელექტროდები,

შესადარებელ ელექტროდად კალომელის ან ქლორვერცხლის ელექტროდები.

ამპერომეტრული ტიტვრის სამი ძირითადი მეთოდი შეიძლება იქნეს გამოყენებული (ნახ 60).



ნახ. 60. ამპერომეტრული ტიტვრის მრული. а) საანალიზო ნივთიერება ელექტროდაქტიურია; ბ) საანალიზო ნივთიერება არაელექტროდაქტიურია; გ) ორივე ნივთიერება ელექტროდაქტიურია.

ამპერომეტრული ტიტვრი პოლაროგრაფიისაგან განსხვავებით უფრო უნივერსალური მეთოდია, ვინაიდან შესაძლებელია განისაზღვროს როგორც ელექტროდაქტიური, ისე არაელექტროდაქტიური ნივთიერებები, გამოიყენება ძლიერ განზაგებულ სსნარებში  $10^{-2} \text{--} 10^{-5}$  მოლ/ლ, ნარევში რამდენიმე ნივთიერების განსაზღვრა ერთდროულად, წინასწარი დაცილების გარეშე. ექსპრეს მეთოდია, ხასიათდება მაღალი სიზუსტით და მგრძნობიარობით, ვიდრე პირდაპირი პოლაროგრაფია.

### ლაბორატორიული სამუშაოები

#### სამუშაო 1. სპილენბის განსაზღვრა კლასიკური პოლაროგრაფიული მეთოდით

სპილენბის განსაზღვრისათვის ყველაზე ხელსაყრელი ფონური ელექტროლიტია ნარევი, რომელიც შედგება 1 N

$\text{NH}_4\text{OH}$  და 1 N  $\text{NH}_4\text{Cl}$ .  $[\text{Cu}(\text{NH}_3)_4]^{2+}$  კომპლექსის წარმოქმნის შედეგად ნახევარტალდის პოტენციალი გადაიწევა 0,24 В-ით.

ფონურ ელექტროლიტს აქვს ტუტე რეაქცია, ამიტომ ჟანგბადის მოსაცილებლად გამოყენება ნატრიუმის სულფატი.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1.  $\text{CuSO}_4$ -ის სტანდარტული სსნარი,  $1 \cdot 10^{-2}$  მოლ/ლ.
2. ფონი 1 N  $\text{NH}_4\text{OH}$  და 1 N  $\text{NH}_4\text{Cl}$  შეფარდებით 1:1.
3. ნატრიუმის სულფატი.
4. წებო.
5. პოლაროგრაფი.

### ანალიზის მსვლელობა

5 საზომ კოლბებში ათავსებენ 1; 2; 3; 4,5 მლ სპილენბის სულფატის სსნარებს და მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე ფონური ელექტროლიტით. რთავენ პოლაროგრაფს და აყენებენ ვერცხლისწყლის წვეთის ოპტიმალურ პერიოდს. თითოეულ მათგანს უმატებენ 0,5 გ ნატრიუმის სულფიტს და 10 წუთის შემდეგ გადააქვს უჯრედში, უმატებენ 3-5 წვეთ წებოს პოლაროგრამზე მაქსიმუმის ჩასახშობად. შეარჩევენ მგრძნობიარობას ისე, რომ 0,7 В პოტენციალის დროს გალვანომეტრის ისარი გადაიხრება 15-20 სმ-ით.

იდებენ თითოეული მათგანის პოლაროგრამას, ადიდებენ მაბვას ყოველი 0,2 В შემდეგ. პოლაროგრამას იღებენ მილიმეტრიან ქაღალდზე და ზომავენ ტალღის სიმაღლეს, რის მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში: ტალღის სიმაღლე – კონცენტრაცია.

მიღებული გრაფიკის საშუალებით განსაზღვრავენ სპილენძის კონცენტრაციას ხსნარში, რისთვისაც საკვლევი ხსნარი გადააქვთ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე ფონური ხსნარით, ჟანგბადს აცილებენ ნატრიუმის სულფიტით, უმატებენ წებოს და აწარმოებენ პოლაროგრაფირებას იმავე მგრძნობიარობის დროს. ზომავენ ნახევარტალდის სიმაღლეს და გრაფიკის საშუალებით პოულობენ საკვლევ ხსნარში სპილენძის კონცენტრაციას.

## სამუშაო 2. ნიკელის განსაზღვრა კობალტის თანაობისას დიფერენციალური პოლაროგრაფიული მეთოდით

ნიკელის ნახევარტალდის პოტენციალი ( $E_{1/2} = -1,1\text{B}$ ) ძალიან ახლოა კობალტის ნახევარტალდის პოტენციალთან ( $E_{1/2}=1,2\text{B}$ ) და კლასიკური პოლაროგრაფიით მათი განსაზღვრა გაძნელებულია. მაგრამ კალიუმის თიოციანატის ფონის გამოყენებისას ნიკელის ნახევარტალდის პოტენციალი ტოლია –  $0,7\text{ B}$ , ხოლო კობალტის –  $1,3\text{ B}$ .

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1.  $\text{NiSO}_4$  0,01 M ხსნარი.
2.  $\text{CoSO}_4$  0,01 M ხსნარი.
3. თიოციანატური ფონი: 1 ლიტრ 2 M KCNS ხსნარში ხსნიან 2გ ჟელატინს.
4. პოლაროგრაფი.

### ანალიზის მსგლელობა

25მლ კოლბაში ათავსებენ 2-დან 5მლ-მდე ნიკელის მარილის ხსნარს, 5მლ კობალტის მარილს, 12მლ ფონს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და

შენჯლრევენ. ხსნარის ნაწილი გააქვთ უჯრედში და იღებენ პოლაროგრამას. ზომავენ პიკის საშუალო სიმაღლეს.

25მლ კოლბაში ათავსებენ ნიკელის საანალიზო ხსნას, 5მლ კობალტის მარილს, 12მლ ფონს, უმატებენ 1,0მლ 0,01 M ნიკელის სტანდარტულ ხსნას, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე და კარგად შეანჯლრევენ. იღებენ პოლაროგრამას ხსნარის დანამატონ ერთად და ნიკელის შემცველობას ანგარიშობენ ფორმულით:

$$C_x = C_{b\delta} \frac{C_x}{C_{x+b\delta} - C_x}$$

### სამუშაო 3. კადმიუმის და თუთიის განსაზღვრა ამალგამური პოლაროგრაფიული მეთოდით

კადმიუმის და თუთიის აღდგენა ვერცხლისწყლის მწვეთავ ელექტროდზე წარმოებს ამალგამის სახით. ამიაკური ფონის გამოყენებისას ნახევარტალდის პოტენციალები განსხვავდებიან 0,5 V-ით.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. კადმიუმის და თუთიის სტანდარტული ხსნარები,  $10^{-3}$  M.
2. კადმიუმის და თუთიის საანალიზო ხსნარები.
3. ამიაკური ბუფერული ხსნარი.
4.  $\text{Na}_2\text{SO}_4$ , კრისტალური.
5. პოლაროგრაფი.

### ანალიზის მსგლელობა

50მლ საზომ კოლბაში პიპეტით ათავსებენ 2,5მლ  $\text{CdSO}_4$  და  $\text{ZnSO}_4$ -ის სტანდარტულ ხსნარებს, მიჰყავთ მოცულობა

ჭდემდე ამიაკური ბუფერული სსნარით, შეანჯღოვენ, გადააქვთ ელექტროლიზის უჯრედში, უმატებენ  $\text{Na}_2\text{SO}_3$ -ის რამდენიმე კრისტალს. სსნარში უშვებენ ელექტროდებს, რთავენ უჯრედს და იდებენ პოლაროგრამას. პოლაროგრამის რეგისტრაცია წარმოებს – 0,5-1,8 В ზღვრებში. განსაზღვრავენ  $E_{\text{b}\beta}^{\text{Cd}}$ ,  $E_{\text{b}\beta}^{\text{Zn}}$  და  $C_{\text{b}\beta}^{\text{Cd}}$  და  $C_{\text{b}\beta}^{\text{Zn}}$  და შესაბამის კონცენტრაციებს  $C_{\text{b}\beta}^{\text{Cd}}$  და  $C_{\text{b}\beta}^{\text{Zn}}$ .

მეორე საზომ კოლბაში შეყავთ 2,5მლ საკვლევი სსნარი, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე ამიაკური ბუფერული სსნარით, შეანჯღოვენ, გადააქვთ უჯრედში, ათავსებენ ელექტროდებს და აწარმოებენ პოლაროგრაფირებას ისევე, როგორც სტანდარტული სსნარებისათვის. პოლაროგრამაზე განსაზღვრავენ  $C^{\text{Cd}}$  და  $C^{\text{Zn}}$  იმავე  $E_{1/2}$  მნიშვნელობისას, მხედველობაში ღებულობენ განზავებას და ანგარიშობენ Cd და Zn კონცენტრაციებს ფორმულით:

$$C_x^{\text{Cd}} = C_{\text{b}\beta}^{\text{Cd}} (C^{\text{cd}} / C_{\text{b}\beta}^{\text{Cd}}) (V / V^{\text{Cd}})$$

$$C_x^{\text{Zn}} = C_{\text{b}\beta}^{\text{Zn}} (C^{\text{Zn}} / C_{\text{b}\beta}^{\text{Zn}}) (V / V^{\text{Zn}})$$

სადაც  $V$  არის საანალიზო სსნარის მოცულობა  $\text{V}^{\text{Zn}}$  და  $\text{V}^{\text{Cd}}$  – საწყისი სტანდარტული სსნარების მოცულობა.

#### სამუშაო 4. ვერცხლის იონების განსაზღვრა ინგერსიული პოლაროგრაფიული მეთოდით

განზავებული სსნარებიდან ( $10^{-5}$  M) ვერცხლის იონების განსაზღვრისათვის ვერცხლს ლითონის სახით წინასწარ აგროვებენ გრაფიტის ელექტროდზე და შემდეგ პოტენციალის ცვლილებით აწარმოებენ ანოდურ გასსნას. ელექტროგასსნის მაქსიმალური დენი არის ვერცხლის იონების კონცენტრაციის ფუნქცია. პოლაროგრაფირების დროს იყენებენ

გამოტანილ კალომელის ელექტროდს, რათა არ მოხდეს Cl<sup>-</sup> იონების მოხვედრა საანალიზო ხსნარში.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. ვერცხლის ნიტრატის სტანდარტული ხსნარი,  $10^{-3}$  M.
2. ვერცხლის ნიტრატის საანალიზო ხსნარი,  $10^{-4}$  M.
3. KNO<sub>3</sub>-ის 1 M ხსნარი.
4. გასუფთავებული აზოტი.
5. შუალედური ჭიქა და ელექტრული გასაღები, შევსებული KNO<sub>3</sub>-ის 1 M ხსნარით.
6. მაგნიტური სარეველა.
7. გრაფიტის ელექტროდი.
8. კალომელის ელექტროდი.
9. პოლაროგრაფი.

### ანალიზის მსგლელობა

50მლ საზომ კოლბაში გადააქვთ საანალიზო ხსნარი, ანზავებენ ჭდებულე ვერცხლის ნიტრატის ხსნარით (ფონური ელექტროლიტი) და კარგად შეანჯლრევენ.

პიჟეტით იღებენ 9მლ ხსნარს, გადააქვთ ელექტროლიზის უჯრედში, ათავსებენ გრაფიტის ელექტროდს ელექტროდურ გასაღებს, რომელიც შევსებულია KNO<sub>3</sub>-ის ხსნარით და ანხორციელებს კონტაქტს შესადარებელ ელექტროდთან. ხსნარის აზოტის ჭავლით დეაირაციის შემდეგ განუწყვეტელი მორევისას აწარმოებენ ელექტროლიზს 10 წუთის განმავლობაში  $0,00\div 0,05$  В პოტენციალის დროს. მორევას წყვეტენ და 20-50წთ შემდეგ აწარმოებენ ანოდური პოლაროგრამის რეგისტრაციას დაგროვების პოტენციალის მნიშვნელობიდან  $+0,4$  В-მდე ცვლილებისას და აფიქსირებენ ვერცხლის გასხის დენის მაქსიმუმს  $+0,3$  В-დროს.

გრაფიტის ელექტროდის ელექტროქიმიურ გასუფთავებას აწარმოებენ ელექტროდის საანალიზო ხსნარიდან ამოდების გარეშე, აყენებენ პოტენციალს +0,4 В და 2-3% განმავლობაში აწარმოებენ ვერცხლის ელექტრო გახსნას ელექტროდის ზედაპირიდან. ამოწმებენ სრულ გამოყოფას პოტენციალის ამპლიტუდის  $0,00 \pm 0,4$  В-მდე ცვლილებისას. ანოდური პიკის არ არსებობა მოწმობს გრაფიტის ელექტროდის გასუფთავებას და იგი მზად არის შემდგომი განსაზღვრისათვის.

ვერცხლის განსაზღვრას აწარმოებენ დანამატების მეთოდით, რისთვისაც უჯრედში საკვლევ ხსნარს უმატებენ 1მლ  $\text{AgNO}_3$ -ის სტანდარტულ ხსნარს, აწარმოებენ დაგროვებას და გახსნას როგორც ზემოთ იყო აღწერილი. საკვლევ ხსნარში ვერცხლის შემცველობას, განზავების მხედველობაში მიღებით, ანგარიშობენ ფორმულით:


$$C = \frac{C_{b\delta}}{C(V_x + V_{b\delta})(C_x V_{b\delta}) - (V_x/V_{b\delta})};$$

$$C = \frac{C_{b\delta}}{(10C/C_x) - 9} \cdot \frac{V}{V'};$$


განსაზღვრას იმურებენ რამდენჯერმე სტანდარტული ხსნარის დანამატის მოცულობის შეცვლით.

### **სამუშაო 5. ტყვიის იონების განსაზღვრა ამპერომეტრული მეთოდით**


ტყვიის იონების განსაზღვრისას ტიტრანტად კალიუმის ბიქრომატის გამოყენებისას წარმოიქმნება მცირედხსნადი ნაერთი:



სათანადოდ შერჩეული პოტენციალის მიხედვით პლატინის მიკროელექტროდზე ხდება ტყვიის დაჟანგვის რეაქცია:



ან ტიტრაციის ადგენა:



### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. ტყვიის ნიტრატის 0,001 M ხსნარი.
2. KNO<sub>3</sub>-ის 0,01 N ხსნარი.
3. K<sub>2</sub>Cr<sub>2</sub>O<sub>7</sub>-ის 0,05 N ხსნარი.
4. ამპერიმეტრული ტიტვრის ნებისმიერი აპარატი.

### ანალიზის მსგლელობა

საანალიზო ხსნარი გადააქვთ 50მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე KNO<sub>3</sub>-ის ხსნარით (როგორც ფონი). პიპეტით იღებენ 10მლ ხსნარს, გადააქვთ ელექტროზის უჯრედში და განუწყვეტელი მორევისას ტიტრავენ 0,05 N K<sub>2</sub>Cr<sub>2</sub>O<sub>7</sub>-ის ხსნარით. თითოეული პორციის დამატების შემდეგ აკვირდებიან მუდმივი დენის მიღწევას.


მიღებული მონაცემების საფუძველზე აგებენ გრაფიკს კოორდინატებში დენის ძალა – ბიქრომატის ხსნარის მოცულობა (V). გატიტვრას აწარმოებენ 3-4-ჯერ და ტყვიის შემცველობას ანგარიშობენ ფორმულით:

$$C_{pb} = 5VN\mathcal{E}_{pb} / 1000$$

სადაც V არის გატიტვრაზე დახარჯული ბიქრომატის მოცულობა, მლ; N – ხსნარის ნორმალობა;  $\mathcal{E}_{pb}$  – ტყვიის მოლური მასა; 5 – განზავება.

## სამუშაო 6. სპილენძის იონების განსაზღვრა ამპერომეტრული ტიტვრით

მეთოდი დამყარებულია  $Cu^{2+}$ - იონების კალიუმის იოდიდით აღდგენის რეაქციაზე:



გამოყოფილი  $J_2$ -ის აღდგენა ხდება პლატინის ელექტროდზე (სისტემაში  $I_2/2I^-$  შექცევადია) და შეიძლება გაიტიტოს თიოსულფატის ხსნარით (სისტემა  $S_2O_3^{2-}/S_4O_6^{2-}$  შეუქცევადია).

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

- კალიუმის იოდიდი  $KI$  მშრალი.
- თიოსულფატის  $Na_2S_2O_3$  0,05 M ხსნარი.
- გოგირდმჟავის 1 M ხსნარი.
- საანალიზო ხსნარი  $CuSO_4$  0,001 M.
- პლატინის ელექტროდები.
- ამპერომეტრული ტიტვრის დანადგარი.

### ანალიზის მსგლელობა

საანალიზო ხსნარი გადააქვთ საზომ კოლბაში, ანზავებენ ჭდემდე გოგირდმჟავის ხსნარით და კარგად შეანჯლრევენ. პიკეტით იღებენ 20მლ ხსნარს, უმატებენ ~ 1გ  $KI$ , ხსნარს აჩერებენ 3-5 წუთის განმავლობაში რათა დამთავრდეს რეაქცია. ხსნარში ათავსებენ პლატინის ელექტროდებს და ტიტრავენ თიოსულფატის ხსნარით. თითოეული მომატებული პორციის (0,1მლ) შემდეგ აწარმოებენ დენის ძალის ჩვენების აღრიცხვას, რადგან შექცევადი რეაქცია იტიტრება შეუქცევადით, დენის ძალა ჯერ იზრდება, მიაღწევს მაქსიმუმს და ექვივალენტურ წერტილში პრაქტიკუ-

ლად ხდება ნულის ტოლი. მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ გრაფიკს კოორდინატებში დენის ძალა  $I$ - $V_{Na_2S_2O_3}$ , საზღვრავენ ტიტრანტის მოცულობას, რომელიც შეესაბამება ექვივალენტურ წერტილს და ტიტრომეტრული ანალიზის ფორმულით საზღვრავენ სპილენძის შემცველობას.

## თავი XIV

### პონდუქტომეტრია. პონდუქტომეტრიული ტიტგრა

ანალიზის პონდუქტომეტრიული მეთოდი დამყარებულია ელექტროლიტთა წყალსსნარების – მჟავების, ტუტების, მარილების – ელექტროგამტარობის გაზომვაზე. თუ ელექტროლიტის შემცველ ჭურჭელში მოვათავსებოთ ორ ელექტროდს და შევაერთებოთ დენის წყაროსთან, სსნარში გაივლის დენი. სსნარი ხასიათდება წინადობით და მისი შებრუნებული სიდიდით - ელექტროგამტარობით. სსნარის წინადობა პროპორციულია ელექტროდენის შორის მანძილის, სსნარის ხვედრითი წინადობის და უკუპროპორციულია ელექტროდების ფართის:

$$R = \rho \frac{l}{S} \quad L = \frac{1}{R}$$

სადაც  $R$  არის სსნარის წინადობა (ომი),  $L$  – ელექტროგამტარობა (სმ<sup>-1</sup>),  $\rho$  – სსნარის ხვედრითი წინადობა,  $l$  – მანძილი ელექტროდებს შორის,  $S$  – ელექტროდების ფართი.

$$\text{როდესაც } l=1, S=1\text{სმ}^2, \text{ მაშინ } R=\rho.$$

ხვედრითი წინადობის შებრუნებულ სიდიდეს ხვედრითი ელექტროგამტარობა ეწოდება, აღინიშნება  $\chi$  (ომი<sup>-1</sup>, სმ<sup>-1</sup>).

$$\chi = \frac{1}{\rho}$$

ცალკეული ინდივიდუალური ნივთიერებები ხასიათდებიან ექვივალენტური ელექტროგამტარობით  $\lambda$ , რომელიც არის 1 მოლი ნივთიერების შემცველი სსნარის ელექტროგამტარობა:

$$\lambda = \chi \frac{1000}{C}$$

სადაც  $C$  არის ნივთიერების კონცენტრაცია, მოლ/ლ.

ხსნარის ექვივალენტური ელექტროგამტარობა დამოკიდებულია ხსნარის დისოციაციის ხარისხზე და იონთა ძვრადობაზე:

$$\lambda = \alpha \cdot F(U_+ + U_-)$$

$\alpha$  – დისოციაციის ხარისხია,

$F$  – ფარადეის რიცხვი

$U_+$  – კათოდური ძვრადობა

$U_-$  – ანოდური ძვრადობა

ელექტროლიტის ხსნარებში დენის გადამტანია იონები, რომლებიც ხსნარში მოძრაობენ ქაოტიურად. ელექტროდებზე ძაბვის მოდებისას ხსნარში წნდება ელექტრული ველი. იონები იწყებენ მოძრაობას გარკვეული მიმართულებით და გადააქვთ მუხტები, რის შედეგად ხსნარში გაივლის დენი. რაც მეტი იონები მონაწილეობენ მუხტების გადატანაში, მთი მეტია დენი და, შესაბამისად, ელექტროგამტარობაც. სხვადასხვა იონები ელექტრულ ველში მოძრაობენ სხვადასხვა სიჩქარით. იგი ხასიათდება სიდიდით, რომელსაც ძვრადობა ეწოდება. ამიტომ ერთიდაიგივე კონცენტრაციის ხსნარების ელექტროგამტარობა სხვადასხვაა. ყველზე დიდი ძვრადობა ახასიათებს წყალბადის იონს, შემდეგ ჰიდროქსიდ-იონს, დანარჩენი იონების ძვრადობა ნაკლებია. ამიტომ მჟავების და ძლიერი ფუძეების ხსნარებს აქვთ მაღალი ელექტროგამტარობის მნიშვნელობები.


კონდუქტორებრული განსაზღვრისას კონკრეტული წყვილისათვის  $L$  და  $S$  მუდმივი სიდიდეებია და აღინიშნება  $K$ -ო, მაშინ

$$\lambda = KCU$$

ეს განტოლება საფუძვლად უდევს კონდუქტორებრულ ანალიზს.

სსნარის ელექტროგამტარობის გაზომვა

ელექტროგამტარობის გასაზომად გამოყენებულია სპეციალური ხელსაწყო კონდუქტორები. გაზომვა ხდება კოლორაჟშის ხიდის სქემით (ნახ. 61): ელექტროლიზის უჯრედი ხსნარით (2), რომელშიც ჩაშვებულია პლატინის ელექტროდები, დაფარული პლატინის შავით (1), მიერთებულია ხიდის მხარზე. A და B წერტილებთან ცვლადი დენის წყაროს მიერთებით ხიდის თითოეულ მხარზე წარმოიქმნება ელექტრული დენი, რომელიც დამოკიდებულია თითოეული მხრის წინაღობაზე. ხელსაწყოს ზედა მხარზე მდებარეობს ცნობილი (შესადარებელი) წინაღობა R და ჭურჭელი საანალიზო ხსნარით R<sub>x</sub>, ქვედა განშტოება – რეოქორდა AB მცოცავი კონტაქტით. ზედა მხრის შეა წერტილიდან C ჩართულია დიაგონალით ცვლადი დენის გადვანომეტრი 4. დიაგონალის მეორე ბოლო მიერთებულია რეოქორდაზე მცოცავ კონტაქტთან D.



## ნახ. 61. კონდუქტორები კოლრაფშის ხიდის სქემით

օմուսատցուն, ռոթ զագթոմուն Վինալունծա R<sub>x</sub>, և Տիգրուն Ռյովորդանց մշուչազո զոնքակիուն զաժապահութեան մուղ- Վիշալ օվենց Եցա և մշացա մերկենց ճշենուն մալուն օւշու

განაწილება, რომ ხიდის დიაგონალში დენი არ გადიოდეს, რასაც გვიჩვენებს დიაგონალში ჩართული ნულოვანი გალვანომეტრი. ამ მომენტში (მას უწოდებენ კომპენსაციის მომენტს) ხიდის ცალკეული მონაკვეთების წინაღობათა თანაფარდობა იქნება:

$$\frac{R_x}{R_a} = \frac{R}{R_b} \quad \text{აქედან} \quad R_x = \frac{R_a}{R_b} \cdot R$$

$R_x$ -ის გამოსათვლელად საკმარისია რეოქორდაზე გადაჭიმულ დანაყოფებიან (სმ) სახაზავზე გადაიზომოს მონაკვეთები  $AD$  და  $DB$  ე.ი.  $R_a$  და  $R_b$ .

კონდუქტომეტრული განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროლიზის უჯრედის შერჩევას. უჯრედი წარმოადგენს მინის ჰურკელს, რომელშიც მოთავსებულია პლატინის ელექტროდები, დაფარული პლატინის შავით. ელექტროდები მჭიდროდ არის ჩამაგრებული უჯრედის თავში ან კედლებზე, რათა არ შეიცვალოს მათ შორის მანძილი. უჯრედის ფორმის შეცვლით იცვლება ხსნარის მოცულობა და სათანადოდ ელექტროგამტარობა, რადგან დენი გადის არა მთელ მოცულობაში, არამედ ელექტროდებს შორის მოთავსებულ ნაწილში. ელექტროდის ფართის შეფარდება ელექტროდებს შორის მანძილზე არის უჯრუდის მნიშვნელოვანი მახასიათებელი  $K$ , რომელსაც უჯრუდის მუდმივა ეწოდება. უჯრედის გავლენის გამოსარიცხად, საანაგარიშო ფორმულაში შევაგო  $K$ -ს მნიშვნელობა.  $K$ -ს განსაზღვრა ხდება ექსპერიმენტულად მოცემულ უჯრედში 0,1 და  $0,01N$   $KCl$ -ის ხსნარის ელექტროგამტარობის გაზომვით, რომლის ხვედრითი ელექტროგამტარობა ცნობილია ( $\chi_{0,IN}=128 \text{ Cu}$ ;  $\chi_{0,01N}=141,27 \text{ Cu}$ ). სტანდარტული მნიშვნელობის  $\chi_{b\beta}$  შეფარდება ექსპერიმენტულად მიღებულ  $\chi$  გვაძლევს  $K$ -ს მნიშვნელობას, ამიტომ ხვედრითი ელექტროგამტარობის ფორმულა დებულობს შემდეგ სახეს:

$$\chi = K/R = KL; \quad K = \chi_{b\beta} / \chi_x = \chi_{b\beta} \cdot R_x$$

სადაც  $R_x$  არის უჯრედში მოთავსებული  $0,1$  და  $0,01N$   $KCl$ -ის წინადობა,

$\chi_x$  – ამ ხსნარის ელექტროგამტარობა,

$\chi_{\text{ს}}\varphi$  სტანდარტული მნიშვნელობა  $0,1$  და  $0,01N$   $KCl$  ხვედრითი ელექტროგამტარობა.

კოლრაუშის სქემით იზომება არა უშუალოდ ელექტროგამტარობა, არამედ მისი შებრუნებული სიდიდე წინადობა. ელექტროგამტარობა გამოითვლება ფორმულით:

$$L = \frac{1}{R}$$

კონდუქტორმეტრიული მეთოდით კონცენტრაციის განსაზღვრის ორი ვარიანტი არსებობს: პირდაპირი კონდუქტორმეტრია და კონდუქტორმეტრიული ტიტვრა.

პირდაპირი კონდუქტორმეტრიის მეთოდის გამოყენებისას წინასწარ ამზადებენ სტანდარტული ხსნარების სერიას, ზომავენ მათ ელექტროგამტარობას და მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში  $L-C$ . ანალოგიურად საზღვრავენ საკვლევი ხსნარის ელექტროგამტარობას და გრაფიკის საშუალებით პოულობენ საკვლევი ხსნარის კონცენტრაციას.

### კონდუქტორმეტრიული ტიტვრა

კონდუქტორმეტრიული ტიტვრა წარმოადგენს მოცულობითი ანალიზის მეთოდს, რომელიც დამყარებულია ექვივალენტურ წერტილში ხსნარის ელექტროგამტარობის შეცვლაზე.

$$L=f(V_{bb})$$

გატიტვრის პროცესში ხსნარში იონთა კონცენტრაციები იცვლება. იონების ერთი ნაწილი წარმოქმნის მცირედდისოცირებულ ნაერთებს, ნაწილი – ძნელადხსნად ნაერთებს. რეაქციის შედეგად წარმოიქმნება სხვადასხვა ძვრა-

დობის იონები. იონების ბუნების მიხედვით ექვივალენტურ წეტილში ელექტროგამტარობა მკვეთრად იცვლება. განსაზღვრისათვის იდებენ საანალიზო ხსნარის გარკვეულ რაოდენობას, ზომავენ მის ელექტროგამტარობას. შემდეგ ბიურეტიდან განუწყვეტელი მორცვისას პორციებით უმატებენ სამუშაო ხსნარს და ზომავენ მის ელექტროგამტარობას. მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ ტიტვრის მრუდებს კოორდინატებში  $L-V$ , სადაც  $L$  არის ელექტროგამტარობა,  $V$  – ტიტვრაზე დახარჯული სამუშაო ხსნარის მოცულობა.

საანალიზო ნივთიერების კონცენტრაციას ანგარიშობენ მოცულობით ანალიზში გამოყენებული ფორმულით:

$$C_x = \frac{VC}{V_x}$$


სადაც  $C$  არის სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია.

$V$  – ექვივალენტურ წერტილამდე გატიტვრაზე დახარჯული ხსნარის მოცულობა.

$C_x$  – არის საანალიზო ხსნარის კონცენტრაცია.

$V_x$  – საანალიზოდ აღებული ხსნარის მოცულობა.

ტიტვრის მრუდების სახესხვაობა დამოკიდებულია განსასაზღვრავი ნივთიერების იონების ძვრადობაზე და ტიტვრაზზე. განვიხილოთ კონდუქტომეტრიული ტიტვრის ძირითადი ტიპები (ნახ. 62).



ნახ. 62. კონდუქტომეტრიული ტიტვრის მრუდები

1. გასატიტრი ნივთიერება და ტიტრანტი შეიცავს მაღალი ძვრადობის იონებს. მაგალითად,  $HCl$  ტიტრება  $NaOH$ -ით (a). ხსნარში დასაწყისში გვაქვს მაღალი ძვრადობის  $H^+$  – იონები. ტიტვრის შემდეგ მათი კონცენტრაცია მცირდება და ელექტროგამტარობა უცვმა. ექვივალენტურ წერტილში ელექტროგამტარობა მინიმალურია.  $NaOH$ -ის დამატებისას წარმოიქმნება მაღალი ძვრადობის  $OH^-$  – იონები და ელექტროგამტარობა იზრდება. მრუდის აღმავალი ნაწილის დახრის კუთხე ნაკლებია, რადგან  $OH^-$  – იონების ძვრადობა  $H^+$  – იონებთან შედარებით დაბალია.

2. გასატიტრი ნივთიერება და ტიტრანტი შეიცავს დაბალი ძვრადობის იონებს. მაგალითად,  $Na_2SO_4$ -ის  $BaCl_2$ -ით გატიტვრისას ექვივალენტურ წერტილში ელექტროგამტარობა პრაქტიკულად უცვლელია (b), რადგან დაბალი ძვრადობის  $SO_4^{2-}$  – იონები წარმოქმნიან  $BaSO_4$ -ს და იცვლებიან თითქმის იგივე ძვრადობის  $Cl^-$  – იონებით.  $Na^+$  – იონები რჩება უცვლელი. ექვივალენტური წერტილის შემდეგ  $Ba^{2+}$  და  $Cl^-$  იონების სიჭარბისას ელექტროგამტარობა იზრდება.

3. გასატიტრი ნივთიერების იონებს აქვს მაღალი ძვრადობა, ტიტრანტის ძვრადობა კი დაბალია (c) ამ შემთხვევაში ექვივალენტურ წერტილამდე ელექტროგამტარობა მცირდება, ექვივალენტური წერტილის შემდეგ უმნიშვნელოდ იზრდება.

4. გასატიტრი ნივთიერება შეიცავს დაბალი ძვრადობის იონებს, ტიტრანტი კი მაღალი ძვრადობის იონებს (d). მაგალითად,  $CaCl_2$  ტიტრება  $NaOH$ -ით. დასაწყისში ელექტროგამტარობა უმნიშვნელოდ მცირდება.  $Ca^{2+}$  – იონები,  $Ca(OH)_2$ -ის ნალექის წარმოქმნის გამო, იცვლება  $Na^+$  – იონებით. შემდეგ ელექტროგამტარაობა იზრდება ხსნარში  $OH^-$  – იონების სიჭარბის გამო.

კოდუქტომეტრულ ტიტვრას ახასიათებს მთელი რიგი უპირატესობა. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემღვ-

რეულ და შეფერილ სსნარებში; მაშინ, როდესაც არ არის შერჩეული სათანადო ინდიკატორი; გამოირჩევა მაღალი მგრძნობიარობით; შესაძლებელია განსაზღვრა ვაწარმოოთ ძლიერ განზავებულ სსნარში ( $10^{-4}$  მოლ/ლ); განსაზღვრის სიზუსტე მდებარეობს ტიტრიმეტრული ანალიზის სიზუსტის ფარგლებში.

### მაღალი სიხშირის კონდუქტომეტრია

ბოლო წლებში ფართო გამოყენება პპოვა მაღალი სიხშირის კონდუქტომეტრიამ. ამ მეთოდით გატიტვრისას ელექტროდები საკვლევ სსნარებში არ არის ჩაშვებული, არამედ საანალიზო ჭურჭელს გარედან მჭიდროდ ეკვრის რგოლის ან ფირფიტის სახით. ამით გამორიცხულია ტიტვრის შედეგად წარმოქმნილი ნალექით ელექტროდების გაჭუჭყანება, ასევე ტიტვრა შეიძლება ჩატარდეს აგრესიულ გარემოშიც. არ არის აუცილებელი პლატინის ელექტროდის გამოყენება, იგი შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი ლითონით, რადგან იგი მოთავსებულია ჭიქის გარეთ. ელექტროდებზე მიჰყავთ სპეციალური გენერატორიდან მაღალი სიხშირის დენი. გატიტვრის შედეგად იცვლება ელექტროგამტარობა და დენის ძალა. უკვივალენტური წერტილის დადგენა ხდება მაგრადუირებელი გრაფიკის აგებით კოორდინატებში I-V, აბსცისათა ლერძზე გადაზომავენ დახარჯული სსნარის მოცულობას, ხოლო ორდინატა ლერძზე დენის ძალას. მსგავსად კონდუქტომეტრიული ტიტვრისა მიღებულ მრუდს აქვს როგორც მაქსიმუმი, ისე მინიმუმი, რომლის მიხედვით ხდება უკვივალენტური წერტილის დადგენა.

მაღალი სიხშირის კონდუქტომეტრია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნეიტრალიზაციის, ჟანგგა-ალდგენის, დალექვის და კომპლექსწარმოქნის რეაქციებში, როდესაც არ არის შერჩეული სათანადო ინდიკატორი. მიუხედავად მეთო-

დის გამოყენების ფართო შესაძლებლობისა, მას, მსგავსად ჩვეულებრივი კონდუქტორებიული ტიტვრისა, ახასიათებს ნაკლი – დაბალი სელექტიურობა. ხსნარში მყოფი გარეშე იონები ხელს უშლიან ანალიზის ჩატარებას. ეს განსაკუთრებით იჩენს თავს გარეშე იონების მაღალი კონცენტრაციების დროს. ხსნარის საერთო ელექტროგამტარობა იმდენად დიდია, რომ მისი ცვლილება ტიტვრის დროს ხდება უმნიშვნელო, რის გამოც ეჭვივალენტური წერტილის ზუსტად დადენა შეუძლებელია.

### ქლორატორიული სამუშაოები

#### სამუშაო 1. ნარევში ქლორიდების და იოდიდების განსაზღვრა კონდუქტორებიული მეთოდით

ქლორიდების და იოდიდების  $AgNO_3$ -ით გატიტვრისას ნეიტრალურ ან მჟავა გარემოში წარმოებს მიმდევრობითი დალექვა  $AgI$ , შემდეგ  $AgCl$ , ვინაიდან  $Cl^-$  და  $I^-$  - იონების ძვრადობა ახლოა ერთმანეთთან, კონდუქტორებიული ტიტვრის მრუდზე შეიმჩნევა მხოლოდ ერთი ტენილი, რომელიც შეესაბამება პალოგენიდების ჯამს. ამიაკის თანაბისას ტიტვრის პროცესში წარმოიქმნება ნაკლებად ხსნადი  $AgI$  და ტიტრანტის სიჭარბისას ხსნადი კომპლექსი  $[Ag(NH_3)_2]Cl$ . კონდუქტორებიული ტიტვრის მრუდზე ფიქსირდება ერთი ტენილი, რომელიც შეესაბამება იოდიდის ტიტვრას. ქლორიდების შემცველობას ნარევში აწარმოებენ ნეიტრალურ და ამიაკურ გარემოში გატიტვრის მონაცემების სხვაობით.

#### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1.  $AgNO_3$ -ის  $0,01\text{ M}$  სტანდარტული ხსნარი.

2. საანალიზო ნარევი -  $0,01\text{ M KCl}$  და  $KI$ .
3. ამიაკის კონცენტრირებული ხსნარი.
4. უნივერსალური ინდიკატორი.
5. კონდუქტომეტრი „იმპულსი”, ან ნებისმიერი ტიპის.
6. მაგნიტური სარეველა.

### **ანალიზის მსგლელობა**

საანალიზო ნარევი გადააქვთ  $100\text{ml}$  საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭრემდე გამოხდილი წყლით და შეანჯღრევებ. პიპეტით იღებენ  $10\text{ml}$  ხსნარს, გადააქვთ ტიტრაციის უჯრედში, უმატებენ ~  $40\text{ml}$  გამოხდილ წყალს ისე, რომ დაფაროს ელექტროდები და განუწყვეტელი მორევისას ტიტრავენ  $\text{AgNO}_3$ -ის ხსნარით. თითოეული დამატებული ტიტრანტის პორციის შემდეგ აღრიცხავენ ხელსაწყოს ჩვენებას.

მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ ტიტრის მრუდს კოორდინატებში ხვედრითი ელექტროგამტარობა  $\chi$  (ან წინადობა) –  $V$  ( $\text{AgNO}_3$ -ის მოცულობა). მრუდის ტეხილის წერტილით პოულობენ  $\text{AgNO}_3$ -ის მოცულობას, რომელიც შეესაბამება ნარევის (ქლორიდების და იოდიდების) გატიტვრის დასასრულადს.


ტიტრაციის უჯრედში გადააქვთ საანალიზო ხსნარის  $10\text{ml}$ , უმატებენ  $40\text{ml}$  გამოხდილ წყალს, წვეთწვეთობით ამიაკის წყალ ხსნარ  $pH \approx 9$  (უნივერსალური ინდიკატორის გამოყენებით), განუწყვეტელი მორევისას ტიტრავენ  $\text{AgNO}_3$ -ის ხსნარით და იღებენ ხელსაწყოზე შესაბამის ანათვალს.

მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ ტიტრის მრუდს და პოულობენ  $\text{AgNO}_3$ -ის მოცულობას, რომელიც შეესაბამება იოდიდების გატიტვრის დასასრულადს. მოცულობათა სხვაობით ( $V_1 - V_2$ ) ანგარიშობენ ნარევში ქლორიდების შემცველობას.

ტიტრიმეტრულ ანალიზში გამოყენებული ფორმულის საშუალებით ანგარიშობენ ქლორიდების და იოდიდების კონცენტრაციას.

## სამუშაო 2. რკინის იონების განსაზღვრა მაღალი სიხშირის კონდუქტორული ტიტვრით

$Fe^{3+}$  იონები ეთილენდიამინტეტრამარმჟავასთან (კომპლექსონ III) pH = 2-3 წარმოქმნიან მდგრად კომპლექსნაერთებს, რაც შეიძლება განსაზღვრულ იქნეს მაღალი სიხშირის კონდუქტორული ტიტვრით, რეაქცია მიმდინარეობს:



ტიტვრის მრუდზე შეიმჩნევა ორი ტეხნიკური, პირველი შეესაბამება  $Fe^{3+}$ -იონების რაოდენობრივ შებოჭვას კომპლექსნაერთში, მეორე შეავურ-ტუტიან ურთიერთქმედებას.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

- კომპლექსონ III-ს 0,1 M ხსნარი.
- $H_2SO_4$ -ის 1 M ხსნარი.
- მაღალი სიხშირის ტიტრატორი.
- მაგნიტური სარეველა.

### ანალიზის მსვლელობა

საანალიზო ხსნარი გადააქვთ 100მლ საზომ კოლბაში, უმატებენ 20მლ  $H_2SO_4$ , მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ. მიღებული ხსნარის 5მლ გადააქვთ ტიტრაციის ჭიქაში, უმატებენ ~ 40-50მლ გამოხდილ წყალს, რომ დაფაროს ელექტროდები და

განუწყვეტელი მორევისას ტიტრავენ 0,1მლ პორციებით კომპლექსონ III-ს ხსნარით. თითოეული პორციის დამატების შემდეგ იდებენ ხელსაწყოზე ანათალს და მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ ტიტვრის მრუდს. ტიტვრის მრუდის პირველი ტეხილით საზღვრავენ კომპლექსონ III-ს მოცულობას, რომელიც იხარჯება  $Fe^{3+}$ -იონების გატიტვრაზე. რეანის შემცველობას ანგარიშობენ ფორმულით:

$$x = \frac{V \cdot C}{V_x}$$

სადაც  $V$  არის გატიტვრაზე დახარჯული ხსნარის მოცულობა, მლ;

$C$  – სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია

$V_x$  – საანალიზო ხსნარის ალიქვოტური ნაწილი.

## თავი XV

### პულონომეტრია. პულინომეტრიული ტიტვრა

პულონომეტრიული მეთოდი დამყარებულია საანალიზო ნივთვიერების ელექტროქიმიურ გარდაქმნაზე დახარჯული ელექტრობის გაზომვაზე. მეთოდის გამოყენებისას საანალიზო ნივთიერების განსაზღვრა უნდა მიმდნარებდეს 100% გამოსავლით, რაც ნიშნავს, რომ ნივთიერების ფაქტიური რაოდენობა ყველა შედის ელექტროქიმიურ რეაქციაში, უნდა იყოს ტოლი მისი თეორიული რაოდენობის:

$$q_{\text{თ}} : q_{\text{ფ}} = q_1$$

პულონომეტრიული მეთოდით შეიძლება განისაზღვროს ნივთიერებები, რომლებიც არ ილექტრობიან ელექტროდზე, ან ელექტროქიმიური რეაქციის შედეგად ხდება მათი აორთქლება. მეთოდი ხასიათდება მაღალი მგრძნობიარობით  $10^{-8}$ – $10^{-10}$  გრ. ამიტომ კოლონომეტრიული განსაზღვრა გამოიყენება მიკრომინარევების, მცირე რაოდენობის მძიმე ლითონების, კერძოდ, ვერცხლის განსაზღვრისათვის.

არჩევენ პულონომეტრიული განსაზღვრის ორ ვარიანტს: პირდაპირი პულონომეტრია და პულონომეტრიული ტიტვრა.

პირდაპირი პულონომეტრია დამყარებულია საპლევს ხსნარში გამავალი ელექტრობის გაზომვაზე, რომელიც საჭიროა ელექტროქიმიური რეაქციის ჩასატარებლად (ფარადეის კანონი).

$$\mathcal{Q} = \frac{m_x \cdot nF}{M} \quad \text{აქედან } m_x = \frac{\mathcal{Q}M}{nF} = \frac{ItM}{F} \quad (1)$$

სადაც  $m_x$  არის ნივთიერების რაოდენობა საანალიზო ხსნარში,  $\mathcal{Q}$  – ხსნარში გავლილი ელექტრობის რაოდენობა,  $M$  – განსასაზღვრავი ნივთიერების მოლური მასა,  $n$  –

ელექტროქიმიური გარდაქმნისათვის საჭირო ელექტრონების რიცხვი,  $F$  – ფარადეის რიცხვი.

პირდაპირ კულონომეტრიაში შეიძლება გამოყენებულიქნეს როგორც კათოდზე მიმდინარე აღდგენის, ისე ანოდზე მიმდინარე დაჟანგვის პროცესები. მეტალის იონების კათოდური აღდგენა ელემენტარულ მდგომარეობამდე შესაძლებელია, თუ მოცემულ ელექტროდზე გამოყოფის პოტენციალი ნაკლებია წყალბადის გამოყოფის პოტენციალზე. თუ ცნობილია ელექტრობის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ნივთიერების ელექტროქიმიური დაჟანგვის ან აღდგენისათვის და სხნარში გასული ელექტრობის რაოდენობა, ადვილად იანგარიშება განსასაზღვრავი ნივთიერების შემცველობა.

მაგრამ პირდაპირ კულონომეტრიულ მეთოდს პრაქტიკაში შედარებით იშვიათად იყენებენ. ფართოდ გამოყენებულია ე.წ. კულომეტრიული ტიტვრის მეთოდი. ამ მეთოდში ელექტროდენის მოქმედების შედეგად მიმდინარე ელექტროქიმიური რეაქციის პარალელურად სხნარში ხდება აგრეთვე ქიმიური რეაქცია განსასაზღვრავ ნივთიერებასა და ელექტროქიმიური რეაქციის პროცესებს შორის. ამ დროს დენი უმთავრესად იმ გარეშე იონების ელექტროქიმიურ დაჟანგვა-აღდგენაზე იხარჯება, რომლებიც სპეციალურად შეყავთ სხნარში დიდი სიჭარბით. დაჟანგვა-აღდგენის პროდუქტები შემდეგ ქიმიურად ურთიერთქმედებენ განსასაზღვრავ ნივთიერებასთან. ასეთი ხერხი საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ თანაური რეაქციები, რომელთაგან მთავარია წყლის დაშლა. ე.ი. ტიტრანტი წარმოიქმნება უჯრედში დამატებული ნივთიერების შედეგად. ამ ნივთიერებას ელექტროგენერირებული რეაგენტი, ხოლო თვით პროცესს ტიტრანტის გენერაცია ეწოდება.

ანალიზის შედეგების გამოსაანგარიშებლად ფარადეის კანონის თანახმად აუცილებელია ზუსტად გაიზომოს ელექტრობის ის  $Q$  რაოდენობა, რომელიც იხარჯება მოცე-

მულ ელექტროენერგიის რეაქციაზე. Q-ს განსაზღვრა შეიძლება ჩატარდეს მუდმივი დენის (ამპეროსტატიკური, გალვანოსტატიკური) დროს, ან ელექტროდის მუდმივი (პოტენციოსტატიკური) პოტენციალის დროს.

### კულონომეტრია მუდმივი დენის დროს

ამპეროსტატიკური კულონომეტრია დამყარებულია იმაზე, რომ ელექტროლიზის დროს დენის ძალა რჩება უცვლელი და ზომავენ დროს, რომელიც საჭიროა ელექტროლიზის დამთავრებისათვის. ელექტრობის რაოდუნობა გამოიანგარიშება ფორმულით:


$$Q = It$$

მუდმივი დენის შენარჩუნებისთვის გამოიყენება ამპეროსტატები ან გალვანოსტატები. ელექტროდენი ძაბვა დენის წყაროს დიდ ძაბვასთან შედარებით უმნიშვნელოდ იცვლება და არ ახდენს გავლენას დენის ძალაზე, რომელიც მთელი პროცესის დროს რჩება მუდმივი. ეს მეთოდი უფრო იშვიათად გამოიყენება, რადაგან ჯერ კიდევ ელექტროქიმიური რეაქციის დამთავრებამდე მიმდინარეობს თანაური რეაქციები და დენის ძალის გამოსავალი 100%-ს არ აღწევს. ეს გამოწევულია იმით, რომ განსასაზღვრავი ნივთიერების კონცენტრაციის შემცირებით სამუშაო ელექტროდის პოტენციალი იზრდება და შეიძლება მოხდეს წყლის დაშლა. მეთოდი გამოყენებულია იმ ნივთიერებების განსაზღვრისას, რომლებიც ელექტროდზე იღებებიან კარგ მდგომარეობაში მეტალის, ოქსიდების და სხვა სახით.

### კულონომეტრია მუდმივი პოტენციალის დროს

პოტენციოსტატიკური კულონომეტრია დამყარებულია სამუშაო ელექტროდის პოტენციალის სიდიდის და მთელი

ელექტროლიზის განმავლობაში ამ პოტენციალის მუდმივი მნიშვნელობის კონტროლზე. დენის ძალა თანდათან მცირდება, რადგან განსასაზღვრავი ნივთიერების კონცენტრაცია განუწყვეტლივ ეცემა. დენის ძალის დამოკიდებულება ელექტროლიზის დროზე გამოისახება ნახ. 63-ზე მოყვანილი მაჩვენებლიანი მრუდით.




ნახ. 63. ელექტროლიზის დენის ძალის ცვლილება დროში (a);  
ელექტროლიზის დენის ძალის ლოგარითმული  
დამოკიდებულება დროზე (b).

განსასაზღვრავი იონის სრულ დაუანგგაზე და აღდგენაზე ელექტრობის საერთო რაოდენობა გამოისახება ფართობით, რომელიც შემოფაგლულია მრუდით დენის ძალა - დრო და კოორდინატების დერძებით (a). უფრო მოსახერხებელია სარგებლობა ლოგარითმული დამოკიდებულებით  $lg I = f(t)$ , რომელიც გამოისახება სწორი საზით (b).  $Q$  სიდიდის გამოანგარიშება შეიძლება განტოლებით:

$$Q = \frac{I_o}{tga}$$

სადაც  $I_o$  დენის საწყისი ძალაა,  $tg \alpha$  - სწორის  $I = f(t)$  დახრის კუთხის ტანგენსი, რომელიც უშუალოდ ნახაზზე ნაჩვენები გრაფიკით იზომება.

კულონომეტრის პროცესული სქემა მოცემულია ნახ. 64.




**ნახ. 64. კულონომეტრული ტიტვრის  
დანადგარის ბლოკ-სქემა**

აკუმულატორის ბატარეიდან (1) სტაბილიზირებული დენი წინადობის (2) და ამპერმეტრის (3) საშუალებით მიეწოდება პულტგადამრთველს (4). გენერატორულ ჯაჭვში (7) მუდმივი პოტენციალის შემოწმება სწარმოებს პოტენციომეტრით (6). წამზომის (5) და გენერაციული ჯაჭვის ჩართვა ხდება ერთდროულად. რეაქციის დასასრულის ფიქ-სირება ხდება ინდიკატორული ელექტროდის (9) და გამზო-მი პოტენციომეტრის საშუალებით.

ელექტროლიზის შედეგად ტიტრანტის გენერაცია ხდე-ბა სამუშაო ელექტროდზე (8). მეორე ელექტროდად გამო-ყენებულია დამხმარე ელექტროდი (8'). მისი გამოყოფა სა-ანალიზო სხნარიდან სწარმოებს მიღწი მოთავსებული ფო-როვანი ძგიდით, რადგან დამხმარე ელექტროდზე მიმდინარე რეაქცია ხშირად ხელს უშლის კულონომეტრიულ განსაზღ-ვრას.

თუ ინდიკაციისათვის გამოყენებულია ამპერომეტრული მეთოდი, მაშინ ინდიკატორულ ელექტროდად გამოყენებუ-ლია ორი პლატინის ელექტროდი, ხოლო პოტენციომეტ-რული ინდიკაციისათვის – პლატინის და კალომელის ელექტროდები.

პულონომეტრული ტიტვრის მრუდების აგება ხდება კოორდინატებში I – t. მუდმივი დენის ძალის გამოყენებისას დრო პროპორციულია დახარჯული რეაგენტის რაოდენობის (ნახ. 65).



ნახ. 65. პულონომეტრული ტიტვრის მრუდები

განსასაზღვრავი ნივთიერების ელექტროქიმიური აქტივობის და გენერირებული რეაგენტის მიხედვით ტიტვრის მრუდს ექნება სხვადასხვა სახე. პირველ შემთხვევაში (a) ინდიკაცია ხდება განსასაზღვრავი იონის მიხედვით. მრუდი გვიჩვენებს დენის შემცირებას კონცენტრაციის შემცირებასთან ერთად. მრუდის გარდატეხის წერტილი შეესაბამება ნივთიერების უკანასკნელი წილის გაქრობას. შემდეგ კი მრუდი სწორხაზოვანია. მაგალითად, აქტიური  $Fe^{2+}$  იონების დაუნაბეჭდიანი  $Ce^{4+}$  ოინებით, რომელიც გენერირდება  $Ce^{3+}$ -ად, ინდიკატორული დენი მცირდება, რაც გამოწვეულია  $Fe^{2+}$  იონების კონცენტრაციის შემცირებით. როდესაც მოელი  $Fe^{2+}$  იონები დაიუნაბეჭდიანი  $Fe^{3+}$  იონებად, დენი ხდება მინიმალური და სტაბილიზირდება.

მეორე შემთხვევაში (b) ინდიკაცია მიდის გენერირებული ელექტროქიმიურად აქტიური ტიტრანტის მიხედვით, სანამ იგი იხარჯება განსასაზღვრავი ნივთიერების იონების რეაქციაზე, დენი ინდიკატორულ ჯაჭვში რჩება მუდმივი. განსასაზღვრავი იონების სრულად შეკვრის შემდეგ დენი იწყებს გაზრდას დროის პროპორციულად. მაგალითად,  $Zn^{2+}$

იონების ტიტვრისას მჟავა გარემოში ელექტროქიმიურად არააქტიური  $K_3[Fe(CN)_6]$  ხსნარით. ელექტროდებზე ხდება  $[Fe(CN)_6]^{3-}$ -ის აღდგენა  $[Fe(CN)_6]^{4-}$ -ად და შედის რეაქციაში  $Zn^{2+}$  იონებთან. დენი ინდიკატორულ ჯაჭვში დასაწყისში არ იცვლება, მაგრამ ექვივალენტურ წერტილში ელექტროქიმიურად აქტიური  $[Fe(CN)_6]^{4-}$ -იონების სიჭარბისას დენის ძალა იზრდება.

მესამე შემთხვევაში (c) ელექტროქიმიურად აქტიური განსასაზღვრავი იონის აქტიური გენერირებული ტიტრანტით ტიტვრისას ჯაჭვში დენი ჯერ ეცემა, შემდეგ კი იზრდება. სამივე შემთხვევაში მრუდის გადახრის წერტილი შეესაბამება ექვივალენტურ წერტილს, რაც მისი ზუსტად დადგენის საშუალებას იძლევა.


რეაქციის დასასასრული ფიქსირდება ვიზუალურად ან ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით. ამ მეთოდს არაპირდაპირ მეთოდსაც უწოდებენ, რადგან ელექტროქიმიურ პროცესში მონაწილეობს არა თვით განსასაზღვრავი ნივთიერება, არამედ შუალედური პროდუქტი, რომელიც შემდგომ რეაგირებს განსასაზღვრავ ნივთიერებასთან.

კულონომეტრიულ ტიტვრას აქვს მთელი რიგი უპირატესობა ჩვეულებრივ ტიტრიმეტრულ მეთოდთან შედარებით, კერძოდ, არ არის საჭირო სამუშაო ხსნარების მომზადება და მათი კონცენტრაციის ზუსტად დადგენა. სამუშაო ხსნარად შესაძლებელია ისეთი ნივთიერების გამოყენება, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში ნაკლებად მდგრადია და ამიტომ უგარგისია სამუშაო ხსნარის მოსამზადებლად. მეთოდი გამოირჩევა მაღალი მგრძნობიარობით და სიზუსტით. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მარტო ანალიზურ ქიმიაში, არამედ სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიურ გამოკვლევებში, კერძოდ, კინეტიკა და რეაქციის მექანიზმი, კატალიზური პროცესები, კომპლექსურმოქმნა, ქიმიური წონასწორობა და სხვა.

## **ლაბორატორიული სამუშაოები**

### **სამუშაო 1. სპილენძის იონების კულონომეტრიული განსაზღვრა**

მეთოდი დამყარებულია  $Cu^{2+}$  - იონების იოდის იონებით ადგენის რეაქციაზე:



გამოყოფილ იოდს ტიტრავენ თიოსულფატის ხსნარით და გატიტგრის დასასრულს ადგენენ ვიზუალურად სახამებლის ხსნარის ფერის შეცვლით, ან ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენებით.

### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. KI-ის 0,2 M ხსნარი (დამხმარე რეაგენტი).
2.  $Na_2S_2O_3$ -ის 0,001 M ხსნარი.
3. საანალიზო  $CuSO_4$ -ის 0,02 M ხსნარი.
4. სახამებლის 1% ხსნარი.
5. კულონომეტრიული დანადგარი.
6. გენერირებული პლატინის ელექტროდი ფირფიტის ზომით 1x1 სმ.

### **ანალიზის მსვლელობა**

წინასწარ აწარმოებენ თიოსულფატის გატიტგრას, რისთვისაც 10 მლ გადააქვთ უჯრედში, უმატებენ 10 მლ დამხმარე რეაგენტს, 7 წვეთ სახამებლის ხსნარს. ხსნარში ათავსებენ გენერატორულ ელექტროდს და ტიტრავენ 5 mA დენის ძალის დროს სახამებლის ლურჯი ფერის წარმოქმნამდე, რთავენ წამმზომს და აფიქსირებენ გენერაციის დროს  $t_1$ . სპილენძის შეცველი საკვლევი ხსნარი გადააქვთ

საზომ კოლბაში და მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით. პიპეტით იღებენ 5 მლ ხსნარს, გადააქვთ უჯრედში, უმატებენ 10 მლ თიოსულფატის ხსნარს, 7 წვეთ სახამებლის ხსნარს და ტიტრავენ ისევე როგორც თიოსულფატის ხსნარს. აფიქსირებენ გენერაციის დროს  $t_2$ .

სპილენბის შემცველობას ანგარიშობენ ფორმულით:

$$x = 0.01036 \cdot I \cdot t \cdot M \cdot f \cdot \frac{V_k}{V_n}$$

სადაც  $I$  არის დენის ძალა;  $t$  - გენერაციის დრო ( $t_I-t_2$ ), წ:  $M$  მოლეკულური მასა სპილენბის;  $f$  - ექვივალენტობის ფაქტორი;  $V_k$  - საზომი კოლბის მოცულობა;  $V_n$  - პიპეტის მოცულობა.

## სამუშაო 2. ალუმინის განსაზღვრა აულონომეტრიული მეთოდით

განსაზღვრა დამყარებულია  $Al^{3+}$ -იონების 8-ჰიდროქსიქინოლინთან კრისტალური ნალექის წარმოქმნის რეაქციაზე, რომლის მეაგაში გახსნისას გამოიყოფა 8-ჰიდროქსიქინოლინის სტექიომეტრული რაოდენობა, რომელიც იტიტრება ელექტროგენერირებული ბრომით.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1.  $KBr$ -ის 0,4M და 0,1 M ხსნარები გოგირდმჟავაში (დამხმარე რეაგენტი)

2. 8 – ჰიდროქსიქინოლინის 1% ხსნარი მმარმჟავაში ან ეთანოლში

3.  $HCl$  2M ხსნარი

4. ბორატული ბუფერული ხსნარი  $pH=9,5$

5. ალუმინის საანალიზო ხსნარი.

## ანალიზის მსგლელობა

ალუმინის საანალიზო ხსნარი გადააქვთ საზომ კოლბაში, ანზავებენ ჭდემდე გამოხდილი წყლით და შეანედრევენ. პიპეტით იღებენ 10 მლ ხსნარს, გადააქვთ 100 მლ ჭიქაში, უმატებენ 10 მლ ბორატულ ბუფერულ ხსნარს და 2 მლ 8 – ჰიდროქსიქინოლინს. ხსნარს ნალექიანად აცხელებენ ადუდებამდე და ათავსებენ წყლის აბაზანაზე 20 წუთის განმავლობაში, ფილტრავენ, რეცხავენ ჯერ ცხელი წყლით, შემდეგ ცივი წყლით. ნალექს ხსნიან 30 მლ ცხელ მარილმჟავაში, რეცხავენ ცხელი წყლით. მიღებული ხსნარი რაოდენობრივად გადააქვთ 100 მლ საზომ კოლბაში, ანზავებენ გამოხდილი წყლით ჭდემდე და შეანჯდრევენ.

პიპეტით იღებენ 10 მლ ხსნარს, გადააქვთ კულონომეტრის უჯრედში, უმატებენ 10 მლ *KBr* ხსნარში ათავსებენ გენერატორულ და ინდიკატორულ ელექტროდებს, რომელსაც მიეწოდება პოლარიზებული დენი  $\Delta E=200mV$  და ტიტრავენ 5 mA დენის ძალის დროს სამუშაო 1 ანალოგიურად.

მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ დამოკიდებულების გრაფიკს ინდიკატორილი ჯაჭვის დენის (mA) და მოკიდებულებას დროსთან (წ). მრუდზე გადახრის წერტილი შეესაბამება გატიტვრის დასასრულს.

ალუმინის შემცველობა იანგარიშება ფორმულით:

$$x = 0,010$$

$$x = 0.01036 \cdot I \cdot t \cdot A \cdot f_{\text{დეტ}} \cdot V_j^2 / V_s^2$$

სადაც  $I$  არის დენის ძალა;  $t$  - გენერაციის დრო, წ;  $A$  - ალუმინის ატომური მასა;  $V_j$  - საზომი კოლბის მოცულობა;  $V_s$  - პიპეტის მოცულობა.

## თავი XVI

### ანალიზის კინეტიკური მეთოდები მეთოდის თეორიული საფუძვლები

ანალიზის კინეტიკურ მეთოდებში სისტემის განმსაზღვრელ თვისებას, რომლის მიხედვით მსჯელობები ნივთიერების კონცენტრაციაზე, არის ქმიური რეაქციის სიჩქარე, მაგალითად:

$$A+B \rightarrow X$$

რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია მორეაგირე ნივთიერების კონცენტრაციაზე

$$V = \frac{dC}{dt} = K \cdot C_A \cdot C_B$$

სადაც  $K$  არის რეაქციის სიჩქარის მუდმივა;  $C_A$  და  $C_B$  მორეაგირე ნივთიერებების კონცენტრაცია;  $V$  - რეაქციის სიჩქარე.

ნივთიერების კონცენტრაციის განსაზღვრის რეაქციას, რომელიც დამყარებულია რეაქციის სიჩქარის გაზომვაზე, კინეტიკური რეაქცია ეწოდება.

თუ  $A$  და  $B$  ნივთიერებების კონცენტრაციები ტოლია 1მოლ/ლ, მაშინ,

$$V = \frac{dC}{dt} = K$$

რეაქციის სიჩქარე იცვლება ძალიან ფართო ზღვრებში ერთეული წამიდან რამდენიმე საათამდე. რეაქციის სიჩქარის რეგულირება შეიძლება სხვადასხვა საშუალებებით. სწრაფად მიმდინარე რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია მორეაგირე ნივთიერებების კონცენტრაციაზე, რომლის შესუსტება შეიძლება  $A$  და  $B$  ნივთიერებების კონცენტრაციის შეცვირებით და პირიქით, კონცენტრაციის გაზრდით იზრდება.

რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე: კერძოდ, ტემპერატურაზე, გამხსნელის დიელექტროგულ შეღწევადობაზე, ხსნარის იონურ ძალაზე, pH და პატალიზაციონზე.

რეაქციის სიჩქარის ტემპერატურაზე დამოკიდებულება განისაზღვრება არენიუსის განტოლებით:

$$\frac{d\ln K}{dT} = \frac{E}{BT^2}$$

სადაც  $K$  არის სიჩქარის მუდმივა.  $E$  - აქტივაციის ენერგია. იგი არის მინიმალური ენერგია, რომელსაც უნდა ფლობდეს მორეაგირე ნაწილაკი, რათა შევიდეს რეაქციაში. ტემპერატურის გაზრდა  $10^\circ$ -ით იწვევს რეაქციის სიჩქარის 2-3-ჯერ გაზრდას. მაგალითად, რეაქცია კალიუმის პერმაგნატსა და მჟაუნმჟავას შორის ჩვეულებრივ ტემპერატურაზე მიმდინარეობს ძალიან ნელა, ხოლო ხსნარის  $80-90^\circ$ -მდე გაცემელება აჩქარებს რეაქციას. ხშირ შემთხვევაში კინეტიკურ რეაქციებში საჭიროა გარკვეულ მომენტში რეაქციის შენელება, ან საერთოდ შეჩერება, რაც ხორციელდება ხსნარის გაციებით.

რეაქციის სიჩქარეზე გავლენას ახდენს გამხსნელის დიელექტროგული შეღწევადობა, რომლის გაზრდით რეაქციის სიჩქარე მცირდება. უმეტესი ორგანული ნივთიერებების დიელექტროგული შეღწევადობა ნაკლებია, ვიდრე წყლის, ამიტომ ასეთ გამხსნელებში რეაქციის სიჩქარე მეტია, ვიდრე წყალსნარებში.

რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება იონურ ძალაზე გამოისახება განტოლებით:


$$\lg K = \lg K_o + aZ_a \cdot Z_b \sqrt{\mu}$$

სადაც  $K_o$  არის რეაქციის სიჩქარის მუდმივა გარემოში, რომელშიც  $A$  და  $B$  ნივთიერებების კონცენტრაციები ერთის ტოლია.

$\alpha$  - მუდმივაა, რომელიც შეიცავს დიელექტრიკულ შეღწევადობას და აბსოლიტურ ტემპერატურას.  $\mu$  - ხსნარის იონური ძალაა.

$Z_a$  და  $Z_b$  - ნაწილაკების მუხტია.

იონური ძალის გაზრდით, ანუ სარეაქციო გარემოში კარგად დისოცირებული მარილების შეყვანით რეაქციის სიჩქარე მცირდება. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ გარეშე მარილების იონები მორეაგირე იონების გარშემო ქმნიან იონურ ატმოსფეროს საწინააღმდეგო მუხტის იონებით, რაც ხელს უშლის იონთა შორის ურთიერთქმედებას და მის დასარღვევად საჭიროა გარკვეული დროის დახარჯვა – პირიქით, ერთიდაიგივე ნიშნის მუხტის იონების შეყვანით რეაქციის სიჩქარე იზრდება. მაგალითად, სპილენბის იოდომეტრული განსაზღვრისას



ჯამურ რეაქციაში წყალბად – იონები არ მონაწილეობენ და არ ახდენენ გავლენას მორეაგირე ნივთიერებების ჟანგვა-აღდგენით პოტენციალზე. მაგრამ ხსნარის დაბალი მუვიანობის დროს რეაქცია მიღის ნელა და რეაქციის სიჩქარე იზრდება ხსნარის pH-ის შემცირებით.

მთელი რიგი ნელი მიმდინარე ქიმიური რეაქციების სიჩქარე გარკვეულ პირობებში იზრდება კატალიზატორის შეყვანით – მაგალითად, რეაქცია წყალბადის ზეჟანგსა და იოდს შორის მიღის ნელა:



რკინის იონების თანაობისას შეალედური რეაქცია მიღის სწრაფად, ამიტომ მთელი პროცესის სიჩქარე იზრდება.  $Fe^{2+}$  - იონები დებულობენ მონაწილეობას რეაქციაში, მაგრამ რეაქციის დამთავრების შემდეგ მისი კონცენტრაცია საწყისი კონცენტრაციის ტოლია. რეაქციის შედეგად წარმოქმნილი  $Fe^{3+}$  - იონები კვლავ დებულობენ მონაწილეობას მრავალ ჟანგვა-აღდგენის პროცესების ციკლში.

$Fe^{2+}$  - იონები აჩქარებენ იოდის იონის წყალბადის ზეჟანგით დაჟანგვის რეაქციას, ანუ იგი არის ამ რეაქციის კატალიზატორი.

კატალიზატორის მონაწილეობის რეაქციებს კატალიზური რეაქციები ეწოდება. კატალიზური რეაქციების სიჩქარე დამოკიდებულია რეაქციაში მონაწილე ყველა იონის კონცენტრაციაზე, მათ შორის კატალიზატორზე  $C_j$ :

$$V = XC_A \cdot C_B \cdot C_k$$

სადაც  $X$  არის კატალიზური რეაქციის სიჩქარის მუდმივა;  $C_A$ ,  $C_B$  და  $C_k$  საწყისი კონცენტრაციებია, მათ შორის კატალიზატორის.

თუ  $A$  და  $B$  ნივთიერებებს ავიღებთ კატალიზატორთან შედარებით დიდი სიჭარბით, მათი კონცენტრაციები რეაქციის პროცესში დროის რადაც მონაკვეთში იქნება მუდმივი სიდიდე. თუ მას ავღნიშნავთ  $K^1$ -ით, მაშინ კატალიზური რეაქციის სიჩქარე კატალიზატორის კონცენტრაციის პირდაპირპორციულია:

$$V_I = K^I C_j$$

სადაც  $K^I$  არის პირობითი მუდმივა, რომელიც დამოკიდებულია მორეაგირე ნივთიერებების  $A$  და  $B$  აღებულ სიჭარბეზე. რეაქციის სიჩქარე შეიძლება გაიზომოს რეაქციის პროდუქტის  $x$  დროში ცვლილებით. რეაქციის სიჩქარის გამოვლით შეიძლება გამოვთვალოთ კატალიზატორის კონცენტრაცია. რეაქციას, რომლის სიჩქარე განისაზღვრება კატალიზატორის კონცენტრაციით, ინდიკატორული რეაქცია ეწოდება. ნივთიერებებს, რომლის კონცენტრაციის შეცვლით ზომავენ რეაქციის სიჩქარეს, ინდიკატორული ნივთიერებები ეწოდება.

ამიტომ იოდის წყალბადის ზეჟანგით დაჟანგვის რეაქციის სიჩქარეზე შეიძლება ვიმსჯელოთ იოდის კონცენტრაციის შეცვლით დროის ერთეულში, მაშინ

$$V = \frac{C_x^1 - C_x^o}{t_1 - t_0} = \frac{\Delta C_x}{\Delta t} = K^1 C_o \quad (1)$$

სადაც  $C_x^o$  არის რეაქციის პროდუქტის კონცენტრაცია რეაქციის დასაწყისში.  $C_x^1$  - რეაქციის პროდუქტის კონცენტრაცია გარკვეული  $t$ , დროის გავლის შემდეგ. თუ დრო აღირიცხება ყველა რეაგენტების შერევის მომენტში, მაშინ  $t_o = 0$  და (1) განტოლრბა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$V = \frac{C_x}{t} = K^1 C_o$$

ამ განტოლების თანახმად, რეაქციის პროდუქტის კონცენტრაცია პირდაპირპროპორციულია კატალიზატორის კონცენტრაციის და რეაქციის მსვლელობის დროზე:

$$C_x = K^1 C_o t \quad (2)$$

თუ გამოთვლითი ინდიკატორული ნივთიერების კონცენტრაციას, რომელიც წარმოიქმნება  $t$  დროის განმავლობაში, შეიძლება გამოვთვალოთ კატალიზატორის კონცენტრაცია:

$$C_o = \frac{C_x}{K^1 t}$$

რადგანაც კატალიზატორი მონაწილეობას იღებს ჟანგვა-აღდგენის მრავალ ციკლში, კატალიზური რეაქციების მგრძნობიარობა დიდია. იგი შეზღუდულია არაკატალიზური რეაქციების გავლენით, რომელებიც მიმდინარეობენ კატალიზურ რეაქციებთან ერთად. იოდ-იონის  $Fe^{2+}$  - იონების თანაობისას წყალბადის ზეჟანგით დაჟანგვის კატალიზურ რეაქციებთან ერთად მიმდინარეობს ასევე არაკატალიზური რეაქცია. ამიტომ გამოყოფილი იოდი არის კატალიზური და არაკატალიზური რეაქციებით წარმოქმნილი იოდის ჯამი. ამიტომ რეაქციის სიჩქარე  $V$  არის კატალიზური  $V_o$  და არაკატალიზური  $V_0$  რეაქციების ჯამი:

$$V = V_o + V_0, \quad \text{აქედან}$$

$$V_o = V - V_0$$

არაკატალიზურ რეაქციებს ფონურ რეაქციებს უწოდებენ. განსაზღვრის ცდომილება მით ნაკლები იქნება, რაც მეტია სხვაობა კატალიზურ და არაკატალიზურ რეაქციებს შორის.

კატალიზატორის კონცენტრაციის გამოსათვლელად საჭიროა განისაზღვროს ინდიკატორული ნივთიერების კონცენტრაცია, რაც შეიძლება განხორციელებული იქნეს ფოტომეტრული მეთოდის გამოყენებით. მთელი რიგი კატალიზური რეაქციები მიმდინარეობს ოპტიკური სიმკვრივის შევლით. ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონის თანახმად ოპტიკური სიმკვრივე კონცენტრაციის პროპორციულია (ნახ. 66, ა):

$$A = \varepsilon h C_x \quad \text{საიდანაც} \quad C_x = \frac{A}{\varepsilon h}$$

ჩავსვათ (2) განტოლებაში, მივიღებთ:

$$A = K C_j \cdot t \quad (3)$$

ე.ი. ოპტიკური სიმკვრივის ცვლილება დროში განსასაზღვრავი კატალიზატორის კონცენტრაციის პირდაპირპოპორციულია.


### კონცენტრაციის განსაზღვრის მეთოდები

კონცენტრაციის განსაზღვრის სამი მეთოდი არსებობს: ფიქსირებული დროის  $t$  ფიქსრებული კონცენტრაციის -  $x$  და ტანგენსების მეთოდი.

ფიქსირებული დროის მეთოდით განსაზღვრისას საანალიზო სხნარში შეყავთ კატალიზატორი და რეაქციას ატარებენ მკაცრად განსაზღვრული დროის (10, 7, 5) შუალედში. ზომავენ რეაქციის პროდუქტის კონცენტრაციას  $x$ , ან მის სიდიდეს ოპტიკურ სიმკვრივეს და მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს (ნახ. 66, ბ).

გრაფიკი სწორხაზოვანია, ანუ ფიქსირებული დროის მიხედვით ( $t=\text{const}$ ) რეაქციის პროდუქტის კონცენტრაცია  $x$

კატალიზატორის კონცენტრაციის პირდაპირპროპორციულია.



ნახ. 66. კატალიზატორის კონცენტრაციის განსაზღვრა ფიქსირებული დროის მიხედვით (ა), ფიქსირებული კონცენტრაციით (ბ), ტანგენსების მეორდით (გ, დ).

ფიქსირებული კონცენტრაციის მეორდში ( $x=\text{const}$ ) რეაქციას ატარებენ მანამ, სანამ რეაქციის პროდუქტის კონცენტრაცია  $x$  თითოეულ ხსნარში არ გახდება ერთნაირი. ამისათვის საჭიროა სხვადასხვა დრო  $t$  და რაც მეტია განმსაზღვრავი კატალიზატორის კონცენტრაცია, მით ნაკლები დროა საჭირო რათა ყველა ხსნარში რეაქციის პროდუქტის კონცენტრაცია იყოს ერთნაირი. მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს, რისთვისაც აბსცისთა დერძზე გადაზომავენ კატალიზატორის კონცენტრაციას  $C_K$ , ხოლო ორდინატთა დერძზე დროს  $\frac{1}{t}$ .


ტანგენსების მეთოდით ინდიკატორული ნივთიერების კონცენტრაციას სერიის თითოეულ ხსნაში გარკვეული დროის მონაკვეთში ზომავენ და მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს (ნახ. 66, გ), სადაც მრუდის დახრა მით მეტია, რაც მეტია კატალიზატორის კონცენტრაცია. გრაფიკის მიხედვით ზომავენ თითოეული მრუდის დახრის კუთხის ტანგენსს და დამოკიდებულებას გამოსახავენ გრაფიკის სახით კოორდინატებში  $tg \alpha - C_k$  (ნახ. 66, დ).

საკვლევ ხსნას ამზადებენ ისევე როგორც სტანდარტულ ხსნარებს, ზომავენ ოპტიკურ სიმკვრვეს იმავე დროში, გამოითვლიან  $tg \alpha$  და მაგრადუირებელი გრაფიკის მიხედვით პოულობენ კატალიზატორის კონცენტრაციას.

ერთდროულად ამზადებენ შესადარებელ ხსნას, რომელიც შეიცავს ყველა რეაქტივს კატალიზატორის გარდა და საკვლევი ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ შესადარებელი ხსნარის მიმართ. ეს გამორიცხავს არაკატალიზური რეაქციების ოპტიკურ სიმკვრივეს.

### კატალიზური ტიტგრის მეთოდი

ამ მეთოდის არსი აიხსნება ცერიუმ-არსენიტის რეაქციით, რომელიც კატალიზირდება იოდით, ოსმიუმით და რუთენიუმით:




კატალიზატორის იოდიდის დამატებისას რეაქციის სიჩქარე იზრდება იოდიდის კონცენტრაციის გაზრდით. ვერცხლის იონებს ახასიათებს ინტიბიტორული ელექტრო-კატალიზატორის ბლოკირება. ხსნაში ვერცხლის იონების შეყვანისას წარმოიქმნება  $AgI$  და იოდის იონების კონცენტრაცია ეცემა, რაც იწვევს რეაქციის სიჩქარის შემცირებას. კატალიზური ტიტგრის დროს იოდ იონის შემცველ ცერიუმ-არ-

სენიტის საანალიზო ხსნარს რამდენიმე პორციებით უმატებენ  $AgNO_3$  და საზღვრავენ რეაქციის სიჩქარეს. ექვივალენტურ წერტილს ადგენენ გრაფიკის საშუალებით, რომლის კოორდინატებია  $AgNO_3$ -ის მოცულობა – რეაქციის სიჩქარე. ამ მეთოდით შეიძლება განისაზღვროს იოდი ძლიერ განზავებულ ხსნარებში ( $10^{-5}$ მოლ/ლ და ნაკლებიც).

ცერიუმ-არსენიტის რეაქციის ოსმიუმით და რუთენიუმით კატალიზირების უფექტი შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს ოსმიუმი და რუთენიუმი მათი ხსნარში ერთად ყოფნის დროს წინასწარი დაცილების გარეშე. კერძოდ, ცერიუმის კონცენტრაციის გაზრდით რეაქციის სიჩქარით შეიძლება განისაზღვროს რუთენიუმი, ხოლო დარიშხანოვანი მჟავის კონცენტრაციის გაზრდისას რეაქციის სიჩქარით განისაზღვროს ოსმიუმი.

### გამოყენებული აპარატურა

ოპტკური სიმკვრივის გასაზომად გამოყენებულია ფოტოკოლორიმეტრი და სპექტროფოტომეტრი. რეაგენტების მიმატების რიგის და სიჩქარის სტაბილიზაციისათვის გამოყენებულია სპეციალური შემრევი ჭურჭელი (ნახ. 67), რომელიც შედგება სამი ფენისაგან. ერთში ათავსებენ A ხსნარს, მეორეში B ხსნარს, მესამეში კატალიზატორს K, ჭურჭელს ათავსებენ თერმოსტატში სითბური წონასწორობის დამყარებამდე ( $10-15$  წუთი). შემრევი ჭურჭელს იღებენ თერმოსტატიდან, გადააბრუნებენ და შეურევენ. გადააბრუნების მომენტიდან ჩართა-



ნახ. 67. შემრევი ჭურჭელი  
შემრევი ჭურჭელი იღებენ თერმოსტატიდან, გადააბრუნებენ და შეურევენ. გადააბრუნების მომენტიდან ჩართა-

ვენ წამმხომს. ჭურჭლიდან ხსნარი გადააქვთ ფოტოკოლორიმეტრის კიუვეტაში და გარკვეული დროის მომენტში საზღვრავენ ოპტიკურ სიმკვრივეს შესადარებელი ხსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს ყველა რეაქტივებს, გარდა კატლიზატორისა.


ანალიზის კინეტიკური მეთოდები ხასიათდებიან მაღალი მგრძნობიარობით. მას იყენებენ სუფთა და ზესუფთა ნივთიერებებში მიკრო მინარევების განსაზღვრისათვის. კინეტიკური მეთოდების საშუალებით უმეტეს შემთხვევაში ხდება არა საერთო, არამედ მორეაგირე ნივთიერებების წონასწორული კონცენტრაციების განსაზღვრა, რაც ფართოდ გამოიყენება ხსნარებში წონასწორული პროცესების შესასწავლად (კომპლექსწარმოქმნა, მჟავურ-ფუძიანი ურთიერთქმედები და სხვ).

მეთოდი მარტივია და სწრაფი. არ მოითხოვს რთულ აპარატურას, შესაძლებელია 40-ზე მეტი ელემენტის განსაზღვრა, მაგრამ მისი ნაკლია დაბალი სპეციფიკურობა.

## ლაბორატორიული სამუშაოები

### სამუშაო 1. სპილენძის განსაზღვრა კინეტიკური მეთოდით

სპილენძის განსაზღვრას საფუძვლად უდევს ინდიკატორული რეაქცია რკინის (III) იონებსა და თიოსულკატს შორის:



ჩემულებრივ პირობებში რეაქცია ნელა მიღის და კატლიზატორდება სპილენძის იონებით. ინდიკატორულ ნივთიერებას წარმოადგენს  $Fe^{3+}$ -იონები, რომლის თანაობას ხსნარში აკონტროლებენ როდანიდ-იონის შეყვანით. რეაქციის სიჩქარე შეიძლება გაიზომოს ტანგენსების, ფიქსირებული

დროის, ან ფიქსირებული კონცენტრაციის მეთოდებით. სარეაქციო ხსნარების გაუფერულება  $C_{Fe^{3+}} = 0$  მაჩვენებელია.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. სპილენბის სტანდარტული ხსნარი.

3,9295 გ  $CuSO_4 \cdot 5H_2O$  ხსნიან გამოხდილ წყალში და ავსებენ ერთ ლიტრამდე.

მიღებული ხსნარი შეიცავს 1 მგ/მლ (ძირითადი ხსნარი). სამუშაო ხსნარს ამზადებენ ძირითადი ხსნარის 10 და 100-ჯერ განზავებით (0,1 ან 0,01 მგ/მლ).

2. რკინის როდანიდის ხსნარი

4,8 რკინა (111) ამონიუმის შაბს ხსნიან მარილმჟავით (25 მლ 2*NHCl*) შემუვავებულ ხსნარში და ავსებენ ერთ ლიტრამდე. ცალკე 100 მლ გამოხდილ წყალში ხსნიან 4 გ.  $NH_4CNS$  და ურევენ რკინის ამონიუმის ხსნარში.

3. ნატრიუმის თიოსულფატის 0,068 M ხსნარი.

17 გ მარილს ხსნიან გამოხდილ წყალში და ავსებენ ლიტრამდე.

### მაგრადუირებელი გრაფიკის აგება

50 მლ საზომ კოლბებში შეყავთ სტანდარტული ხსნარის 0, 1, 3, 5, 10 მლ და გამოხდილი წყლით ავსებენ 10 მლ-მდე. თითოეულ მათგანს უმატებენ 25 მლ რკინის როდანიდის ხსნარს, 10 მლ თიოსულფატის ხსნარს, თიოსულფატის ხსნარის ყველა ფორმაში ერთდროულად შეტანა არ არის მიზანშეწონილი. უმჯობესია დაემატოს 2-3 კოლბას ერთდროულად. ხსნარის დამატებისთანავე ჩართავენ წამმზომს, კოლბებს 30 წამის განმავლობაში ერთნაირად ანჯღრევენ და ზუსტად აითვლიან კოლბაში ხსნარის გაუფერულების დროს.


მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში კონცენტრაცია – დრო.

### **ანალიზის მსვლელობა**

საანალიზო ხსნარის 10 მლ ათავსებენ 50 მლ-იან საზომ კოლბაში, უმატებენ 10 მლ გამოხდილ წყალს. ანალიზის შემდგომი მსვლელობა იგივეა, რაც მაგრადუირებელი გრაფიკის აგებისას. ხსნარის გაუფერულებისათვის საჭირო დროის მიხედვით მაგრადუირებელ გრაფიკზე აითვლიან საანალიზო ხსნარში სპილენძის კონცენტრაციას.

### **სამუშაო 2. ვოლფრამის განსაზღვრა კინეტიკური მეთოდით**

ვოლფრამის კონცენტრაციის განსაზღვრას საფუძვლად უდევს იოდის იონის წყალბადის ზეჟანგით დაჟანგის კატალიზური რეაქცია. მჟავა გარემოში იოდის დაჟანგგა თავისუფალ იოდამდე გაცხელების გარეშე ნელა მიმდინარეობს.



კატალიზატორად გამოყენებულია  $H_2WO_4$  ან  $H_2MoO_4$ , რის შედეგად რეაქციის სიჩქარე მკვეთრად იცვლება.

### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. ვოლფრამის სტანდარტული ხსნარი.

0,78 გ  $Na_2WO_4$ , ხსნიან ერთ ლიტრ წყალში და აზავებენ 2500-ჯერ

2. კალიუმის იოდიდის 0,005 M ხსნარი.

0,8 მგ ორჯერ გადაკრისტალებულ იოდს ხსნიან ერთ ლიტრ წყალში.

3. მარილმჟავას 1 M ხსნარი.

4. წყალბადის ზეჟანგის 0,01 M ხსნარი. ამზადებენ 3%-იანი სამედიცინო წყალბადის ზეჟანგისაგან.
5. სახამებლის 0,2%-იანი ახლადდამზადებული ხსნარი.
6. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК-56.

### **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

50 მლ-ან საზომ კოლბებში ათავსებენ ვოლფრამის სტანდარტულ ხსნარს 5; 10; 15 მლ. უმატებენ 5 მლ მარილ-მჟავას, 5 მლ კალიუმის იოდიდს, მიჰყავთ მოცულობა 35-40 მლ-მდე, უმატებენ 5 წვეთ სახამებლის ხსნარს, კარგად შეანჯდრევენ, უმატებენ 5 მლ წყალბადის ზეჟანგს და ერთდროულად რთავენ წამმზომს. ხსნარის მოცულობას ავსებენ გამოხდილი წყლით 50 მლ-მდე და ხსნარის ნაწილი გადააქვთ ფოტოკოლორიმეტრის კიუვებში  $\ell = 5$  სმ.

10 წუთის განმავლობაში ყოველ წუთში (გარდა პირველი სამი წუთისა) საზღვრავენ ოპტიკურ სიმკვრივეს შექფილტრი №5 - ის გამოყენებით.

მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში ოპტიკური სიმკვრივე – დრო (წუთებში), პოულობენ შესაბამისი მრუდის დახრის კუთხის ტანგენს და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში  $t g \alpha - t$ .

### **ანალიზის მსვლელობა**

საკვლევი ხსნარის 10-20 მლ ათავსებენ 50 მლ-იან საზომ კოლბაში, ანზავებენ მცირე რაოდენობის გამოხდილი წყლით და უმატებენ ყველა რეაქტივებს როგორც მაგრადუირებელი გრაფიკის აგებისას და მაგრადუირებელი გრაფიკის მიხედვით პოულობენ ვოლფრამის კონცენტრაციას.

## თავი XVII

### ნივთიერებების დაცილების და კონცენტრირების მეთოდები

ანალიზური ქიმიის პრაქტიკაში სპეციფიკური რეაგენტები ცოტაა. ამიტომ ნივთიერების თვისებითი და რაოდენობითი განსაზღვრისას საჭიროა რანდენიმე ელემენტის დაცილება გამოსაკვლევ ნიმუშში არსებული ხელისშემსლელი ელემენტებისაგან. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება დაცილების და კონცენტრირების მეთოდები. კონცენტრირებაში იგულისხმება ნივთიერების გადაყვანა დიდი მოცულობიდან მცირე მოცულობაში. კონცენტრირებას მიმართავენ მაშინ, როდესაც ნივთიერების შემცველობა იმდენად მცირეა, რომ არსებული მეთოდებით მათი განსაზღვრა შეუძლებელია.

დაცილების და კონცენტრირების მეთოდები სხვადასხვაა, რომლებიც დამყარებულია ნივთიერების განაწილებაზე ორ ფაზას შორის. გამოსაკვლევი ნივთიერება შეიძლება იყოს მყარი ან თხევადი. პირველ შემთხვევაში კონცენტრირების ხარისხი განისაზღვრება წონათა თანაფარდობით  $\frac{G_1}{G_2}$ , მეორე შემთხვევაში მოცულობათა თანაფარდობით  $\frac{V_1}{V_2}$ . ცნობილია მეთოდები, რომლებიც დამყარებულია ერთ ფაზაში გაყოფაზე – ელექტროლიზი, დიფუზიური მეთოდები და სხვ. ნებისმიერი დაცილების მეთოდების გამოყენებისას საჭიროა შემდეგი პროცესების ჩატარება: 1)ფაზების კონტაქტი და მათ შორის წონასწორობის დამყარება, 2) ფაზების გაყოფა.

დაცილება შეიძლება დამყარებული იყოს ფაზების ფიზიკურ ბუნებაზე, რომელთა შორის ხდება სისტემის კომპო-

ნენტების განაწილება და ფაზების ერთჯერადი ან მრავალ-ჯერადი განაწილება, რომელიც ხდება სტატიკური, დინამიკური და ქრომოტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით.

ფართოდ გაგრცელებულია კლასიფიკაცია, დამყარებული პროცესის ბუნებაზე: ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური (ექსტრაქცია, სორბცია, თანადალექცა, ელექტროქიმიური მეთოდები) და ფიზიკური (აორთქლება, ფიზიკური გამოხდა, კრისტალიზაცია სინჯის თერმიული დამუშავება, ორგანული ნივთიერებების დაწვა), რის შედეგად განსასაზღვრავი ნივთიერება რჩება თავისუფალ მდგომარეობაში. ყველა დაცილების ეს მეთოდები შეიძლება განხორციელდეს როგორც პირდაპირი, ისე ქიმიური ჩარევის შემდეგ.

ქიმიური ჩარევისას განსასაზღვრავი ნივთიერება გადაყვავთ აქროლად მდგომარეობაში. მაგალითად, ბორის განსაზღვრისას მას უმატებენ ეთილის სპირტს, რის შედეგად იგი გადაიდევნება ეთერის სახით.

თუ ამ მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, საჭირო ხდება მატარებლის გადადევნა. ეს მეთოდი მარტივია, ხელმისაწვდომი, საიმედო, მაგრამ შრომატევადია, რადგან საჭიროა დიდი მოცულობის სსნარის აორთქლება.

ფართო გამოყენება პიბრიდულმა და კომბინირებულმა მეთოდებმა, პიბრიდულ მეთოდში ერთიდაიგიგა ხელსაწყოში ხდება კონცენტრირება, გაყოფა და განსაზღვრა.

კომბინირებულ მეთოდებში კონცენტრირება და რაოდენობრივი განსაზღვრა ხდება სხვადასხვა ხელსაწყოში (ექსტრაქციულ – ფოტომეტრული, ექსტრაქციულ-სპექტრული და სხვ).

ასევე გამოიყენება ორგანული ნივთიერებების დამუშავება ულტრაინისფერი სხივებით, რომლებიც აინდუქცირებენ ფოტოქიმიურ ჟანგით პროცესებს. იგი მიღის ინტენსიურად. პაერის და წვის ხარჯზე ხდება ატომური ჟანგბა-

დის გამოყოფა, რომელიც მოქმედებს განსასაზღვრავ ნივთიერებაზე. მეთოდი სუფთაა და ელემენტი გადადის ანალიზურად აქტიურ ფორმაში.

### ექსტრაქცია

კონცენტრირების საქმაოდ დიდ ჯგუფს მიეკუთვნება მეთოდები, რომლებიც დამყარებულია კომპონენტების ფაზურ განაწილებაზე: ექსტრაქცია, იონგაცვლა, სორბაცია, შენიდგვა, თანადალექვა, ელექტროქიმიური პროცესები და სხვ, რომელშიაც ხდება მიკრო და მაკრო კომპონენტების გადაყვანა სხვადასხვა ფაზაში.

ექსტრაქცია გამოყენების თვალსაზრისით წამყვანი მეთოდია. ექსტრაქცია არის დაცილების და კონცენტრირების მეთოდი, რომელსაც საფუძველად უდევს ნივთიერებების განსხვავებული ხსნადობა ან განაწილება ორ ურთიერთშეურევად სითხეში, რომელთაგან ერთი არის წყლის ფაზა, მეორე ორგანული ფაზა, როგორც ჰეტეროგენული პროცესი ექსტრაცია ემორჩილება ფაზების წეს:

$$N+F=K+2$$

სადაც  $N$  არის ფაზების რიცხვი;  $F$  - თავისუფლების ხარისხის რიცხვი;  $K$  - კომპონენტების რიცხვი.

წონასწორობის პირობებში ორივე ფაზაში განაწილებული ნივთიერება არის მუდმივი სიდიდე, რომელიც არ არის დამოკიდებული ნივთიერების საერთო კონცენტრაციაზე. ამ სიდიდეს განაწილების კოეფიციენტი  $K_{\beta\alpha}$  ეწოდება, რომელიც გამოისახება განაწილების კანონით:

$$\frac{C_1}{C_2} = K_{\beta\alpha\beta}$$

სადაც  $C_1$ , და  $C_2$  ორივე ფაზაში განაწილებული ნივთიერების წონასწორული კონცენტრაციებია ერთიდაიგივე

ფორმაში, თუ ეს ფორმა არ იცვლება კონცენტრაციის შეცვლით.

A და B ნივთიერების დაცილების ფაქტორი გამოისახება:

$$S = \frac{D_A}{D_B}$$

ამასთან  $D_A > D_B$


ამოწმობის ხარისხი (ექსტრაქციის პროცენტი R) და გავშირებულია განაწილების კოეფიციენტთან ფორმულით:

$$R = \frac{100D}{D + V_B/V_O}$$

სადაც  $V_B$  და  $V_O$  არის წყლის და ორგანული ფაზის წონასწორული მოცულობა თუ -  $V_B = V_a$ , მაშინ

$$R = \frac{100D}{D+1}$$

ექსტრაქციის პრობების შერჩევისას დიდი მნიშვნელობა აქვს ექსტრაქციის მუდმივას  $-K_{\text{ექც}}$ , რომელიც წარმოადგენს ჰეტეროგენული ქიმიური რეაქციის მუდმივას. მაგალითად, ხელატებისათვის, რომელიც მიღის შემდეგი რეაქციით:



ექსტრაქციის მუდმივა ტოლია:

$$K_{\text{ექც}} = \frac{[MA_n]_o \cdot [H^+]^n}{[M^{n+}] \cdot [HA]_o^n}$$

ექსტრაქციის ვარიანტები მრავალფეროვანია. არის შემთხვევები, როდესაც ხდება განსასაზღვრავი კომპონენტის პირდაპირი ექსტრაქცია ქიმიური ჩარევის გარეშე. იშვიათად არის გამოყენებული არაორგანული საექსტრაქციო ფორმები. მაგალითად, ზოგიერთი ქლოროიდები, როდანიდები ექსტრაგირდებიან ორგანული გამსხნელებით. უფრო მეტად გამოიყენება ორგანული ფორმა, რაც მდგომარეობს შემ-

დეგში: განსასაზღვრავი კომპონენტი გადაყავთ ორგანულ ფაზაში (შიდაკომპლექსური ნაერთი, დითიზონატები, ხელატები და სხვ). სათანადო პირობების შექმნის შემდეგ (pH, შემნიღბავი კომპონენტის შეყვანა ხელისშემშლელი ელემენტების შენიღბვისათვის), უმატებენ ორგანულ გამსხველს, შეანჯდრევენ, რის შედეგად განსასაზღვრავი კომპონენტი გადადის ორგანულ ფაზაში. რაოდენობრივი განსაზღვრისას ექსტრაქციის ხარისხი უნდა იყოს 99-99,5%. ნივთიერების რაღაც ნაწილი რჩება წყალხსნარში, რისთვისაც იყენებენ ორჯერად, ან სამჯერად ექსტრაქციას ორგანული გამსხველის ახალი ულუფების გამოყენებით. ზოგჯერ საჭიროა რეაქსტრაქცია – ექსტრაქტიდან უკუგამოყოფა სხვა ელექტროლიტების გამოყენებით.

შიღებული ექსტრაქტი შეიძლება შევიყვანოთ ნებისმიერ ხელსაწყოში და მივიღოთ სათანადო სიგნალი, ეს იქნება ექსტრაქციულ ფოტომეტრული მეთოდი, ატომურ აბსორბციული, ალის ფოტომეტრია და სხვ.

ექსტრაქციის დადებითი მხარეებია: სიმარტივე, უნივერსალურობა, დიდი დიაპაზონი, ადვილი შესაძლებლობის უნარი, პიბრიდული მეთოდების წარმოქმნის სიადვილე. ექსტრაქციის მეთოდით ელემენტების კონცენტრირების შემდეგ დარჩენილი ხსნარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა კომპონენტების განსაზღვრისათვის. გამოყენებული აპარატურა მარტივია – გამყოფი ძაბრი. ნაკლია ორგანული გამსხველების გამოყენება, როგორიცაა ტოლუოლი, დიეთოლეთერი, ქლოროფორმი და სხვ., რისთვისაც საჭიროა მუშაობა ამწოვ კარადაში ყველა წესების დაცვით.

### თანადალექვა

კონცენტრირების თანადალექვის მეთოდის გამოყენებისას საჭიროა სათანადო კოლექტორის შერჩევა, რომელიც

განსასაზღვრავ ელემენტთან წარმოქმნის ძნელად ხსნად ნალექს, რომლის იონთა კონცენტრაციების ნამრავლი ნაკლებია ხსნადობის ნამრავლის სიდიდეზე და ნალექის გამოყოფა არ ხდება. თანადალექვისას კოლექტორებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც არაორგანული, ისე ორგანული ნივთიერებები (კალიუმის კარბონატი, მმიმე ლითონების სულფიდები, ალუმინის და რკინის ჰიდროქსიდები). კოლექტორების შერჩევისას უპირატესობა ეძლევა ისეთ კოლექტორს, რომელსაც ახასიათებს გარკვეული შერჩევითობა, გამოიყენება მცირე რაოდენობით, არ უშლის ხელს გამოსაკვლევი ელემენტის განსაზღვრას, საჭიროების შემთხვევაში ადვილი იყოს მისი მოცილება. თანადალექვის შედეგად წარმოქმნილი ნალექი ადვილად გადადიოდეს ხსნარში.

თანადალექვის მექანიზმი შეიძლება იყოს სხვადასხვა: ნალექის ზედაპირზე იონმიმოცვლა, იზომორფული თანადალექვა, ფიზიკური ადსორბცია, თანადალექილი კომპონენტების მექანიკური ჩატაცება და სხვ.


თანადალექვისას კოლექტორი შეიძლება შევიდეს რეაქციაში განსასაზღვრავ იონებთან, რის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას ქიმიური ნაერთი, შერეული კრისტალები და სხვ. მაგალთად, ტყვიის სულფატის სტრონციუმის სულფატით თანადალექვისას წარმოიქმნება შერეული კრისტალები, რადგან ამ ელემენტების სულფატები იზომორფულია. თუ იზომორფული ნივთიერებების თანადალექვისას დამყარდება წონასწორობა, მაშინ შესაძლებელია განაწილების კოეფიციენტის განსაზღვრა, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოისახება ამ ორი კომპონენტის ხსნადობის ნამრავლის შეფარდებით:

$$K = \frac{b\beta_{S_2SO_4}}{b\beta_{PbSO_4}} = \frac{32 \cdot 10^{-8}}{1,6 \cdot 10^{-8}} = 20$$


## შენიდბგა

ხელისშემულელი იონების მოცილებისათვის გამოიყენება შენიდბგა. შენიდბგა არის ქიმიური გარდაქმნის პროცესი, რომლის შედეგად ხდება ამ ნივთიერების ანალიზური რეაქციის აცილება. შემნიდბავი რეაგენტი ან მისი რეაქციის პროდუქტი არ გამოიყოფა მეორე ფაზაში. შენიდბგა არის ანალიზური რეაქციების უფასტურობის გაზრდის საშუალება. შემნიდბავი საშუალება არის ლიგანდი, რომელიც წარმოქმნის მდგრად კომპლექსნაერთს და არ უშლის ხელს ელემენტის განსაზღვრას.


არსებობენ შენიდბების სხვადასხვა საშუალებები, კერძოდ კომპლექსურმოქმნის რეაქცია (კომპლექსონები, პოლიამინები, ოქსიმჟავები, პოლიფოსფატები და სხვ). მაგალითთად ნიკელის განსაზღვრას დიმეთილგლიოქსიმით ხელს უშლის რკინის (III) იონები. რეაქცია მიღის ტუტე გარემოში და რკინა გამოიყოფა ჰიდროჟანგის  $\text{Fe(OH)}_3$  სახით, შემნიდბავ რეაგენტის – ლვინის მჟავას დამატებისას ხდება რკინის იონების შებოჭვა მდგრად კომპლექსნაერთში, რომელიც ამიაკის წყალსნართანაც არ რეაგირებს:



შესაძლებელია ხელისშემულელი კომპონენტების უანგვითი ხარისხის შეცვლა. მაგალითთად, კობალტის როდანიდული მეთოდით განსაზღვრისას ლურჯი ფერის კომპლექსის წარმოქმნას ხელს უშლის რკინა, რომელიც როდანიდთან წარმოქმნის წითელი ფერის კომპლექსს:



რკინა შეიძლება შეინიდბოს მისი ორგალენტიანამდე აღდგენით:



ორგალენტიანი რკინა როდანიდთან არ წარმოქმნის შეფერილ კომპლექსს.

## ელექტროქიმიური მეთოდები


კონცენტრირების ელექტროქიმიური მეთოდებიდან აღსანიშნავია: ელექტროწონითი მეთოდი, ელექტროდიალიზი, ცემენტაცია და სხვ. ელექტროწონითი მეთოდი ყვალაზე გავრცელებული მეთოდია. იგი არ მოითხოვს ქიმიური რეაგენტების დიდ დანახარჯს. ძირითად რეაგენტად გამოყენებულია დენის ძალა, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერ ლაბორატორიაში. ელექტროლიზის მსვლელობისას ელემენტის მოქმედება განისაზღვრება ელექტროქიმიური პოტენციალით, რომელიც დამოკიდებულია არა მარტო ელემენტის ბუნებაზე, მის ქიმიურ ფორმაზე, გამოყოფილი ელემენტის კონცენტრაციაზე და ელექტროლიტის საერთო შედგენილობაზე, არამედ დენის სიმკვრივეზე, ელექტროდის მასალაზე და სხვ. მრავალკომპონენტიანი სსნარების ელექტროლიზის დროს ელექტროდებზე მიმდინარეობს ჟანგვა-აღდგენითი პროცესები, რომელსაც თან სდევს ელექტროდის ზედაპირზე ერთი ან რამდენიმე ელემენტის გამოყოფა.

## ცემენტაცია

მთელი რიგი ლითონები სსნარებიდან თავისუფალ მდგრამარეობაში შეიძლება გამოყოფილ იქნეს კონცენტრირების ყვალაზე მარტივი და ხელმისაწვდომი მეთოდის – ცემენტაციის გამოყენებით. ცემენტაცია არის სსნარში ელექტროდადებითი ლითონის მეტად ელექტროუარყოფითი ლითონით გამოძევების პროცესი. ცემენტატორებად გამოიყენება ლითონი ფხვნილის სახით საკმაოდ ელექტროუარყოფითი ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალით (თუთია, მანგანუმი, ალუმინი), რომელიც უზრუნველყოფს მრავალი ელექტროდადებითი ელემენტების გამოყოფას. ზოგიერთი დამუანგგლის თანაობისას, როგორიცაა აზოტმჟავა, ლითონის

ზედაპირი იფარება ლითონის ჟანგის ფენით, რაც ხელს უშლის ცემენტაციის ნორმალურ მსვლელობას. ხშირ შემთხვევაში გამოყოფილი მიკროელემენტი ძლიერი დამჯანგველის გამოყენებით შეიძლება გადაყვანილ იქნეს ხსნარში ცემენტატორის ძირითადი მასის გადაყვანის გარეშე. ამის მიღწევა შეიძლება, როდესაც მეტალცემენტატორი გადადის პასიურ მდგომარეობაში და დალექილი ლითონი არ წარმოქმნის დამცველი ჟანგის ფენას, მაგალითად, რკინის ნაწილაკებზე დალექილი სპილენძი შეძლება გაიხსნას  $1\text{N NH}_4\text{OH}$  და 3%  $\text{H}_2\text{O}_2$ -ის ნარევში, რომელშიც რკინა არ იხსნება.

განზავებული ხსნარებიდან მიკროელემენტების გამოყოფის სისრულეზე დადებით გავლენას ახდენს ინტენსიური მორევა და ხსნარის ტემპერატურის გადიდება, მაგალითად, ტყვიის მარილებიდან ბისმუტის, სპილენძის და ანთიმონის კონცენტრირებისას. ცემენტატორად გამოყენებულია დრუბლოვანი ტყვია ძლიერ განვითარებული ზედაპირით, რომელიც მიმდინარეობს შემდეგი რეაქციით:



ჩამოთვლილი ელემენტების რაოდენობრივი გამოყოფა წარმოებს 0,2M აზოტმჟავას ხსნარიდან განუწყვეტელი მორევისას  $100^{\circ}$  – ტემპერატურის დროს.

## სორბცია

ფართო გამოყენება ჰპოვა მიკროელემენტების კონცენტრირების და დაცილების სორბციულმა მეთოდებმა არაორგანული და ორგანული სორბენტების გამოყენებით. იგი დამყარებულია ნარევში შემავალი კომპონენტების განაწილებაზე ორ ფაზას შორის, რომელთაგან ერთი არის საანალიზო ხსნარი, მეორე ფაზა მყარი. ამ ორი ფაზების კონტაქტისას სორბციის მექანიზმი შეიძლება იყოს სხვადასხვა, კერძოდ, იონგაცვლა, კომპლექსნაერთის წარმოქმნა,

ნალექის გამოყოფა, ან შთანთქმა ვან-დერ-ვალსის ძალების ზეგავლენით.

სორბაცია წარმოებს მინის სვეტში, რომელშიც მოთავსებულია სორბენტის გარკვეული ფენა. სორბენტის ფენაში ნარევის გატარებისას თითოეული ელემენტი სორბირდება გარკვეულ ნაწილში და წარმოქმნის ადსორბირებულ ზონებს. შემდგომ მასში შესაბამისი გამხსნელის გატარებისას ხდება სორბირებული ელემენტების დესორბაცია, რაც დიდად არის დამოკიდებული სორბირებული ელემენტების მდგრადობის მუდმივაზე.

სორბაცია-დესორბაციის პროცესის განხორციელებისას ნივთიერების დიდი მოცულობიდან მცირე მოცულობაში გადასვლისას ხდება კონცენტრირება. განსხვავებულია დესორბაციის ტექნიკაც, კერძოდ, თუ სვეტში მოთავსებულია სორბენტის ფენა, მას სვეტოვანი ქრომატოგრაფია ეწოდება. თუ სვეტის როლს ასრულებს ქაღალდი – ქაღალდის ქრომოტოგრაფია. ნალექის წარმოქმნა გახსნასთან დაკავშირებული – დალექვითი ქრომოტოგრაფია. პროცესი დამყარებული სისტემაში მიმდინარე ჟანგვა-ადგგენის რეაქციის მსვლელობაზე – რედოქს ქრომატოგრაფია. დაცილება დამყარებული სსნარში არსებული იონების შექცევად გაცვლის უნარზე – იონგაცვლითი ქრომოტოგრაფია. კომპლექსნაერთების წარმოქმნის რეაქციაზე ადსორბციულ – კომპლექსწარმომქმნელი ქრომოტოგრაფია და ბოლოს, აირების დაცილება აირმატარებელზე – გაზის ქრომოტოგრაფია და სხვ. თითოეული მეთოდი კარგად არის განხილული თავში – ქრომოტოგრაფია.


კონცენტრირების მეთოდების ობიექტური შედარებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პარამეტრები, რომლებიც მიეუენება ანალიზურ მეთოდს: განსასაზღვრავი ელემენტი, მეტროლოგიური პარამეტრები (კონცენტრირების კოეფიციენტი, ამოწბობის ხარისხი, განაწილების კოეფიციენტი, დაცილების ფაქტორი), განსაზღვრის ხანგრძლი-

ვობა, სიმარტივე, შემსრულებლის პროფესიული ორიენტაცია და კვალიფიკაცია.

## ლაბორატორიული სამუშაოები

### სამუშაო 1. მიკრორაოდენობის სპილენძის კონცენტრირება ექსტრაქციის მეთოდით

ტყვიის დიეთილიდიოკარბამინატი ქლოროფორმში სპილენძის იონებთან წარმოქმნის ყვითელი ფერის მდგრად კომპლექსნაერთს:



### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

#### 1. სპილენძის სტანდარტული ხსნარი.

0,1 გ ელექტროლიზურ სპილენძს ხსნიან 5 მლ განზავებულ (1:1) აზოტმჟავაში, ანზავებენ გამოხდილი წყლით, ადულებენ აზოტის ჟანგეულების სრულად მოსაცილებლად, გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდებულე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდოვენ. მიღებული ხსნარი შეიცავს 0,1მგ სპილენძს ერთ მილილიტრში. (ძირითადი ხსნარი). სამუშაო ხსნარს ამზადებენ ძირითად ხსნარის 10-ჯერ განზავებით.

#### 2. ტყვიის დიეთილდიოკარბამინატი ქლოროფორმში.

50 მლ წყალში ხსნიან 0,1მგ ტყვიის აცეტატს, უმატებენ 25-50 მლ ახლადდამზადებულ 0,1გ შემცველ ნატრიუმის დიეთილდიოკარბამინატს. გამოყოფილ თეთრ ნალექს ხსნიან გამყოფ ძაბრში 250 მლ ქლოროფორმში, ქლოროფორმის ფენას ფილტრავენ მშრალ ფილტრში 500

მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე ქლოროფირმით და კარგად შეანჯღრევენ.

3. ქლოროფირმი.
4. ამიაკის ხსნარი განზავებული 1:1.
5. აზოტმჟავას ხსნარი განზავებული 1:1.
6. უნივერსალური ინდიკატორი.
7. გამყოფი ძაბრი 50 მლ.
8. სპექტროფოტომეტრი.

### **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

სტანდარტული ხსნარების სერიას 2, 10, 20, 30,5 მლ ათავსებენ გამყოფ ძაბრში და თანმიმდევრულად თითოეულ მათგანს უმატებენ 10 მლ წყალს, ქმნიან გარკვეულ – pH=3-5 უნივერსალური ინდიკატორით (თუ ხსნარი ძლიერ მჟავეა, წვეთწვეთობით უმატებენ ამიაკს), უმატებენ 5 მლ ტყვიის დიეთილდიოთკარბამინატს და თითოეული მათგანის ექსტრაქციას აწარმოებენ 1-2 წუთის განმავლობაში თითოეული მათგანის ორგანული ფაზა გადააქვთ 50 მლ საზომ კოლბებში და იმეორებენ ექსტრაქციას 5 მლ რეაქტივით, რომელსაც ათავსებენ იმავე კოლბებში. ანზავებენ ქლოროფირმით ჭდემდე, შეურევენ და ზომავენ ოპტიკურ სიმკრივებს ფოტოკოლორიმეტრზე  $\lambda = 436$  ნმ კიუვებაში  $I = 5$  სმ. მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C.

### **ანალიზის მსგლელობა**

5-10 – მლ საკვლევი ხსნარისათვის ანალოგიურ ოპტრაციას ატარებენ გამყოფ ძაბრში, უმატებენ ყველა რეაქტივებს ისეთივე თანმიმდევრობით, როგორც აღწერილი იყო

მაგრადუირებელი გრაფიკის აგებისას და გრაფიკის საშუალებით პოულობენ საკვლევი ხსნარის კონცენტრაციას.

## სამუშაო 2. მიკრორაოდენობის რკინის (III) – იონების თანადაღექვა კადმიუმის ფოსფატით.

კადმიუმის იონები წარმოქმნიან მცირედესნად ფოსფატებს, მაგრამ იგი უფრო ხსნადია, ვიდრე რკინის (111) ფოსფატები,. კადმიუმის ფოსფატის დალექციისას ნალექზე ხდება რკინის ფოსფატის კონცენტრირება.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

#### 1. რკინის სტანდარტული ხსნარი.

5,05გ  $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3$  ხსნიან წყალში. უმატებენ 5 მლ მარილმჟავას 1N ხსნარს, გადააქვთ ლიტრიან კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

მიღებული ხსნარი შეიცავს 1 მლ-ში 1 მგ რკინას.

2. პიდროქსილამინის 20% ახლადმომზადებული ხსნარი.

3. ნატრიუმის აცეტატის 25% ხსნარი.

4. ორთოფენანტროლინი 0,2% ხსნარი.

5. ფოტოკოლორიმეტრი ფერ - 56.

### მაგრადუირებელი გრაფიკის აგება

50 მლ კოლბებში შეეყავთ რკინის სტანდარტული ხსნარის 0,2; 0,4; 0,6; 0,8; 1,0 მლ. უმატებენ 5მლ პიდროქსილამინს და ტოვებენ 10 წუთით, უმატებენ ~4 მლ ნატრიუმის აცეტატს, 10 მლ ორთოფენანტროლინის ხსნარს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ. ხსნარს ტოვებენ 30 წუთის განმავლობაში.

მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე  $\lambda=500$  ნმ. შესადარებელ ხსნარად გამოყენებულია ხსნარი, რომელიც შეიცავს ყველა რეაქტივებს, გარდა რკინისა. მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C.

### ანალიზის მსგლელობა

50 მლ საზომ კოლბაში ათავსებენ საკვლევი ხსნარის გარკვეულ რაოდენობას (რკინის შემცველობის მიხედვით), უმატებენ ყველა რეაქტივებს როგორც მაგრადუირებელი გრაფიკის აგების დროს და გრაფიკის საშუალებით პოულობენ საკვლევი ხსნარის კონცენტრაციას.

### სამუშაო 3. მიკრორაოდენობის ნიკელის კონცენტრირება ცემენტაციის მეთოდით

ლითონური მაგნიუმი ადვილად აღადგენს მთელ რიგ ლითონებს, მათ შორის ნიკელს ხსნარებიდან, რომელიც შეიცავს ნებისმიერი რაოდენობის მინერალურ მარილებს. ნიკელის ცემენტაცია კარგად მიდის ხსნარებში pH = 9.

#### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. ნიკელის სტანდარტული ხსნარი.

0,46 გ  $NiSO_4 \cdot 7H_2O$  ხსნიან წყალში, გადააქვთ ლიტ-რიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანულრევენ. მიღებული ხსნარის 1 მლ შეიცავს 0,1 მგ ნიკელს.

2. ლითონური მაგნიუმი, რომელიც არ შეიცავს ნიკელს, ფხვნილის სახით, ნაწილაკების ზომით 0,05 მმ.

3. დიმეთილგლიოქსიმის 1% სპირტიანი ხსნარი.

4. მარილმჟავას 0,2 N და 2 N ხსნარები.

5. აზოტმჟავას კონცენტრირებული და 15% ხსნარები.
6. ბრომიანი წყალი.
7. ინდიკატორი მეთილნარინჯის 0,1% ხსნარი.
8. ამიაკი კონცენტრირებული.
9. გამყოფი ძაბრი (100 მლ).
- 10.15 მლ საზომი ცილინდრები კოლორიმეტრიისათვის.
11. კონცენტრატორი.

### **ნიკელის გამოყოფა ხსნარებიდან**

კონცენტრატორში, რომლის ქვედა ნაწილში მიერთებულია მინის ფილტრი №3, ასხამენ 1 ლიტრ გამოსაკვლევ ხსნარს, უმატებენ ინდიკატორ მეთილნარინჯის 5-6 წვეთს და 2N მარილმჟავას ხსნარს ვარდისფერ შეფერილობამდე, რის შედეგად მიიღწევა განსაზღვრისათვის საჭირო pH. შემდეგ შეყავთ 0,6 გ ლითონური მაგნიუმი. 5-10 წუთის შემდეგ კონცენტრირება დამთავრებულია.

### **ნიკელის კოლორიმეტრული განსაზღვრა**

მიღებული ნიკელის და მაგნიუმის კონცენტრატი გადააქვთ მიღესილსაცობიან სინჯარაში, უმატებენ 5 მლ ბრომიან წყალს. 5 წუთის შემდეგ ხსნარს ანეიტრალებენ ამიაკით ბრომის შეფერვის მოცილებამდე, უმატებენ 0,5 მლ დიმეთილგლიოქსიმს, მიჰყავთ მოცულობა გამოხდილი წყლით 10-მდე და 10 წუთის შემდეგ აწარმოებენ კოლორიმეტრირებას.

ეტალონის სტანდარტულ სერიებს ამზადებენ სინჯის ანალოგიურად. ინტერვალით 2 მლ, საზომ სინჯარაში ასხამენ 5 მლ 15% აზოტმჟავას და გარკვეული მოცულობის სტანდარტულ ხსნარს, ბრომიან წყალს, ამიაკს და დიმეთილგლიოქსიმს, როგორც სინჯის შემთხვევაში.

## თავი XVIII

### ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდი ქრომატოგრაფიის თეორიული საფუძვლები

რთული ორგანული და არაორგანული ნივთიერებების ნარევების შემადგნლობაში შემავალი ცალკეული კომპონენტების, იდენტიფიკაციის და რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ფართოდ გამოიყენება ანალიზის ქრომატოგრაფიული მეთოდი. იგი დამყარებულია ნივთიერების ორ ფაზას შორის განაწილების პროცესზე, რომელშიც ერთი არის უძრავი (სტაციონარული ფაზა), ხოლო მეორე მოძრავი ფაზა. მოძრავ ფაზად შეიძლება იყოს სითხე (საანალიზო ნივთიერების შემცველი), ან გაზი (გაზის ან ორთქლის ნარევი). უძრავ ფაზად – მყარი ნივთიერება, ან სითხე, ადსორბირებული მყარ ნივთიერებაზე, რომელსაც სორბენტი ეწოდება.

მოძრავი ფაზის გადაადგილებისას უძრავ ფაზაში სწარმოებს ნარევის კომპონენტების სორბცია. რაც უფრო მეტია კომპონენტების მსგავსება უძრავ ფაზასთან, მით უფრო ძლიერ სორბირდება, მეტად შეკავდება სორბენტის ფაზაში და მით უფრო ნაკლებია მისი გადაადგილება მოძრავ ფაზასთან ერთად. შედეგად კი ხდება კომპონენტების დაცილება.

ნებისმიერი სორბციული პროცესი ხასიათდება განაწილების კოეფიციენტით  $K_{\text{გან}}$ , რომელიც არის უძრავი ფაზის წონასწორული კონცენტრაციის  $C_1$  ფარდობა მოძრავი ფაზის წონასწორულ კონცენტრაციასთან  $C_2$ :

$$K_{\text{გან}} = \frac{C_1}{C_2}$$

განაწილების კოეფიციენტი დამოკიდებულია ნივთიერების ბუნებაზე, უძრავი და მოძრავი ფაზების ბუნებაზე, ტემ-

პერატურზე, pH, კონცენტრაციაზე და ხსნარის იონურ ძალაზე. სორბენტის ზონაში ნივთიერების გადაადგილების სიჩქარე განაწილების კოეფიციენტის უგუპროპორციულია. ნებისმიერი ნივთიერებისათვის, რომლის განაწილების კოეფიციენტი სხვადასხვაა, გადაადგილდებიან სხვადასხვა სიჩქარით, რაც ქრომატოგრაფიული დაცილების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

### ქრომატოგრაფიული მეთოდების კლასიფიკაცია

ქრომატოგრაფიული მეთოდების კლასიფიკაციის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოძრავი და უძრავი ფაზების ბუნება, ურთიერთქმედება ფაზას და გასაყოფი ნივთიერების ბუნებას შორის და ექსპერიმენტის ტექნიკა.

ქრომატოგრაფიული მეთოდის კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. სისტემის აგრეგატული მდგომარეობის მიხედვით: გაზური და თხევადი. გაზური თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად გაზ-ადსორბციული და გაზ-თხევადი. თხევადი იყოფა თხევად-ადსორბციული და თხევად-თხევადი.


2. მექანიზმის მიხედვით: ადსორბციული, განაწილებითი, იონგაცვლითი, ნალექოვანი, ჟანგვა-ადდგენითი, ადსორბციულ-ქომპლექსურმომქმნელი.

3. პროცესის მსვლელობის ფორმის მიხედვით: სვეტოვანი და სიბრტყეზე. სვეტოვან ვარიანტში ქრომატოგრაფიას ატარებენ სხვადასხვა სიგრძის და სიგანის სვეტებში. სიბრტყეზე იყოფა ორ ჯგუფად: ქაღალდის და თხელფენვანი. ქაღალდის ქრომატოგრაფიაში სვეტის როლს ასრულებს ფილტრის ქაღალდი, თხელფენვანში – მინის ან ალუმინის ფირფიტაზე დაფენილი სორბენტის თხევადი ფენა.

4. პროცესის დანიშნულების მიხედვით: ანალიზური, პრეპარატიული და სამრეწველო. ანალიზური ქრომატოგრა-

ფიის დანიშნულებაა მოხდეს რთული ნარევის როგორც თვისებითი, ისე რაოდენობითი ანალიზი. პრეპარატიული ქრომატოგრაფიის დანიშნულებაა გამოყოს რთული ნარევიდან ერთ-ერთი კომპონენტი და მოახდინოს მისი მოგროვება. სამრეწველო ქრომატიგრაფია ძირითადად გამოიყენება ქარხნებში ნივთიერების გასაწმენდად.

ქრომატოგრაფიაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალიზის ფრონტალური, გამოძევებითი და ელუანტური მეთოდები.



ნახ. 68. ქრომატოგრაფიული პიკის მახასიათებლები

ჩამოთვლილი მეთოდებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ელუანტური სვეტური ქრომატოგრაფია. განვიხილოთ მეთოდის ძირითადი მახასიათებლები (ნახ. 68). ნახაზზე წერტილი  $A^1$  შეესაბამება საანალიზო ნივთიერების შეყვანას,  $A$  – არადისოცირებული ნივთიერების გამოსვლას. მაშინ მონაკვეთი  $A^1AB$  და მის გაგრძელებას  $BF$  უწოდებენ ნულოვან ხაზს.  $BDF$  მრუდს ეწოდება ქრომატოგრაფიის პიკი, რომელიც სასიათდება სიმაღლით, სიგანით და ფართით. პიკის სიმაღლე  $h$  არის მრუდის სიმაღლის მაქსიმუმიდან ნულოვან ხაზზე დაშვებული პერპენდიკულარი  $GD$ .  $h^1$  არის მანძილი ნულოვანი წერტილიდან მრუდის გადახრის შემაერთებელ წერტილამდე, სიგანე არის  $\mu = B^1F^1$ .

### ქრომატოგრაფიის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები

ქრომატოგრაფიის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლებიდან ძირითადია შეკავების დრო  $t$ . ქრომატოგრამაზე ეს

არის დრო ნივთიერების ადსორბენტის ფენაში შეყვანის მომენტიდან სორბენტის ფენიდან მაქსიმალური კონცენტრაციით გამოსვლისას. მოძრავი ფაზის მოცულობას, რომელიც გაივლის სორბენტის ფენაში, ეწოდება შეკავების მოცულობა  $V_{\text{შე}} \cdot \text{იგი}$  ტოლია

$$V_{\text{შე}} = t V$$

სადაც  $V$  არის მოძრავი ფაზის მოცულობითი სიჩქარე.  $t$  არის დრო, რომელიც შეესაბამება ნივთიერების გამოსვლის პიკის მაქსიმუმს. შეკავებითი მოცულობის საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ ნარევში შემავალი კომპონენტების არსებობა, ან ჩავატაროთ თვისებითი ანალიზი.

არსებობს აგრეთვე შესწორებული შეკავებითი მოცულობა  $V_{\text{შე}}^1$  მონაკვეთი AG, რომელიც ტოლია

$$V_{\text{შე}}^1 = V_{\text{შე}} \cdot V_0$$

სადაც  $V_0$  არის არადსორბირებული ნივთიერების შეკავებითი მოცულობა და მისი შესაბამისი შესწორებული შეკავებული დრო  $t^1$ :

$$t^1 = t - t_0$$

სადაც  $t_0$  არის არასორბირებული ნივთიერების შეგავებითი დრო. არსებობს ეფექტური შეკავებითი მოცულობა  $V_{\text{ეფ}}$ , რომელიც არის შესწორებული შეკავშირებითი მოცულობა  $V_{\text{შე}}^1$  გამრავლებული  $i$ -ზე

$$V_{\text{ეფ}} = V_{\text{შე}}^1 \cdot i$$

სადაც  $i$  არის შესწორება წნევაზე:

$$i = \frac{3(P_1/P_0)^2 - 1}{2(P_1/P_0)^3 - 1}$$

სადაც  $P_1$  არის წნევა ქრომატოგრაფის სვეტის დასაწყისში, ხოლო  $P_0$  წნევა სვეტის ბოლოში.

და ბოლოს აბსოლუტური ან სვედრითი შეკავებით მოცულობა:

$$V_g = \frac{V_{\text{ეფ}} \cdot 273}{g \cdot T_K}$$


სადაც ე არის ქრომატოგრაფიულ სვეტში მოთავსებული ადსორბენტის წონა, ან 1 გრ ადსორბენტზე აღებული მოცულობა.

### გაყოფის კრიტერიუმი


რაოდენობრივად ბინარული ნარევის გაყოფის სისრულე შეიძლება გამოისახოს კრიტერიუმით  $K_1$ , რომელიც ტოლია:  $V_{\text{გვ}}$

$$K_1 = \frac{\Delta l}{W_{0,5}^A + W_{0,5}^B} = \frac{\Delta V}{W_{0,5}^A + W_{0,5}^B}$$

სადაც  $\Delta l$  არის მანძილი ორი პიკის მაქსიმუმებს შორის.  $W_{0,5}$  არის A და B კომპონენტების პიკის სიგანე სიმაღლის ნახევარზე (ნახ. 69).



ნახ. 69. გაყოფის კრიტერიუმის განსაზღვრის სქემა



ნახ. 70. გაყოფის ხარისხის განსაზღვრის სქემა

$K_1$  ყოველთვის მეტია ერთზე. რაც უფრო დიდია  $K_1$ -ის მნიშვნელობა, მით უფრო სრულია გაყოფა.

არის შემთხვევა, როდესაც გაყოფა არ არის სრული (ნახ. 70). ამ შემთხვევაში განსაზღვრავენ გაყოფის ხარისხს:

$$K_2 = \frac{h_2 - h_{\theta=6}}{h_2}$$

სადაც  $h_2$  არის დაბალი კონცენტრაციის სიმაღლე, ხოლო  $h_{\theta=6}$  მრუდის პიკებს შორის მინიმუმის სიმაღლე.

და ბოლოს სელექტიურობის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს ბინარული ნარევის გაყოფას. იგი დამოკიდებულია ქრომატოგრაფიულ სვეტში მოთავსებულ ადსორბენტის ბუნებაზე:

$$K_c = \frac{V_g^2 - V_g^1}{V_g^2 + V_g^1}$$

სადაც  $V_g^1$  და  $V_g^2$  არის კომპონენტების აბსოლიტური შეკავებითი მოცულობა.

### ქრომატოგრაფიული პროცესების თეორია

არსებობს ქრომატოგრაფიული პროცესების რამდენიმე თეორია, რომელთაგან მნიშვნელოვანია თეორიული თეორების და კინეტიკური თეორია.

თეორიული თეორების თეორია მოცემული იყო მარტინის და სინჯის მიერ, რომლის მიხედვით ქრომატოგრაფიული სვეტი აზრობრივად იყოფა მთელ რიგ ელემენტარულ უბნებად – „თეორებად“. თითოეულ თეორება სორბენტსა და მოძრავ ფაზას შორის სწრაფად მყარდება წონას-წორობა. აირმატარებლის თითოეული ახალი პორცია იწვევს ამ წონასწორობის გადანაცვლებას, რის გამოც ნივთიერების ნაწილი გადაადგილდება შემდგომ თეორება, რომელზედაც თავის მხრივ მყარდება ახალი წონასწორული გადანაცვლება და ხდება ნივთიერების გადატანა შემდგომ თეორება. ამ პროცესის შედეგად ქრომატოგრაფიული ნივთიერება განაწილდება რამდენიმე თეორება. შუაში კონცენტრაცია მაქსიმალურია მეზობელ თეორებთან შედარებით.

ექვივალენტური თეორიული თეფშების სიმაღლე  $H$  შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით:

$$H = \frac{l}{n}$$

სადაც  $l$  არის სორბენტის ფენის სიგრძე,  $n$  თეორიული თეფშების რიცხვი. მაშინ თეორიული თეფშების სიმაღლე  $H$  წარმოადგენს სორბენტის ფენის სიგრძეს, რომელიც აუცილებელია გაზის ფაზისა და უძრავ მყარ ან თხევად ფაზებს შორის წონასწორობის დასამყარებლად. თეორიული თეფშების როდენობა

$$n = 16 \left( \frac{l_0}{\mu_{0,5}} \right)^2$$

სადაც  $l$  არის მანძილი ცდის დაწყებიდან პიკის მაქსიმუმამდე,  $\mu_{0,5}$ -არის პიკის სიგანე სიმაღლის ნახევარზე.  $l$  მუდმივია,  $n$ -ს განვსაზღვრავთ გარკვეულ სიჩქარეზე და გპოულობათ  $H$ -ს.

სვეტის ეფექტურობა მით მეტია, რაც მეტია თეორიული თეფშების რიცხვი და ნაკლებია ეფექტური თეფშების სიმაღლე. ამრიგად, თეორიული თეფშების თეორია საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ ქრომატოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლები.

თეფშების თეორია დაფუძნებულია იმ დაშვებაზე, რომ ქრომატოგრაფიული პროცესი ითვლება საფეხურებრივ წყვეტილ პროცესად. ფაქტიურად პროცესი მიმდინარეობს უწყვეტლივ. ამიტომაც თეფშების თეორია ითვლება ფორმალურად, ხოლო სიდიდეები  $n$  და  $H$  ზონის ჩამორეცხვის მახასიათებლად და არა მის გასაყოფად.

### კინეტიკური თეორია

კინეტიკურ თეორიაში ყერადღება ექცევა პროცესის კინეტიკას, რომელიც აკავშირებს ექვივალენტური თეორი-

ული თეფშების სიმაღლეს დიფუზიის პროცესთან, წონა-სწორობის შენელებულად დამყარებას და პროცესის არაერთგვაროვნობას.


ექვივალენტური თეორიული თეფშების სიმაღლის დამოკიდებულება ნაკადის სიჩქარესთან გამოისახება ვან-დეემტერის განტოლებით:

$$H = A + \frac{B}{u} + CU$$

სადაც  $A$ ,  $B$  და  $C$  არის მუდმივები,  $\bar{U}$  მოძრავი ფაზის სიჩქარე.

სიდიდე  $A$  გამოხატავს ტურბულენტურ მოძრაობას ქრომატოგრაფიულ სვეტში. იგი დამოკიდებულია სვეტში ჩატვირთული ნაწილაკების ზომაზე, ერთგვაროვნობაზე. ნაწილაკების ზომა სვეტში უნდა იყოს ერთგვაროვანი და რაც შეიძლება წვრილი ზომის. განსაკუთრებით უნდა მიეკცეს ყურადღება ჩატვირთვისას არ დარჩეს დია დარები.

მეორე წევრი არის  $B$  (გრძივი დიფუზიის გამომხატველი) დიფუზიის კოეფიციენტი გაზურ ფაზაში ე.ი. სანამ მოხდებოდეს ადსორბცია. იგი დამოკიდებულია ნაწილების ფორმაზე და ხაზოვანი სიჩქარის  $u$  უკუპროპორციულია.



ნახ. 71. თეორიული თეფშების სიმაღლის დამოკიდებულება მოძრავი ფაზის სიჩქარესთან

მესამე წევრი C აღწერს მასის გადაცემის კინეტიკის გავლენას H სიდიდეზე. იგი დამოკიდებულია სითხის უძრავი ფაზის სისქეზე. ეფექტურობა შეიძნევა თუ სვეტში არის თხევადი ფაზა ძალიან თხელი ფენით. შესაკრებების სიდიდე (A+B+C გვაძლევს ექვივალენტური თეორიული თევზების სიმაღლეს), რომელიც გამოხატავს მასის გადცმას, ნაკადის სიჩქარის უკუპროპორციულია (ნახ. 71). ნაჩვენებია ვან-დეუმტერის განტოლების თითოეული შესაკრების გავლენა H-ის სიდიდეზე, მოძრავი ფაზის სიჩქარეზე (წყვეტილი ხაზი), ასევე მათი ჯამური ეფექტი (სწორი ხაზი). როგორც ნახაზიდან ჩანს, მაქსიმალური ეფექტურობა მიიღწევა ჯამური ეფექტის მინიმალური სიჩქარის დროს. რადგან მისი მნიშვნელობა დაბალია მრუდის მინიმუმში, ამიტომ უნდა შევარჩიოთ ისეთი სიჩქარე, რომლის დროსაც ექვივალენტური თეორიული თევზის სიმაღლის მნიშვნელობა მინიმალურია.

### ნივთიერების თვისებითი ანალიზი

ქრომატოგრაფიულ სვეტში ნივთიერების თვისეობრივი განსაზღვრის ორი მეთოდი არსებობს: შეკავებითი ხასიათისა და სხვა ანლიზური თვისებების გამოყენებით.

ქრომატოგრაფიული სვეტიდან გამოსვლისას გასაყოფი კომპონენტები გაივლიან დეტექტორს და ფიქსირდებიან ქრომატოგრამის სახით, რომელიც საფუძვლად უდევს თვისეობრივ და რაოდენობრივ ანალიზს. ქრომატოგრაფიული სვეტიდან გამოყოფილი კომპონენტები შეიძლება მიმართული იყოს რომელიმე ანალიზატორში და განისაზღვროს ქიმიური ან ფიზიკური მეთოდებით.

## რაოდენობრივი ქრომატოგრაფიული ანალიზი

რაოდენობრივი ქრომატოგრაფიული ანალიზი დამყარებულია პიკის სხვადასხვა პარამეტრების გაზომვაზე. კერძოდ, სიმაღლე, ფართი, შეკავებითი მოცულობა, ან შეკავებითი მოცულობის ფარდობა პიკის სიმაღლეზე. რაოდენობრივი ანალიზისათვის საჭიროა სვეტში საანალიზო ნიმუშის ყველა კომპონენტის მთლიანი შესვლა, შესაბამისად მისი აორთქლება და სრული გაყოფა.

რაოდენობრივი ანალიზი დამოკიდებულია დეტექტორის ტიზე: დიფერენციალურია ოუ ინტეგრალური. ქრომატოგრაფიულ ანალიზში უფრო მეტად იყენებენ დიფერენციალურ დეტექტორს. რაღაც ჩვენ საქმე გვაქვს დიფერენციალურ დეტექტორთან საჭიროა ხელსაწყოს დაკალიბრება. შემჩნეულია, რომ ნივთიერების წონა დაკავშირებულია პიკის სიმაღლესთან  $h$ , ან პიკის ფართთან.

რაოდენობრივი განსაზღვრისათვის იყენებენ როგორც პიკის სიმაღლეს, ასევე მის ფართს. ყველაზე ადვილია პიკის სიმაღლის გაზომვა სახაზავის საშუალებით. ძირითადად იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც ნიმუში არის 100 მკგ-მდე.

ფართის გაზომვის რამდნიმე მეთოდი არებობს:

1. კრემლერ-მიულერის მეთოდი. ამ მეთოდით ფართი გამოითვლება

$$S = \frac{1}{2}hb$$

სადაც  $h$  პიკის სიმაღლეა,  $b$  ფუძის სიგრძე, ზომავს როგორც სამკუთხედს. ამ ფორმულის გამოყენება შეიძლება როდესაც ქრომატოგრამა ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა.

2. წონითი მეთოდი, ქრომატოგრამიდან ამოჭრიან პიკს და მოახდენენ მის აწონვას. წინასწარ ცნობილია, რომ 1

სმ<sup>2</sup> რა რაოდენობა შექსაბამება. ეს მეთოდი არაზუსტია. იგი დამოკიდებულია ქაღალდის სისქეზე და სინოტივეზე.

3. პლანიმეტრული მეთოდი. არის ხელსაწყო პლანიმეტრი, რომლის საშუალებით შესაძლებელია პიკის ფართის გაზომვა.

4. ყველაზე გავრცელებულია ინტეგრატორი, იგი არის ავტომატური ხელსაწყო, რომელიც პიკის ჩაწერისას ზომავს ფართს და იწერება თვითჩამწერზე.

5. აბსოლუტური დაკალიბრების მეთოდი.

ამ მეთოდით განსაზღვრისას საჭიროა წინასწარ დადგენა განსაზღვრული კომპონენტის რაოდენობასა და მისი პიკის (ან შესაბამისი სიმაღლის) ფართობს შორის.

ა) გამოთვლა პროპორციულობის კოეფიციენტის მიხედვით:

$$C_i = \frac{K_i S_i}{V} \cdot 100 \quad \text{სხ } C_i = \frac{K_i S_i}{m} \cdot 100$$

სადაც  $C_i$  – კომპონენტის რაოდენობა  $i$  ნიმუშში

$S_i$  – პიკის ფართი

$V$  – ნიმუშის მოცულობა

$m$  – ნიმუშის მასა

$K_i$  – პროპორციულობის კოეფიციენტი  $i$  კომპონენტისათვის.

განსაზღვრის მსვლელობა: ამზადებენ განსასაზღვრავი კომპონენტის ნარევს ისე, რომ ნარევისა და საანალიზო ნიმუშის შემცველობა იყოს ახლოს. ნარევის განსაზღვრული რაოდენობა შექავთ ქრომატოგრაფიულ სვეტში. მიღებულ ქრომატოგრამაზე საზღვრავენ პიკის ფართობს და ანგარიშობენ პროპორციულობის კოეფიციენტს  $K_i$ :

$$K_i = \frac{Vi}{Si}$$

შემდგომ იგივე მოცულობის ( $V$ ) საკვლევი ნარევი, რაც  $K_i$  განსაზღვრისას იყო აღებული, შექავთ ქრომატოგრაფში და მიღებულ ქრომატოგრაფზე საზღვრავენ პიკის ფართობს.

Ki და V ცნობილია და ფორმულის მიხედვით ანგარიშობენ კომპონენტის შემცველობას საკვლევ ხსნარში.

ბ) გამოთვლა საკალიბრო გრაფიკის გამოყენებით.

ამზადებენ რამდენიმე ნარევს, რომელშიც განსასაზღვრავი ნივთიერების შემცველობა სხვადასხვაა და ასდენენ ნარევის ქრომატოგრაფირებას. მიღებული ქრომატოგრამის საშუალებით საზღვრავენ შესაბამის პიკების ფართობს და აგებენ დამოკიდებულების გრაფიკს კოორდინატებში S - %. შემდეგ სვეტში შეყვავთ იგივე მოცულობის საკვლევი ნარევი. ქრომატოგრაფიების შემდეგ საზღვრავენ პიკის ფართობს და გრაფიკის საშუალებით ანგარიშობენ საკვლევ ნარევში კომპონენტის შემცველობას.

### იონგაცვლითი ქრომატოგრაფია

იონგაცვლითი ქრომატოგრაფია დამყარებულია ხსნარში მყოფი იონების სორბენტის შემადგენლობაში შემავალ აქტიურ იონებთან შექცევადი გაცვლის პროცესზე.

იონგაცვლით სორბენტებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც არაორგანული ბუნებრივი წარმოშობის, ისე სინთეზური გზით მიღებული ორგანული ნაერთები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნილებებს:

1. ახასიათებდეს მაქსიმალური შთანთქმის უნარი.
2. უნდა იყოს ერთგვაროვანი, გარკვეული დისპერსულობის, რომელიც უზრუნველყოფს სორბციის პროცესში გარკვეული სიჩქარით ხსნარის თანაბარი გავლის შესაძლებლობას.

3. ახასიათებდეს გარკვეული გაჯირჯვების უნარი, არ იხსნებოდეს იმ გარემოში და სითხეებში, რომლებიც გამოიყენება პროცესის დროს.

4. გამოირჩეოდეს დიდი მექანიკური და თერმული მდგრადობით.


5. სორბენტის წარმოება იყოს ეკონომიური და სინთეზისათვის გამოიყენებოდეს სამამულო მარკის ნედლეული.

ბუნებრივი მინერალური სორბენტებიდან ყველაზე გავრცელებულია ალუმინის ჟანგი, პერმუტიტი, ცირკონიუმის ფოსფატი, ალუმოსილიკატები, კერძოდ, ცეოლითები, რომლებიც ხასიათდებიან კათონების გაცვლის დიდი უნარით.


სინთეზური გზით მიღებული ორგანული იონგაცვლითი ნივთიერებები, იონგაცვლითი ფისები, აღმოჩენილ იქნა ინგლისელი მეცნიერის ადამსის და ხოლმსის მიერ 1935 წელს. ისინი წარმოადგენენ მაღალმოლექულურ ორგანულ ნაერთებს დადებითი და უარყოფითი მუხტით, რომელიც იონური კავშირით დაკავშირებულია საწინააღმდეგო მუხტის მოძრავ იონთან. მათი მიღება ხდება ძირითადად სტიროლისა და დივინილბენზოლის პოლიმერიზაციით და პოლიკონდენსაციით. დივინილბენზოლის რაოდენობით განისაზღვრება იონიტის გაჯირჯვების უნარი.

იმის და მიხედვით, თუ რომელ მოძრავ გამცვლელ, ან ე.წ. იონოგენურ ჯგუფებს შეიცავს, იონიტები იყოფიან კათონიტებად და ანიონიტებად.

კათონიტი ეწოდება ისეთ იონიტს, რომლის მაღალმოლექულურ კარკასზე ფიქსირებულია პოლივალენტური ანიონები, რომელთა მუხტები გაწონასწორებულია მოძრავი კათონებით და აქვთ ელექტროლიტის ხსნარებთან კონტაქტის დროს ამ კათონების გაცვლის უნარი. ზოგადად სქემატიურად ასე გამოიხატება:



ანიონიტი ეწოდება ისეთ იონიტს, რომლის მაღალმოლექულურ კარკასზე ფიქსირებულია პოლივალენტური კათონები, რომელთა მუხტები გაწონასწორებულია მოძრავი ანიონებით და აქვთ უნარი ელექტროლიტის ხსნარებთან კონტაქტის დროს გაცვალონ ეს ანიონები:



წელში გაჯიჯვებისას წყლის მოლეკულა შეიძლება შევიდეს მარცვლის სტრუქტურაში და გამოიწვიოს ფუნქციონალური ჯგუფების დისოციაცია. იონოგენური ჯგუფების დისოციაციის ხარისხი გამოხატავს იონიტების მუავურ ან ფუძე თვისებებს, რის მიხედვითაც არჩევენ:

1. ძლიერ მჟავა კათიონიტები (KY-1, KY-2), რომლებიც შეიცავენ ძლიერ დისოცირებულ მჟავურ ჯგუფებს. მაგალითად, სულფოჯგუფებს  $SO_3H$ . მათ შეუძლიათ აწარმოონ გაცვლა როგორც მჟავა, ისე ტუტე და ნეიტრალურ გარემოში.

2. სუსტი ტუტე კათიონიტები (KB-2, KB-4), რომლებიც შეიცავენ მცირედ დისოცირებულ მჟავურ ჯგუფებს. მაგალითად, კარბოქსილის, ფენოლის ჯგუფებს. გაცვლა ხდება როცა  $pH > 7$ .

3. ძლიერ ფუძე ანიონიტები, რომლებიც შეიცავენ პირიდინის ან მეორად ამონიუმის ფუძის აქტიურ ჯგუფებს. მათ შეუძლია გაცვლა აწარმოონ როგორც მჟავა, ისე ტუტე და ნეიტრალურ გარემოში.


4. სუსტი ფუძე ანიონიტები, რომლებიც შეცავენ პირგელად, მეორად და მესამეულ ამინოჯგუფებს (AH-2Φ, AH-23 და სხვ.) მათ შეუძლია გაცვლა აწარმოონ  $pH \leq 7$ .

ის იონიტები, რომლებიც თავის სტრუქტურაში შეიცავენ მხოლოდ ერთნაირ იონოგენურ ჯგუფს, მონოფუნქციონალურს უწოდებენ. იონინეტი, რომლებიც შეიცავენ ერთდროულად სხვადასხვა იონოგენურ ჯგუფს, ეწოდება პოლიფუნქციონალური.

ცნობილია იონგაცვლის 3 ძირითადი ვარიანტი.

1. ფრონტალური მეთოდი, რომლის დროსაც A და B ნივთიერებების ნარევს ატარებენ ქრომატოგრაფიულ სვეტში. მიღებულ ფილტრატს აგროვებენ გარკვეული ფრაქცი-


ების სახით (10მლ) და თითოეულ მათგანში საზღვრავენ A და B ნივთიერების რაოდენობას. მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ ე.წ. სორბციის გამოსავალ მრუდებს კოორდინატებში კონცენტრაცია C – ფრაქციების რიცხვი, N ან მოცულობა V (ნახ. 72). როგორც ნახაზიდან ჩანს, ამ მეთოდით A და B ნივთიერებების ნაწილობრივი დაცილება ხდება, ვინაიდან მიიღება შერეული ფრაქცია A+B. ეს მეთოდი ძირითადად პრეპარატული მიზნებისათვის გამოიყენება.



ნახ. 72. ფრონტალური მეთოდის გამოსავალი მრუდი

2. გამოქვებითი მეთოდი. ქრომატოგრაფიული სკემის ზედა ნაწილში ატარებენ A+B ნივთიერებების ნარევს. ღებულობენ პირველად ქრომატოგრამას. შემდეგ სკემში ატარებენ C ნივთიერებას ე.წ. გამომქვებლის ხენარს, რომლის  $K_{გან}(C) > K_{გან}(B) > K_{გან}(A)$  ე.ი. C ასრულებს დგუშის როლს.

როგორც ნახ. 73-ზე ჩანს, არც ეს მეთოდი იძლევა A და B ნივთიერებების რაოდენობრივ დაცილების საშუალებას. ეს მეთოდიც გამოიყენება პრეპარატული მიზნებისათვის.




ნახ. 73. გამოძევებითი მეთოდის გამოსავალი მრუდი

3. ელუენტური ქრომატოგრაფია. ამ მეთოდით მუშაობის დროს ქრომატოგრაფიულ სვეტში ატარებენ  $A$  და  $B$  დასაცილებელი ნივთიერებების ნარევს. შემდეგ სვეტში ატარებენ ჩამრეცხავ ნივთიერების (ელუენტს)  $C$  ხსნარს იმ პირობით, რომ

$$K_{\text{გან}}(B) > K_{\text{გან}}(A) > K_{\text{გან}}(C)$$

ამ პროცესს ელუირება ეწოდება. ფრაქციებს აგროვებენ გარკვეული რაოდენობით (10მლ) და მათში საზღვრავენ  $A$  და  $B$  ნივთიერების რაოდენობას. მიღებული მონაცემების მიხედვით აგებენ  $A$  და  $B$  ნივთიერებების ელუირების მრუდებს (ნახ. 74). როგორც ნახაზზე ჩანს, ამ მეთოდით ხდება  $A$  და  $B$  ნივთიერებების სრული რაოდენობრივი დაცილება. ამიტომ ეს მეთოდი გამოიყენება ანალიზურ ქიმიაში.



ნახ. 74. ელუენტური მეთოდის გამოსავალი მრუდი


დედობრივი დაცილება. ამიტომ ეს მეთოდი გამოიყენება ანალიზურ ქიმიაში.

როდესაც იონიტები მოგვყავს შეხებაში ელექტროლიტის ხსნართან ხდება სათანადო იონების გაცვლა მანამ, სანამ არ დამყარდება წონასწორობა, რომელიც ექვემდებარება მოქმედ მასათა კანონს და შეიძლება დავახასიათოთ წონასწორობის მუდმივოთ:

$$R - M_1 + M_2^+ \leftrightarrow RM_2 + M_1^+$$

$$K_{\text{წონ.}} = \frac{[RM_2][M_1^+]}{[RM_1][Me_2^+]} \quad \text{პათოონური მიმოცვლა}$$

ანიონური მიმოცვლა მიმდინარეობს შემდეგი სქემით:



რაც მეტია  $K_{\text{წონ.}}$ , მით უფრო ინტენსიურად მიღის იონგაცვლა ე.ი. მით მაღალია იონგაცვლის სელექტიურობა. იონგაცვლა ხდება ექვივალენტურად და წარმოადგენს შექვევად პროცესს, რომელიც ირდვევა მაშინ, როდესაც იონგაცვლასთან ერთად მიმდინარეობს სხვა ქიმიური პროცესებიც. მაგალითად, ჟანგგა-ალდგენის, კომპლექსწარმოქმნის, მოლეკულების ფიზიკური სორბციის პროცესები და სხვა.

სორბციის ეფექტურობა, გარდა წონასწორული მუდმივისა, განისაზღვრება ორი ძირითადი პარამეტრით:

1. განაწილების კოეფიციენტით  $K_{\text{გან.}}$ , რომელიც ტოლია:

$$K_{\text{გან.}} = \frac{C_{\text{უძრ. ფაზ.}}}{C_{\text{მოძრ. ფაზ.}}}$$

სადაც  $C_{\text{უძრ. ფაზ.}}$  არის სორბატის წონასწორული კონცენტრაცია უძრავ ფაზაში (სორბენტის ფაზაში);  $C_{\text{მოძრ. ფაზ.}}$  არის სორბატის წონასწორული კონცენტრაცია მოძრავ ფაზაში.

2. სორბციის სელექტურობის კოეფიციენტი  $K_{\text{სელ.}}$ .

$$K_{b_{\text{ეფ}}.} = \frac{K_{\delta\alpha(1)}}{K_{\delta\alpha(2)}} \quad K_{\delta\alpha(1)} > K_{\delta\alpha(2)} \text{ ე.ი. } K_{b_{\text{ეფ}}} \geq 1.$$

ე.ი. რაც უფრო მეტია  $K_{b_{\text{ეფ}}}$ -ს სიდიდე, მით უფრო ეფექტურია (1) და (2) ნივთიერებათა დაცილება.

დინამიკურ პირობებში დასაცილებელი A და B ნივთიერების სორბენტის ფაზაში გადაადგილების სიჩქარები ამ ნივთიერებების განაწილების კოეფიციენტების უპაროპორციულია:

$$V_A = f\left(\frac{1}{K_{\delta\alpha(1)}}\right) \quad V_B = f\left(\frac{1}{K_{\delta\alpha(2)}}\right)$$

რაც მეტია  $K_{\delta\alpha}$ , მით უფრო ნაკლები სიჩქარით გადაადგილდებიან სორბენტის ფაზაში, მოხდება ნივთიერების დაცილება.

გარდა ამისა, იონიტის აქტივობა ხასიათდება იონგაცვლითი ტევადობით, რომელიც განისაზღვრება ფიქსირებული იონური ჯგუფების რიცხვით, რომელსაც შეიცავს 1 გრ ან 1 მლ მჟრალი კათიონიტი  $H^+$  – ფორმაში და 1 გრ ან 1 მლ მჟრალი ანიონიტი  $OH^-$  – ფორმაში. მისი განზომილებაა მგ-ექ्स/გრ ან მგ-ექ्स/მლ.

ტევადობის გამოანგარიშება შეიძლება როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ პირობებში პროცესის ჩატარებით. სტატიკური გაცვლითი ტევადობა განისაზღვრება გარკვეული წონის იონიტის გარკვეული მოცულობის და კონცენტრაციის ხსნარის შენჯღრევით. წონასწორობის დამყარების შემდეგ განისაზღვრავენ ხსნარში დარჩენილი იონების რაოდენობას და სხვაობით ანგარიშობენ სორბირებული იონების კონცენტრაციას:

$$C_{b_{\text{თორბ}}} = C_o - C_{\text{დარჩ}} \quad \text{და } \frac{C_{b_{\text{თორბ}}}}{G \cdot E} = \frac{C_{b_{\text{თორბ}}}}{G \cdot E} \quad \text{მგ-ექ्स/გრ.}$$

სადაც  $C_{b_{\text{თორბ}}}$  – სორბირებული იონების კონცენტრაციაა, მგ.

G – იონიტის წონა, გრ.

E – მოცემული იონის ქიმიური ექვივალენტი.


თუ მოცემულია ორი იონის ს.გ.ტ-ის მნიშვნელობები და ს.გ.ტ<sub>1</sub>>ს.გ.ტ<sub>2</sub>, მაშინ შეგვიძლია განვსაზღვროთ დაცილების ეფექტურობა

$$ს.გ.ტ_1 - ს.გ.ტ_2 = F$$

სადაც F არის დაცილების ფაქტორი, რაც მეტია F-ის მნიშვნელობა, მით მეტია იონების დაცილების უფექტურობა.

დინამიკური გაცვლითი ტევადობა განისაზღვრება სორბციის გამოსავალი მრუდების საშუალებით, რომელიც მიიღება დინამიკურ პირობებში ქრომატოგრაფიულ სკეტჩი მოთავსებულ სორბენტის გარკვეულ რაოდენობაში სსნარის გატარებისას, რომელიც შეიცავს საკვლევ იონს ცნობილი კონცენტრაციით.

სკეტჩიდან გამომავალ სსნარებს აგროვებენ ფრაქციებად 10 მლ რაოდენობით, რომელშიც საზღვრავენ სორბირებული იონის რაოდენობას. სსნარის გატარება ხდება სორბენტის სრულ გაჯერებამდე საკვლევი იონებით, ანუ სანამ გამომავალ სსნარში იონების კონცენტრაცია არ გაუტოლდება საწყის სსნარში იონების კონცენტრაციას.



ნახ. 75. სორბციის  
გამოსავალი მრუდი

ამ მონაცემების მიხედვით აგბენ სორბციის გამოსავალ მრუდს კოორდინატებში C – სორბირებული იონების კონცენტრაცია გამომავალ ფილტრატის ფრაქციებში მგ/10მლ, V – ფილტრატის მოცულობა, მლ ან N – ფილტრატის ნომერი. ასე კლებულობთ დინამიკურ გაცვლით ტევადობას სა-

კვლევი იონის ხსნარში გახტომამდე ( $V_{გახტ}$ ) და სრულ დინამიკურ ტევადობას სდგტ (ნახ. 75).

დ.გ.ტ. იანგარიშება ფორმულით:

$$\text{დ.გ.ტ.} = \frac{V_{გახტ} \cdot T}{G \cdot E} \quad \text{მგ.ქქ/გ}$$


სადაც  $V_{გახტ}$ . არის გახტომამდე ხსნარის მოცულობა, მლ.

$T$  – გატარებული ხსნარების ტიტრი, მგ/მლ

$G$  – იონიტის წონა

$E$  – ქიმიური ექვივალენტი

შეიძლება იონიტის წონა  $G$ -ს მაგივრად ავიდოთ იონიტის მოცულობა მლ-ში.



ნახ. 76. გაცვლის იზოთერმა

მოიქმება ამოზნექილი იზოთერმა. თუ მშთანთქმელი იონები უკავშირდებიან იონიტს ნაკლებად მტკიცედ, წარმოიქმნება ჩაზნექილი იზოთერმა. თუ ორივე იონებს აქვს ერთნაირი მსგავსება, მაშინ იზოთერმას აქვს სწორხაზოვანი ფორმა.

დინამიკური გაცვლითი ტევადობა არ წარმოადგენს ზუსტად განსაზღვრულ სიდიდეს. იგი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე:

ხორბცის გამოსავალი მრუდების ფორმა დამოკიდებულია გაცვლის იზოთერმის ტიპზე (ნახ. 76). არსებობს სამი სახის იზოთერმა: ამოზნექილი (1), სწორხაზოვანი (2), ჩაზნექილი (3), თუ მშთანთქმელი იონებს აქვს დიდი მსგავსება იონიტთან, ვიდრე იონიტის იონებს, წარ-

მოიქმება ამოზნექილი იზოთერმა. თუ მშთანთქმელი იონები უკავშირდებიან იონიტს ნაკლებად მტკიცედ, წარმოიქმნება ჩაზნექილი იზოთერმა. თუ ორივე იონებს აქვს ერთნაირი მსგავსება, მაშინ იზოთერმას აქვს სწორხაზოვანი ფორმა.

დინამიკური გაცვლითი ტევადობა არ წარმოადგენს ზუსტად განსაზღვრულ სიდიდეს. იგი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე:

1) სხნარის გატარების სიჩქარეზე. რაც უფრო მცირეა გატარების სიჩქარე, მით მეტია დინამიკური გაცვლითი ტევადობა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძალიან მცირე სიჩქარისას შეიძლება პქონდეს ადგილი მარცვლებს შორის თავისუფალ სივრცეში დიფუზიას, რომელიც იწვევს სორბციის გამოსავალი მრუდების ფრონტის გადარეცხვას.


2) დიდი მნიშვნელობა აქვს დიფუნდირებული იონების მუხტს, რაც უფრო მეტია მუხტი, მით ნაკლებია დიფუზიის კოეფიციენტი.

3) არანაკლები მნიშვნელობა აქვს სხნარის კონცენტრაციას და pH-ს, რომლის გაზრდით დინამიკური გაცვლითი ტევადობა მცირდება.

4. დიდი მნიშვნელობა აქვს სვეტის გეომეტრულ ზომებს. გარკვეული ფენის სისქისას გაცვლითი ტევადობა იზრდება სვეტის სიმაღლის გაზრდით.

5) იონიტის მარცვლის ზომებს. მისი გაზრდით იონიტის ფაზაში დიფუზია გაძნელებულია. მცირე ზომისას ადგილი აქვს ჩაჭედვას, სხნარის გატარება გაძნელებულია.

იონთა ქიმიური გაცვლა მიმდინარეობს, როგორც წესი, სწრაფად. პროცესის სიჩქარე ლიმიტირებულია მარცვლის



ნახ. 77. ელექტრული გამოსავალი მრუდი

გარე ან შიგა დიფუზიით, ან ორივე სტადიით ერთად.

გაყოფის ევექტურობა იანგარიშება ელექტრული გამოსავალი მრუდების საშუალებით. იგი მიიღება ექსპერიმენტალურად ელექტრის სხნარის გატარებისას სვეტში, რომლშიც წინასწარ სორბირებულია

გასაყოფი იონები. გამომავალ ხსნარებს იღებენ ფრაქციებად 10 მლ რაოდენობით და მასში საზღვრავენ საკვლევი იონების რაოდენობას. ამ მონაცემების მიხედვით აგებენ ელუირების გამოსავალ მრუდებს კოორდინატებში, C სორბირებული იონების რაოდენობა 10 მლ ელუენტში. V – ელუენტის მოცულობა, მლ ან N – ფრაქციების ნომერი (ნახ. 77).

$A, B$  და  $A^1, B^1$  მონაკვეთებს ეწოდება ელუირების წინა ფრონტი, ხოლო  $B, C$  და  $B^1, C^1$  – უკანა ფრონტი.  $A, C$  და  $A^1, C^1$  წერტილებში კონცენტრაცია  $M_1$  და  $M_2$  იონებისა უდრის O, ხოლო  $B$  და  $B^1$  წერტილებში მაქსიმალურია,  $W_1$  და  $W_2$  არის  $M_1$  და  $M_2$  იონების გამოსავალი მრუდების ფრონტის სიგანე.  $\frac{W_1}{2}$  და  $\frac{W_2}{2}$  მწვერვალის ნახევარი სიგანე, გამოსავალ მრუდების პიკებს შორის მანძილია  $\Delta l$ .

მიღებული მონაცემების მიხედვით ანგარიშობენ გაყოფის კრიტერიუმს:

$$K = \frac{\Delta V}{\Delta W_1 + \Delta W_2} \quad \text{ან} \quad K = \frac{\Delta l}{\frac{\Delta W_1}{2} + \frac{\Delta W_2}{2}}$$

რაც მეტია K, მიზე მეტია გაყოფის ეფექტურობა.

იონგაცვლით ფისებმა დიდი გამოყენება ჰქოვა ანალიურ ქიმიაში ელემენტთა დაცილებისა და კონცენტრირებისათვის. იონთა დაცილების ხერხები შეიძლება დავყოთ:

1. იონგაცვლითი მეთოდი
2. იონგაცვლით-ქრომატოგრაფული მეთოდი.

პირველ მეთოდს მიეკუთვნება სხვადასხვა ნიშნის მუხრების ან ზომის მქონე იონების დაცილება. ამ ჯგუფს ეკუთვნის ე.წ. იონური საცრების მეთოდი, რაც გამოიხატება იმაში, რომ იონიტის შემცველ სვეტში ხსნარის გატარებისას იგი შთანთქავს მხოლოდ მცირე რადიუსის მქონე

იონებს, დიდი რადიუსის მქონე იონები კი გავა ფილტ-რატში ე.ი. იონიტი ასრულებს საცრის როლს.

იონგაცვლით-ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებისას იონიტზე სორბირებული იონების დაცილება ხდება ფრაქციული გამორეცხვით სხვადასხვა კონცენტრაციის და pH-ის მქონე სხნარებით (ელუენტებით).

ელუენტებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მდგრადობის კომპლექსნაერთები. აქ შეიძლება გვქონდეს ორი შემთხვევა:

1. როდესაც რეაგენტი ადსორბირებულ იონებთან იძლევა სხვადასხვა მდგრადობის კომპლექსნაერთებს. ამ შემთხვევაში იონების გამორეცხვა იონიტიდან პირდაპირპოპორციულია წარმოქმნილი კომპლექსის მდგრადობის. მაგალითად, ნიკელის და კობალტის დაცილება.

2. როდესაც კომპლექსწარმომქნევლი რეაგენტი არ იძლევა ყველა ადსორბირებულ იონებთან კომპლექსნაერთებს. ამ შემთხვევაში მდგრადი კომპლექსნაერთის დაცილება ხდება იმ იონებისაგან, რომლებიც არ იძლევიან კომპლექსნაერთებს. იონგაცვლითი ფისები აგრეთვე ფართოდ გამოიყენება ელუენტთა მიკრორაოდენობის კონცენტრირებისათვის.

კონცენტრირების მეთოდები შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს ეკუთვნის მეთოდი, რომლის დროსაც დიდი მოცულობის საკვლევი სხნარი იფილტრება სვეტში, რომელშიც მოთავსებულია სათანადო იონიტი. ამ იონიტიდან საჭირო იონის ამოწმობა ხდება შესაბამისი სხნარის მინიმალური მოცულობით. ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა განვსაზღვროთ ნივთიერების ის რაოდენობა, რაც კონცენტრირების გარეშე ამ ელუენტის აღმოსაჩენი რეაქტივით შეუძლებელია.

კონცენტრირების მეორე ჯგუფს ეკუთვნის ე.წ. მოძრავი ნაწილაკთა მეთოდი. ეს მეთოდიც დინამიკურია და პირველი

მეთოდისაგან განსხვავდება იმით, რომ ამ შემთხვევაში უძრავ საკვლევ ხსნარში ხდება სათანადო იონიტის 0,25-0,2 მმ ზომის ქქონე ნაწილაკების ჩაძირვა, რომლის დროსაც ხდება საკვლევ ხსნარში მყოფი იონების ადსორბცია, რის შემდეგ სორბირებული იონების ამოწმობა შესაბამისი ხსნარის მინიმალური რაოდენობით და მიღებულ კონცენტრატში საკვლევი იონების განსაზღვრა. ამ მეთოდით კონცენტრირება ხდება სპეციალური ხელსაწყოს კონცენტრატორის საშუალებით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენების წინ საჭიროა იონიტების დამუშავება.

### **პათონიტის დამუშავება**

პათონიტს 24 საათის განმავლობაში ათავსებენ გამოხდილ წყალში, სადაც ხდება მისი გაჯირჯვება, რის შემდეგ გადააქვთ სვეტში და ამჟმავებენ 5%-ნი NaOH-ის ხსნარით შეფერილი ხსნადი ორგანული ნივთიერებების და რკინის მოსაცილებლად. შემდეგ ჩარცხსავენ რამდენჯერმე გამოხდილი წყლით და ამჟმავებენ 5% HCl-ის ხსნარით, რომელსაც იგი გადაყავს  $H^+$ -ფორმაში. რეცხსავენ გამოხდილი წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე.

### **ანიონიტის დამუშავება**

გაჯირჯვების შემდეგ ანიონიტს ათავსებენ სვეტში და ამჟმავებენ 5%-ნი HCl-ის ხსნარით რკინის და ორგანული ნივთიერებების მოსაცილებლად. შემდევ რეცხსავენ გამოხდილი წყლით და ამჟმავებენ 5%-ნი NaOH-ის ხსნარით, რომელსაც იგი გადაყავს  $OH^-$ -ფორმაში. რეცხსავენ გამოხდილი წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, რის შემდეგ იგი უკვე მზად არის სამუშაოს ჩასატარებლად.

## თხევადი ქრომატოგრაფია

თხევადი ქრომატოგრაფია იყოფა ორ ჯგუფად: თხევად-ადსორბციული და თხევად-თხევადი. თხევად-ადსორბციულია, როცა ნარევი და ნივთიერება, რომლის საშუალებით ხდება გადაადგილება, არის თხევად მდგომარეობაში, სვეტ-ში კი მყარი ადსორბენტი, რომელზედაც ხდება გაყოფა.

თხევად-თხევადია როდესაც ორივე არის თხევად მდგომარეობაში, ხოლო სვეტში არის სითხე ვარიანტში – მყარი დაფენილი სითხით, რომელიც დუღს მაღალ ტემპერატურაზე. ხსნარსა და ადსორბენტს შორის წონასწორობა ექვემდებარება ლენგმიურის ადსორბციის იზოთერმის განტოლებას. განზავებული ხსნარებისათვის იზოთერმა სწორ-ხაზოვანია.

ადსორბენტის სელექტიურობა დამოკიდებულია ადსორბენტსა და ადსორბირებულ ნივთიერებას შორის ურთიერთქმედების ძალების ბუნებაზე. ქრომატოგრაფიული სვეტის ეფექტურობა დამოკიდებულია დიფუზიაზე, მასის გადაცემაზე ორივე ფაზებში და განისაზღვრება ექვივალენტური თეორიული თეფშების სიდიდით H. ექვივალენტური თეორიული თეფშების სიდიდის დამოკიდებულება მოძრავი ფაზის ხაზოვან სიჩქარესთან (u) გამოისახება ფორმულით:

$$H = 2R_r(1-R_r) Ut_s, \quad \text{ამასთან} \quad (1)$$

$$R_r = \frac{t_m}{t_m + t_s}$$

სადაც  $t_m$  არის ნივთიერების მოლეკულების საშუალო დრო დესორბციასა და ხელმეორედ სორბციას შორის, როდესაც იგი მოძრაობს U სიჩქარით.

$t_s$  არის საშუალო დრო მოლეკულების უძრავ ფაზაში ყოფნისას.

(1) განტოლება გვიჩვენებს, რომ მოძრავი ფაზის ხაზოვანი სიჩქარის გაზრდით  $H$  იზრდება, სათანადოდ სვეტის ეფექტურობა მცირდება.

უძრავ ფაზაში მოლექულების არსებობის დრო  $t_s$  დამოკიდებულია ფორების დიამეტრზე  $d$  და დიფუზიის კოეფიციენტზე  $D$ , რომელიც გამოისახება ვაინშტეინის განტოლებით:

$$d^2 = 2Dt_s$$

თუ ჩავსვამთ (1) განტოლებაში, მივიღებთ

$$H = \frac{Rr(1-Rr)ud^2}{D}$$

რაც მეტია  $d$ , მით მეტია  $H$  და ნაკლებია სვეტის ეფექტურობა.

თანამედროვე ქრომატოგრაფიაში ფართოდ გამოიყენება ზედაპირულად-ფოროვანი ადსორბენტები, ეს არის სფერიული ფოროვანი მასალები, რომლის ზედაპირზე დაფენილია მაღალ ფოროვანი (-1მმ) ადსორბენტის თხელი ფენა. მას არა აქვს ღრმა ფორები, რაც იწვევს  $H$ -ის შემცირებას და სათანადოდ სვეტის ეფექტურობის გაზრდას.

ზედაპირულად ფოროვანი ადსორბენტების მინის ბურთულები იფარება სილიკაგელით, ალუმინის ჟანგით, ან რომელიმე პოლიმერით. დიდი ყურადღება ექცევა მოძრავ ფაზას-გამხსნელს, რომელშიც კარგად უნდა იხსნებოდეს საანალიზო ნივთიერების ყველა კომპონენტი, ახასიათებდეს ქიმიური ინერციულობა გახსნილი ნივთიერების, ადსორბენტის და პაერის ჟანგბადის მიმართ, არ შეიცავდეს მინარევებს და იყოს ხელმისაწვდომი.

### თვისებითი და რაოდენობითი ანალიზი

თხევად-ადსორბციულ ქრომატოგრაფიაში მსგავსად გაზარდებული ქრომატოგრაფიისა ნივთიერების იდენ-

ტიფიკაცია ხდება შეკავების მახასიათებლების მიხედვით, ხოლო რაოდენობრივი ანალიზი დამოკიდებულია ქრომატოგრაფიის პიკის სიმაღლის, ან ფართის გაზომვაზე. გარდა ამისა, გამოიყენებენ ქრომატოგრაფიული სვეტიდან გამომავალი ფრაქციების ანალიზს სხვადასხვა ქიმიური ან ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით.


### **თხელფენოვანი ქრომატოგრაფია**

თხელფენოვან ქრომატოგრაფიაში უძრავი ფაზა თხელი ფენის სახით დაფენილია მინის, ლითონის ან პლასტმასის ფირფიტაზე. ფირფიტის ნაპირიდან 2-3 სმ დაშორებით სასტარტო ხაზზე ათავსებენ საანალიზო ხსნარს და ფირფიტას ჩაძირავენ გამსხნელში, რომელიც მოქმედებს როგორც თხევადი ადსორბციული ქრომატოგრაფიის მოძრავი ფაზა.

თხელფენოვან ქრომატოგრაფიაში სორბციული პროცესის მახასიათებლად შემოღებულია სიდიდე მოძრაობის უნარი (ძვრადობა)  $R_f$ , რომელიც განისაზღვრება ექსპრიმენტალურად განტოლებით:

$$R_f = \frac{x_1}{x_2}$$

სადაც  $x_1$  არის მანძილი სასტარტო ხაზიდან ზონის ცენტრამდე (ნახ. 78)  $x_2$  – იმავე დროის განმავლობაში გამსხნელის მიერ გავლილი მანძილი ცდის ბოლომდე.  $x_1$  არ შეიძლება იყოს მეტი  $x_2$ -ზე, ამიტომ  $R_f$  მდებარეობს 0-დან 1-მდე საზრვრებში. სხვადასხვა ნივთიერებისათვის  $x$ -ის მნიშვნელობა სხვადასხვაა და  $R_f$ -იც იქნება სხვადასხვა. ამიტომ  $R_f$  შეიძლება ჩაითვალოს სისტემის სორბციულ მახასიათებლად, რომელიც მოცემული ცდის პირობებში მუდმივი სიდიდეა.



ნახ. 78. თხელფენოვანი  
ქრომატოგრაფიის სქემა

ტხელფენოვანი თეორიული თეფშების რიცხვი n გამოითვლება ფარდობით:

$$n = 16 \left( \frac{L_H}{L_{\Pi}} \right)^2$$

სადაც  $L_H$  არის მანძილი მოცემული ნივთიერების სასტარტო ხაზიდან ამ ნაერთების წარმოქმნილი ლაქის ქვედა ზღვრამდე.

$L_{\Pi}$  – მანძილი ლაქის ქვედა და ზედა საზღვრამდე. (ნახ. 78).

მაშინ ექვივალენტური თეორიული თეფშების სიმაღლე  $H$  იქნება ტოლი;

$$H = \frac{L_H}{n} = \frac{Ln^2}{16L_H}$$

თხელ ფენაში გაყოფის კოეფიციენტის  $K_f$  კავშირი თეორიული თეფშების რიცხვთან და მკრადობებთან  $R_f$ , გამოისახება ფორმულით:

$$K_f = \frac{R_{f,x_1} - R_{f,x_2}}{\sqrt{R_{f,x_1}} - \sqrt{R_{f,x_2}}} \sqrt{n}$$

ჩვენის სიდიდეზე გავლენას ახდენს სორბენტის ხარისხი და აქტივობა, მისი სინოტივე, ფენის სისქე, გამხსნელის ხარისხი და სხვ. მოცემული ნივთიერების ძვრადობა შეიძლება შევადაროთ ცნობილი ნივთიერების (სტანდარტის) ძვრადობას, მაშინ

$$R_{f,omH} = \frac{R_{f,x}}{R_{f,cm}}$$

თხელფენოვან ქრომა-

ტოგრაფიაში თეორიული თეფშების რიცხვი n გამოითვლება ფარდობით:

ლაქის ექვივალენტური თეორიული თეფშების სიმაღლე  $H$  იქნება ტოლი;

მაშინ ექვივალენტური თეორიული თეფშების სიმაღლე  $H$  იქნება ტოლი;

თხელ ფენაში გაყოფის კოეფიციენტის  $K_f$  კავშირი თეორიული თეფშების რიცხვთან და მკრადობებთან  $R_f$ , გამოისახება ფორმულით:

$$K_f = \frac{R_{f,x_1} - R_{f,x_2}}{\sqrt{R_{f,x_1}} - \sqrt{R_{f,x_2}}} \sqrt{n}$$

სადაც  $R_{f,x_1}$  და  $R_{f,x_2}$  არის გასაყოფი ნარევის ორი მეზობელი კომპონენტის ძვრადობები.

$K_f$  – გაყოფის კოეფიციენტი თხელ ფენაში, რომელიც ახასიათებს ნარევის ორი მეზობელი კომპონენტის გაყოფის ხარისხს.

$$\text{თუ } R_{f,x_1} = R_{f,x_2}, \text{ მაშინ } K_f=0$$

თხელფენოვან ქრომატოგრაფიაში სორბენტად გამოყენებულია სილიკაგელი, ალუმინის ჟანგი, კრახმალი, ცელულოზა და სხვა მაღალი ადსორბციული თვისებების მქონე ნივთიერებები. გამხსნელის შერჩევა დამოკიდებულია სორბენტის ბუნებაზე და საანალიზო ნივთიერების თვისებებზე. ხშირ შემთხვევაში გამოიყენებენ ორი ან სამ გამხსნელის ნარევს.

### თვისებები და რაოდენობითი ანალიზი

ყველაზე ადვილია იდენტიფიკაცია, თუ ქრომატოგრამაზე განსასაზღვრავი ნივთიერების ლაქის აქვს დამახასიათებელი შეფერილობა, ან იგი იძლევა შეფერვას სპეციფიკური რეაგენტების გამოყენებისას. უმეტეს შემთხვევაში თვისებითი ანალიზის ჩასატარებლად აწარმოებენ ფირფიტიდან სინჯის გამორეცხვას და იდენტიფიკაციას სათანადო ფიზიკურ-ქიმიური მეთოდის გამოყენებით. საიმედო შედეგს იძლევა გ.წ. მოწმის მეთოდი. თხელფენოვან ქრომტოგრაფიაში მნიშვნელოვან მგრძნობიარე მახასიათებელს წარმოადგენს  $R_f$ . სასტარტო ხაზზე საანალიზო ნიმუშთან ერთად ათაგსებენ ინდიკიდუალურ ნივთიერებას, რომელიც შეესაბამება სათანადო ნარევის კომპონენტებს. სხვადასხვა ფაქტორების გავლენა ყველა ნივთიერებებზე იქნება ერთნაირი. ამიტომ  $R_f$ -ის დამთხვევა მოწმესთან შეიძლება გამოყენებული იქნეს იდენტიფიკაციისათვის. თუ  $R_f$

არ დაემთხვევა, ეს ნიშნავს, რომ სინჯში ნივთიერება არ არსებობს.

რაოდენობრივ განსაზღვრას აწარმოებენ უშუალოდ ფირფიტაზე, ან მისი ფირფიტიდან მოცილების შემდეგ. უშუალოდ ფირფიტაზე განსაზღვრისას ზომავენ ლაქის ფართს პლანიმეტრით ან მილიმეტრიანი კალკის საშუალებით და წინასწარ აგებული მაგრადუირებელი გრაფიკის საშუალებით პოულობენ ნივთიერების შემცველობას.

კარგ შედეგს იძლევა ფირფიტის სპექტროფორომეტრიება სპეციალური ხელსაწყოების დენსიტომეტრის ან ფლუორომეტრის გამოყენებით. შედეგზე დიდ გავლენას ახდენს ლაქის ხასიათი და ინტენსივობა, ლაქის ფენის სისქე. ამიტომ ყველა განსაზღვრები უნდა ჩატარდეს ერთნაირ პირობებში.

ნივთიერების ფირფიტიდან მოცილების ორი მეთოდი არსებობს:

1) ნივთიერების გამორეცხვა გამხსნელის საშუალებით, სითხის შეგროვება ფრაქციებად და მასში ნივთიერების შემცველობის განსაზღვრა ამა თუ იმ ანალიზური მეთოდით.

2) უმეტეს შემთხვევაში ნივთიერების სორბენტიდან გამოყოფას აწარმოებენ მას შემდეგ, რაც ლაქის შედებვის ან წარმოქმნილი ფლუორესცენციით განსაზღვრავენ მის ფართს. სორბენტიდან ნივთიერების ექსტრაქციას აწარმოებენ სპეციალური გამხსნელით, ან ცენტრიფუგირებით, რის შემდეგ აწარმოებენ მის ანალიზს.

ამრიგად, თხელფენოვან ქრომატოგრაფიაში რაოდენობრივი განსაზრვრა შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით, რაც დამოკიდებულია ექსპერიმენტის კონკრეტულ პირობებზე, მიზანზე და ლაბორატორიის ტექნიკურ შესაძლებლობაზე.

## ქაღალდის ქრომატოგრაფია

ქაღალდის ქრომატოგრაფიაში სვეტის როლს ასრულებს ფილტრის ქაღალდი, ამიტომ მიიღო მეთოდმა დასახელება ქაღალდის ქრომატოგრაფია. იგი ბევრ რამეში გავს თხელფენვან ქრომატოგრაფიას. ქაღალდის ქრომატოგრაფიაში, მსგავსად თხელფენვანი ქრომატოგრაფიისა, მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს  $R_f$  (ძვრადობა) რომელიც ტოლია:

$$R_f = \frac{x}{x_1}$$

სადაც  $x$  არის კომპონენტის ზონის გადანაცვლება,  $x_1$  გამსხველის ფრონტის გადანაცვლება.

ცდის დასაწყისში სასტარტო ხაზზე ათავსებენ ნიმუშს, რის შემდეგ მასზე მოქმედებენ გამსხველის მოძრავი ფაზით. თუ კომპონენტები შეფერილია ქრომატოგრამაზე წარმოიქმენა შეფერილი ლაქები. პირველი კომპონენტის

$$R_{f,1} = \frac{x_1}{x_f}, \text{ მეორე კომპონენტისათვის } R_{f,2} = \frac{x_2}{x_f}$$

იდეალურ შემთხვევაში კოეფიციენტი  $R_f$  განისაზღვრება მარტო ნივთიერების ბუნებით, ქაღალდის პარამეტრებით და გამსხველის ბუნებით, მაგრამ არ არის დამოკიდებული ნივთიერების კონცენტრაციაზე. პრაქტიკულად კი აღმოჩნდა, რომ  $R_f$  დამოკდიებული არმოჩნდა ამ ფაქტორებზე და ექსპერიმენტის ტექნიკაზე. თუ ცდას ჩავატარებთ მკაცრად ფიქსირებულ სტანდარტულ პირობებში, კოეფიციენტი რჩება მუდმივი და შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ნივთიერების იდენტიფიკაციისათვის.

ქრომატოგრაფიული ქაღალდი უნდა იყოს სუფთა, ნეიტრალური და ინდიფერტული ხსნარის კომპონენტების და მოძრავი გამსხველის მიმართ, ერთგვაროვანი, გარკვეული სიმკვრივის. მნიშვნელოვანია აგრეთვე ქაღალდში ცე-

ლულოზის მოლეკულების სტრუქტურა, გაჯირჯვება და სხვ., რომლებიც მოქმედებენ გამხსნელის მოძრაობის სიჩქარეზე და პროცესის მახასიათუბლებზე.

წყლის ორთქლის ატმოსფეროში ქაღალდი შთანთქავს გარკვეული რაოდენობის სინესტეს (მთელი მასის 20-25%). ამიტომ, როდესაც უძრავ თხევად ფაზად არის წყალი, ქაღალდის დამატებითი დასველება არ არის საჭირო.

შერჩეულ გამხსნელებში სინჯის კომპონენტებს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა სხსადობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაყოფა არ მოხდება. გამხსნელში, რომელიც წარმოადგენს მოძრავ ფაზას, თითოეული კომპონენტის სხსადობა უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე უძრავი ფაზის გამხსნელში, ამავე დროს არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი სიდიდე. ეს აიხსნება იმით, რომ, თუ ნივთიერების სხსადობა იქნება დიდი, იგი გადაადგილდება გამხსნელის ფრონტთან ერთად. თუ სხსადობა იქნება ძალიან მცირე, ნივთიერება დარჩება საწყის ხაზზე.

წყალში სხსადი ნივთიერებებისათვის მოძრავ ფაზად იყენებენ ორგანულ გამხსნელებს, უძრავ ფაზად წყალს. თუ ნივთიერება იხსნება ორგანულ გამხსნელში, წყალი გამოიყენება მოძრავ ფაზად და ორგანული გამხსნელი უძრავ ფაზად. ამ მეთოდს ეწოდება შემოძრუნებული ფაზები.

გამხსნელები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: მოძრავი და უძრავი ფაზების გამხსნელი უნდა იყოს ურთიერთშეურევადი, ქრომატოგრაფიის პროცესში გამხსნელი არ უნდა იცვლებოდეს, ქაღალდიდან გამხსნელის მოცილება უნდა იყოს ადვილი, ინდიფერენტული და ადამიანისთვის უვნებელი.

ინდივიდუალური გამხსნელები ქრომატოგრაფიაში გამოიყენება იშვიათად. უმთავრესად იყენებენ ნივთიერებების ნარევს. მაგალითად, ბუთილის და ამილის სპირტი ბუთილის ან ეთილის სპირტთან, ფენოლის ნაჯერი წყალ-

სხენარი და სხვ., რაც საშუალებას იძლევა თანაბრად შევცვალოთ R<sub>f</sub>, რაც ქმნის გაყოფისათვის ხელსაყრელ პირობებს.

ტექნიკაში გამოყენებულია ქაღალდის ქრომატოგრაფის სახეები: ერთჯერადი, ორჯერადი, წრიული და ელექტროფორეზული. ორჯერადი ქრომატოგრამის მისაღებად ქრომატოგრაფირებას აწარმოებენ ორჯერ ორი ურთიერთსაშინააღმდეგო მიმართულებით. სინჯის ერთი გამსხველით დამუშავების შემდეგ ქრომატოგრამას შემოაბრუნებენ 90°-ით და აწარმოებენ ხელმეორედ ქრომატოგრაფირებას სხვა გამსხველის გამოყენებით. ეს იძლევა კომპონენტების უფრო მკაფიოდ დაცილების შესაძლებლობას.

კარგ შედეგს იძლევა ქრომატოგრაფის შერწყმა ელექტროფორეზთან, ანუ ელექტროფორეზული ქრომატოგრაფია ქაღალდზე. ელექტროფორეზული ველი შეიძლება გამოყენებული იქნას ქრომატოგრაფიასთან ერთად, ან ჩატარდეს მიმდევრობით, ჯერ ჩატარდეს ელექტროფორზი და შემდეგ ქრომატოგრაფია.

### თვისებითი და რაოდენობითი ანალიზი

სინჯის თვისებრივი შედგენილობა, მსგავსად თხელფენვანი ქრომატოგრაფიისა, შეიძლება დადგინდეს ცალკეული ლაქების შეფერილობის, ან თითოეული კომპონენტის R<sub>f</sub>-ის რიცხვითი მნიშვნელობით.

რაოდენობრივი განსაზღვრა სრულდება ან ქრომატოგრაფიული მახასიათებლების (ქრომატოგრამაზე ლაქის ფართი და მისი ინტენსიურობა), ან გამორეცხვის საშუალებით. ხშირ შემთხვევაში ქრომატოგრამას ჭრიან ცალკეულ ნაწილებად ლაქების რიცხვის მიხედვით. თითოეულ ლაქას ამუშავებენ სათანადო ექსტრაგენტით და რაოდე-

ნობას საზრვრავენ შესაფერისი მეთოდით: ფოტომეტრული, პოლაროგრაფიული და სხვ.

ნივთიერების შემცველობა შეიძლება განისაზროს სკალის მეთოდით. ქრომატოგრამაზე დებულობენ უცნობი კონცენტრაციის ხსნარის და რამოდენიმე სტანდარტული ხსნარის ლაქებს. უცნობი ხსნარის კონცენტრაციას პოულობენ მათი ლაქის ფართობის და ინტენსივობის შედარებით.

უფრო ზუსტია მაგრადუირებელი გრაფიკის აგება კოორდინატებში S-IgC, სადაც S არის ლაქის ფართი, C-კონცენტრაცია. აღნიშნულ კოორდინატებში გრაფიკი ხწორსაზრვანია, რომლის საშუალებით პოულობენ კონცენტრაციას.

### აირქომატოგრაფია

აირქომატოგრაფია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდად, რომელშიც საანალიზო ნარევის კომპონენტების განაწილება ხდება გაზისებურ და მყარ ან თხევად ფაზებს შორის. უძრავი ფაზის მიხედვით აირქომატოგრაფია იყოფა აირ-ადსორბციულ და აირ-თხევად ქრომატოგრაფიად. აირ-ადსორბციული, როცა საანალიზო ნარევი და ის ნივთიერება, რომლის მიხედვითაც ხდება გადაადგილება არის ორთქლისებურ მდგომარეობაში. სვეტში ჩატვირთულია ადსორბენტი მყარ მდგომარეობაში.

ანალიზის ჩატვირთულია ადსორბენტი მყარ მდგომარეობაში. ანალიზის ჩატვირთულია გარკვეულ ტემპერატურაზე გამოხატვით აირმატარებელი შეყავთ საანალიზო ნიმუშში. ნიმუშში შემავალი კომპონენტები ორთქლდებიან და აირის ნაკადთან ერთად შედიან თერმოსტატირებულ სვეტში, რომელიც შეიცავს უძრავ ფაზას (ადსორბენტს). გასაყოფი ნარევის თითოეული კომპონენტის განაწილება ხდება უძრავ და მოძრავ ფაზებს შორის მათი თვისებების შესაბამისად,

კერძოდ ადსორბციის უნარის ან ხსნადობის მიხედვით. როგორი ნარევის გაყოფა განისაზღვრება ადსორბციის კოეფიციენტით, ან საანალიზო ნივთიერების განაწილებით ფაზებს შორის.

აირქომატოგრაფიაში აირმატარებლის შერჩევა განპირობებულია ორი ფაქტორით: სვეტის ეფექტურობით და მგრძნობიარობით, ასევე დეტექტორის მოქმედების პრინციპით. ამა თუ იმ აირის გამოყენება აირმატარებელად განისაზღვრება მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებებით, როგორიცაა დიფუზიის კოეფიციენტი, სიბლანტე, ქიმიური ინერტულობა, სორბციული ხასიათი. აირმატარებლად იყენებენ ჰელიუმს, აზოტს, წყალბადს, არგონს, იშვიათად ჰერს, კრიპტონს, მეთანს და სხვ. ბოლო ხანებში აირმატარებლად იყენებენ წყლის ორთქლს. აირმატარებლის მოქმედება სვეტის ეფექტურობაზე სხვადასხაა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ექვივალენტური თეორიული თეოტუბის სიმაღლე H დამოკიდებულია აირის მოლეკულური დიფუზიის კოეფიციენტზე D და აირის ნაკადის სიჩქარეზე.

აირ-ადსოფციულ ქრომატოგრაფიაში ძირითადად იყენებენ პოლარულ ადსორბენტებს, როგორიცაა სილიკაგელი და გააქტივირებული ალუმინის ჟანგი. არაპოლარული ადსორბენტებიდან აქტივირებულ ნახშირს და გრაფიტის მურს. გაზების ნარევების გასაყოფად იყენებენ ცეოლითებს.

აირ-თხევადი არის სახე, როცა საანალიზო ნარევი და ნივთიერება, რომლის საშუალებით ხდება გადაადგილება, არის ორთქლისებურ მდგომარეობაში. ამისათვის მყარ ნივთიერებებს გაუდენოავენ სითხით და ათავსებენ სვეტში. ამ შემთხვევაში კომპონენტებთან რეაგირებს სითხის თხელი აპი. გაყოფის ეფექტურობა განისაზღვრება არა აირის ადსოფცია-დესორბციის პროცესით, არამედ აირის გახსნის პროცესით თხევად აპი. აირების განსხვავებული ხსნადობა აღმოჩნდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მათი ად-

სორბციის თვისებები. ამიტომ აირ-თხევად ქრომატოგრაფიამ ფართო გამოყენება პპოვა მრავალკომპონენტიანი ნარევების გასაყოფად, შესაძლებელია მუშაობა კონცენტრაციის ფართო ზღვრებში.


აირ-თხევადი ქრომატოგრაფიის გაყოფის ეფექტურობა დამოკიდებულია რამდენად სწორად არის შერჩეული თხევადი ფაზა. თხევად ფაზას მიეყენება შემდეგი მოთხოვნილებები: მაღალი სელექტურობა, ქიმიური ინერტულობა მყარი მატარებლის და ნარევის კომპონენტების მიმართ, იყოს თერმიულად მდგრადი, მცირე სიბლანტის და არა-აქროლადი.

ფართო გამოყენება პპოვა შერეული ფაზების სვეტებმა. ეფექტური გამოდგა შერეული სვეტები ან ე.წ. რთული სორბენტები. საანალიზო ნარევს მიმდევრობით ატარებენ რამდენიმე სვეტში, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მოძრავ ფაზას, თხევადი ფაზის რაოდენობა დამოკიდებულია სისტემის თვისებებზე.

მყარ მატარებლად გამოყენებულია ინერტული ნივთიერებები განვითარებული ზედაპირით, მცირე ფორიანობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადსორბცია ზედაპირზე, როგორიცაა დიატომიტი. რთული ნაერთების დასაცილებლად გამოიყენება ტევლონი.

აირის ქრომატოგრაფიის მიღწევები დამოკიდებულია არა მარტო სორბენტის სწორად შერჩევაზე და მის მუშაობაზე, არამედ გამოყენებული აპარატურის კონსტრუქციაზე. აირის ქრომოტოგრაფი წარმოადგენს რთულ ავტომატიზირებულ დანადგარს. გამოყენებულია სხვადასხვა მარკის აირის და აირ-თხევადი ქრომატოგრაფებში (хл-4; хл-6; хл-60; „Цвет”, „Луц” და სხვ).

აირქრომატოგრაფიის პრინციპული სქემა მოცემულია ნახ. 79-ზე.



ნახ. 79. აირქრომატოგრაფის სქემა


აირმატარებლის მუდმივი წყარო (1). აირმატარებელი მიეწოდება აირის ბალონიდან რედუქტორის (2) საშუალებით. რედუქტორიდან გამოსულ აირს აქვს მუდმივი წნევა და სიჩქარე. აირის გაწმენდის და გაშრობისათვის დოზატორის წინ ათავსებენ ას მაგვარ მილს, რომელიც შევსებულია უწყლო მაგნიუმის ქლორიდით, ფოსფორის (V) ანჰიდრიდით, კალციუმის ქლორიდით, ან სილიკაგელით.

სეტში საანალიზო აირის შესაყვანად გამოყენებულია სხვადასხვა მოცულობის, კონსტრუქციის და მოქმედების პრინციპით დოზატორები (3). აირის მოცულობა არის 1-დან 100 მლ-მდე, თხევადი ნარევების მოცულობა 1-დან 5 მლ-მდე. თხევადი სინჯის ასაღებად გამოყენებულია სპეციალური მიკროშპრიცი, რომლითაც იღებენ სინჯს და შეყავთ ამაორთქლებელში. თხევად სინჯს სწრაფად აორთქლებენ და აირები შეყავთ სეტში. მყარი ნივთიერების სინჯი შეყავთ გალდობილ, ან გამსხნელში გახსნილ მდგომარეობაში, დოზირება და სინჯის შეყვანა არის მნიშვნელოვანი ოპერაცია.


ქრომოტოგრაფიულ სეტს (4) ამზადებენ სპილენისაგან, აგრეთვე იყენებენ უჟანგავ ფოლადს, ალუმინს, მინას, კვარცს. ყველაზე ხელსაყრელია სპირალური ფორმის სეტი.

ტი, რათა თერმოსტატი მოთავსდეს კომპაქტურად. მნიშვნელოვანია სვეტის შევსების საკითხი, რის შემდეგ ხდება მისი განბერვა აირმატარებლით. პრაქტიკაში იყენებენ 1-3 მ სიგრძის სვეტს, დიამეტრით 3-6 მმ-მდე. სვეტის სიგრძის გაზრდით იზრდება შეკავებითი მოცულობის სიდიდე და გაყოფის კრიტერიუმი. მაგრამ სვეტის სიგრძის გაზრდა იწვევს წნევის დაცემის ზრდას. დიდი მნიშვნელობა აქვს მუდმივ ტემპერატურას, რისთვისაც სვეტს ათავსებენ თერმოსტატში.

აირქომატოგრაფის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დეტექტორი (5). იგი რეაგირებს აირის გამოსვლისას ფაზის შემაღენლობის ცვლილებაზე და ამ მონაცემებს გადასცემს ავტომატურ თვითხამწერს მიღივოლტამპერმეტრს (6). დეტექტორები შეიძლება იყოს ინტეგრალური და დიფერენციალური (ნახ. 80).



ნახ. 80. დიფერენციალური (a) და ინტეგრალური (b) ქრომატოგრამა



ნახ. 81. ნახშირწყალბადების ქრომატოგრამა. 1-მეთანი; 2-გონანი; 3-ეთილენი; 4-პროპანი; 5-პროპილენი + მძიმე ნახშირწყალბადები.

აირქომატოგრაფიაში უმეტესად იყენებენ დიფერენციალურ დეტექტორებს, რომლის მუშაობა დამყარებულია: ა). განსასაზღვრავი კომპონენტების და მოძრავი ფაზის სითბოგამტარობის გაზომვაზე – თერმოკონდუქტორმეტრული დეტექტორი – კატარომეტრი; ბ). საანალიზო ნივთიერების კომპონენტების იონიზაციისას ელექტროგამტარობის ცვლილებაზე – იონიზირებული დეტექტორი; გ). აირის და სინჯის სიმკვრივის სხვაობაზე – დენსიტომეტრული დეტექტორი; მონოქრომატული სხივის შთანთქმის გაზომვაზე – სპექტროფოტომეტრული დეტექტორი და სხვ. მგრძნობიარე დეტექტორის რეგისტრაციის მიიღება დეტექტორის სიგნალის აირმატარელის მოცულობასთან V, ან მის ხანგრძლივობასთან t დამოკიდებულების მრუდი, რომელსაც ქრომოტოგრამა ეწოდება, ნარევის ქრომოტოგრამას აქვს საფეხურისებური სახე (ნახ. 81). რამდენიმე პიკი, რომელიც მიეკუთვნება თითოეული კომპონენტის რაოდგნობრივ ელუირებას.



### ადსორბციულ-კომპლექსწარმომქმნელი ქრომატოგრაფია

ადსორციულ-კომპლექსწარმომქმნელი ქრომატოგრაფია არის ერთ-ერთი ახალი პერსპექტიული მიმართულება იშვიათი და გარდამავალი ელემენტების რთული ნარევების დაყოფისათვის. იგი დამყარებულია პეტროგენულ სისტემაში სორბციის პროცესში ფაზათა შორის ნივთიერების განაწილებაზე, რომელიც არ შეიცავს კომპლექსწარმომქმნელ რეაგენტებს. ელემენტების სორბცია ძირითადად ხორციელდება ქრომოტოგრაფიულ სსნარში არსებული ლითონების ლიგანდებით მოდიფიცირებულ ანიონიტებზე სხვადასხვა მდგრადობის კომპლექსნაერთების წარმოქმნით.

სორბაციის მექანიზმი სვეტოგან თხევად ქრომატოგრაფიაში წლების განმავლობაში შემუშავებულ იქნა სპი-ს

ანალიზური ქიმიის კათედრაზე და მიიღო კომპლექსურ-მომქმნელი – ადსორბციული ქრომოტოგრაფიის სახელწოდება ლიგანდებით მოდიფიცირებულ ანიონიტებზე. შესწავლილი იქნა სორბციის და ელუირების მექანიზმი განხილულ ქრომატოგრაფიულ სისტემებში M<sup>z</sup>-RL და ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ პირველადი ფრონტალური ქრომატოგრამის დინამიკაზე, ქრომატოგრაფიული ზონების განლაგებაზე და გადაადგილებაზე მათი სორბციული თვისებების მიხედვით.

მეტალთა კათონების სორბციის მექანიზმი სისტემაში M<sup>z</sup>-RL ანიონიტებზე, მოდიფიცირებული არაორგანული, ან ორგანული ლიგანდებით L<sup>n-</sup>, რომელიც არ წარმოქმნის ხელატური ტიპის კომპლექსნაერთებს, შეიძლება წარმოდგგნილ იქნეს შემდეგი სქემით:



სადაც M<sup>z+</sup> არის სორბიტებული ლითონის კათონი (მუხტით Z<sup>+</sup>);

A<sup>-</sup> - ანიონი, რომელიც ახლავს M<sup>z+</sup> კათონს საწყის ქრომატოგრაფიულ სსნარში და არ წარმოქმნის ამ კათონთან ანიონურ კომპლექსს;


mL<sup>-</sup> ლიგანდების რიცხვი ანიონურ კომპლექსში ML<sub>m</sub><sup>(m-z)-</sup>, რომელიც წარმოიქმნება იმ პირობით, თუ m>z;

RL - ანიონიტი, მოდიფიცირებული L<sup>-</sup> ლიგანდით;

R<sup>+</sup> - ანიონიტის მაკროკათონი, რომელიც შედის მის პოლიმერული მატრიცის შემადგენლობაში.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ახდენენ გავლენას პირველადი ქრომატოგრამის ფორმირების დინამიკაზე, არის

მოცემულ სისტემაში წარმოქმილი კომპლექსის ეფექტური უმდგრადობის მუდმივა და გადაადგილების სიჩქარე.



**ნახ. 82. ქრომატოგრაფიის  
დანადგარი**

- 1 - გამყოფი ძაბრი ქრომატოგრაფიული სსნარით;
- 2 - ქრომატოგრაფიული სვეტი;
- 3 - ფილტრატის შემგროვებელი ჭურჭელი.

თანამედროვე ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით (ნახ. 82).



ექსპერიმენტურად მიღებული ფართო ეფექტური მასალის ინტერპრეტაციის საშუალებით შემუშავებული იქნა იშვიათი და გარდამავალი ლითონების დაცილების ახალი ქრომატოგრაფიული მეთოდები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება როჟლი ნარევების ანალიზის დროს.

დაცილება ხორცი-ელდება დასაცილებელი ელემენტების ნარევის წინასწარი სორბციოთ ქრომატოგრაფიულ სვეტში მოთავსებულ ლიგანდებით მოდიფიცირებულ სამამულო მარკის ანიონიებზე AB-16 და AB-17 (ქრომატოგრაფიული ხსნარის სიჩქარე 0,5-2,5,5 მლ/წ, სორბენტის სიმაღლე 9-15 სმ, დიამეტრი 1,6სმ). შემდგომი ელუირება წარმოებს სხვადასხვა კონცენტრაციის და pH-ის მქონე შესაბამისი ელუენტებით. დაცილების შედეგად გამოყოფილი ელემენტების განსაზღვრა წარმოებს

## დალექვითი ქრომატოგრაფია

დალექვითი ქრომატოგრაფიაში ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ელემენტთა დაცილებას, წარმოადგენს სხვადასხვა ხსნადობის ძნელადხსნადი ნალექების თანმიმდევრობითი წარმოქმნა. ძნელადხსნადი ნალექების გამოყოფა ხდება იმ მიმენტში, როდესაც იონთა კონცენტრაციების ნამრავლი აღემატება ხსნადობის ნამრავლის სიდიდეს. ქრომატოგრამის ფორმირება ხდება წარმოქმნილი ნალექების მრავალგზის დალექვის და გახსნის პროცესში.

დალექვითი ქრომატოგრაფიის ძირითადი მახასიათებულია ხსნადობა და ხსნადობის ნამრავლი. წარმოქმნილი ნალექების ზონების განლაგება დამოკიდებულია ქრომატოგრამის მიღებაზე. მაგალითად, საანალიზო ნარევში შემავალი Ax და Bx კომპონენტების MZ დამლექავის შემცველი სორბენტის ფენასთან შეხებისას წარმოიქმნება AZ და BZ ნალექები:



ნაჯერ ხსნარში A და B ნივთიერებების კონცენტრაციის ფარდობა ტოლია წარმოქმნილი ნალექების ხსნადობის ნამრავლის ფარდობის:


$$\frac{A^+}{B^+} = \frac{k_{\text{b}}_{AZ}}{k_{\text{b}}_{BZ}}$$

როგორც განტოლებიდან ჩანს, სორბენტის ფენაში ნალექების განლაგება შეიძლება გამოითვალოს, თუ ცნობილია წარმოქმნილი ნალექების ხსნადობის ნამრავლი და ნალექების წარმოქმნაში მონაწილე იონების მუხტი. ზედა ფენებში განლაგდება ძნელადხსნადი ნალექი, ქვედა ზონაში ადვილდება ნალექების განლაგება.

ქრომატოგრაფიულ სვეტში ხსნარის ახალი ულუფების გატარებისას, რომელიც წარმოქმნის განსასაზღვრავ კომპო-

ნენტებთან ძნელადხსნად ნალექს, გამოაძევებს ადვილად-ხსნად კომპონენტს, რომელიც გამსხველის ნაკადით გადა-ადგილდება და კვლავ გამოიყოფა ნალექში სვეტის იმ ნა-წილში, სადაც არის თავისუფალი გამსხველი, ან სხვა კომპონენტების უფრო ადვილადხსნადი ნალექები.

ამავე დროს, ზოგიერთ მოდიფიცირებულ სორბიტებზე ( $\text{OH}_2\text{-CO}_3$ -ფორმებზე) ადვილად ჰიდროლიზირებული ელემენტები  $\text{Fe}$ ,  $\text{Al}$ ,  $\text{Ti}$ ,  $\text{Zr}$  სორბირდებიან არა ლითონის კათიონის დამლექავ იონთან ურთიერთქმედებით, არამედ მათი მარილების ჰიდროლიზის შედეგად, ანუ ჰიდროლიზური მექანიზმით. ეს გამოწვეულია საანალიზო სსნარის სორბენტთან შეხებისას  $\text{pH}$ -ის შეცვლით, რომელიც მიღის შემდეგი რეაქციით:



დალექვითი ქრომატოგრამის მიღებისას მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ნალექების დამაგრება წარმოქნის ადგილზე, რადგან სსნარის გატარებისას ნალექი შეიძლება ჩაცურდეს სვეტში მატარებლის ფენის სიგრძეზე და გაყოფა არ მოხდება. ნალექის დამაგრებაზე გავლენას ახდენს როგორც მატარებლის ბუნება, ასევე მისი დისპერსულობა, დალექვითი ქრომატოგრამის ტიპი, გამოყენებული მატარებლის სორბციული ტევადობა. დიდ ტევადობას შეუძლია გამოიწვიოს გაყოფის გაუარესება.

გარკვეულ გავლენას ახდენს დამლექავის ბუნება და კონცენტრაცია. დამლექავი უნდა აკმაყოფილებდეს ორ ძირითად მოთხოვნილებას: სორბირდებოდეს მატარებელზე და განსასაზღვრავ საანალიზო ნივთიერებასთან წარმოქმნას ძნელადხსნადი ნალექი, მათი სსნადობის ნამრავლი უნდა განსხვავდებოდეს სამი რიგით. დამლექავის კონცენტრაცია არ ახდენს გავლენას ნალექების ზონების თან-

მიმდევრობაზე, მაგრამ გავლენას ახდენს ნალექების ფორმირებაზე, მის სიმკვრივეზე და დამაგრებაზე.

დამლექავად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც არაორგანული, ისე ორგანული ნივთიერებები. დამლექავები წარმოქმნიან ძნელადხსნად მარილებს, კომპლექსურ ნაეროებს, ასევე ნივთიერებებს, რომლებიც მონაწილეობენ ჟანგვა-აღდგენის რეაქციებში. ნალექების ხსნადობა გამოყენებულ გამსხნელში უნდა იყოს მინიმალური, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხსნარის pH.

დალექვით ქრომატოგრაფიაში ექსპერიმენტის ჩატარება შესაძლებელია სამ ვარიანტში: სვეტოვანი, თხელ ფენაში და ქადალდზე.

ქრომატოგრაფიას აწარმოებენ მცირე ზომის მინის სვეტში (დიამეტრი 3-5 მმ, სიგრძე 100-150 მმ). ექსპერიმენტის მომზადების ყველაზე საპასუხისმგებლო ნაწილს წარმოადგენს მყარი ფაზის-მატარებლის მომზადება, რისთვისაც მას წინასწარ ამუშავებენ 5%-იანი NaOH და HCl-ით ორგანული ნივთიერებების და რკინის მოსაცილებლად. გამოხდილი წყლით ჩარეცხვის შემდეგ სვეტში ატარებენ 3N ნატრიუმის კარბონატის ხსნარს სორბენტის კარბონატულ ფორმაში გადასაყვანად, რის შემდეგ მასში ატარებენ გარკვეული რაოდენობით დასაცილებელი ელემენტების ნარევს. ქრომატოგრაფიულ სვეტში წარმოიქმნება ძნელადხსნადი ნალექების ზონები. ფილტრაციის დამთავრების შემდეგ სვეტს რეცხავენ სუფთა გამსხნელით, რომელიც სელექტიურად რეცხავს ერთ ნივთიერებას და მეორეს არა, ფილტრატში საზღვრავენ ელემენტის შემცველობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ადსორბციული და იონოგაცვლითი ქრომატოგრაფიისაგან, განსხვავებით დამლექავის შეუქცევადი ხარჯის გამო სვეტის განმეორებითი გამოყენება არ შეიძლება.

თვისებით ანალიზს სვეტოვან ქრომატოგრაფიაში ატარებენ სამი გზით:

1. მიღებული ნალექის შეფერვით და ზონების განაწილების მიხედვით. ამ შემთხვევაში მატარებელი უნდა იყოს უფერო.

2. თუ ნალექი უფეროა, მაშინ ნალექის წარმოქმნის შემდეგ შეკვეთ ხსნარი, რომელიც დალექილ იონებთან იძლევა სუბიექტურად შეფერილ ნაერთებს. ამ შემთხვევაში მატარებელი უნდა იყოს უფერო.

3. თუ მიღებულ ნალექებს აქვს ერთნაირი შეფერილობა, ან არის შეფერილი და მატარებელი შეფერილია, ანალიზს აწარმოებენ ნალექის ქრომატოგრაფიულ ფილტრატში გამოყოფის შემდეგ. რაოდენობრივი განსაზღვრა წარმოებს მაგრადუირებელი გრაფიკის აგებით, კოორდინატებში D-C.

### **ლაბორატორიული სამუშაოები**

**სამუშაო 1. ნიობიუმის ქრომატოგრაფიული დაცილება  
რკინისაგან იონგაცვლით-ქრომატოგრაფიული მეთოდით  
ანიონიტ AB-16-ის გამოყენებით**

ნიობიუმის დაცილება რკინისაგან წარმოებს დვინის-მჟავა ხსნარებიდან დინამიკურ პირობებში ანიონიტ AB-16-ის ფტორ-ფორმაზე.

### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. ნიობიუმის სტანდარტული ხსნარი.

0,143გ სუფთა Nb<sub>2</sub>O<sub>5</sub>-ს შეალლობენ 2-3გ კალიუმის პოროსულფატთან. ნალლობს ხსნიან გაცხელებით 200მლ 15%-

იან დვინის მჟავაში. გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდოებენ.

მიღებული ხსნარის 1მლ შეიცავს 0,1მგ Nb.

2. რკინის სტანდარტული ხსნარი.

0,1გ სუფთა რკინის მავთულს ხსნიან 20მლ მარილ-მჟავაში (ხვ.წ. 1,19), გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდოებენ.

მიღებული ხსნარის 1მლ შეიცავს 0,01მგ რკინას.

3. დვინის მჟავა 15% და 3%-ნი ხსნარები.

4. კალიუმის პიროსულფატი

5. ნატრიუმის ფტორიდის 3%-ნი ხსნარი

6. მარილმჟავას კონცენტრირებული და 1:1 განზავებული ხსნარები

7. ალუმინის ქლორიდის  $\text{AlCl}_3 \cdot 6\text{H}_2\text{O}$  – 20%-ნი ხსნარი

8. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК – 56

### ანალიზის მსგლელობა

ნიობიუმის რკინისაგან დაცილების მიზნით ქრომატოგრაფიულ სეეტში დიამეტრით 1,6სმ, რომელშიც მოთავსებულია 6,5სმ სიმაღლით ანიონიტი AB-16 ფტორ-ფორმაში, ატარებენ ნარევს, რომელიც შეიცავს თითო მილიგრამ ნიობიუმს და რკინას, ფილტრაციის სიჩქარით 5მლ/წთ. სვეტს რეცხავენ 15-20მლ გამოხდილი წყლით და მასში ატარებენ 5მლ/წთ სიჩქარით 100მლ 0,5 N HCl (რკინის დესორბცია), მიღებულ ელუატს აგროვებენ 100მლ საზომ კოლბაში, რის შემდეგ იმავე ფილტრაციის სიჩქარით 150მლ ხსნარს, რომელიც შეიცავს 5გ/ლ ნატრიუმის ფტორიდს და 2,5 N მარილმჟავას ხსნარს (ნიობიუმის დესორბცია).

მიღებულ ელუატს აგროვებენ 200მლ საზომ კოლბაში, რომელშიც საზღვრავენ ნიობიუმის შემცველობას.

### **ნიობიუმის ფოტომეტრული განსაზღვრა მუაგური ქრომიისფერი K გამოყენებით**

ნიობიუმი მარილმჟავა გარემოში დვინის მუავას თანაობისას (ნიობიუმის ჰიდროლების აღმოსაფხვრელად) მუავურ ქრომიისფერ K-თან წარმოქმნის მოწითალო-იისფერ მდგრად კომპლექსს.

#### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. ნიობიუმის სტანდარტული ხსნარი 0,1მგ/მლ 0,0715გ Nb<sub>2</sub>O<sub>5</sub>-ს შეალლობენ 2-გ კალიუმის პერსულფატთან. მიღებულ შენალლობს ხსნიან 100მლ 15%-ან დვინის მუავაში, გადააქვთ 500მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ ჭდემდე მოცულობა გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდოვენ.
  2. კალიუმის პერსულფატი
  3. დვინის მუავა 15% და 3%-ნი ხსნარები
  4. აცეტონი
  5. მარილმჟავა (1:1)
  6. მუავური ქრომ იისფერი K 0,02%-ნი ხსნარი აცეტონში
7. ფოტოფოლორიმეტრი ფЭК – 56, ან სპექტროფოტომეტრი СФ – 16

#### **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

რამდენიმე 100მლ საზომ კოლბებში ათავსებენ 0-3,5 მლ ნიობიუმის სტანდარტულ ხსნას, ათანაბრებენ მოცულობას

5მლ-მდე 3%-ნი ღვინის მჟავით. უმატებენ 15მლ მარილ-მჟავას, 15მლ მჟავურ ქრომიისფერ K-ს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ.

40 წუთის შემდეგ ზომავენ მიღებული სსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ფოტოკოლორიმეტრზე N6 შუქ-ფილტრის გამოყენებით 5სმ კიუვებში.

მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუი-რებულ გრაფიკს კოორდინატებში D-C.

### **ანალიზის მსვლელობა**

150 მლ ელუატი (ნიობიუმის ელუირების შემდეგ) გადააქვთ 250 მლ საზომ კოლბაში, ანზავებენ მოცულობას ჭდემდე 3%-ნი ღვინის მჟავით და კარგად შეანჯლრევენ.

მიღებული სსნარის 5-10მლ გადააქვთ 100მლ საზომ კოლბაში, უმატებენ ყველა რეაქტივებს იმავე თანმიმდევრობით, როგორც მაგრადუირებელი გრაფიკის აგებისას.

40 წუთის შემდეგ ზომავენ სსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ფოტოკოლორიმეტრზე და მაგრადუირებელი გრაფიკის საშუალებით პოულობენ ნიობიუმის კონცენტრაციას საკვლევ სსნარში.

### **რკინის ფოტომეტრული განსაზღვრა ორთოფენანტროლინის გამოყენებით**

რკინის ფოტომეტრული განსაზღვრა დამყარებულია ორვალენტიანი რკინის იონების სუსტ მჟავა გარემოში ორთოფენანტროლინთან ნარინჯისფერი-მოწითალო კომპლექსის წარმოქმნაზე.

### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. რკინის სტანდარტული სსნარი 0,01მგ/გლ

0,1გ სუფთა რკინის მავთულს ხსნიან 20მლ მარილ-მჟავაში (სვწ 1,19), გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

2. ნატრიუმის ფტორიდი, 3%-ნი ხსნარი
3. ლინის მჟავა 15% და 3%-ნი ხსნარები
4. ალუმინის ქლორიდი 25%-ნი ხსნარი
5. ნატრიუმის აცეტატი 25%-ნი ხსნარი
6. ორთოფენანტროლინი 0,2%-ნი ხსნარი
7. მარილმჟავა ჰიდროქსილამინი 20%-ნი ხსნარი
8. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК – 56.

### **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

რამდენიმე 50მლ საზომ კოლბაში ათავსებენ რკინის სტანდარტულ ხსნარს (0,1მგ/მლ) 10-დან 100მგ, უმატებენ 5მლ 3%-ან ნატრიუმის ფტორიდს, 5მლ 3% ლინის მჟავას, 10მლ 20% ალუმინის ქლორიდს, 5მლ 20% ჰიდროქსილამინს და ტოვებენ 10 წუთით. უმატებენ წვეთწვეთობით 25% ნატრიუმის აცეტატეს კონგრს ქაღალდის ფერის შეცვლა-მდე და კიდევ 2-3მლ. (~4მლ), რის შემდეგ უმატებენ 10მლ 0,2% ორთოფენანტროლინს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე  $\lambda=500\text{nm}$ , კიუვეტში 10მმ, შესადარებელი ხსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს ყველა რეაქტივებს რკინის გარდა და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C.

### **ანალიზის მსვლელობა**



100მლ რკინის ელუატიდან იღებენ ალიქვოტურ ნაწილს რკინის შემცველობის მიხედვით, გადააქვთ 50მლ საზომ

კოლბაში, უმატებენ ყველა რეაქტივებს როგორც მაგრა-დუირებელი გრაფიკის აგებისას. მიჰყავთ მოცულობა ჭდე-მდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ.

მიღებული ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფო-ტოკოლიმეტრზე და მაგრადუირებელი გრაფიკის საშუალე-ბით პოულობენ რკინის კონცენტრაციას საკვლევ ობიექტში.

## სამუშაო 2. სპილენბის და ნიკელის ქრომატოგრაფიული დაცილება ცეოლითების გამოყენებით

სპილენბის და ნიკელის იონთა ნარევის წინასწარი სორბცია ხდება ნატრიუმის იონებით მოდიფიცირებულ საქარ-თველოს საბადოს ბუნებრივ ცეოლითზე – კლინოპტილო-ლიტზე, რომელიც მიმდინარეობს იონგაცვლითი მექანიზმით:



### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. სპილენბის სტანდარტული ხსნარი, 0,1მგ/მლ  
0,393გრ CuSO<sub>4</sub> · 5H<sub>2</sub>O ხსნიან გამოხდილ წყალში, გადა-აქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდე-მდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ.

2. ნიკელის სტანდარტული ხსნარი, 0,1მგ/მლ  
0,48გრ NiSO<sub>4</sub> · 7H<sub>2</sub>O ხსნიან გამოხდილ წყალში, გადა-აქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდე-მდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ.

3. ნატრიუმის ქლორიდის 1 N ხსნარი
4. ნატრიუმის თიოსულფატის 0,5 N ხსნარი
5. ამონიუმის და ნატრიუმის ოქსალატის 1%-ნი ხსნა-რები
6. მარილმჟავას 1 N ხსნარი

7. ნატრიუმის ტუტის  $1\text{ N}$  ხსნარი
8. იოდის  $0,05\text{ N}$  ხსნარი
9. დიმეთილგლიოქსიმის  $1\%-ნი$  სპირტიანი ხსნარი
10. მინის ქრომატოგრაფიული სვეტი ( $\alpha = 1,6$  სმ,  $h=25\text{სმ}$ )
11. ცეოლითი-კლინოპათილოლიტი (ფენის სიმაღლე  $6,5\text{სმ}$ , მარცვლის ზომა  $0,25\text{-}1,0\text{მმ}$ )
12. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК – 56.

### **სორბენტის მომზადება**

ცეოლითებთან მუშაობის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მათი მომზადება ექსპერიმენტისათვის, რისთვისაც ცეოლითს აქუცმაცებენ, ცრიან სპეციალურ საცერში, იდებენ მარცვლებს ზომით  $0,25\text{-}1\text{მმ}$  და ამჟამებენ ნატრიუმის ქლორიდის ხსნარით ცეოლითის ნატრიუმის ფორმაში გადასაყვანად ფილტრაციის სიჩქარით  $1\text{მლ}/\text{წთ}$ .

სპილენძის ნიკელისაგან დაცილების მიზნით ფილტრაციის სიჩქარით  $1\text{მლ}/\text{წთ}$  მინს ქრომატოგრაფიულ სვეტში ატარებენ ხსნარს, რომელიც შეიცავს თითო მილიგრამ სპილენძს და ნიკელს. შემდგომ ფილტრაციის სიჩქარით  $5\text{მლ}/\text{წთ}$  ატარებენ  $150\text{მლ}$   $0,5\%$  ნატრიუმის თიოსულფატის ხსნარს (სპილენძის დესორბცია), ხოლო შემდგომ იმავე ფილტრაციის სიჩქარით  $200\text{მლ}$   $1\%$  ამონიუმის ან ნატრიუმის ოქსალტის ხსნარს (ნიკელის დესორბცია).

შესაბამისი ფილტრატების შეგროვება ხდება ცალკალკე საზომ კოლბებში, რომელშიც სპილენძის და ნიკელის განსაზღვრა ხდება ფოტომეტრული მეთოდებით.

### **სპილენძის ფოტოკოლორიმეტრული განსაზღვრა**

დიეთილდიოთიოკარბამინატი წარმოქმნის სპილენძის იონებთან ყვითელი ფერის კომპლექსს  $0,5\text{ N}$  მჟავა გარემოში, ასევე ტუტები გარემოში, როდესაც  $\text{pH}=10\text{-}12$ .

## **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. სპილენბის სტანდარტული ხსნარი  $0,1\text{მგ}/\text{მლ}$
2. ნატრიუმის დიეთილდითოკარბამინატი  $0,1\%$  ხსნარი
3. ჟელატინის  $1\%$  ხსნარი

## **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

150 მლ სპილენბის ელუატი გადააქვთ 200მლ საზომ კოლბაში, ანზავებენ გამოხდილი წყლით ჭდემდე და კარგად შეანჯღრევენ.

რამდენიმე  $50\text{მლ}$  საზომ კოლბებში ათავსებენ სპილენბის სტანდარტულ ხსნარებს  $0,1$ -დან  $1\text{მლ}-\text{მდე} \text{ უმატებენ } 1\text{მლ}$  ჟელატინს,  $5\text{მლ}$  ნატრიუმის დიეთილდითოკარბამინატს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე შუქფილტრი N 5 გამოყენებით, კიუკეტში  $\ell = 30\text{მმ}$  და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C შესადარებელი ხსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს ყველა რეაქტივს, გარდა სპილენბისა.

## **ანალიზის მსგლელობა**

სპილენბის ელუატიდან იღებენ ალიქვოტურ ნაწილს სპილენბის შემცველობის მიხედვით, გადააქვთ  $50\text{მლ}$  საზომ კოლბაში, უმატებენ ყველა რეაქტივებს როგორც მაგრადუირებელი გრაფიკის აგებისას, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

მიღებული ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე და მაგრადუირებელი გრაფიკის საშუა-

ლებით პოულობენ სპილენძის კონცენტრაციას საკვლევ რბიექტში.

### **ნიკელის ფოტოკოლორიმეტრული განსაზღვრა**

ნიკელის ფოტოკოლორიმეტრული განსაზღვრა დამყარებულია დიეთოლგლიოქსიმთან წითელი ფერის კომპლექსის წარმოქმნაზე, დამჟანგველად გამოყენებულია იოდი.

### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. ნიკელის სტანდარტული ხსნარი, 0,1მგ/მლ
2. მარილმჟავის 1 N ხსნარი
3. ნატრიუმის ტუტის 1 N ხსნარი
4. ნატრიუმის დიეთოლდითიოკარბამინატი, 1% ხსნარი
5. იოდის 0,05 M ხსნარი

### **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

რამდენიმე 50მლ საზომ კოლბაში ათავსებენ 0,1-1,0მლ ნიკელის სტანდარტულ ხსნარებს, ანზავებენ გამოხდილი წყლით ~25მლ-მდე, უმატებენ 2-3 წვეთ მარილმჟავას, 0,5მლ იოდის ხსნარს, 0,5მლ ნატრიუმის დიეთოლდითიოკარბამინატს, 2,5მლ ნატრიუმის ტუტებს, მიჰყავთ მოცულობა ჭდებულებებით და კარგად შეანჯლრევენ.

მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე შუქფილტრი № 5 (470ნმ) გამოყენებით, კიუვეტში  $\ell=10\text{mm}$  და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C.

## **ანალიზის მსგლებლობა**

ნიკელის ელუატიდან იღებენ ალიქვოთურ ნაწილს ნიკელის შემცველობის მიხედვით, გადააქვთ 50მლ საზომ კოლბაში, უმატებენ ყველა რეაქტივს, როგორც მაგრადუირებელი გრაფიკის აგებისას. მიჰყავთ მოცულობა გამოხდილი წყლით ჭდებდე და კარგად შეანჯლრევენ.

მიღებული სსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე და მაგრადუირებელი გრაფიკის საშუალებით პოულობენ ნიკელის კონცენტრაციის საკვლევ ობიექტში.

### **სამუშაო 3. ჩამდინარე წყლებში დიმეთილფორმამიდის და ეთილაცეტატის განსაზღვრა გაზის ქრომატოგრაფიული მეთოდით**

გაზის ქრომატოგრაფიული მეთოდი საშუალებას იძლევა განისაზღვროს წყლის, დიმეთილგარბამიდის და ეთილაცეტატის ნარევში შემცველი კომპონენტები კონცენტრაციის ფართო ინტერვალში.

### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. საანალიზო სსნარი: წყლის სინჯი, რომელიც შეიცავს დიმეთილგარბამიდის და ეთილაცეტატს

2. წყლის ნიმუში, ეთილაცეტატის და დიმეთილგარბამიდის შემცველი

3. მყარი მატარებელი – ცელიტი 545 მარცვლის ზომით 0,25-0,315მმ უძრავი ფაზა პოლიეთილენგლიკოლი 2000 (მყარი მატარებლის 15%)

4. ბალონი შეკუმშული გაზით

5. აირმატარებლის ხარჯთაღმრიცხავი

6. წამმზომი
7. ქრომატოგრაფი ნებისმიერი მარკის, სითბოტევადობის დეტექტორით
8. ქრომატოგრაფიული სვეტი 18 სიგრძის, დიამეტრით 4მმ
9. მიკროშპრიცი

### ანალიზის მსგლელობა

ხელსაწყოს რთავენ ინსტრუქციის მიხედვით. სვეტის თერმოსტატს აყენებენ  $80^{\circ}\text{C}$ , დეტექტორის ტემპერატურას  $160^{\circ}\text{C}$ , ამაორთქლებელს  $170^{\circ}\text{C}$ . სვეტში აირმატარებელს ატარებენ  $85\text{მლ}/\text{წთ}$  სიჩქარით, რომლის ხარჯს აკონტროლებენ ხარჯთაღმრიცხავით. დენის მიწოდება ხდება  $130 \text{ mA}$ . მგრძნობიარობის სკალას აყენებენ  $1 : 4$  მდგომარეობაში. ქრომატოგრაფზე სტაბილური ნულოვანი ხაზის დაყენების შემდეგ ამაორთქლებელში მიკროშპრიცით შეყავთ  $0,5\text{-}1,0\text{მლ}$  საანალიზო სინჯი ( $V_{\text{ნარ}}$ ). ქრომატოგრაფზე დებულობენ 3 პიკს. ანალიზს იმეორებენ 3-ჯერ.

ქრომატოგრამაზე ზომავენ სამივე კომპონენტის  $t_R$  და  $V_m$  - ანგარიშობენ ფორმულით:

$$V_R = t_R \cdot V \quad (1)$$

სადაც  $V$  არის მოძრავი ფაზეს მოცულობითი სიჩქარე.

შემდეგ მიმდევრობით აწარმოებენ წყლის, დიმეთილ-ფორმამიდის და ეთილაცეტატის ქრომატოგრაფირებას. ზომავენ თითოეული კომპონენტის  $t_R$  (1) ფორმულით, ადარებენ ნარევის  $t_R$ -ს ინდივიდუალური ნიმუშის  $V_m$ , ახდენენ პიკების იდენტიფიკაციას ნარევის ქრომატოგრამაზე. ანგარიშობენ ნარევის კომპონენტების რაოდენობას  $X_i$  პიკის ფართობები მიხედვით  $S_i$  ( $S=1/2$  ჩაი;  $S=h\mu_{0,5}$ ), რისთვისაც ქრომატოგრაფის ამაორთქლებელში შეყავთ მიმდევრობით  $0,2; 0,4; 0,6; 0,8\text{მლ}$  წყალი, დიმეთილკარბამიდი და ეთილაცეტატი. გან-

საზღვრას აწარმოებენ 3-ჯერ. საშუალო მნიშვნელობის მიხედვით აგებენ სამივე კომპონენტის მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში პიკის ფართობი – ქრომატოგრაფირებულ რაოდენობასთან  $S=f(q)$  და პოულობენ თითოეული კომპონენტის მასას ნარევში.  $X_i$  კომპონენტის შემცველობას ანგარიშობენ ფორმულით:

$$X_i = 1000gi/v_i$$

სადაც  $gi$  არის ნივთიერების რაოდენობა სინჯში, გ;  $v_i$  ქრომატოგრაფირებული სინჯის მოცულობა.

#### სამუშაო 4. რკინის, კობალტის და ნიკელის დაცილება ქალალდის ქრომატოგრაფიული მეთოდით და რკინის რაოდენობრივი განსაზღვრა

რკინის, კობალტის და ნიკელის დაცილება დამყარებულია ქლორიდ-იონებთან სხვადასხვა მდგრადობის კომპლექს იონების წარმოქმნაზე და ანიონების სხვადასხვა ძვრადობაზე სისტემაში მოძრავ-უძრავი გამხსნელი.

რკინის ქლორიდული კომპლექსი  $[FeCl_4]$  გადაადგილდება პრაქტიკულად გამხსნელის ფრონტთან ერთად, მას მისდევს კობალტის და შემდეგ ნიკელის იონები.

#### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. რკინის სტანდარტული სსნარი 0,858გ რკინა ამონიუმის შაბს სსნიან კონცენტრირებულ აზოტმჟავაში, გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

მიღებული სსნარის 1მლ შეიცავს 0,1მგ რკინას.

2. საანალიზო სსნარი  $Fe^{3+}$ ,  $Ni^{2+}$  და  $Co^{2+}$  ნარევი, რომელიც შეიცავს 9,5მგ/მლ თითოეულ იონს.

3. მოძრავი გამხსნელი: N-ბუთანოლი, აცეტონი, კონცენტრირებული აზოგმჟავა და წყალი (4:3:2:1)

4. გამომჟავნებული: 1) ამონიუმის როდანიდის ნაჯერი ხსნარი აცეტონში; 2) დიმეთილგლიოქსიმის 1%-ნი ხსნარი 10%-ან ამონიუმის ჰიდროქსიდში.

5. ამონიუმის როდანიდის 4 M ხსნარი

6. ქრომატოგრაფიული ქაღალდი (11x11) მარკა „C”


7. პულვერიზატორი

8. ფოტოკოლორიმეტრი

9. პეტრის ჯამი

### ანალიზის მსგლელობა

სტანდარტული ქრომატოგრაფიული ქაღალდისაგან გამოჭრიან 1სმ სიგანის ზოლს („პუდი”) და ამოკლებენ 1,5 სმ-ით (ნახ. 83). საანალიზო ხსნარის 8-10მლ 2-3 ულუფად მიკროშარიცის საშუალებით ათავსებენ ქაღალდის ცენტრში. თითოეული ულუფის დამატების შემდეგ ლაქას აშრობენ. ლაქის დიამეტრი ქაღალდზე არ უნდა აღემატებოდეს 3სმ. პეტრის ჯამის ძირზე ასხამენ 10-15მლ მოძრავ გამხსნელს. ქრომატოგრაფირებულ ქაღალდის „პუდს” სინჯიანად ათავსებენ პეტრის ჯამში და ახურავენ ისეთივე პეტრის ჯამს.



ნახ. 83. სამუშაოსთვის მომზადებული ქრომატოგრაფიული ქაღალდი

გამხსნელი „ტუდით“ ადის ფურცელზე და რადიალურად გადაადგილდება. ასევე რადიალურად გადაადგილდება დასაცილებელი ელექტროგების ზონები. როდესაც გამხსნელი ქაღალდზე გაივლის პეტრის ჯამის კედლებამდე 2/3 გზას, ქრომატოგრამის განვითარებას აჩერებენ. ქრომატოგრამას იდებენ ჯამიდან და აშრობენ ბოქსში ამწოვ კარადაში. ქრომატოგრამის გამოსამუდავნებლად პულვერიზატორით ასხურებენ ამონიუმის როდანიდის აცეტონიან ნაჯერ ხსნარს. რკინის ზონა შეიღებება მოწითალო-რუს ფერად, ხოლო კობალტის ზონა ცისფრად. ქრომატოგრამის გაშრობის შემდეგ ზომავენ რკინის და კობალტის R<sub>f</sub>, რის შემდეგ ფუნჯის საშუალებით ქაღალდის მონაკვეთს კობალტის ზონასა და სასტარტო ხაზს შორის (ცდილობენ არ შეეხონ ლურჯ ზონას) ასველებენ დიმეთილგლიორების ამიაკური ხსნარით. წარმოიქმნება ნიკელის ზონა, შეფერილი ჟოლოსფრად. ქრომატოგრამის გაშრობის შემდეგ საზღვრავენ ნიკელის R<sub>f</sub>-ს ფორმულით:

$$R_f = \ell / L$$

სადაც  $\ell$  არის მანძილი სტარტის ხაზიდან ზონის შუამდე, სმ;

L – გამხსნელის მიერ განვლილი მანძილი სტარტის ხაზიდან ფრონტის ხაზამდე, სმ.

რკინის იონების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის რკინის შეფერილ ზონას ამოჭრიან მაკრატლით ლაქის საზღვრიდან 3სმ დაშორებით და ათავსებენ 50მლ-ან ჭიქაში. უმატებენ 10მლ აცეტონის, 3 წვეტ 2M HCl და ტოვებენ 5-10 წუთით გაუფერულებამდე. ქაღალდს პინცეტით იღებენ ჭიქიდან და ხსნარი ძაბრის საშუალებით გადააქვთ 50მლ საზომ კოლბაში. ქაღალდს ჭიქაში კიდევ ორჯერ რეცხავენ გამოხდილი წყლით 10-10მლ რაოდენობით და ჩამრეცხ წყლებს უერთებენ ძირითად ხსნარს უმატებენ 5მლ 4 M

როდანიდის ხსნარს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ.



ფოტომეტრიუმისათვის ამზადებენ შესადარებელ ხსნარს, რისთვისაც 50მლ-ან საზომ კოლბაში შეყავთ 10მლ აცეტონი, 2 წვეთი 2M HCl, 5მლ 4 M როდანიდის ხსნარი, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ.

50მლ საზომ კოლბებში ათავსებენ 2-დან 5მლ-მდე რკინის სტანდარტულ ხსნარებს, უმატებენ ყველა რეაქტოვებს როგორც შესადარებელი ხსნარის მომზადებისას, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ.


მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკგრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე შესადარებელი ხსნარის მიმართ კიუვებაში  $\ell=50\text{მმ}$ , ლურჯი შუქფილტრის გამოყენებით და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C. გრაფიკის საშუალებით პოულობენ ზონაში რკინის (III) შემცველობას.


### სამუშაო 5. სკანდიუმის და იტრიუმის კათოონების დაცილება დალექვითი ქრომატოგრაფიული მეთოდით

მეთოდი დამყარებულია სკანდიუმის და იტრიუმის კათოონების სორბციაზე ანიონიზ AB-17 CO<sub>5</sub>-ფორმაზე.



რის შემდეგ სკანდიუმის დესორბცია ხდება ნატრიუმის ჰიდროქსიდით, ხოლო იტრიუმის დესორბცია წარმოებს ჭარბი კარბონატით კარბონატული კომპლექსის წარმოქმნით:





## გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. სკანდიუმის ქლორიდის სტანდარტული სნარი 0,5მგ/მლ  
 2. იტრიუმის ქლორიდის სტანდარტული ხსნარი 0,2მგ/მლ  
 3. HCl 1 N ხსნარი  
 4. NaOH 10 N ხსნარი  
 5. Na<sub>2</sub>CO<sub>3</sub> 3N ხსნარი  
 6. ქრომოტოგრაფიული მინის სვეტი ანიონიტ AB-17  
 CO<sub>3</sub>-ფორმით

10მლ სკანდიუმის სტანდარტული ხსნარის ნარევი 5მლ იტრიუმის სტანდარტულ ხსნართან გადააქვთ 25მლ საზომ ქოლბაში, შეამჟავებენ 0,5მლ 0,5 N HCl-ით, ანზავებენ ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ. მიღებულ ნარევს 1მლ/წთ ფილტრაციის სიჩქარით ატარებენ ქრომოტოგრაფიულ სვეტში, სვეტს რეცხავენ 10მლ გამოხდილი წყლით, რის შემდეგ მასში ატარებენ 5მლ/წთ ფილტრაციის სიჩქარით 220მლ 10 N NaOH (სკანდიუმის დესორბცია) და 200მლ 3 N Na<sub>2</sub>CO<sub>3</sub> –ს (იტრიუმის დესორბცია).

სკანდიუმის და იტრიუმის ელუატებს აგროვებენ 250მლ საზომ ქოლბებში.

### სკანდიუმის განსაზღვრა ფოტომეტრული მეთოდით ქსილენის ნარინჯის გამოყენებით

სკანდიუმი სუსტ მჟავა გარემოში ქსილენის ნარინჯთან წარმოქმნის მოწითალო-იისფერ კომპლექსს.

## **გამოყენებული ოქსიდაციები და აპარატურა**

1. სკანდიუმის ქლორიდის სტანდარტული ხსნარი 1მგ/მლ და 0,1მგ/მლ
2. ქსილენის ნარინჯი 0,05%-ნი წყალხსნარი
3. ბუფერული ხსნარი pH=1,5  
(263 მლ 0,2 N მარილმჟავას შეურევენ 500მლ 0,2 N გალიუმის ქლორიდს).
4. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК – 56.

## **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

ექს 50მლ საზომ კოლბებში ათავსებენ 1,2,3,4,5მლ სკანდიუმის სტანდარტულ ხსნარებს (კონცენტრაციით 0,1მგ/მლ), უმატებენ 5მლ ბუფერულ ხსნარს, 5მლ ქსილენს ნარინჯის ხსნარს, ანზავებენ ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

20 წუთის შემდეგ ზომავენ მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ფოტოკოლორიმეტრზე მწვანე შუქ-ფილტრის გამოყენებით შესადარებელი ხსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს ყველა ოქსიდაციებს სკანდიუმის გარდა (მეგქნე კოლბა) და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C.

## **ანალიზის მსგლელობა**

220მლ ელუატი, მიღებული სკანდიუმის დესორბციის შემდეგ, გადააქვთ 250მლ საზომ კოლბაში, ანზავებენ ჭდე-მდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

მიღებული ხსნარის 2მლ გადააქვთ 50მლ საზომ კოლ-ბაში, უმატებენ ყველა ოქსიდაციებს როგორც მაგრადუი-რებელი გრაფიკის აგებისას და ზომავენ მიღებულ ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს. მაგრადუირებელი გრაფიკის საშუა-

ლებით პოულობენ საკვლევ ხსნარში სკანდიუმის კონცენტრაციას.

### **იტრიუმის ფოტომეტრული განსაზღვრა არსენაზო III-ის გამოყენებით**

იტრიუმი სუსტ მჟავა გარემოში არსენაზო III-თან წარმოქმნის მწვანე ფერის წყალში ხსნად კომპლექსს.

#### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. იტრიუმის სტანდარტული ხსნარი კონცენტრაციით 0,2გ/გლ
2. არსენაზო III, 0,05%-ნი წყალხსნარი
3. ბუფერული ხსნარი pH=3,0  
(0,2 M CH<sub>3</sub>COOH-ს ანეიტრალებენ pH=3 ამიაკით)
4. სპექტროფოტომეტრი СФ-16.

#### **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

ხუთ 50მლ საზომ კოლბებში ათავსებენ 2,4,6 და 8მლ იტრიუმის სტანდარტულ ხსნარებს, უმატებენ 2მლ არსენაზო III და ანზავებენ ჭდემდე ბუფერული ხსნარით. 20-30 წუთის შემდეგ მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ სპექტროფოტომეტრზე ( $\lambda = 656 \text{ ნm}$ ) შესადარებელ ხსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს ყველა რეაქტივებს. გარდა იტრიუმისა (მეხუთე კოლბა) და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C.

## ანალიზის მსგლელობა



200მლ ელუატი იტრიუმის დესორბციის შემდეგ გადააქვთ 250მლ საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭრდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

მიღებული ხსნარის 5მლ გადააქვთ 50მლ საზომ კოლბაში და ატარებენ ყველა ოპერაციას როგორც მაგრადუირებელი გრაფიკის აგების დროს.



ოპტიკური სიმკვრივის გაზომვის შემდეგ მაგრადუირებელი გრაფიკის საშუალებით პოულობენ იტრიუმის კონცენტრაციას საკვლევ ხსნარში.

**სამუშაო 6. ბერილიუმის და ქრომის (III) დაცილება  
ანიონიტ AB-16-ზე აბსორბციულ-კომპლექსურმომქმნელი  
ქრომოტოგრაფიული მეთოდით**

მეთოდი დამყარებულია ბერილიუმის და ქრომის (III) კათოონების სორბციაზე ფტორ-იონებით მოდიფიცირებულ ანიონიტ AB-16-ზე, რომელიც მიღის შემდეგი რეაქციით:



რის შემდეგ ბერილიუმის ელუირება ხდება 1%-იანი NaF, ხოლო ქრომის 1N აზოგმჟავას ხსნარით:



**გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. ბერილიუმის სულფატის სტანდარტული ხსნარი 0,1მგ/მლ

2. ქრომის ნიტრატის სტანდარტული ხსნარი 0,5მგ/მლ

3. აზოგმჟავა, 1 N ხსნარი

4. ნატრიუმის ფტორიდი, 1%-ნი ხსნარი

5. ქრომატოგრაფიული სვეტი ანიონიტ AB-16 ფტორ-ფორმაში

10მლ ბერილიუმის სტანდარტულ ხსნარს და 2 მლ ქრომის სტანდარტულ ხსნარს ათავსებენ 50მლ საზომ კოლბაში, შეამჟავებენ 0,5მლ 1 N აზოტმჟავით, ანზავებენ ჭდებულებას გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ.

მიღებულ ხსნარს 5მლ/წთ ფილტრაციის სიჩქარით ატარებენ ქრომატოგრაფიულ სვეტში მოთავსებულ (9სმ) ანიონიტ AB-16 ფტორ-ფორმაში. სვეტს რეცხვენ 20მლ წყლით და მასში ატარებენ 5მლ/წთ სიჩქარით 120მლ 1%-ან ნატრიუმის ფტორიდის ხსნარს (ბერილიუმის დესორბცია). მიღებულ ელუატს ათავსებენ 250მლ საზომ კოლბაში, რის შემდეგ იმავე ფილტრაციის სიჩქარით ატარებენ 40მლ აზოტმჟავას (ქრომის დესორბცია), მიღებულ ელუატს აგროვებენ 100მლ კოლბაში, რომელშიც საზღვრავენ ქრომის შემცველობას.

## ბერილიუმის ფოტომეტრიული განსაზღვრა ბერილონ II-ით

მეთოდი დამყარებულია ბერილიუმის ბერილონ II-თან იისფერი ან ლურჯი ფერის კომპლექსის წარმოქმნის რეაქციაზე.

### გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა

1. ბერილიუმის სულფატის სტანდარტული ხსნარი 1მგ/მლ

2. NaOH 10%-ნი ხსნარი

3. ბერილონ II 0,01%-ნი ხსნარი

4. H<sub>2</sub>SO<sub>4</sub> (1:1)

5. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК-56Н

## მაგრადუირებელი გრაფიკის აგება

ათ 50მლ საზომ კოლბებში ათავსებენ 2,5-25მლ (ინტერვალით 2,5მლ) ბერილიუმის სტანდარტულ სსნარს, უმატებებენ თითოეულ კოლბას 1მლ 10%-ან  $\text{NaOH}$  და 2მლ ბერილონ II, ანზავებენ ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ. 10-15 წუთის შემდეგ ზომავენ მიღებული სსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ფოტოკოლორიმეტრზე წითელი შუქფილტრის გამოყენებით 50მლ კიუვეტში შესადარებელი სსნარის მიმართ, რომელიც შეიცავს ყველა რეაქტივებს გარდა ბერილიუმისა.

მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში ბერილიუმის კონცენტრაცია C – ოპტიკური სიმკვრივე D.

## ანალიზის მსვლელობა

120მლ ელუატი (ბერილიუმის დაცილების შემდეგ) გადააქვთ 250მლ საზომ კოლბაში, ანზავებენ ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯდრევენ. მიღებული სსნარის 5მლ გადააქვთ 50მლ ქიმიურ ჭიქაში, უმატებენ 5მლ  $\text{H}_2\text{SO}_4(1:1)$  და აორთქლებენ ორჯერ მშრალ ნაშთამდე, სსნიან 20-30მლ გამოხდილ წყალში, გადააქვთ 50მლ საზომ კოლბაში, შექავთ ყველა რეაქტივები როგორც მაგრადუირებელი გრაფიკის აგებისას. საანალიზო ზსნარის ოპტიკური სიმკვრივის გაზომვის შედეგ მასში ბერილიუმის ( $C_x$ ) შემცველობას პოულობენ მაგრადუირებელი გრაფიკის მიხედვით.

### **ქრომის (III) ფოტომეტრული განსაზღვრა კომპლექსონ III-ით**

მეთოდი დამყარებულია ქრომის (III) კომპლექსონ III-თან სუსტ მჟავა გარემოში იისფერი კომპლექსის წარმოქმნის რეაქციაზე.

#### **გამოყენებული რეაქტივები და აპარატურა**

1. ქრომის ნიტრატის სტანდარტული ხსნარი 0,5მგ/მლ
2. NaOH 10%-ნი ხსნარი
3. კომპლექსონ III 2,5% ხსნარი
4. HNO<sub>3</sub> 0,1 N ხსნარი
5. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК-56Н

#### **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

ექს 150მლ ჭიქაში ათავსებენ 0,5; 1,0; 2; 3; 4 და 5მლ ქრომის სტანდარტულ ხსნარებს, უმატებენ 0,5მლ აზოტ-მჟავას, 35მლ გამოხდილ წყალს და 5მლ კომპლექსონ III-ს. მიღებულ ხსნარს აცხელებენ ადუდებამდე, აჩერებენ 2 წუთის განმავლობაში, აცივებენ, გადააქვთ 50მლ საზომ კოლბებში, ანზავებენ ჭდებულე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯღრევენ.

მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე ყვითელი შუქფილტრის გამოყენებით, 50მლ კიუვებში. შესადარებელ ხსნარად გამოყენებულია წყალი.

მიღებული შედეგების მიხედვით აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში ქრომის კონცენტრაცია C – ოპტიკური სიმკვრივე D.

## ანალიზის მსგლელობა

40მლ ელუატს, რომელიც მიღებულია 1N აზოგმჟავით დესორბციის შემდეგ ანეიტრალებენ ~16მლ 10%-იანი ნატრიუმის ტუტით (ინდიკატორული ქაღალდის საშუალებით) და აორთქლებენ 30-40 მლ-მდე. მიღებულ ნარევს შეამჟავებენ 0,1N აზოგმჟავით (დაახლოებით 0,5მლ) სუსტ მჟავა რექციამდე (pH=4-5), უმატებენ 5მლ კომპლექსონ III-ის სსნარს. კოლბას სსნარით ადულებენ ნელ ცეცხლზე 3 წთის განმავლობაში, აცივებენ, გადააქვთ 50მლ საზომ კოლბაში, აზავებენ ჭდებდე გამოხდილი წყლით და მიღებული სსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ იმავე პირობებში, როგორც მაგრადუირებული გრაფიკის აგების დროს. გრაფიკის მიხედვით პოულობენ ქრომის შემცველობას ელუატში.

### სამუშაო №7. ნიკელის და კობალტის ქრომატოგრაფიული დაცილება

ნიკელის და კობალტის იონთა დაცილების ქრომატოგრაფიული მეთოდი დამყარებულია მათ მიერ ლიმონმჟავასთან სხვადასხვა მდგრადობის კომპლექსურ ანიონების წარმოქმნაზე.

ნიკელის ლიმონმჟავა კომპლექსი უფრო მდგრადია, ვიდრე კობალტის. ამიტომ, თუ სათანადო კათიონიტის მქონე სვეტში მოვახდენ ნიკელის და კობალტის იონთა ნარევის სორბციას, შემდეგ ამ სვეტს ჩავრეცხავთ სათანადო pH-ის მქონე ლიმონმჟავათი, ფილტრატში პირველ რიგში გამოირეცხება ნიკელის, ხოლო შემდეგ კი კობალტის ლიმონმჟავა კომპლექსები.

ამ სამუშაოს შესრულების დროს იონიტად გამოიყენება  $NH_4^-$  – ფორმაში მყოფი მონოფუნქციონალური სულფოკა-

თორნიტი KY-2 და ელუენტად კი ლიმონმავას 5%-ნი ხსნარი, რომლის pH წინასწარ დაყვანილია 4-მდე ამონიუმის ტუბის საშუალებით.

## სამუშაოს შესრულება


მინის იონგაცვლით სვეტში, რომელიც შეიცავს  $NH_4^-$  – ფორმაში მყოფ კათიონიტ KY-2-ს, ატარებენ გამოხდილ წყალს და მომჰქერის საშუალები აყენებენ ფილტრაციის სიჩქარეს 10მლ/წ., რის შემდეგ სვეტში ატარებენ კობალტის და ნიკელის იონთა ნარევის შემცველ საკვლევ ხსნარს. ამ დროს ნიკელის და კობალტის იონები სორბირდებიან კათიონიტის ზედა ნაწილში რუხი ფერის შრის სახით. ფილტრაციის შეუწყვეტლად სვეტში იმავე სიჩქარით ატარებენ გამოხდილ წყალს 50 მლს. სვეტს უერთებენ მარიოტის ჭურჭელს, რომელშიაც ჩასხმულია გამომრეცხი სითხე და იწყებენ ნიკელის და კობალტის თანმიმდევრობით გამორეცხვას (ელუირებას). ამ დროს მიღებული ფილტრატის ფრაქციებს აგროვებენ 10-10 მლ რაოდენობით სინჯარებში. 40 ფრაქციის აღების შემდეგ შეუწყვეტენ გამორეცხვას და მიღებულ ფრაქციებში თანმიმდევრობით აწარმოებენ ნიკელის აღმოჩენას, რისთვისაც უმატებენ ჩუგავის რეაქტივს (დიმეთილგლიკინის სპირტს ხსნარს) ფრაქციების მწვრივის იმ სინჯარაში, სადაც ნიკელი არ აღმოჩნდება. იგი მთლიანად გამორეცხილია სვეტიდან.

ამის შემდეგ აწარმოებენ კობალტის აღმოჩენას, რისთვისაც ერთ-ერთ სინჯარაში და შემდგომ ყველა სინჯარაში უმატებენ ფოგელის რეაქტივს (ამონიუმის როდანიდის ნაჯერი ხსნარი აცეტონში). აღგენენ ცხრილს.

იმ ფრაქციებში, სადაც აღმოჩნდება სათანადო იონი, ცხრილში წერენ პლუსს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მინუსს.

## სამუშაო №8. ხსნარში მარილის რაოდენობის განსაზღვრა იონგაცვლითი მეთოდით

კათიონიტში საკვლევი ხსნარის (მარილის) გატარებისას მარილის კათიონი გაიცვლება კათიონიტის წყალბადით და გამოყოფილი წყალბადიონების რაოდენობა ექვივალენტური იქნება მარილის კათიონთა იმ რაოდენობის, რომელიც გადასულია ხსნარიდან კატიონიტში:



გამოყოფილი მჟავას ტუტით გატიტვრით განისაზღვრება ხსნარში მჟავას ექვივალენტური მარილის რაოდენობა.

### სამუშაოს შესრულება

საანალიზო ხსნარის 10 მლ, სიჩქარით 2მლ/წ ატარებენ  $H^+$ - ფორმაში მყოფ KY-2 კათიონიტის შემცველ სვეტში. სვეტიდან გამოსულ ხსნარს აგროვებენ კონუსურ კოლბაში და ფილტრაციის შეუწყვეტლად სვეტს რეცხავენ 100 მლ წყლით და ჩამრეცხ წყალს აგროვებენ იმავე კოლბაში. სვეტიდან გამოსულ ჩამრეცხი სითხის ბოლო წვეთებს ამოწმებენ მჟავას ჩარეცხვის სისრულეზე მეთილნარინჯით (საათის მინაზე). ხსნარს, რომელიც მიღებულია კათიონიტში საანალიზო ხსნარის გატარების და ჩარეცხვის შემდეგ, უმატებენ ინდიკატორ მეთილნარინჯს და ტიტრავენ 0,1N NaOH-ის ხსნარით.

საკვლევი მარილის შემცველობა საანალიზო ხსნარში გამოიანგარიშება ფორმულით:

$$q = VN E_q \cdot 100$$

სადაც  $q$  არის საკვლევი მარილის რაოდენობა მგ/ლ

$V$  – 0,1N NaOH-ის ხსნარის მოცულობა, რომელიც დახარჯულია საანალიზო ხსნარის გატიტვრაზე.

$N$  – NaOH-ის ნორმალობა

E<sub>q</sub> – საკვლევი მარილის ექვივალენტური წონა.

**სამუშაო 9. სპილენძის და ზოგიერთი გარდამავალი  
ლითონების შემცველი ნარევის ქრომატოგრაფიული  
გაყოფა კლინოპტილოლიტზე**

სპილენძის, ქრომი (III), ქრომი (VI) და რკინის (III) დაცილება დამყუარებულია იმაზე, რომ ქრომი (VI), რომელიც სსნარში იმყოფება ოქსონიუმის იონის სახით, არ სორბირდება კლინოპტილოლიტზე, მაშინ როდესაც ქრომი (III), სპილენძი და რკინა სორბირდება და მათი დაცილება ხდება სათანადო ელუენტების გამოყენებით.

**გამოყენებული რეაგენტები და აპარატურა**

1. სპილენძის სტანდარტული სსნარი, 1მგ/მლ;
2. ქრომი (III) სტანდარტული სსნარი, 1მგ/მლ;
3. რკინის (III) სტანდარტული სსნარი, 1მგ/მლ;
4. ქრომი (VI) სტანდარტული სსნარი, 1მგ/მლ;
5. ქრომატოგრაფიული სვეტი.

**ანალიზის მსგლელობა**

40 მლ ნარევს, რომელიც შეიცავს თითო მგ სპილენძს, ქრომს (III), ქრომს (VI) და რკინას (III), 5მლ/წთ ფილტრაციის სიჩქარით ატარებენ ქრომატოგრაფიულ სვეტში, რომელშიაც მოთავსებულია კლინოპტილოლიტი მოდიფიცირებული ნატრიუმის იონებით 6,5 სმ ფენის სისქით. სპილენძი, ქრომი (III) და რკინა (III) სორბირდება კლინოპტილოლიტზე, ხოლო ქრომი (VI) ოქსონიუმის იონის სახით გადის ფილტრატში. სორბირებული სპილენძის, ქრომი (III) და

რკინის (III) დახილება წარმოებს სათანადო ელუენტების გამოყენებით შემდეგი სქემის მიხედვით:


ქრომი (VI)-ის დესორბცია – 50 მლ  $H_2O$ ;

სპილენბის დესორბცია – 200 მლ 0,5% ნატრიუმის თოსკულფატი;

რკინა (III) დესორბცია – 0,1 კომპლექსონ (III)-ის ხსნარი;

ქრომი (III) დესორბცია – წყალბადის ზეპანგის შემცველი ნატრიუმის ტუტე.

დაცილების სქემა მოცემულია ნახ. 84-ზე.



ნახ. 84. ქრომის (VI), ქრომის (III), სპილენბის და რკინის (III) დაცილება კლინიკულოგიზმზე.

მიღებული ელუატები გადააქვთ 250 მლ საზომ კოლბებში, მიყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანედრევენ. სპილენბის, ქრომი (III), ქრომი (VI) და რკინის (III) განსაზღვრა წარმოებს ფოტომეტრული მეთოდებით.

### ქრომის (VI) იონების განსაზღვრა დიფენილგარბაზიდის გამოყენებით

დიფენილგარბაზიდი ქრომის (VI) იონებთან მჟავა გარემოში წარმოქნის იისფერი შეფერილობის ნაერთს.

## **გამოყენებული რეაგენტები და აპარატურა**

1. ქრომის (VI) სტანდარტული ხსნარი 0,1მგ/მლ. 0,283 გ გადაკრისტალებულ  $K_2Cr_2O_7$  ხსნიან გამოხდილ წყაში, გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ;
2. გოგირდმჟავა, განზავებული 1:10;
3. დიფენილკარბაზიდის ახლად მომზადებული 0,25% ხსნარი;
4. ფოტოკოლორიმეტრი ფტК-56.

### **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

50 მლ საზომ კოლბებში შეჰყავთ 1-დან 10 მლ-მდე ქრომის (VI) სტანდარტული ხსნარი, უმატებენ 2,5 მლ გოგირდმჟავას (1:10), კოლბის კედლებს ჩარეცხავენ გამოხდილი წყლით, უმატებენ 1 მლ 0,25% დიფენილკარბაზიდის ხსნარს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ.

10 წთ შემდეგ ზომავენ მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ფოტოკოლორიმეტრზე მწვანე შუქფილტრის გამოყენებით კიუვეტაში 10 მმ. შესადარებელ ხსნარად გამოყენებულია გამოხდილი წყალი და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C.

### **ანალიზის მსვლელობა**

250 მლ საზომ კოლბიდან (ქრომის დესორბციის შემდეგ) ჰიერვენ 5-10 მლ ხსნარს, გადააქვთ 50 მლ საზომ კოლბაში, უმატებენ ყველა რეაქტივებს, როგორც მაგრადუირებელი გრაფიკის აგების დროს, ზომავენ ხსნარის

ოპტიკურ სიმკვრივეს და გრაფიკის საშუალებით პოულობენ ქრომი (VI) შემცველობას ნარევში.

### რკინის (III) იონების განსაზღვრა როდანიდული მეთოდით

მეთოდი დამყარებულია რკინის (III) იონების მეავა გარემოში როდანიდთან წითელი ფერის კომპლექსის წარმოქმნის რეაქციაზე.

### გამოყენებული რეაგენტები და აპარატურა

1. რკინის (III) სტანდარტული ხსნარი  $0,1\text{მგ}/\text{მლ}$ .  $0,503$  გ  $\text{Fe}_2(\text{SO}_4)_3$  ხსნიან გამოხდილ წყაში, უმატებენ  $5$  მლ  $1\text{N HCl}$ , მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ;

2. აზოტმჟავა, კონცენტრირებული;
3. კალიუმის როდანიდი,  $30\%$  ხსნარი;
4. ამონიუმის პიროსულფატი,  $20\%$  ხსნარი;
5. ფოტოკოლორიმეტრი ფЭК-56.

### მაგრადუირებელი გრაფიკის აგება

50 მლ საზომ კოლბებში შეჰყავთ 1-დან  $10$  მლ-მდე რკინის (III) სტანდარტული ხსნარი, უმატებენ  $1$  მლ აზოტმჟავას,  $5$  მლ კალიუმის როდანიდის ხსნარს, ანზავებენ ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ.

მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე მწვანე შუქფილტრის გამოყენებით კიუვებაში  $50$  მმ. შესადარებელ ხსნარად გამოყენებულია გამოხდილი წყალი და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C.

## **ანალიზის მსგლელობა**

250 მლ საზომ კოლბიდან (რკინის (III) იონების დაცილების შემდეგ) იღებენ 10 მლ ხსნარს, ათავსებენ ქიმიურ ჭიქაში, უმატებენ 50 მლ ამონიუმის პიროსულფატს, 3-5 წვეთ აზოგმჟავას და აორთქლებენ მშრალ ნაშთამდე, აცივებენ, ხსნიან 1 მლ აზოგმჟავაში 5 მლ წყალთან. მიღებული ხსნარი გადააქვთ 50 მლ საზომ კოლბაში, უმატებენ 5 მლ კალიუმის როდანიდის ხსნარს, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ. მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოგლორიზმეტრზე მწვანე შუქულილტრის გამოყენებით კიუვებაში 50მმ. შესადარებელ ხსნარად გამოყენებულია ნულოგანი ხსნარი, რომელიც შეიცავს ყბელა რეაქტივს, გარდა რკინისა.

### **სპილენბის იონების ფოტოგლორიზმეტრული განსაზღვრა დიეთოლდითიოკარბამინატის გამოყენებით**

დიეთოლდითიოკარბამინატი 0,5 N მჟავა გარემოში სპილენბის იონებთან წარმოქმნის ყვითელი ფერის კომპლექსს.

### **გამოყენებული რეაგენტები და აპარატურა**

1. სპილენბის სტანდარტული ხსნარი 0,1მგ/მლ. 0,993 გ  $\text{CuSO}_4 \cdot 5\text{H}_2\text{O}$ , ხსნიან გამოხდილ წყაში, გადააქვთ ლიტრიან საზომ კოლბაში, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ;
2. ნატრიუმის დიეთოლდითიოკარბამინატი, 0,1% ხსნარი;
3. ჟელატინის 1% ხსნარი;
4. ფოტოგლორიზმეტრი ფერ-56.

## **მაგრადუირებელი გრაფიკის აგება**

რამდენიმე 50 მლ საზომ კოლბებში ათავსებენ 1-დან 10 მლ-მდე სპილენძის სტანდარტულ ხსნარს, უმატებენ 1 მლ ჟელაზინს, 5 მლ ნატრიუმის დიეთილდითორკარბამინატის ხსნარს, ანზავებენ ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ.

მიღებული ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე შუქფილტრ №5-ის გამოყენებით კიუვებიში 30 მმ, შესადარებელ ხსნარად გამოყენებულია ნულოვანი ხსნარი, რომელიც შეიცავს ყველა რეაქტივებს, გარდა სპილენძისა და აგებენ მაგრადუირებელ გრაფიკს კოორდინატებში D-C.

## **ანალიზის მსგლელობა**

250 მლ ელუატიდან (სპილენძის დესორბციის შემდეგ) იღებენ 5-10 მლ ხსნარს, გადააჭვთ 50 მლ საზომ კოლბაში, უმატებენ ყველა რეაქტივებს, როგორც მაგრადუირებელი გრაფიკის აგებისას, მიჰყავთ მოცულობა ჭდემდე გამოხდილი წყლით და კარგად შეანჯლრევენ. მიღებული ხსნარის ოპტიკურ სიმკვრივეს ზომავენ ფოტოკოლორიმეტრზე შუქფილტრ №5-ის გამოყენებით კიუვებიში 30მმ. მაგრადუირებელი გრაფიკის საშუალებით პოულობენ სპილენძის შემცველობას ნარევში.

## **ლიტერატურა**

### **ძირითადი ლიტერატურა:**

1. ანდონიქაშვილი თ., ამირხანაშვილი პ., ბურჯიაშვილი ნ. ქრომატოგრაფიის საწყისები. თბილისი, 2006.
2. ბროუნი ფ., დუდუშაური ც. ანალიზის ფოტომეტრული მეთოდები. თბილისი. ტ.უ. 2000.
3. ერისთავი., ცინცაძე გ., ბროუნი ფ. ხუციშვილი ც. ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები. თბილისი, სპ, 1972.
4. Барковский В.Ф., Городенцева Т.Б., Топорова Н.Б. Основы физико-химических методов анализа. М., Высшая школа, 1983.
5. Васильев В.П. Аналитическая химия. Физико-химические методы анализа. М., Высшая школа, 1989. т2.
6. Пилипенко А.Т., Пятницкий И.В. Аналитическая химия. М., Химия, 1990, т2.
7. Пономарев В.Д. Аналитическая химия. М, Высшая школа, 1982, т 2.
8. Практикум по физико-химическим методам анализа. Под. ред. О.М. Петрухина. М., Химия, 1987.
9. Практическое руководство по физико-химическим методам анализа. Под ред. И.П. Алимарина., В.М Иванова. М., МГУ, 1987.
- 10.Физико-химические методы анализа. Под ред. Алексовского Л. Химия, 1988.

### **დამატებითი ლიტერატურა:**

1. ბაბურ ა. პ. პიატნიცკი ი. პ. რაოდენობითი ანალიზი. თსუ., 1975.
2. Аганян П.К., Хамракулов Т.К. Кулонометрический анализ. М., Химия, 1984.
3. Аивазов Б.В. Введение в хроматографию . М., Высшая школа. 1983.
4. Алексеев В.Н. Количественный анализ. М., Мир, 1972.

5. Бабко А.К., Дубовская Л.И., Луковская Н.М. Хемилюминесцентный анализ. Киев, Техника, 1966.
6. Бабко А.К., Пилипенко А.Т. Фотометрический анализ. М., Химия, 1974.
7. Барковский В.Ф., Гонопольский В.И. Дифференциальный спектрофотометрический анализ. М., Химия, 1969.
8. Божевольнов Е.А. Люминесцентный анализ неорганических веществ. М., Химия, 1966.
9. Бонд А.М. Полярографические методы в аналитической химии. М., Химия, 1983.
10. Брек Д. Цеолитовые молекулярные сита. Пер. с англ., М., Мир, 1976.
11. Броучек Ф.И., Эристави В.Д. Осадочная комплексообразовательно-сорбционная хроматография на модифицированных анионитах. Тбилиси . ГПИ, 1977.
12. Булатов М.И., Калинина И.П. Практическое руководство по фотометрическим методам анализа. Л., Химия., 1986.
13. Бусев А.И., Типцова В.Г., Иванов В.М. Руководство по аналитической химии редких элементов. М., Химия, 1978.
14. Гиошон Ж., Гиомен К. Количественная газовая хроматография. Пер. с англ. под ред. Ларионова В.Г. М., Химия, 1991.
15. Голберг К.А., Вигдергауз М.С. Введение в газовой хроматографию. М., Мир, 1990.
16. Головина А.П., Левина А.В. Химический люминесцентный анализ неорганических веществ. М., Химия, 1978.
17. Горюшина В.Е., Гайлис Е.Я. Заводская лаборатория. т 21, №6, 1955.
18. Гудушаури Ц.Н., Броучек Ф.И. Исследование процессов десорбции ниобия из фтор-форм анионов. Сообщения АН ГССР, т 70, №1, 1973.

19. Гудушаури Ц.Н., Броучек Ф.И. Хроматографическое отделение меди (II) от кобальта (II) и никеля (II) на клиноптилолите. Воронеж, 1976.
20. Гудушаури Ц.Н., Броучек Ф.И. Хроматографическое отделение ниobia от железа на фтор-форме анионита АВ -16. Известия АН ГССР серия химическая, т 1, №1. 1975.
21. Гудушаури Ц.Н., Броучек Ф.И. Хроматографическое разделение на клиноптилолите смесей, содержащих медь (II) и некоторые переходные металлы. Изд. АН ГССР, серия химическая, Т3, №3, 1977.
22. Гурвич Я.Н. Химический анализ. М., Высшая школа, 1985.
23. Добкина Б.М., Малютина Т.М. Заводская лаборатория, 1958, №24
24. Дорохова Е.Н., Прохорова Г.В. Аналитическая химия физико-химические методы анализа. М. Высшая школа, 1979.
25. Дорохова Е.Н., Прохорова Г.В. Аналитическая химия физико-химические методы анализа. М., Высшая школа, 1991.
26. Золотов Ю.А., Кузьмин Н.М. Экстракционное концентрирование. М., Химия, 1971.
27. Золотов Ю.А., Кузьмин Н.М. Концентрирование микроэлементов. М., Химия, 1982.
28. Каплан Б.Я., Пац Р.Г., Вольтампериметрия переменного тока. – М., Химия, 1980.
29. Каплан Б.Я., Пац Р.Г., Салихджанова Р.М. Вольтамперометрия переменного тока. М., Химия, 1985.
30. Кокотов Ю.А., Пасечник В.Л. Равновесие и кинетика ионного обмена. Изд. Химия, 1970.
31. Константинова – Шлезингер М.А. Люминесцентный анализ. Л., Изд-во АН СССР. 1948.
32. Лакович Дж. Основы флюоресцентной спектроскопии. Перевод с англ. под. ред. Л.Г.Кузьмина. М., 1986.
33. Лурье Ю. Ю. Справочник по аналитической химии. М., Химия, 1979.

34. Ляликов Ю.С. Физико-химические методы анализа. М., Химия, 1974.
35. Марченко Э. Фотометрическое определение элементов. М., Мир 1971.
36. Набиванец В.И., Линник П.Н., Калабина Л.Б. Кинетические методы анализа природных вод. Киев, Наукова Думка, 1981.
37. Никольский Б.П., Матерова Е.А. Ионоселективные электроды. М., Химия, 1980.
38. Ольшанова К.М., Потапова М.А., Морозова Н.М. Практикум по хроматографическому анализу. М., Высшая школа., 1970.
39. Орешенкова Е.Г. Спектральный анализ. М. Высшая школа, 1982.
40. Петерс Д., Хайес Д., Хифтье Г. Химическое разделение и измерение. Теория и практика аналитической химии. М., Химия, 1978, т 2.
41. Пешкова В.М., Громова А.Т. Фотометрический анализ. М., Высшая школа, 1976.
42. Пешкова В.М., Громова М.И., Методы абсорбционной спектроскопии в аналитической химии. М., Высшая школа, 1976.
43. Полеес М.З., Душечкина И.Н. Аналитическая химия. М., Медицина, 1987.
44. Полуектов Н.С. Методы анализа по фотометрии пламени. М., ТОНТИХЛ, 1959.
45. Праис В. Аналитическая атомно-абсорбционная спектроскопия. Пер. с англ. под ред. Львова Б.В. М., Мир, 1976.
46. Руководство по газовой хроматографии. Под ред. Березкина В.Г. М., Высшая школа, 1983.
47. Сенявин М.М. Ионный обмен в технологии и анализе неорганических веществ. М., Химия, 1980.
48. Сенявин М.М. Ионный обмен. М., Наука, 1981.
49. Скуг Д., Уест Д. Основы аналитической химии. М., Мир, 1972, т 2.
50. Славин В. Атомно-абсорбционная спектроскопия. Перевод с англ. М., Химия, 1971.

51. Сонгина О.А., Захаров В.А. Амперометрическое титрование. М., Химия. 1967.
52. Терек П., Мика И., Гегуш Е. Эмисионный спектральный анализ. Перевод с англ. М., Мир, 1976.
53. Худякова Т.А., Крешков А.П. Теория и практика кондуктометрического анализа. М., Химия, 1976.
54. Шарло Г. Методы аналитической химии. М, Л, Химия, 1965.
55. Юинг Г. Инструментальные методы химического анализа. М., Мир, 1989.
56. Яцимирский К.Б. Кинетические методы анализа. М., Химия, 1967.